ალმანახი

1 2025

აჭარის მწერალთა სახლი

ISSN 0134-3459

ჭოროხი

გამოცემის 67-ე წელი | იანვარი-თებერვალი | №1 | 2025 წელი

სალიტერატურო-სამხატვრო და საზოგადოებრივი ჟურნალი

მთავარი რედაქტორი

სანდრო ბერიძე

სარედაქციო კოლეგია

როინ აბუსელიძე
გენრი დოლიძე
დავით თედორაძე
ჯემალ სურმანიძე
ბელა ქებურია
თინა შიოშვილი
ცისანა ანთაძე
იაშა თანდილავა
ლალი კონცელიძე
გურამ ფუტკარაძე
ვახტანგ ღლონტი
მალხაზ ჩოხარაძე

ტექნიკური რედაქტორი და
კომპიუტერული უზრუნველყოფა

მალხაზ ფაღავა

კორექტორი

მაია ჯაფარიძე

სტილისტი

გურანდა ნიჟარაძე

დაარსებულია 1958 წელს
გამოდის ორ თვეში ერთხელ

ISSN 0134-3459

© „ჭოროხი“, 2025

რედაქციის მისამართი:
6010, ბათუმი, მელიქიშვილის ქ. №21
ტელ.: 599 91-84-80. E-mail: chorokhi.mag@gmail.com

გამომცემელი
ა(ა)იპ აჭარის მწერალთა სახლი

ჟურნალი დაიბეჭდა
სტამბა „კოლორ პრესში“.
ქ. თბილისი, ა. ენუქიძის ქ., 5

ავტორთა საყურადღებოდ:
რედაქციაში ელექტრონული სახით შემოსული ნაწარმოებები აწყობილი უნდა იყოს
შრიფტით Sylfaen, 12 pt. (კოდირება: უნიკოდი (UTF-8);
რედაქციაში შემოსული მასალა ავტორს არ უბრუნდება.

შინაარსი

ᲮᲝᲕᲜᲘᲡ, ᲮᲠᲝᲜᲘᲡ

ᲑᲐᲦᲐᲗᲔᲠ ᲐᲠᲐᲑᲣᲚᲘ – ლექსები 3
ᲨᲐᲚᲕᲐ ᲙᲕᲐᲡᲮᲕᲐᲫᲔ – ცხოვრება, როგორც ასეთი... (მოთხრობა) 11
ᲜᲐᲢᲐᲚᲘᲐ ᲑᲔᲘᲢᲠᲘᲨᲕᲘᲚᲘ – ლექსები 44
ᲗᲐᲛᲗᲐ ᲛᲣᲛᲚᲐᲫᲔ – ლექსები 49
ᲓᲐᲕᲘᲗ ᲩᲝᲛᲐᲮᲘᲫᲔ – მოთხრობები 55
ᲜᲐᲜᲐ ᲜᲐᲜᲝ ᲨᲐᲘᲜᲘᲫᲔ – ჩანახატები 67
ᲡᲐᲑᲐ ᲥᲕᲐᲗᲐᲫᲔ – მინიატიურები 72
ᲛᲐᲒᲓᲐ ᲩᲮᲐᲠᲢᲘᲨᲕᲘᲚᲘ – ლექსები 80
ᲘᲖᲐ ᲝᲡᲔᲤᲐᲘᲨᲕᲘᲚᲘ – მოთხრობები 87
ᲛᲐᲗᲔ ᲚᲝᲛᲗᲐᲫᲔ – მოთხრობები 90
ᲡᲝᲤᲘᲐ ᲥᲣᲠᲐᲡᲑᲔᲓᲘᲐᲜᲘ – ლექსები 95
ᲨᲝᲗᲐ ᲐᲜᲐᲜᲘᲫᲔ – ლექსები 97
ᲛᲐᲜᲐᲜᲐ ᲬᲣᲚᲣᲙᲘᲫᲔ – ლექსები 99

ᲮᲠᲘᲢᲘᲙᲘᲡ, ᲡᲣᲯᲚᲘᲡᲘᲚᲘᲢᲘᲡ

ᲨᲝᲠᲔᲜᲐ ᲛᲐᲮᲐᲭᲐᲫᲔ – მეტამოდერნისტული ეპოქის პოეტური პროფილი 101
ᲛᲐᲘᲐ ᲯᲐᲚᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ – ბავშვური თავისუფლების გემო 114
ელა გოჩიაშვილის პოეზიის ფერადები 117



გალათერ
არაგული

ქებათაქება სვანეთს

ლექსი ეძღვნება სვანებს და
ყველას, ვისაც სვანეთი უყვარს...

...უფლისგან შექმნილს მაგონებს შედევრს,
როცა ვუყურებ სვანეთის ქედებს...

გაშლილ სივრცეებს სამოთხედ, ზღაპრად, –
უშბას და შხარას, ლასტილს და ლაბრაყს...

ძირს მოთქრიალეს ენგურს, ცხენისწყალს,
თავზე რომ შუქად ადგას ვრცელი ცა...

ჭალებს, უღრანებს, ხეობებს ქვიანს,
ყველაფერს, რასაც სვანეთი ჰქვია...

მაღალ მწვერვალებს, – საბრძანისს დალის, –
ლამაზ ლეგენდას ჯიხვთა მწყემს-ქალის...

მესტიას, უშგულს, ლენტეხს და ცანას,
სვანურ „ლილეოს“ და სვანურ „ნანას“...

ტყეებს, ტყის პირებს, კორდებს და ველებს,
ხოფურს და ხევებს შეფენილ ხელედს...

მუშკერს და მაზერს, ნაცულს და სასაშს, –
თვალსაწიერზე ვუყურებთ რასაც...

ხალდეს და იფრარს, ბაბილს და წანაშს,
წინაპრებს, დღეს რომ საფლავში წვანან...

უკვე დარწეულს და, არა ნაკლებს,
სამომავლოდ კვლავ დასარწევ აკვნებს!..

ველ-მინდვრებს, ქედებს, ნამიანს, ცვრიანს,
ყველაფერს, რასაც სვანეთი ჰქვია...

ჰადიშს და ზესხოს, ზეგანს, გულიდას,
„მიშგულადეღ სი“ – ნათქვამს გულიდან...

მე ვლოცავ ბეჩოს, ეცერს, ჟახუნდერს,
ეს სილამაზე რომ არ გახუნდეს...

შენ შეეწიე, უფალო, გვედრებ,
ყორულდაშს, ცხუმარს, ლატალს და ყვედრეშს,

აცსა და იელს, ბავარს, ლესემას
და ქარს, ამ მთებს რომ ეალერსება...

კალას და იფარს, ყარიშს და ხაჩეშს
და ჭიუხებში ჯიხვებს და არჩვებს...

ვლოცავ ლექსურას, შკედს და ჭველიერს,
მულახს და მუჟალს, ასე მშვენიერს...

ჟამუშს და ჟაბეშს, საყდარს და თეკალს
და ტაძრებიდან ზარების რეკვას...

ვლოცავ, როგორც განძს და რელიქვიას,
ყველაფერს, რასაც სვანეთი ჰქვია...
. . .
უფლისგან შექმნილს მაგონებს შედევრს,
როცა ვუყურებ სვანეთის ქედებს...

სოფლის მონატრება

...აქ არვინ მოვა,
ჩემ სევდის სახლს არვინ იხილავს,
ზამთრის ნაღველი იღვენთება თოვლის ჭირხლიდან...

გადაცრეცილან ველ-მინდვრები,
მოსილან სევდით,
ნისლის ბურუსით იბურება ბოროლას ქედიც...

აღარ მოისმის ჟრიამული ახალუხლების,
ყვავის ფოთლებით გაფოთლილან
ახლა მუხები...

მაღლა მუხათან, სად საფლავებს
დუმილი ფარავს,
მივებარები ერთხელ მიწას, თუ მიმიბარა...

იქ მივალ ბოლოს, სად დაიწყო
ბავშვობა ჩემი,
კვლავ ბავშვობაში ჩავსახლდები და იქ დავრჩები...

მე იქ ვიცხოვრებ უდარდელი და უზრუნველი,
ფოთოლ-ყვავილთა დამებნევა თავზე სურნელი...

ისევ მოვისმენ ქართა მოთქმას და ქართა ხვივილს,
სულს გამინათებს ვარსკვლავების ციური სხივი...

თავს შევაფარებ ზეცის დარბაზს დღითა და ღამით,
რომ მზის და მთვარის ნაბიჯების ჩამესმას ჩქამი...

ისევ მოვისმენ ხეთა შრიალს, სუნთქვას მოლისას,
ოდეს ბალახი სოფლის მინდვრებს მწვანედ მონისლავს...

ჯერ კი სოფელში მიმსვლელ-მომსვლელს ვერვინ იხილავს,
ზამთრის ნაღველი იღვენთება თოვლის ჭირხლიდან...

შეხვედრა ლომთან

სალამი, ლომო, ჩვენ შევხვდით კიდევ,
მდუმარედ წევხარ გალიის შიგნით,
დაღლილი თავი თათებზე გიდევს,
დამძიმებული დარდით და ფიქრით...
სევდით იხსენებ დროს უნეტარესს,
ტყეებს მოხატულს ფერად ღრუბლებით,
ახლა კი ჩუმად ვუმზერთ ერთმანეთს,
ერთმანეთს ჩუმად ვესაუბრებით...
ჩვენ ერთნაირი გვერგო სვე-ბედი,
მეც მიმაჯაჭვეს დროის გალიას
და ამ დღეების გისოსებიდან
გაქცევას ვცდილობ დიდი ხანია...
შენც შორ სივრცეებს იმედით ზვერავ,
ზოგჯერ მოგივლის ბრძოლის სურვილი,
უდაბნოსავით მცხუნვარე მზერას
კედლებს მიაბჯენ ორლესულივით...
სიბრაზით ბრდღვინავ ფაფარაშლილი
და ელვასავით უვლი გისოსებს,
მაინც არ არის შენი საშველი,
მაინც არავინ არ შეგიცოდებს...
ბრუნდები უკან ლომის აჩრდილი,
ვინ განუგეშებს ბედის მომჩივანს?!
განწირული და მწარედ დასჯილი
ისევ კუთხეში წვები მორჩილად...
სალამი, ლომო, ჩვენ შევხვდით კიდევ,
მე – გარეთ, შენ კი – გალიის შიგნით,
დაღლილი თავი თათებზე გიდევს,
დამძიმებული დარდით და ფიქრით...

ზაფხული

(ეტიუდი)

მზე ისევ მოდგა თბილისის კართან,
მიჰყვება ცის თაღს და მაღლა იწევს
და შადრევანი, როგორც წყლის ფარდა,
თეთრად ჰკიდია დასიცხულ სივრცეს...
და გათანგული ზაფხულის ბუღით
მთელი ქალაქი დაეძებს გრილოს,

ჩრდილით დახუნძლულ სკვერებს და ბაღებს
რომ შეეფაროს, დილიდან ცდილობს...
ხოლო ბაღები, მკერდგაღეღილი,
დგანან და ნიავს უშვერენ გულ-მკერდს
და საკუთარი გრილო თუ ჩრდილი
თვითონ მათ ხეებს არ ჰყოფნის უკვე...
მზე ისევ მოდგა თბილისის კართან,
მიჰყვება ცის თაღს და მაღლა იწევს
და შადრევანი, როგორც წყლის ფარდა,
თეთრად ჰკიდია დასიცხულ სივრცეს...

დარიალის ხეობაში

(ეტიუდი)

ქარს ნისლის მკრთალი სამოსი ეცვა,
(სციოდა ქარს და ჰქროდა წუხელის)
და მთვარის ნალით დაჭედილ ზეცას
ნამიან მთებზე ეწყო მუხლები...
ჩვენ კი ვიდექით სახლის ნიჟარით
ღამის უკუნში და სადღაც გარეთ,
თავის დარდების გამხელის ნიშნად,
ქარში ხეები გვხმობდნენ მწუხარედ...
და წაქცეული ხეობის ფსკერზე
ესვენა თერგის თეთრი ცხედარი, –
ოდესღაც მქროლი შორეულ გზებზე,
ოდესღაც კვიცი გაუხედნავი...
ქარს ნისლის მკრთალი სამოსი ეცვა,
(სციოდა ქარს და ჰქროდა წუხელის)
და მთვარის ნალით დაჭედილ ზეცას
ნამიან მთებზე ეწყო მუხლები...

იესოს დაბრუნება

ზეცა გრგვინავს და მიწა ზანზარებს,
ელვით ეშვება მთებზე ავდარი;
მიდის იესო ისევ ნაზარეთს,
ჩვენთვის ჯვარცმული და კვლავ აღმდგარი...
დაბზარულია სივრცის კედლები
და სივრცის იქით მოჩანს სხვა ხედი,
შორს კი ნისლებში ელავს ბეთლემი,
როგორც სამყაროს გადასახედი...

გადაჰკრავს რიჟრაჟს ფერი იოდის,
ღამე დაიმსხვრა და დაიბზარა
და თვით იუდა ისკარიოტელს
თავის ღალატი თვითონვე ზარავს...
მიდის იესო და მრევლი მისდევს,
ციდან მოისმის გუგუნი ზარის, –
ისევ ბრუნდება ნატანჯი ქრისტე,
ო, გიხაროდენ, იერუსალიმ...
ზეცა გრგვინავს და მიწა ზანზარებს,
ელვით ეშვება მთებზე ავდარი;
მიდის იესო ისევ ნაზარეთს,
ჩვენთვის ჯვარცმული და კვლავ აღმდგარი...

სტამბულში

გამოჩნდა ბოსფორი და ვიწრო ყურეში
შევდივართ,
ჩვენს ზემოთ ხიდია გაბმული,
ფერდობი გადაშლილი მოჩანს ყურანივით,
ირგვლივ ილანდება ბებერი ისტამბული...
შენ იყავ პირველი მტერი მოსისხარი,
სხვაც ვინმე ამ ქვეყნად ყოფილა თუკი,
ყაყანებს, ფუთფუთებს ქუჩებში ისლამი,
– სალამ ალეიქუმ! – ხელს მართმევს თურქი...
ქუჩა ჰგავს ამღვრეულ და ფერად მდინარეს,
ჩადრიდან გოგო მიმზერს მომღიმარი,
სად ზეცა უკავია უთვალავ მინარეთს
და კრიალოსანით ერთობა იმამი...
მიპატიებია სისხლი და ტკივილი,
ვივიწყებ წარსულში რაც იყო, რაც არი,
წინ მხვდება მოლების გაბმული კივილი
და თეთრი აია სოფიას ტაძარი...
ტრიალებს ბუღი სულის შემხუთავი,
მზის ცხელი დისკო ჰკიდია მაღლა,
შუადღის ლოცვანს აღავლენს სულთანი
და ხელაპყრობილი უჩოქებს მაჰმადს...
მთების გადაღმიდან მოცურავს ღრუბელი
და ქარი ქუჩის მტვერს სახეში მაშლის;
ისტამბულ, მშვიდობით!
სისხლის აუღებლად,
მარჯვენის მოუჭრელად ვბრუნდები სახლში...

ცხოვრება

არეულია ნათელში ბინდი,
ალერსში – შხამი, შხამში – ცდუნება,
დრო კი თავის გზით მიდის და მიდის,
საკუთარ თავში დასაბრუნებლად...
და სიყვარული, რომ გვწამდა გუშინ,
ჩვენგანვე მოკვდა და გაიაფდა,
შემოგვპარვია მალულად სულში
თვითონ იუდა და კაიაფა...
ლამის მოყვარე გავაკრათ ჯვარზე
ჩვენი გესლის და შურის ლურსმნებით,
დაუსრულებლად გრძელდება ასე,
ბრუნავს და ბრუნავს კვლავ კარუსელი...
არეულია ნათელში ბინდი,
ალერსში – შხამი, შხამში – ცდუნება,
დრო კი თავის გზით მიდის და მიდის,
საკუთარ თავში დასაბრუნებლად...

ფიქრები კრწანისის ველზე

ისევ მიღვიძებს ტკივილი ძველი
მოუშუშებელ დარდს და იარებს,
ყაყაჩოებად სისხლს აფრქვევს ველი
და კოცონივით მზეზე ბრიალებს...
ხმალთა კვესებით, ყიჟინით, გრგვინვით,
შეურიგებელ გუგუნით, ზარით,
ჩემ წინ დაეცა სამასი გმირი,
„მე ერთადერთი გადავრჩი მგზავრი...“
კიოდა ქარი, ტიროდა ქარი
და ცახცახებდა დაჭრილი არე,
ო, ვერ შევძელი, ვერ მივუსწარი,
ვერ ვუერთგულე, ვერ მივეხმარე...
თავს მადგას მათი მაღალი ჩრდილი
და მავედრებენ მომავლის ღმერთებს;
მე – შერცხვენილი და თავდახრილი,
გადარჩენილი სამასმეერთე...
მამულო ჩემო, არასდროს ვეძებ,
ბედმა ცხოვრება გამიიოლოს,
მე მათ მაგივრად უნდა დავეცე,
მე მათ მაგივრად უნდა ვიომო...

ისევ მიღვიძებს ტკივილი ძველი
მოუშუშებელ დარდს და იარებს;
ყაყაჩოებად სისხლს აფრქვევს ველი
და კოცონივით მზეზე ბრიალებს...

სამასი არაგველი

სამას ცხენს სამასი მხედარი მოაგელვებს,
ფლოქვების თქარუნზე კრთებიან მთებიც,
ბარისკენ ეშვება სამასი არაგველი,
ფშავ-ხევსურეთის ჯვარ-ხატის ყმები...
ქარქაშში წკრიალებს სამასი მახვილი,
ერთმანეთს ჟღარუნით ამხნევებს ფარ-ხმალი
და მთვარე, სამასი ვაჟკაცის მნახველი,
მწვერვალთა გადაღმა ეშვება ფართხალით...
და მზედ ანთებული სამასი გული
ერთად ძგერს მტრის ხილვის და ძლევის ფიქრით,
სამასი რჩეული, სამასი ლომგული
კრწანისის ველისკენ ყიჟინით მიქრის...
რამდენი ხირჩლა და რამდენი ბეწინა
და კიდევ ვინ მოთვლის სხვა გმირი რამდენი,
სამასი გრგვინვა და სამასი თავგანწირვა,
მამულისთვის ანთებული სამასი სანთელი...
სამასი რისხვა და სიკვდილი ურჯულოსთვის,
დღეს ციდან მოგუგუნე სამასი ზარი,
ქვითკირით ნაშენები სამასი ციხე-ბურჯი,
ხსოვნაში ჩაუქრობ სინათლედ მდგარი...
სამას ცხენს სამასი მხედარი მოაგელვებს,
ფლოქვების თქარუნზე კრთებიან მთებიც,
ბარისკენ ეშვება სამასი არაგველი,
არაგვის ხეობის ჯვარ-ხატის ყმები...



შაღვა კვასხვაძე

ცხოვრება, როგორც ასეთი...

ისე ვარ გაგულისებული და დაბოღმილი, დანამ რომც მოინდომოს, პირს ვერ გამიღებს. რას არ მოესწრები და ნახავ თურმე ორ პარასკევამდე ძლივს გაწელილ წუთისოფელში? გულის ნადების გადმოსაცემად საჭირო სიტყვების თავმოყრაც მიჭირს, ემოციებს ვერ ვუმკლავდები, ჯავრი მკლავს და ბოღმა სადაცაა წირვას გამომიღებს. ასეთი რამ გაგონილა? ეს რა საქციელია? მხეცი და ნადირი არ იკადრებს მგონი ამას, რაც ნახევარი საათის წინ ერთმა წელში საეჭვოდ მოხრილმა ახმახმა, თმა, და ჩემი ღრმა რწმენით, ჭკუაშეთხელებულმა, სპორტულად და მსუბუქად შემოსილმა, „რაგინდარა“ შესახედაობის, ახალგაზრდულ ასაკს არგადაშორებულმა, გვერდით ჩამვლელმა რომ იკადრა. მოგვიახლოვდა თუ არა, მოძრაობა შეანელა, თანამგზავრს ოდნავ ჩამორჩა, ღრმა ნაფასი დაარტყა, ორი თითის მსუბუქი მოძრაობით პირიდან სიგარეტის ნარჩენი გამოიღო და ნამწვი პირდაპირ ჩემს გვერდით ურნაში ჩააგდო. არ მითხრათ ახლა, აქ რა დაინახე გასაკვირი და გასაბრაზებელიო, თორემ გადავირევი! მაგას კიდევ ტროტუარზე დაეგდო მერჩივნა და ფეხით გაესრისა, ჩაექრო და გზა უკანმოუხედავად გაეგრძელებინა, როგორც ამას სხვები აკეთებენ ხშირად. მთლად მოსაწონი საქციელი ესეც არაა, ვხდები. დიდი-დიდი სანდასუფთავების ქალების რისხვა დაემსახურებინა, მაგრამ ვფიქრობ, ისინი ამას შეჩვეულები არიან და არ მგონია, გაკვირვებოდათ. რაც ამ ახმახმა ჩაიდინა, იმის გამართლება შეუძლებელად მიმაჩნია. თბილ ამინდში ნამწვი უმალ გაღვივდა, რამდენიმე წუთში ააღდა და მწვანე ფერის პლასტმასის ურნამ საშინელი სუნი და კვამლი გაუშვა, გალღობა დაიწყო. ვუყურებ თანამოძმის მწუხარებას და ვიტანჯები. მუგუზლის მეზობელს ვერაფრით ვშველი, თანაგრძნობა კი ამ დროს ვერაფერი შეღავათია. იწვის ჩემი მწვანეკაბიანი, ხალისიანი, თბილი და სიტყვამოვლილი მეზობელი და მასთან ერთად იფერფლება ჩვენი გვერდიგვერდ ყოფნის ბოლო წუთები. ამას მეც ვგრძნობ და დარწმუნებული ვარ, ისიც. თუმცა სახეზე რა გინდა შეატყო? სახეს ვერც ვხედავ, ბლანტი და მუქი კვამლი მატულობს და ხედვის არეალს მიბინდავს. აწი მოგონებები თუ გამახსენებს მის თავს და იმ ისტორიებს, რაც ერთად გადაგვხდა. ეჰ, რა ძნელია ახლობლის დაკარგვის ყურება! უფრო აუტანელი ის ყოფილა, როცა ამ დროს მხოლოდ სტატიკის მდგომარეობაში ხარ. უბრალოდ, ფაქტის ბრმა, უმოქმედო თვითმხილველი და ვერაფერს ცვლი, დგახარ ხეიბარივით და შენს თვალწინ მიმდინარე პროცესს ნირწამხდარი უყურებ. რა სამწუხაროა, რა სამწუხარო. – გაივლებ გულში და საკუთარ უუნარობას და სიმარტოვეს იგრძნობ. საშინელი განცდაა, საშინელი, დამთრგუნველი, გამანადგურებელი და ყოველგვარი სასიცოცხლო რესურსის შემმუსვრელი. რა გაეწყობა, არ გინდა, მაგრამ უნდა შეეგუო, უნდა გაითავ-

ისო ის რეალობა, რომელშიც აღმოჩნდი. მიუხედავად იმისა, შეგიძლია თუ არა მისი მიღება. ისე, სხვა რა გზაა? სადაა გამოსავალი? ვეძებ, მაგრამ ხელსაჭიდი ვერაფერი მიპოვნია ჯერ. ჯავრი მკლავს, მტანჯავს და მინელებს. ვატყობ, ადრე თუ გვიან ეს ტკივილგაბნეული ბოღმა ბოლოს მომიღებს. არა უშავს, თავს ვიმშვიდებ, მე არც პირველი ვარ და არც ბოლო, ცხოვრება უჩემოდაც გააგრძელებს სრბოლას, ამის დიდი იმედი მაქვს, ჩანაცვლების პრინციპი ხომ უკვდავია?!

იტალიური ეზოდან საზაფხულო ჩითის ხალათმოსხმული, თავზე თავშალწანასკვნილი, სახენაიარევი და შუბლზე თმაჩამოვარდნილი შუახნის ქალი მომიახლოვდა და ორი დაძეძგილი ცელოფანი ჩემს ურნაში ჩააგდო. შემდეგ გვერდითაც გაიხედა და რომ არ გაკვირვებია, ისე ჩაილაპარაკა ხმადაბლა.

– ვინ იყოჩაღა ნეტა? – ხელი ხალათის ზედა ფოლაქთან მიიტანა და მზერა მეორე ურნისკენ გააპარა.

მწვანე ურნა ბოლავდა.

– გაუხმა ხელები ამის ჩამდენს. – შეიკურთხა და თან ცხვირით ჰაერი შეისრუტა. – ფუ, რა სუნი გაუდის, მოიწამლება კაცი! – ჩაქრობის სურვილიც არ გამოუხატავს, ისე მიბრუნდა და ეზოსკენ წაფლატუნდა.

გულქვა... ასეთებს რა გამოლევს ქვეყანაზე.

მართლა გავბრაზდი. რა მერე? დავრჩი მარტოკა და ეული ჩემს სიბრაზესთან.

გვერდით ურნას სასიცოცხლო ნიშანწყალი თანდათან ეკარგება. იწვის ნელი მხრჩოლავი ცეცხლით და ჩუმად ოხრავს, თუმცა მისი ტკივილი და კვნესის ხმა დედამიწის ზურგზე გარკვევით მარტო მე მესმის და რომ არ ავტირდე, თვალს ვარიდებ. თუ მშველელი დროულად არ გამოჩნდა, მეც იგივე ხვედრი მელის. ამას ვგრძნობ და ბედთან შეგუებას წინასწარ ვცდილობ.

შუადღეს ბევრი სტუმარი ისედაც იშვიათად გვყავს.

ასეა ახლაც.

აგერ, მორიგი გამვლელები გამოჩნდნენ. ერთი ძაღლს მოასეირნებს, მეორე – ხუთიოდე წლის ბავშვს. აკვამლებული ურნა დაინახეს და ფეხი აითრიეს.

– არაფერი გვეშველება. – ხმამაღლა იტყვის ძაღლის პატრონი და დეფორმირებადაწყებულ ურნას გახედავს, ხელჩანთიდან მუყაოს კოლოფს ამოიღებს, გახსნის, ჩახედავს, დარწმუნდება, რომ ცარიელია და ცეცხლწაკიდებულ ურნაში მოისვრის. – სულ მავიწყდება მოშორება.

– ფუტი რატომ ასდის? – დაინტერესდება ბავშვი.

– ცუდი ბიძიების ნახელავია შვილო. – აუხსნა დედამ.

– სახანძროში დაგვერეკა, ცეცხლი მეორესაც არ გადაედოს? – შეწუხდა ძაღლის პატრონი და ჯიბიდან მობილური ტელეფონი ამოიღო.

– მოგცლია. – უკმაყოფილოდ გააქნია თავი ბავშვის თანმხლებმა პირმა და ნაბიჯს აუჩქარა.

თანამგზავრიც მიჰყვა.

ქუჩაში მორიგი გამვლელი გამოჩნდა. ხუთსართულიანი სახლიდან გამოსულმა შუახნის მამაკაცმა, მუდამ ელეგანტურად ჩაცმულმა და ღრუბლიან ამინდშიც მზის სათვალეებით მოსიარულე ერმილე დარჩიამ რაც დაინახა, თავდაპირველად ვერ დაიჯერა, სათვალე მოიხსნა, ახლოს მოვიდა და დაგვაცქერდა.

– გადაგვარდნენ სულ, ამან რაღა დაუშავა, ერთი მაცოდინა? – ხრინწიანი ხმით სრული გულწრფელობით, სიბრაზით და სინანულით თქვა ერმილემ.

– ვის ლანძღავ ერმილე ბიძია? – დაინტერესდა სასურსათო მაღაზიიდან გამოსული ალისა თუთბერიძე, რომელსაც ხელში მომცრო ზომის ქაღალდის პარკში ჩაწყობილი ნავაჭრი ეჭირა.

– როგორ მოგწონს ახლა ეს? – კითხვას კითხვა შეაგება ერმილემ.

– უი, არც დამინახავს, არა და ახლახანს ჩავუარე გვერდით... – ტუჩებთან ბეჭდებით დახუნძლული საჩვენებელი თითი მიიტანა ალისამ და ურნას მიაშტერდა. – რამდენი მავნეა ქვეყანაზე.

– ეგა თქვი. – დაეთანხმა ერმილე.

მათ რიცხვს ორი-სამი სეირის მაყურებელი ისე შემოემატა, ვერც გაიგეს.

– ამის ჩამდენი ფეხქვეშ უნდა გაიგდო და ასწავლო ჭკუა. – მოზღვავებული აგრესია ვერ დამალა ეთერ ნაგერვაძემ, ქუჩის მარჯვენა მხარეს, სამსართულიან, კერძო საცხოვრებელ სახლში მომუშავე დაქირავებულმა ძიძამ. – სად გადავყარო ახლა ეს ნაგავი? სახლში ხომ არ შევაბრუნებ? – გაჯავრებული ხმით იკითხა.

– მეორეში ჩაყარე, ჯერ სანახევროდაა ცარიელი. – დააკვალიანეს.

– ფუი, რა სუნია. – შეწუხდა კიდეც.

– აბა, აბა... – ერთხმად დაეთანხმნენ.

– საჩქაროდ უნდა დავკეტო ფანჯრები, კვამლი ოთახებში არ შევიდეს. – სიტყვა დამთავრებული არ ჰქონდა, ხელი გაითავისუფლა და აჩქარებული ნაბიჯებით გაგვშორდა.

– ნეტავ რამდენ საათში დაიწვება მთლიანად? – დაინტერესდა ტაქსის მძღოლი მათე ყალიჩავა. მან თვალით შესაშური ოპერატიულობით გამოზომა მანძილი ალმოდებულ ურნასა და საკუთარ მსუბუქ ავტომობილს შორის და დამშვიდდა. – ადრე ლითონის ფურცლებიდან ამზადებდნენ, ის გაცილებით ჯობდა, იმას ვერ დაწვავდი, ჯართში თუ ჩააბარებდი მხოლოდ...

– პლასტმასის ურნები ისეთი მასალითაა დამზადებული, არ უნდა დაიწვას, შეიძლება გალღვეს და დადნეს მხოლოდ. – სოსო ბოლქვაძემ, საჯარო სკოლის პენსიონერმა ფიზიკის მასწავლებელმა, როგორც ყოველთვის, ახლაც ყველაფერი იცის და თავისი განსწავლულობის წარმოჩენით ისეთი კმაყოფილია, რომ სიამაყის განცდა ეუფლება.

– რომ იწვის, აბა, ეს რაა? – ჩაეძია ფეფო ვარდოსანიძე და საზეიმო განწყობა ოდნავ გააუფერმკრთალა სოსო მასწავლებელს.

– კულტურულად რომ ავხსნათ, საყოფაცხოვრებო ნარჩენები იწვის, ჩემო ფეფო, ჩამოვთვალო, ამ შემთხვევაში რა და რა? – სხვათა შორის იკითხა სოსომ და ალმოდებულ ურნაში მონდომებით ჩაიხედა.

– მთლად ასე დეტალურადაც კი არ მაინტერესებს, – თავი შორს დაიჭირა ფეფომ, – ისე ვთქვი და რეიზა არ გამიხმება აი დაგრძელებული ენა?

– თქვენ ენას შაქარი ფეფო ბიცოლა და ამ ურნამ უკვე წაიღო ჩვენი ჭირი! – წყალი რომ არ გაუვა, ისე დაასკვნა საბა ანანიძემ, ადგილობრივი სახელმწიფო უნივერსიტეტის საშუალო აკადემიური მოსწრების სტუდენტმა. თავი იმაზე მეტად ჭკვიანი რომ ჰგონია, ვიდრე არის და ეს ამბავი, არა მგონია, ოდნავად მაინც აწუხებდეს.

– ეჭვი მეპარება. – ეს გვრიტუნა ზოიძეა, სიტყვაძუნწი, დაკვირვებული, ხელახლა გასათხოვი, ერთ ქალს რომ სავსებით ყოფნის, ისეთი შესახედაობის, მომღიმარი, კაცების მიმართ ნდობადაკარგული და სერიოზული ერთდროულად. თან ამას ასე ოსტატურად როგორ ახერხებს, სხვებს კი არა, მასაც უკვირს.

– მართლა? – ურნა შეებრალა და ლამის ცრემლი წამოუვიდა ფეფოს. – დიდი ხანი არაა, რაც დადგეს.

– ჰოო...

– გამოცვლიან, ახალს მოიტანენ, მაგი გაუჭირდებათ? – უმალ მოინახა გამოსავალი.

რა იოლია სათქმელად გამოცვლიან, ახალს მოიტანენ, შეავსებენ... მე ვის დავკარგივარ, ჩემი წუხილი ვის ესმის, ვის ვაინტერესებ? შევეგუე, შევუამხანაგდი, შევეხმატკბილე, შევესისხლხორცე და ბაც... ერთ დღესაც აღარა მყავს გვერდით.

ეჰ, რა იოლი სათქმელია, გამოცვლიან...

ენა გაისველეს და სათითაოდ თავთავიანთ გზას გაუდგნენ.

ისევ მარტო დავრჩი განწირულ და ბედშეგუებულ კოლეგასთან. ბოლომდე დავრჩი. მიტოვებით მან მიმატოვა მოგვიანებით. უფრო ზუსტად რომ გითხრად, რაც მისგან დარჩა, იმან მიმატოვა და თან წაიღო ენით უთქმელი ჩემი წუხილი. მერიის მუნიციპალიტეტის ცხელ ხაზზე დაერეკა ვიღაც ღვთისნიერს და საღამოსპირს მოვიდნენ პოლიციის, სახანძრო და სანდასუფთავების სამსახურების წარმომადგენლები. თავთავიანთი მანქანებიდან გადმოვიდნენ თუ არა, არსებული ვითარების შეფასებას შეუდგნენ, დაყვლეპილი და ქუთუთოებით ძლივს დაჭერილი თვალებით გვათვალიერეს, ივიშვიშეს, იდავიდა-

რაბეს, ილანძღეს, იგინეს, ამასობაში მუშებმა რაც კვამლავდა, ყველაფერი ჩააქრეს. თუმცა ჩასაქრობი რა დახვდათ? აბოლებულ და მინავლულ საყოფაცხოვრებო ნარჩენების ნარჩენებს წყალი გულიანად და გამეტებით მიასხეს, სამსახურეობრივი მოვალეობა დაგვიანებით, მაგრამ პედანტური და შესაშური პასუხისმგებლობით, პირნათლად მოიხადეს, თაბახის ფურცელზე ჩანაწერები გააკეთეს, შემდეგ ხელი სათითაოდ მოაწერეს და დამშვიდნენ. კიდევ კარგი, მეორე გადაგვირჩაო, ჩემზე მიუთეს მოგვიანებით და ისეთი თვალებით გადმომხედეს, ვფიქრობ, მომხდარში ჩემი დადანაშაულების სურვილი არ უნდა დარჩენოდათ.

– საწყობში რეზერვი დაგვრჩა თუ ყველა გაიცა? – იკითხა ხუჭუჭთმიანმა სანდასუფთავების სამსახურის ჰალსტუხიანმა წარმომადგენელმა და ჰონდას მარკის ავტომობილის წინა კარი გამოაღო. – დროზე თუ არ ჩავანაცვლეთ, საჩივრებით აგვიკლებენ, ამ უბანში მცხოვრებლებს კარგად ვიცნობ.

– მოვიკითხავ, მაგრამ ეჭვი მეპარება მარაგი გვქონდეს. – თავი უნდოდ გადააქნია თანამოსაუბრემ და კეხიანი და ოდნავ გამრუდებული ცხვირი ენერგიულად მოიფხანა.

– რაღაც უნდა ვიღონოთ, მაგრამ როგორ, არ ვიცი.

– ახალ შევსებას როდის ველით?

– წლის მეორე ნახევარში, შესყიდვაზე ტენდერი უკვე გამოცხადდა. გამარჯვებული წლის ბოლოს გამოვლინდება.

– ჰოო... – ჩაილაპარაკა ჰონდას მგზავრმა და მანქანაში ჩაჯდა.

– ღმერთმა გაძლება მოგვცეს... – უკმაყოფილება ვერ დამალა ფხანამოთავებულმა კეხიანცხვირიანმა და ხუჭუჭთმიანს მიუჯდა გვერდით.

– ამის ჩამდენი აუცილებლად უნდა დავადგინო! – მტკიცედ თქვა საქაღალდედან თავაწეულმა პოლიციელმა, რომელსაც ოფიცრის ახალთახალი ფორმა და საქმიანი კაცის მიხვრა-მოხვრა ისე უხდებოდა, როგორც გასათხოვრად შეწკეპილ პატარძალს მაღაზიიდან შესარჩევად გამოგზავნილი ერთი ზომით დიდი საქორწილო კაბა.

– თქვენი იმედი ნუ მოგვიშალოს ღმერთმა! – დალოცა სახლისკენ მიმავალმა ერმილე დარჩიამ პოლიციელი. – მართლა დაიჭერთ? – დაეჭვებულმა იკითხა.

– ცდას არ დავაკლებთ.

– მონდომება კარგია... – შეაქო ერმილემ თანამოსაუბრე და ფეხი აითრია.

– თქვენ ამ უბანში ხომ არ ცხოვრობთ? – დაინტერესდა მეორე პოლიციელი, რომელსაც ეტყობა უქმად ყოფნა მოწყინდა და გამოცოცხლდა.

– დიახ, ბატონო, აი, ამ იტალიურ ეზოში. – თითი გაიშვირა ერმილემ.

– შეიძლება რამდენიმე კითხვა დაგისვათ?

– რა თქმა უნდა, თუ რამეში წაგადგებით, აქ არ ვარ?

– ძალიან კარგი, იცით რა მაინტერესებს...

ამასობაში მუშებმა დამწვარ-გავერანებულ და შუაში გადამტყდარ ურნის ნარჩენებს მოუყარეს თავი, მსუბუქ სატვირთო მანქანაზე შეყარეს, შემდეგ ძარაზე შესაშური სიმკვირცხლით აძვრნენ და სახანძროს სპეცტექნიკასთან და ჰონდასთან ერთად გაუჩინარდნენ.

პოლიციელები დარჩნენ.

შევატყვე, პოლიციელებთან გულიანი გამომშვიდობება ვერ მოხერხდა. უბრალოდ, ერთმანეთს ხელი აუწიეს და ისე დაშორდნენ. შეიძლება ვცდები, მაგრამ ვფიქრობ, ამათ იმათთვის ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობაში ხელის შეშლის მოერიდათ...

სად წაიყვანეს ჩემი მუგუზლის მეზობელი, არ ვიცი. მე კი მაინტერესებდა, მაგრამ მე არ ვაინტერესებდი არავის. ასე დავკარგე თვეების განმავლობაში სათუთად ნაფერები, ჩემი გაუმხელელი გრძნობების ადრესატი, გულის მესაიდუმლე და ალერსიანი თანამოსაუბრე.

ვისაც ასეთი ახლობელი დაგიკარგავთ, ისინი გამიგებენ, რა დღეში ვარ ახლა. ვისაც არა, ღმერთმა ასი წელი მსგავსი ტკივილი აგარიდოთ. ჩემგან, როგორც დალოცვა, ისე მიიღეთ ეს სიტყვები, კაცურად მენდეთ, რასაც გეუბნებით, გულით ვამბობ და არაფერს ვამატებ...

ექვსი თვით ადრე

ღრუბლიანი დღე იდგა. სინოპტიკოსების ცნობით, შუადღეზე მზეს უნდა გამოეჭყიტა, მაგრამ მათი პროგნოზის სანდოობას მაშინ შეუდგა წყალი, როცა 15 საათისათვის ცა მოიქუფრა და საწვიმრად მოემზადა. აპრილი იწურება და თბილი ამინდების მოლოდინი ქალაქში ძალუმად შეიგრძნობა. ჩემთვის სულერთია, თქეში წამოვა თუ თაკარა მზე დააცხუნებს, მე იმათ რიცხვს მივეკუთვნები, ყოველგვარი ამინდი რომ მოსწონს. არა, ისე არ ჩათვალოთ, წუნია არ ვიყო ან თეთრი და შავის გარჩევა მიჭირდეს, ან არჩევანის თავი არ მქონდეს. უბრალოდ, მომაბეზრებელი წუწუნა არ ვარ, ახირებული და თავისნათქვამა. ზომიერება მიყვარს და კიდევ, შუბლგახსნილი, ხალასი ბუნების ადამიანები, ბევრს რომ ფიქრობენ და ცოტას ლაპარაკობენ, ტრაბახი რომ შეუძლიათ და იშვიათად ტრაბახობენ, ერთგულება რომ იციან და ერთგულების თამაში ვერ წარმოუდგენიათ, კაცური სიტყვა მილიონად რომ უღირთ და სიტყვის გატეხვას თავის გატეხვა რომ ურჩენიათ. კიდევ გავაგრძელებდი, მაგრამ ვშიშობ, თავს მოგაწყენთ, რისი სურვილი და განზრახვა ნამდვილად არ მაქვს, მოსაყოლი კი ჯერ კიდევ ბევრი.

თქვენი ნებართვით, თხრობას თავიდან დავიწყებ.

მეოთხე თვეა ახალრეაბიტირებული ქუჩის მარცხენა მხარეს მიმიჩინეს ადგილი. ჩემ სიახლოვეს იტალიური ეზოა, ხუთსართულიანი საცხოვრებელი სახლი, ერთი კერძო დაწესებულება, რომელიღაცა საბიუჯეტო ორგანიზაციის ფილიალი და შუქნიშანი, მარჯვენა მხარეს კი სამი მრავალსართულიანი კერძო საცხოვრებელი სახლი, შემდეგ, თანმიმდევრობით სურსათის, შერეული და ხილ-ბოსტნეულის მაღაზიები, ასათვისებლად შემოღობილი ვრცელი ტერიტორია და ოთხი სხვადასხვა ჯიშის გასახმობად განწირული ხე, რომლის მოჭრაც, სავარაუდოდ, შემოდგომისთვის გადადეს. ჯერ ადროვეს, აყლორტვა დაწყებული აქვთ და შეიბრალეს, ეტყობა.

ამ ადგილას, სადაც ახლა ვარ, სამეურნეო ეზოდან გადმომიყვანეს. იქ ჩემნაირ ათობით თანამოძმეს მოვკარი თვალი, მაგრამ ისე მალე გადაგვანაწილეს, რომ ვერც ერთის გაცნობა ვერ მოვასწარი. მესამე დღეს, მწკრივიდან გამომაგორეს და სარეგისტრაციო ნომერი მომაკუთვნეს. ახლა უსახელო საყოფაცხოვრებო ნარჩენების ახალთახალი, უსახელო ურიკა კი არა, არამედ ჟღალი ფერის ურიკა ვარ სააღრიცხვო ნომრით 196. შესაბამისი ინფორმაციის მატარებელი მცირე ზომის ფირფიტაც მომამაგრეს გვერდში და სქელტანიან საკანცელარიო რვეულშიც შეიტანეს ჩემი მონაცემები. მაშ! იმ დღიდან რეგისტრირებული ყაძახი ვარ. სამუშაოს ძებნაში დრო არ დამიკარგავს, იმავე საღამოს უკვე ახალსიცოცხლეშეძენილი ქუჩის ერთ მონაკვეთში, ჩემთვის საგანგებოდ გამოყოფილ ადგილას გამამწესეს და გამომშვიდობებაც არავის უცდია, ისე მიმატოვეს. იქ მცხოვრებმა მოსახლეობამ უმალ შემამჩნია. ერთი უგემურად ბერეტდახურული, წვერგაუპარსავი კაცი ხელითაც შემეხო და შემანჯღრია. კი ახალთახალია, მტკიცედ დგას ფეხზეო, – დაასკვნა მშვიდი ხმით, რამდენიმე ნაბიჯით გამშორდა და ახლა გვერდიდან დამიწყო შეთვალიერება. ზოგს ფერი მოეწონა ჩემი, ზოგს – შესახედაობა. ზოგმაც ვერაფერი მიპოვა შესაქები და რაიმე აუგის თქმას, ისევ გაჩუმება არჩია. მე პირველი დღიდანვე მომეწონა სამუშაო ადგილი, წყნარი, მყუდრო და ხალხმრავალი. გზად, სანამ აქ ჩამომსვამდნენ, კი მოვკარი ყური, მეწყვილე რაც შეიძლება მალე უნდა მოვუძებნოთ, მარტოკას გაუჭირდებაო, რომ თქვეს, მაგრამ ჩვენების ბიუროკრატიულობის ამბავი ხომ იცით, ერთ დღეში გასაკეთებელ საქმეს თვეებს რომ ანდომებენ ხოლმე. ვფიქრობ, ასეა ახლაც. კი მჯერა, ადრე თუ გვიან მოაბამენ თავს, დანაპირებსაც შეასრულებენ, მაგრამ მანამდე დრო ისე იწელება, როგორც ათუხთუხებული ჩახანიდან საჩქაროდ თეფშზე გადმოღებულ ღომში საგულდაგულოდ ჩაჩურთული სულგუნის ნაჭერი...

ლოდინში გაილია ერთი თვე. მას მეორე ისე მიჰყვა, არვინ შეხვეწებია. მესამესაც იგივე

ხვედრი ელოდა, დიდი ალბათობით. დღევანდელი დღეც ისე მიყვა გუშინდელს, მცირეოდენი იმედიც არ დაუტოვებია. ვატყობ, ისევ სიმარტოვისთვის ვარ გამეტებული. ამის გაფიქრება მასევდიანებს და ხასიათს მიფუჭებს. ასე იყო გუშინწინ და იმის წინ... ნეტავ როდემდე? ვფიქრობ გულში და სიახლის მოლოდინში, გაფართოებულ თვალებს იმაზე მეტად ვაფაფხურებ, ვიდრე მშვენის... იქნებ გატყდეს ნავსი და ვინმე მომიყვანონ? მაგრამ ვის დაკარგვიხარ? – ეს შეგრძნება მსპობს, მანადგურებს და მიწასთან მასწორებს. თუმცა, ამავე დროს, ვატყობ, სიმარტოვე მაძლიერებს, ახალ სასიცოცხლო ენერგიას მმატებს, სიახლის მოლოდინში, ხვალინდელი დღის გათენების სურვილს მიმძაფრებს, არსებული ვითარების შეგუების ნაცვლად ბრძოლას მაჩვევს.

ჩათვლემილს, შუადღისას ხმაურმა გამომაღვიძა. სიახლოვეს სანდასუფთავების სამსახურისთვის იაპონური გრანტის ფარგლებში შეძენილი სატვირთო ავტომობილი კვამლავს, ძარიდან ერთი ჩამოხტა, მეორემ კი მწვანე ურნა წამოსწია და ქვევით მდგომს გადმოაწოდა. ამათ კიდევ ერთი წამოეშველა და ახალთახალი, თვალისმომჭრელი სილამაზის ურნა ჩემ გვერდით არ დადგეს? სიხარულისგან ადგილზე გაჩერება მიჭირს, არადა, გაქცევის თავი სად მაქვს?

– ცოტა წაფერდებულია, გაასწორეთ! – აწეული ხმით შენიშვნა მისცა შარვლის ჯიბეში ხელებჩაწყობილმა კაცმა. ეტყობა, იმ ორის უფროსმა. ისინიც უსიტყვოდ დაემორჩილნენ მის მოთხოვნას. მიუახლოვდნენ მწვანე ურნას, ცალ გვერდზე გადახარეს და ძირიდან ხის ტოტი გამოაცალეს. – ეს როგორ ვერ დავინახეთო – გაიკვირვეს და ტოტი შორიახლოს მოისროლეს.

– ასე აჯობებს, – ჩაილაპარაკა უფროსობაშეფერებულმა კაცმა და კმაყოფილების ნიშნად, ცერა თითი მაღლა ასწია, – დაველოდები, ამასაც როდის გამოუყვანენ წირვას! – პათეტიკურად განაცხადა, ქურთუკის გარე ჯიბიდან ტელეფონი ამოიღო, მოგვიახლოვდა და რამდენიმე ფოტოსურათი გადაგვიღო. იმედია, რომელიმე კადრში მაინც მოვხვდებოდი. გამოგიტყდებით და სურათების გადაღება არ მიყვარს, ზუსტად ის გამოვდივარ, როგორიც ვარ და ეს არ მსიამოვნებს. ვიცი, არ ვარ მაინცდამაინც ფოტოგენური. ახლა, ამხელა სილამაზის გვერდით დგომამ გამიჩინა დაუოკებელი სურვილი, მასთან ერთად მეც გამოვჩენილიყავი. ვფიქრობ, სურვილი ამისრულდა, რაც დღემდე, ჩემთან მიმართებაში, უიშვიათესი შემთხვევაა. ამასაც მოვესწარი და ამ ფაქტით, უდავოდ გახარებული ვარ. ამიტომ წამიერი ამჩატება როგორმე უნდა მომიტევოთ, თხოვნა მექნება.

– კიდევ რა გავაკეთოთ? – იკითხა იმ ორიდან ერთმა.

– ყველანი მანქანაში! – მიიღეს ოდნავ ბრძანებლური და სიცივეშეპარული პასუხი.

უსიტყვოდ ჩასხდნენ და წავიდნენ.

ათბალიანი შტორმივით ხმაურობს ჩემი გული. გახარებულიც ვარ და ვატყობ, რომ არ მეპატიება, იმაზე მეტად გადელებულიც. რამდენი თვეა ამ დღეს მოველი. აჰა, მოვესწარი და ენას ველარ ვიღებ, ისე ვღელავ, საკუთარი თავის ცნობა მიჭირს. თვითდაჯერება და სიმტკიცე დამეკარგა, გამბედაობასთან ერთად, გადამიქვესკნელდა. ძალა მოვიკრიბე და გავხედე ცეცხლის მეზობელს. იმანაც მორიდებით შემომანათა თვალები. შვენოდა მწვანე კაბა, მოკრძალება, სიმორცხვე და ოდნავ სევდიანი გამოხედვა.

– რა გქვიათ? – ვკითხე, როცა სული მოვითქვი.

– ჩემი სარეგისტრაციო ნომერია 202.

– პატრონი გყოლიათ, კარგი ნომერია. – მოვუწონე. მაგრამ რა იყო მოსაწონი, არ ვიცოდი. – მიხარია, ჩემს გვერდით რომ გხედავთ!

– რა გითხრათ არ ვიცი. ცოტაოდენი დრო მჭირდება, გარემოს რომ შევეგუო. ჯერ ვერ აღვიქვამ ვერაფერს. არ მიწყინოთ...

– რას ამბობთ, პირიქით, მომწონს თქვენი გულახდილობა.

– ოო, ეს ჩემი ნაკლიცაა და სიძლიერეც.

– ვერ დაგეთანხმებით.

– თქვენი ნებაა!

– მოდით არ ვიკამათოთ, დღეს მაინც.

– კეთილი.

– კარგია, თუ ვთანხმდებით.

– უსიტყვოდ...

– მიყვარს გულღია ხალხი.

– მეც.

– იმედი მაქვს, ერთმანეთს გავუგებთ. – გავიკრიფე ენად.

– სხვა რა გზა მაქვს. – მომიგო ალერსიანად.

– თქვენი ნებართვით, ერთ სურვილს გაგიმხელთ.

– სულგანაბული გისმენთ.

– მოდით, ერთმანეთს შენობით მივმართოთ რა, გთხოვთ... არ მომწონს ოფიციალური ტონი და გაუცხოება.

რამდენიმეწუთიანი დუმილის შემდეგ.

– თანახმა ვარ.

– კიდევ ერთი სურვილი.

– ოჰ, რამდენი დაგრჩა კიდევ, დროულად მითხარით, მინდა ვიცოდე?

– მაგაზე სხვა დროს. ისე, უამრავი სურვილი მაქვს.

– უპირველესი რომელია, გადაუდებელი და მოსასწრები, იქედან დაიწყე.

– ახლავე გეტყვი, წინ ვინ დამიდგება? – ხასიათგამოკეთებულს, ლაპარაკის საღერღელი ამეშალა, – სახელი მინდა შეგარქვა. რომ შეგეფერება და დაგშვენდება, ისეთი.

– მე უკვე მქვია სახელი.

– ის იმათ დარჩეს, ვინც შეგარქვა. მე ადამიანური სახელი მინდა გამშვენებდეს.

– რა უცნაური ვინმე ხარ, გამამხიარულე. – დამთანხმდა მწვანეკაბიანი.

– ძალიან მასიამოვნე, – აღტაცებას ვერ ვმალავ და უჩვეულოდ ენერგიის მოზღვავებას ვგრძნობ, – ახლოს მინდა გაგიცნოთ.

– არ ვარ წინააღმდეგი. საიდან დავიწყოთ?

– მითხარი რა მოგწონს, რაზე ფიქრობ, რა გიზიდავს, რაზე ოცნებობ?

– ასე ერთბაშად როგორ გიპასუხო?

– ნელ-ნელა ჩამოყევი კითხვებს და ისე.

– შევეცდები, – აქ ჩაფიქრდა, ერთხანს იყუჩა და გაირინდა. ვიგრძენი, გარკვეული ხნით როგორ დამტოვა, სადღაც გაუჩინარდა, გადაიკარგა, სხვა სამყაროში გადამესახლა, თითქოს მიმატოვა, დრო იხელთა და ხელიდან გამისხლტა, მაგრამ ნურას უკაცრავად, ამაოდ ვიფიქრე ასე, ვიჩქარე და შემდეგ ვინანე კიდეც, რადგან დამალვა არც უცდია, ისევ დამიბრუნდა მოფიქრებული სათქმელით და სერიოზული გამომეტყველებით, – გამთენიისას ჩიტების ჭიკჭიკის მოსმენა მიყვარს, ღრუბლიანი და უღრუბლო ზეცის ყურება, დანაღვლიანებული და გაღიმებული სახეების დანახვა. დამიჯერე, არ ვტყუი, კიდევ ძალიან, ძალიან ბევრი რამ მინდა... კონკრეტულად ვერც ვიხსენებ, რომ ჩამოვთვალო. ისე, უფანტაზიობას არ ვემდური, ხშირად დავფრინავ ოცნებებში და თუ რაიმეს მიღწევაში ეჭვი შემეპარება, მერე ვტირი და ვტირი. კინაღამ დამავიწყდა მეთქვა, ამ ბოლო დროს სიმარტოვეს დავეჩვიე, შევიყვარე და თავის დაძვრენას ჯერ ვერ ვახერხებ. ამ დროს ბევრი ფიქრი მიყვარს, მოსაბეზრებლად ბევრი ფიქრი... ზოგჯერ ჩემს ფიქრებსაც შევუშინებივარ და დავუნაღვლიანებივარ. რატომ მემართება ასე, ახსნას ვერ ვუძებნი.

– ფიქრი – ეს დიდებული რამაა, ყოჩაღ! – შევაქე, – დიდი გოგო ხარ უკვე.

– კი, სარეგისტრაციო ნომრით 202.

– ეგ დაივიწყე, დღეიდან ფიქრიას დაგიძახებ! ჰო, ფიქრია დაგშვენდება. როგორ მოგწონს შენი ახალი სახელი?

– ჩემი დასაწუნი რა სჭირს? ფიქრია, ფიქრია... – გაიმეორა რამდენჯერმე, – მგონი მომიხდება, მომწონს, გული მიგრძნობს, შევეჩვევი, – დასტურის ნიშნად თავი დამიქნია და გამიღიმა, – ახლა შენს სახელზეც ვიფიქროთ? მომიყევი, როგორი ხარ?

– ერთი ჩვეულებრივზე ჩვეულებრივი, შეუმჩნეველი, უპრეტენზიო, თავმდაბალი, კეთილი, ზედმეტად ემოციური, სილამაზის მოყვარული და წყენას რომ ადვილად ვერ ივიწყებს, ისეთი.

– შესანიშნავი დახასიათებაა, – მომიწონა ფიქრიამ, – მიზანი? რა მიზანი გაქვს ცხოვრებაში?

– კაცური კაცის ცხოვრებით მინდა ვიცხოვრო.

– დასაწყისისთვის დიდებულია, – შემაქო ფიქრიამ, – კიდევ?

– ღმერთს იმას ვევედრები, ისეთი ძალა და შეძლება მომცეს, რომ გაჭირვებულს დავეხმარო, წაქცეული ფეხზე წამოვაყენო, ავადმყოფს განკურნების იმედი ჩავუსახო, ბოროტი გამოვასწორო და სიკეთის გზაზე დავაყენო, უცოდინარს წიგნი შევაყვარო, შავი თეთრით ჩავანაცვლო, სიყვარულის ძლევამოსილება და ჰეგემონია დავამკვიდრო ამ საწუთროში, სადაც ადამისა და ევას ნაგრამი ასე დაუნდობელნი არიან ერთურთის მიმართ. მინდა მართალი კაცი არასდროს დაიჩაგროს და სიტყვას, როგორც ადრე ულვაშის ერთ ღერს, ძველებური ძალა და პატივისცემა დაუბრუნდეს.

– ოჰო, შენ არ ხუმრობ!

– მინდა, სადაც გამოვჩნდები, ყველგან იმედი, სიხარული და სიყვარული მივიტანო.

– გამაგებინე, შენ მესია გინდა იყო თუ ადამიანი? – ჩამეკითხა ფიქრია.

– უპირველესად ადამიანი, – დაუფიქრებლად ვუპასუხე, – მერე დანარჩენი...

– მე იმედას დაგარქმევდი, – ფიქრის შემდეგ სახელი მომაკუთვნა ფიქრიამ და მრავლისმეტყველი სახით შემომხედა, – ნამდვილად შეგეფერება, ამას გულწრფელად გეუბნები. – ისე მითხრა, მის სიალალეში ეჭვიც არ შემპარვია.

– იყოს იმედა, – დავთანხმდი, – შევეცდები, ბევრს ჰქონდეს ჩემი იმედი, მათ შორის შენც... – ფიქრიას მორიდებით გავხედე.

– თუ დაიმსახურებ, რა პრობლემაა, დიდი სიამოვნებით? – გამიცინა და თავი დახარა.

იმ საღამოს მეტი აღარ გვილაპარაკია. შემოგვაღამდა ამასობაში. ცაზე პირმგვალი და ელვარე მთვარე ამოვიდა და მთის მწვერვალთან დაიდო ბინა. აპრილის შესაფერი ამინდი იდგა. ოდნავ გრილი და სიო ქროდა თუ არ ქროდა, ვერ გაარჩევდი. ტროტუარზე მრავლად დასეირნობდნენ მაწანწალა ძაღლები და ხშირად გამვლელებს ყეფით აფრთხობდნენ. ქუჩაში დაქროდნენ ქალაქში შესამჩნევლად მომატებული სხვადასხვა ფირმის მსუბუქი ავტომანქანები, რომელთა გასაჩერებელი ადგილების პოვნა დღიდან დღემდე ჭირდა. ქალაქს უამრავი უცხოელი სტუმარი, ტურისტი და ვიზიტორი სტუმრობდა და გვიან ღამემდე მუშაობდნენ სავაჭრო, გასართობი თუ კვების ობიექტები.

იმის თქმა მინდა, რომ ცხოვრება მისთვის დამახასიათებელი რითმით ჩქეფდა და უამრავი დაბრკოლება-წინააღმდეგობის მიუხედავად, აზვირთებულ დინებაში ისე ოსტატურად მიიკვალავდა თავის კალაპოტს, თან არავისთან აზრის გაზიარების სურვილიც არ გააჩნდა...

მეზობლის გვერდით, დღე პირველი და მომდევნოც...

– დღე მშვიდობისა, ფიქრია.

– გაიხარე, იმედა.

– თავს როგორ გრძნობ ამ დილით?

– არ მოგატყუებ და უჩვეულოდ კარგად...

– ღმერთმა ასეთი დღეები გიმრავლოს.

– შენც იმედო... უღრმესი მადლობა.

ჯერ გათენებას ბევრი უკლია. ბინდი ნელ-ნელა გადადის. ცარგვალს ნათელი ზლაზვნით ეფინება. ზმორებადაწყებულ დილას ასპარეზს უთმობს გადაღლილი ღამე. იღვიძებს ქალაქი, რომელსაც ვგონებ, გუშინ საერთოდ არ უძინია.

– პირველი ვინ გვეწვევა? – დაინტერესდა ფიქრია.

– გვრიტუნა ზოიძე პენსიონერი ქალია, გულღია, ენაწყლიანი საუბრის მოყვარული, ფუსფუსა და ბადიშებზე მზრუნველი. მეორე წელია მეუღლე გამოაკლდა, გასულ შემოდგომას გაემგზავრა მეორე ნაპირს, შავები ჯერაც არ გაუძვრია და მგონი, არც აპირებს. შვილები გააბრაზა, საცხოვრებლად მათთან არ გადავიდა. ამ იტალიური ეზოს მეზობლებს და ამ ოროთახიან ბინას ისე შევეჩვიე, რომ სხვაგან ცხოვრება ვერც წარმომიდგენია. თანაც აქ გავატარე მთელი ჩემი ახალგაზრდობა, ანტონმა ქორწილის შემდეგ, საცხოვრებლად აქ მომიყვანა და ასე გავთელეთ ერთად ორმოცდახუთი წელი, აქაურობას უამრავი მოგონება მაკავშირებს, კარგიც და ცუდიც, აქ გავზარდე და აქედან დავაფრთიანე ორივე შვილი, შვილიშვილებმაც ამ ეზოში აიდგეს ფეხი, ისწავლეს სიარული, მადლიანი ადგილია და ვერ შეველევიო. – ცოცხალი თავი

გაუთავებია გვრიტუნას. – თან აქ უფრო მშვიდად ვარ, ანტონის სიახლოვეს ვგრძნობ, ხშირად ვესაუბრები და ვმშვიდდებიო. ბიჭიც და გოგოც ლამის ყოველდღიურად აკითხავენ დედას. არც რძლის და სიძის ყურადღება აკლია ქალბატონ გვრიტუნას. ნაგრამის სტუმრობა ხომ თმაშეეერცხლილი ბებიის სუნთქვა და უებარი წამალია. ოდნავ წნევის ამწევი, მაგრამ იმ უზარმაზარ სიხარულთან შედარებით, რასაც ისინი ჩუქნიან მოხუცს, მათი მცირეოდენი ცელქობა და ოდნავ ზღვარგადასული თავხედობა სრულებით არ იძლევა იმის აუცილებლობას, რომ მათზე დამტუქსავი ტექსტით ვისაუბროთ. გვრიტუნა თავს ბედნიერ ქალად მიიჩნევს და თვალები მუდამ სითბოთი აქვს სავსე. დღესაც, მჯერა, ყველას დაასწრებს იტალიურ ეზოდან გამოსვლას...

– ყოჩაღ შენ. – შემაქო ფიქრიამ. – ასე კარგად ბევრს იცნობ?

– მეტნაკლებად. ვინც ჩვენი კლიენტია, ძირითადათ, იმათ... ისე, გამვლელ-გამომვლელს ქუჩაში რა გამოლევს.

– მაინტერესებს, ვინ გვეწვევა პირველი?

– მალე გავიგებთ...

ლოდინი დაპაუზდა და დროში გაიწელა.

– აი ისიც! – წამოვიძახე უნებურად და ფიქრია დავაფრთხე. – როგორც ყოველთვის, გვრიტუნას ხელში მცირე ზომის, სანახევროდ გავსებული ცელოფნის შავი პარკი უჭირავს და მისთვის დამახასიათებელი ნელი, მოზომილი და აუჩქარებელი ნაბიჯებით გვიახლოვდება. მეორე ურნის დანახვაზე, ყურადღება მისკენ გადაიტანა, კარგიაო, ჩაილაპარაკა და პარკი ჩემს ურნაში ჩააგდო.

– შემდეგი ვინ შეიძლება იყოს? – დაინტერესდა ფიქრია და შეფიქრიანებული თვალებით გამომცდელად შემომხედა.

– დიდი ალბათობით ან ერმილე დარჩია, ან მათე ყალიჩავა.

– იტალიური ეზოდან?

– ერმილე კი, მათე ხუთსართულიან სახლში ცხოვრობს, მეორე სადარბაზოდან უნდა გამოვიდეს.

– უფრო რომელს ფიქრობ? – არ მეშვება ფიქრია.

– თითქმის დარწმუნებული ვარ, მათე გაგვახარებს. ტაქსაობს და სამუშაო დღე დილაუთენია ეწყება. მასავით ასაკიანი „ბე ემ ვე“ ჰყავს, ორი წლის წინ ძმაკაცისგან იყიდა საკმაოდ შეღავათიან ფასად. სანამ ოჯახს მატერიალურად არ გაუჭირდა, მანამ ტაქსაობით ფული ეშოვნა, აზრადაც არ მოსვლია. ბოროტი ხმები ამბობენ, სიძეში არ გაუმართლა, მაგარი უსაქმური, ფუქსავატი, მომლხენი და მომღერალი კაცი გამოდგაო. ნალოლიავები და ხელის გულზე სათუთად გაზრდილი ერთადერთი ქალიშვილი მათემ იმ პირობით გაათხოვა, რომ სიძე მათთან იცხოვრებდა. ყველას გასაკვირად, მომავალი მოყვრების მხრიდან, ამ მოთხოვნის წინააღმდეგი არავინ წასულა, რომელიც მაშინ ცოტა არ იყოს, ეუცნაურა და ეხამუშა კიდეც მათეს. მაგრამ არაფერი შეუმჩნევია, ან რა უნდა ეთქვა? მისი ინიციატივა იყო და გაყუჩება არჩია. პირადად მე ყოველგვარი მიკიბ-მოკიბვის გარეშე შემიძლია ვთქვა, რომ სიძე ბატონი შესახედაობით, სიტყვა-პასუხით და ქცევებით მშვენიერი ახალგაზრდა კაცის შთაბეჭდილებას ტოვებს. უმაღლესდამთავრებულია, პროფესია აქვს, ინჟინრად მუშაობს რომელიღაც სატრანსპორტო ორგანიზაციაში. თანაც, შესაშური ენერგიით და მონდომებით გამოირჩევა. ამის დასტურია თუნდაც ის, რომ წელიწადჩაგდებით სამი ახალი სიცოცხლით გაზარდა მათეს ოჯახში პურის გამტეხთა საერთო რაოდენობა. საყვარელ სიმამრს ბაბუობა უბოძა, სიდედრს – ბებიობა, ქალიშვილს – დედობა და მას კიდევ მამობა დაბრალდა სავსებით სამართლიანად. ესაა ოღონდ, ფინანსური სტაბილურობა წაუხდა და ყოველდღიურ თავისტკივილად ექცა მათეს. შეძლებულ და ხელგაშლ ცხოვრებას მიჩვეულს დროის ცვლილებებთან შეგუება გაუჭირდა. დანაგროვები სიმდიდრე თვალისდახამხამებაში შემოათხელდა და გაკვირვებული დატოვა, შევსებით კი ისე ვერაფრით შეავსო, გული რომ საგულეში დარჩენოდა. ამასთან ოჯახის უფროსის ჯანმრთელობის გაუარესება დაემატა, ავტოავარიის შემდეგ სამსახურს თავი დაანება. მაშინ ორმოცდაათი წლის იყო. შიმშილს რომ არ შეე-

წუხებინა, საძმაკაცოსთან საზიარო ბიზნესს მიჰყო ხელი. ვერაფერი იხეირა და განზე გადგა, განერიდა. ათწლეული წლის განმავლობაში სათუთად შეძენილ მეგობრებს გაუფრთხილდა, დასაკარგად ვერ გაიმეტა. შეატყო, ფულის შოვნის ყოვლისშემძლე სიყვარულს, ნებსით თუ უნებლიედ, ბევრი სიგლახისკენ შეეძლო ებიძგა, რაც არ სურდა და წუმპეში ჩათრევას ისეთად დარჩენა არჩია, როგორიც იყო: უშუალო, დინჯი, პრინციპული და ჯიბეშეთხელებული. გამოსავალი გამონახა, შერეულ ბაზრობაზე ფართი დაითრია და ბიძაშვილის დახმარებით, რომელიც ამ საქმეში ფრიად გაწაფული გახლდათ, მეორადი საბურავების გაყიდვა დაიწყო, ერთხანს კი გაუძლო, მაგრამ მალევე გული აიცრუა, – მე და ვაჭრობა ძალიან შორს და მწყრალად ვართ ერთმანეთთანო. – განუცხადებია და ახლა იქ მეზობლის ცოლ-ქმარს ამუშავებს, გარკვეული შეთანხმებით, რა თქმა უნდა. დღევანდელი გადასახედიდან, ორივე მხარე კმაყოფილი ჩანს, იმდენი რჩებათ, ჯერ კონფლიქტი არ მოსვლიათ და როდემდე გასტანს მათი სიამტკბილობა, დანამდვილებით, მე კი არა, მგონი, ღმერთმაც არ იცის. ქალიშვილის სახელზე შეძენილ ოროთახნახევრიან ბინას სარფიანად აქირავებს უცხოელებზე, მდგმურები პატიოსანი ხალხი შეხვდა, საქმიანი წრის წარმომადგენლები, შეთანხმებას იოლად მიაღწიეს, გადასახდელი თანხის ნაწილს ბანკში, კონტრაქტში მინიშნებულ ანგარიშზე ურიცხავდნენ, ნაწილს ხელზე აძლევდნენ. რაც მთავარია, ქირას დაუგვიანებლად უხდიან. დროთა განმავლობაში, იმედია, სიძეც გამოიჩენს ფხას, შეეხიდება მათეს და შელახულ რეპუტაციასაც გამოასწორებს. ახალგაზრდაა და არ ჩქარობს, ან სად ეჩქარება, ჯერ ხომ კიდევ ვარდისფერი სათვალით უყურებს ცხოვრებას და ტკბება დღევანდელი დღით.

– მათე ეს ხომ არაა? – მკითხა ფიქრიამ და ხუთსართულიანი სახლიდან გამოსული კაცისკენ გამახედა.

– გამოიცანი, ისაა... – დავუდასტურე.

– სამი გაძეძგვილი ცელოფნის პარკით გვიახლოვდება. – შენიშნა ფიქრიამ.

– სტუმრიანი და პურმარილიანი ოჯახიდანაა, – შევაქე მათე და მისი გარემოცვა.

– გატანჯული სახე აქვს, თუ მეჩვენება?

– დღეს უმეტესობას ასეთი სახე აქვს და არ მიკვირს.

– რატომ?

– ცხოვრებაა ასეთი, მტკივნეული, დამძაბველი, შემაშინებელიც, სევდის მომგვრელი და იმედის მომცემი.

– და ეს იმედი როდემდე გაგვყვება?

– სულ ჩვენთანაა, არასდროს გვტოვებს, მას ჩვენ ვივიწყებთ ხშირად ჩვენივე წინდაუხედაობით, უნიათობით, გაუტანლობით, ხეპრეობითა და ფარისევლობით. და ასეა ყოველ ჯერზე, ვერ გადავლახეთ და ვერ გავარღვიეთ ეს მოჯადოებული წრე, წინსვლას და გახარებას რომ გვიზღუდავს.

– გამოსავალს სად ხედავ?

– ურთიერთსიყვარულში, წიგნიერებაში, საკუთარი თავისა და მარჯვენის რწმენაში, ღმერთისა და სამშობლოს პატივისცემაში, მტრის გარჩევასა და სათანადო შეფასებაში.

– გვეშველება რამე?

– აუცილებლად და თანაც, ძალიან მალე.

– ჩათვალე, შენ გვერდით ვარ.

– ვერ წარმოიდგენ, შენი სიტყვები როგორ მამშვიდებს, მაძლიერებს და მამხნევებს.

– ძალიან კარგი მოსაუბრე ხარ, გისმენ და ვტკბები. – შევატყვე, მოვეწონე ფიქრიას.

მადლობის სათქმელად მოვემზადე, მაგრამ არ დამცალდა.

– ის ორი ვინაა, მგონი ჩვენკენ მოდიან... – მკითხა ფიქრიამ.

– სასურსათო მაღაზიის გოგოები არიან, სხვათა შორის, ერთი გასათხოვია, მეორეს, კაფანდარა გაფცქვნილს კი ორი პატარა შვილი ჰყავს, ერთმანეთზე უკეთესები. ამას წინათ ქმარმა გამოუარა მანქანით, ბავშვები ახლდა. ისეთი მოუსვენრები არიან, რომ აიკლეს აქაურობა, ბებიაც ამაოდ უწყრებოდა, მისი არავის ესმოდა.

– სუსტიც მშვენიერი შესახედაობისაა, დიდხანს არა მგონია უყურადღებოდ დატოვონ.

– თუ არ ვცდები, უნდა ჰყავდეს გულისწორი. რამდენჯერმე მოაკითხა სამსახურში ჩამრგვა-

ლებულმა და წვერულვაშიანმა ახალგაზრდამ, სარვამარტოდ ყვავილების თაიგული და ბონბონერი მიართვა და გოგომაც დაიტოვა, არ იუარა.

– რა კარგია, იჩარხება ეტყობა საქმე.

– მაღაზიის მენეჯერი გადაირევა ვატყობ. კადრების ისეთი გადინება აქვს, რომ ყველა სამოთხ თვეში შევსებას ითხოვს.

– რატომ?

– თხოვდებიან და... მიზეზებიც იძებნება. თან ისეთი მიზერული ანაზღაურება აქვთ, რომ თუ ნამუსი გაგაჩნია, საყვედურის სათქმელად სიტყვაც ვერ უნდა მოუბრუნდეს პირში. აჩემებული აქვს როსტომა მენეჯერს, ჩემს მაღაზიაში ერთმანეთზე უკეთესი შესახედაობის გოგო-ბიჭები უნდა მუშაობდესო და ახერხებს კიდეც. ეძებს, ნახულობს, ზრდის და ასაქმებს. შემდეგ ეწყება თავის ტკივილი და მაღალი წნევები. შრომის კანონმდებლობით, ჯერ არ აუკრძალავთ ქალის გათხოვება, ვაჟის დაოჯახება და შთამომავლობის გამრავლება. ჰოდა, მიფრინავენ დაფრთიანებული ახალგაზრდები თავიანთ ბედ-იღბალთან და ტოვებენ როსტომს. გემოვნებიანი და მაღალი ესთეტიკური მოთხოვნების მქონე მენეჯერი კი სისტემატურად ეძებს ახალ თანამშრომლებს. სულ იმაზე წუხს, სალაროსთან ვინ დააჯინოს, დახლებზე პროდუქტები ვინ დაალაგოს, მყიდველს ვინ გაესაუბროს და დააკვალიანოს... ბედმა იმაში მაინც გაუღიმა, რომ ადმინისტრატორი და დამლაგებელი მაინც დაურჩა შეუცვლელი. ასაკის გამო არა, ერთს ზემოდან პატრონობენ, მეორეს პირადად მენეჯერი პატრონობს და არ აკარებს ცივ ნიავს. კეთილი კაცია როსტომი, თუ ვინმეს გამოარჩევს, იცის დაფასება...

ცის კაბადონიდან მზის პირველმა სხივმა და ხუთსართულიანი საცხოვრებელი სახლის მესამე სართულის ფარდაგადაწეულ ფანჯრიდან ალისა თუთბერიძემ ერთდროულად გამოიხედეს და გარემოს სითბო, სინათლე და სიხალისე შემატეს. სადაცაა ცხრა შესრულდება, ალისა კი ცხრაზე სამსახურში, კომპიუტერში შთანთქმული უნდა იყოს. შთანთქმული – ეს სიტყვა მისი უფროსის ნოუჰაუა, მისდა უნებურად წამოცდა ერთ-ერთ სამუშაო თათბირზე, მოეწონა, ჩაიხვია და ხშირად იმეორებს. აქ რომ ხართ, მთელი გონებით და არსით, საქმეში უნდა იყოთ შთანთქმულნი, ვწუხვარ, მაგრამ ზედაპირულად უყურებთ არსებულ პრობლემას, გულისხმიერება გაკლიათ და ვგონებ, თუ მის არსში გონივრულად შთაენთქმებით, საწადელს მიაღწევთ. გადასაჭრელ საკითხისადმი არასერიოზულობა ნერვებს მიშლის, მეტი შთანთქმულობაა საჭირო იმ შედეგის მისაღწევად, რაც მე მსურს. გეტყობათ, ბონუსი აღარც გაინტერესებთ თვის ბოლოს, რა გაეწყობა, ვწუხვარ და გისამძიმრებთ... და ა. შ. ვფიქრომ, ამ სიტყვის მნიშვნელობა სრულად არც ესმის, მაგრამ იმას იაზრებს, რომ ხელმძღვანელია და მისი ნათქვამი, როგორიც არ უნდა იყოს იგი, მოსწონს თუ არა ვინმეს, პატივისცემით მოპყრობას იმსახურებს.

ახლა ალისას ნომერ პირველი საზრუნავი სამარშრუტო ტაქსისთვის მისწრებაა. ეს ყველა სამუშაო დღეს შეუცვლელი და გადაუწყვეტი რუტინაა მისთვის. საკუთარი თავისთვის დრო თითქმის არასდროს რჩება. ან როგორ უნდა გამონახოს? სად მოიძიოს? დილა ოჯახის წევრების სათითაოდ გაღვიძებითა და მათი ბუზღუნის მოსმენით იწყება, მერეა საუზმე. ერთი უჭმელაა და დაძალება სჭირდება, მეორე შესამჩნევად ღორმუცელა და ჭარბწონიანია, ნორმის დაცვა უჭირს და ყურადღებაა მისაქცევი, მესამისთვის სულერთია, ოღონდ პირში ჩაიცდინოს რაიმე და წაიხემსოს, სავსებით უპრეტენზიოა... ამ დროს სამზარეულოს კედელზე დამაგრებული მექანიკური საათის ისრები მუხლჩაუხრელად მიქრიან და წუთისოფლის დინებას უკანმოუხედავად მიჰყვებიან. მიდი და მათ დაეწიე, თუ ვაჟკაცი ხარ? პირველად ბიჭი წამოხტება მაგიდიდან, მადლობაო, იტყვის და სკოლაში წასასვლელად მოემზადება, გოგოს, როგორც ჩვევია, ისე დინჯად და მძიმედ აიზლაზნება, გეგონება სკამიც უნდა წაიყოლიოსო. „დე, დღეს დამაგვიანდება, უნივერსიტეტში სამეცნიერო კონფერენციაში ვმონაწილეობო“, იტყვის და ვესტიბიულში, სარკესთან გადაინაცვლებს. ქმარს არსად ეჩქარება, სამხატვრო გალერეაში როცა მიუცდება ფეხი, იცის, ყოველთვის გულთბილად მიიღებენ. ისე,

გამომშვიდობებისას, მზრუნველ ცოლს ლოყაზე აკოცებს. რომელიღაც ფრანგულ ფილმში ენახა ეს სცენა და ისე მოეწონა, რომ უმალ გადაიღო და ალისასთან ყოველდღიურ მისაღებ პრაქტიკად აქცია. ალისაც გახალისდა მეუღლის ახალი ევროპული მანერის შეძენით და გამომშვიდობებისას, მზრუნველი და მადლიანი ქალის თვალებით გადახედავდა ხოლმე სახლში დარჩენილ მოსიყვარულე მეუღლეს.

ავტობუსების გაჩერებამდე ალისამ ურნას ჩამოუარა, მუყაოს შეკვრა ვეტერანი კალათბურთელივით მარჯვედ მოისროლა და ჩააგდო. ორქულიანი სროლა იყო, ახლო დისტანციიდან, მეტი არა. სამქულიანამდე ბევრი აკლდა.

– თავმოვლილი ქალი ჩანს ალისა. – ჩამჩურჩულა ფიქრიამ, როცა ალისამ აჩქარებული ნაბიჯით ჩაგვიარა.

– მეც ვატყობ, თავის ფასი იცის, – დავუდასტურე უმალ, – მთავარია, ტრანსპორტმა არ გაასწროს ახლა, თორემ მაგის ემოციების ფრქვევა მერე ნახე შენ.

– ვფიქრობ, მაგიც დამშვენდება. – არ ჩერდება ფიქრია.

– ვგონებ კი... – კვერს ვუკრავ და თვალს ვაყოლებ.

გაუმართლა, დღეს სამარშრუტო ტაქსს მიუსწრო.

– ალისას ქმარი ვინაა იცი? – მეკითხება ფიქრია.

– როგორ არა, ხელოვანი კაცია, მხატვარი, ამას წინათ პერსონალური გამოფენა მოაწყო. მესამე თუ მეოთხე, ზუსტად ვერ ვიხსენებ. ნიჭიერი კაცის ავტორიტეტი აქვს, იტაცებს ფერწერა, პეიზაჟებს და პორტრეტებს ხატავს. უენო, ბუნჩულა, უღალატო და შექებამოყვარულია. გასათხოვი ქალივითაა, რაც აკლია, ის მოსწონს ეტყობა. რაც მაგას ჩემს ურნაში საღებავის ქილები, გამცდარი ფუნჯები, დახეული ტილოები, დანაკუწებული ესკიზები და ვერ ახდენილი ფიქრები აქვს მოსროლილი, ვინ მოსთვლის!

– ალისა როგორია?

– ჩვეულებრივი ქალია, მეოჯახე, შვილებზე მზე და მთვარე ამომავალი, ქმრის ერთგული, კარგი მეზობელი, ავადმყოფურად სისუფთავის მოყვარული და რომ შვენის, ისეთი, ზომიერად ეჭვიანი და ჭკვიანი.

– მეუღლე ეჭვიანობის საბაბს აძლევს?

– არა მგონია. როგორც ყური მოვკარი, ერთმანეთი საგამოფენო დარბაზში გაუცნიათ. ალისა მაშინ სტუდენტი ყოფილა, მხატვარი კი ჯერ კიდევ ახალგაზრდა მხატვარი. გოგოს გამოხედვა, თვალები, აღნაგობა მოეწონა მხატვარს, სტუდენტს ჩანაფიქრი გაანდო და მენატურეობა შესთავაზა. მორიდებით, ანაზღაურებაც. გოგო მაშინვე არა, მესამე შეხვედრაზე დათანხმდა და სახელოსნოში წაჰყვა. ერთადერთი პირობა წაუყენა, არ გაშიშვლდებოდა და ამ თემაზე საუბრით დრო უქმად არ დაეკარგა, ურჩია. მხატვარმა სიტყვა შეასრულა, უხმოდ, დინჯად და შთაგონებით მუშაობდა მენატურესთან. ორ თვეში ჩანაფიქრი ტილოზე გადაიტანა, ნამუშევარს სახელად „გაზაფხულის მონატრება“ დაარქვა და საქალაქო კონკურში წარადგინა. ტილოს კონკურსში მხოლოდ მონაწილეობა არ მიუღია, პირველი პრემია დაიმსახურა, მხატვარმა ფულადი ჯილდო, აღიარება და უამრავი მილოცვა მიიღო. ეს ამბავი აქ არ მთავრდება, საინტერესო გაგრძელება აქვს. დაჯილდოებიდან გამოსულები, მხატვრის თხოვნით, სახელოსნოში წავიდნენ. თან ერთი ბოთლი შამპანური, მომცრო მუყაოს ყუთში ჩაწყობილი ტკბილეული და წითელი ყურძნის ერთი მოგრძო მტევანი წაიყოლიეს. კარები გამოაღეს და შუქი აანთეს თუ არა, გოგომ მაშინვე ძალუმად იგრძნო მონატრებული საღებავების მძაფრი სუნი, შემოქმედის გარემოსადმი დამახასიათებელი, თანმხლები არეულობა და უწესრიგობა, ბოკალიდან ერთი ყლუპის მოსმისთანავე შეამჩნია შეფიქრიანებული მხატვრის ყველაფრისმთქმელი, თაფლისფერი ამღვრეული თვალები, წამლეკავი, ვნებიანი გამოხედვა და გააკეთა ის, რაც არასდროს გაუკეთებია. წარმოსახვაშიც ვერ წარმოედგინა, ისეთი ნაბიჯი გადადგა. ასეთი თამამი და გაბედულიც არ იყო, თავი რომ მიაჩნდა. ისე ახლოს მივიდა პრემიერებულ მხატვართან, რომ მისი სუნთქვა ესმოდა. შემდეგ გაკვირვებულ და გა-

ოცებულ ხელოვანს თვალი თვალში გაუყარა და ტუჩებში აკოცა. აკოცა ვნებიანად, მთელი არსებით, გოგოს ტანი უთრთოდა, მხატვარი კი ენას ვერ იღებდა, იდგა დადუმებული და მღელვარებასთან ერთად, ენით აღუწერელ სიამოვნებას განიცდიდა. გოგოს ყურში ჩასჩურჩულა მხოლოდ, რასაც ახლა ვგრძნობ, ეს თუ სიყვარულია, მინდა დამიჯერო, ახლა ჩემზე ბედნიერი მეორე არავინ მეგულება ამ სამყაროში და ამ ბედნიერების მომნიჭებელი ერთადერთი ღვთაება შენა ხარ! არ მიმატოვო!..

– დაიმსახურე და არასოდეს. – დააიმედა ალისამ ვნებამორეული ხმით.

გულში ჩაიკრა მხატვარმა აბდღვიალებული ნაკვერჩხალი და იმ ღამით, ენით აღუწერელ სითბოში ჩაიფერფლენ.

მეორე დღეს ვერაფრით გაიხსენა გოგომ, რა ძალამ აიძულა საკუთარი ნებით გაეხადა მილანში ნაყიდი, თავის გამოსაჩენ წვეულებებზე ჩასაცმელი, ძვირადღირებული ვარდისფერი კაბა და მკლავებში მომწყდეოდა იმ მამაკაცს, რომელსაც გადაკრული სიტყვითაც კი არაფერი მიუნიშნებია მისთვის და რომელიც, მთელი ღამე მხოლოდ ერთ სიტყვას იმეორებდა. ეს ჯადოსნური სიტყვა იყო – მიყვარხარ...

მხატვარს იმის დაჯერება უჭირდა, ოცდაჩვიდმეტი წლის ასაკში ზღაპრის არსებობა რომ იწამა და მხრის შეცვლას ვერ ბედავდა იმის შიშით, თვალდახელშუა არ გასხლტომოდა ის ნანატრი და საოცნებო წუთები, რომლებზეც მთელი ცხოვრება ოცნებობდა, ნატრობდა და ელოდა.

წინა ღამე ორივესთვის გარდამტეხი აღმოჩნდა. დარწმუნდნენ, რომ შეყვარებულები ყოფილან. უერთმანეთოდ გაძლება უჭირთ. ბევრი რამ აქვთ თურმე საერთო, საჩხუბარი და გასაყოფიც.

სადაცაა შუადღე გახდება და ლოგინიდან წამოდგომასაც ვერ ახერხებენ. ვერ ახერხებენ კი არა, არც სურთ. ასე ურჩევნიათ.

– გაიხედე კედლისკენ, უნდა წამოვდგე. – მკერდზე საბანმოფარებული წამოიმართება ალისა და მხატვარს გადახედავს.

– ნება თქვენია, ქალბატონო, აბრძანდით, ვინ გიშლით? აი მე კი საითკენ გავიხედავ, ნურას უკაცრავად, ეს ჩემი გადასაწყვეტია და ვინმესთან შეთანხმებას არ ვაპირებ! – გამომწვევად მიუგო მხატვარმა.

– გამეორება არ მიყვარს! – გააფრთხილა ალისამ და წამოსადგომად შეემზადა.

– კარგია, დაგაკვირდები, ისედაც ახალი მენატურე მყავს მოსაძებნი.

– მასე ხომ? – შეიღრინა ალისამ, საბანმოხვეული ლოგინიდან გადმოვიდა და მხატვარი დედაშობილა დატოვა, – სასწრაფოდ ტანზე ჩაიცვი, შიშველი მენატურე მე საერთოდ არ მჭირდება. – მიუგო კმაყოფილმა.

ნირწამხდარ მხატვარს უხერხულობისა და სირცხვილის ფერებმა სახეზე ერთდროულად გადაუარბინეს.

– დაგიმახსოვრებ! – შეპირდა მომავალ მეუღლეს და საცვალს დაუწყო ძებნა.

– ჩაცმული უფრო მომწონხარ. – არ ეშვება გოგო.

– მე – შიშველი, – გულწრფელად აღიარა მხატვარმა. ტანზე ჩაიცვა და გოგოს კაბას დაწვდა, – ჩაიცვი, დაგელოდები, მშია, აქვე ერთი ახალგახსნილი კაფე ვიცი, ჯერ კლიენტების მოზიდვით არიან დაინტერესებულები და გემრიელ კერძებს ამზადებენ, ჩავიდეთ, გავსინჯოთ, კარგი?

– კარგი, ოღონდ ასეთი მოშიებულის თვალებით ნუ მიყურებ, გვერდზე გაიხედე. – თხოვა გოგომ და მხატვარმა შეატყო, სადაცაა ატირდებოდა.

– არასოდეს. – მიუგო მხატვარმა, ალისას მიუახლოვდა და გულში ჩაიკრა. – იქნები ჩემი საოცნებო მენატურე? – ჰკითხა ალერსიანი ხმით მოულოდნელად.

– როცა ისურვებ.

– შიშველიც?

– შიშველიც, ოღონდ ერთი პირობით.

– ბრძანეთ!

– ჩემი სახით არასოდეს დამხატავ.

– ვიფიქრებ მაგაზე. – შეპირდა მხატვარი. იგი იმ აზრმა გააბედნიერა, თუ როგორ ძლიერად უყვარდა მის რჩეულ გოგონას, რომელიც შიშვლად მენატურეობას ყოველგვარი ყოყმანის გარეშე დათანხმდა. მტკიცედ გადაწყვიტა გონე-

ბაში, რომ ამას არასოდეს იზამდა. თავის სიყვარულს დედიშობილას არასოდეს დახატავდა...

დროთა განმავლობაში, მხატვრის იშვიათი ერთგულება ალისას სიამოვნებას ჰგვრიდა და აღიზიანებდა კიდეც. ასეთია ქალის ბუნება, რაც არ უნდა მოინდომო, ვერაფერს გაუგებ, უბრალოდ, არ უნდა შეაფასო. როგორიცაა, ისეთი უნდა მიიღო, გაითავისო, მოეფერო და გააღმერთო. ეს მგონია სწორი და ერთადერთი ზუსტი გამოსავალი...

თერთმეტი საათის შემდეგ ჩამოცხა.

– როგორ ხარ ფიქრია?

– ღვთის წყალობით, მშვენივრად.

– სულ კარგად მინდა მყავდე. – ვუთხარი და ქუჩას გავხედე. სოსო ბოლქვაძე დავინახე, აჩქარებული ნაბიჯით მოაბიჯებს. ეტყობა ნაგვის გადაყრა დაავიწყდა დღეს, ხელცარიელია. ადრე როგორი იყო, არ ვიცი, ახლა, ასაკში შესულს გულმავიწყობა დაჩემდა. ხან რა ავიწყდება და ხან რა. ამას წინათ სასწავლო გრაფიკი აერია და მერვეკლასელებთან ჩასატარებელი გაკვეთილი არასაპატიო მიზეზით გააცდინა. დაავიწყდა უბრალოდ. სასწავლო ნაწილის გამგემ მამისტოლა კოლეგა დანახვისთანავე განზე გაიხმო და სხვებს რომ არ დაენახა, ისე, მორიდებით უსაყვედურა, ბატონო სოსო, ამ თვეში ეს უკვე მეორე შემთხვევაა, მეტჯერ აღარ განმეორდეს, თორემ სკოლიდან ზარ-ზეიმით გაგაცილებთო. – შეპირდა. სკოლა, კოლექტივი და მოსწავლეები უყვარს სოსო მასწავლებელს, მათაც უყვართ კეთილი, უღალატო ვეტერანი მასწავლებელი და იმ დღეს ელოდებიან, საკუთარი სურვილით როდის გამოემშვიდობება და დაწყვეტს გულს ღვაწმოსილი პედაგოგი. შემცვლელიც მოძიებული ჰყავთ, ენერგიული და დაუზარელი ზოია ვადაჭკორია, რომელმაც ამდენხნიან ლოდინში გათხოვებაც მოასწრო და მესამეჯერ მოლოგინებაც. „მორჩა, ეს ბოლო წელია, ისეთი ვეღარ ვარ, რომ მინდა, სხვის დასაცინად კი ვერ გავიხდი თავს. მშიერი არ მოვკვდები და იმედია, შვილები მასწავლებლის პენსიის ამარა არ მიმატოვებენ, წამოგვეშველებიან ხანდახან, – იტყვის გულში სოსო მასწავლებელი, – როგორ გადავხედე ზემოდან შვიდათეულ წელიწადს, დღემდე მიკვირს. მართლა წუთი ყოფილა ეს გაუტანელი წუთისოფელი, მე კი არ მეჯერა“. ახლაც სკოლისკენ აქვს გეზი აღებული. სკოლა სამი კვარტლითაა აქედან დაშორებული. დარსა თუ ავდარში, სოსო მასწავლებელი სკოლაში ფეხით დადის. ისე, მსუბუქი ავტომობილიც ჰყავს, რომელსაც ძირითადათ შაბათ-კვირას თუ აამუშავებს. ამ დროს მეუღლესთან ერთად სოფელში მიდის მამაპაპისეული საკარმოდამოსთვის თვალის შესავლებად, დასასვენებლად, საღამოს პირს შეთხელებულ ბიძაშვილებსაც მოინახულებს, ქალაქიდან წაღებულ ტკბილეულობას მიუტანს, ისინიც ჯერ გაიპატიჟებენ, რა უცნაური ხალხი ხართ, ხელცარიელი მოსვლა არ გეკადრებათ თუ რაო, იტყვიან, ერთჯერად პარკს გამოართმევენ და სახელდახელო სუფრის გაშლამდე ტკბილეულობის დაგემოვნებასაც მოასწრებენ. იცის მასწავლებელმა, ალალი ბიძაშვილის ოჯახი თავს რომ შეიწუხებს და ეს სიამოვნებს. მაგიდას შემორჩენილები, შუაღამემდე იმუსაიფებენ. დაძინებით ისედაც გვიან იძინებენ და ადგომას არ იჩქარებენ. გასახსენებელი და მოსაგონარი არ ელევათ. იმდენი დაუგროვდათ, რომ ერთი გატეხილი ღამე რას ეყოფათ. სწყინთ, მაგრამ შეეგუვნენ იმ აზრს, რომ წამოზრდილი და დაფრთიანებული შვილები სოფლისთვის ვერ იცლიან. უქმე დღეებში გამოუჩნდებათ მაინცადამაინც გადაუდებელი საქმეეები. ისე, სოსო მასწავლებელი იმით მაინცაა კმაყოფილი, რომ გვარის გამგრძელებელი ძმაკაცებში სატრაბახოდ და მწვადების შესაწვავად სოფელში ასარბენ დროს ყოველთვის ნახულობს...

– ჩემი ბრალია, სანამ მეორე ბიჭი არ მეყოლებოდა, არ უნდა გავჩერებულიყავი. – დანანებით იტყვის სოსოს სოფლელი ბიძაშვილი და თიხის დოქიდან არომატამოფრქვეულ შავსისხლიან ადესას თლილ ჭიქებში ჩამოასხამს. – გოგონები ხელიდან გამისხლტნენ, ერთმანეთის მიყოლებით გამითხოვდნენ. ბიჭს გადავყევით, რომ ესწავლა და კაცი გამოსულიყო, წელებზე დავიდგით ფეხი მე და დედამისმა და მერე რა? ინფორმატიკის ლექტორის სათვალებიანი, მიწას

ძლივსაშორებული გოგო შეუყვარდა ამ ჩვენს ორმეტრიან ბაღანას და რა უნდა გვექნა? დაოჯახდა და დარჩა ქალაქში საცხოვრებლად. არა, რძალს ჩვენი დასაწუნი რაიმე კი არ სჭირს, იმაზე უკეთესიც შეიქნა, რომ მოვიყვანეთ, იმასთან შედარებით, მაგრამ არაა სოფლის გოგო, ნამეტანი გამოხოხებული ქალაქელია. სოფელში ჩამოსვლას ანტალიაში ან ევროპაში დასვენება ურჩევნია და არც გაემტყუნება. ჩვენთან დილით ხან ძროხის ბღავილმა გააღვიძა, ხან ყინყრიტოწაგძელებული მამლის ყივილმა, ხანაც თითზე დასათვლელად შემორჩენილმა მეზობლის დაძახილმა. შარაზე გავიდა და ფეხი ფუნით დაესვარა. კი ვანუგეშეთ, არაა მაი ცუდი ამბავი, ფულის შონა იცისო, მაგრამ ვინ დაგიჯერა? ამდენი წლის რძალია და ძროხის მოწველა კი არა, არ მირქინოსო, ახლოს მიკარების ეშინია, თხასა და კამეჩზე რომ არაფერი ვთქვათ. აი ცხენი მართლა უყვარს, რომ შემოაჯდება და მათრახს ჰაერში შეათამაშებს, ცქერით ვერ გაძღები კაცი, ისე მარჯვედ მიათოხარიკებს, მეტად უშიშარი და გაბედულია. კიდევ კარგი, ჩემს ბაბულიკებს უყვართ სოფელი და ჩვენი თავი, როგორც კი დრო გამოუჩნდებათ, მშობლებთან აღარ ჩერდებიან და სოფლისკენ მორბიან. მხნედ და გულმიცემულები მათი შემხედვარე ვართ და ჩვენს ხლაფორთსაც შნო, აზრი და ლაზათი ემატება, გვაძლიერებენ ბადიშები...

– მიხარია, – სოსო ჭიქას წამოწევს, მიუჭახუნებს ალალ ბიძაშვილს და სულმოუთქმელად დაცლის, – ბუხარს – ალმოდებული ჯირკის ტკაცუნი, ოჯახს სტუმარი, ეზოს პატარების ჟრიამული არ მოაკლო ღმერთო!

– შენს პირს შაქარი. – თანამეინახეს სიტყვას შეაგებებს ბიძაშვილი და სასმელიდან ბახუსის შემაამხანაგებელ სითხეს მოწყურებულივით თვალისდახამხამებაში გადაკრავს. – ამას რას მოვესწარი, სოფელში მოსახლეზე მეტი ნამოსახლარია. ვატყობ, მალე ალავერდს რომ გადახვიდე, ჭიქაზე მომჭახუნებელს, სანთლით რომ ეძებო, ვეღარავის იპოვი.

– ეგა თქვი, ლამისაა გამისკდეს გული.

– მარტო რომც დარჩე, შენ არც მაშინ დაიბნევი, მონახავ გამოსავალს, – სიტყვა შეგვაწია ბიძაშვილის მეუღლემ, – წვერის გაპარსვისას ონკანის თავთან რომ ჩამოკიდებ, იმ ჩარჩოიან სარკეს დაიდგამ წინ, იტყვი სადღეგრძელოს და სარკიდან ვისაც დაინახავ, იმას მიუჭახუნებ. ვიცი მე შენი სიმარჯვის ამბავი...

– რომ მოვიყვანე, მაშინაც ასეთი იყო, რომ არ ეკბინა, იმ ღამეს მშვიდად ვერ დაიძინებდა. – მორიდებით და ალერსიანი სიბრაზით გაუწყრა ბიძაშვილი მეუღლეს.

– ნეტავი იმ დროს... – გული ამოაყოლა რძალმა, – ჯარი ვიყავით მაშინ, დასაწოლად ლოგინი არ გვყოფნიდა და სტუმრიანობისას, ბავშვებს იატაკზე ვუშლიდით ლეიბს.

– კოვიდმა ერთი სასიკეთო საქმე მაინც გააკეთა, სოფლისკენ მოახედა ხალხი, მაგრამ რად გინდა? გამოკეთდა სიტუაცია და ვიღას ახსოვს ახლა სოფელი? თითოოროლას მხოლოდ... – წყენა ვერ დამალა სოსომ.

– იმედია, ღმერთი არ გაგვწირავს და მოწყალების თვალით გადმოგვხედავს.

– იმედია.

სოსო ნელი ნაბიჯებით მოაბიჯებს. გამისწორდა თუ არა, უმალ შეამჩნია ჩემს გვერდით ახალთ-ახალი ურნა. შეჩერდა და დააკვირდა.

– ყოჩაღ სანდასუფთავებას! – ღიმილი დაეფინა სახეზე. – რაც კარგია, კარგია...

– ფიქრია, მგონი მოეწონე. – გადავძახე ცეცხლის მეზობელს.

– საიდან მოიტანე, ხეირიანად არც შემოუხედავს ჩემკენ.

– გეგონოს.

სამსართულიანი კერძო სახლიდან ეთერი გამოვიდა, ნაგერვაძე, ნანუაშვილების ბავშვების ძიძა. თან მოცინცქლული თინია ახლავს, ვაჟიკა დაიკოზე სამი წლითაა უფროსი, მომავალში სკოლაშია შესაყვანი. ეტყობა, დიდ ბიჭად მიიჩნევენ და რამდენიმე წუთით მისი სახლში მარტო დატოვება საფრთხის შემცველი არაა, აი, თინიაზე მაგის თქმა ძალიან ნაადრევია, ეტყობა. ეთერიც ჩქარობს, ცალ ხელში თინიას მოაჩაქჩაქებს, მეორეში ზონარით შეკრული მოზრდილი ყუთი უჭირავს და ერთი სული აქვს, როდის მოიშორებს. გადმოკვეთეს ქუჩა და მოგვიახლოვდნენ.

– ოჰ, გვაღირსეს მეორე ურნა, როგორ მოხერხდა? არჩევნებია ამ თვის ბოლოს თუ რაშია საქმე? – ვერ დამალა სიხარული და ირონია ნაგერვაძის ქალმა. მართლა მძიმე ყუთი მოიტანა, ჩემთან მომეტებულად ჩააგდო და წელი მატკინა. უცაბედად კვნესა ამომხდა, რაც შეუმჩნეველი არ დარჩენია ფიქრიას.

– ხომ არ დაზიანდი? – მკითხა შეშფოთებულმა.

მე ვიუარე. არა, ტკივილს შევიმჩნევდი, ისიც მის დასანახად!

– ქედმაღალი მეჩვენა ეგ ძიძა.

– შეიძლება. ისეთ გარემოში ტრიალებს, რომ ვფიქრობ, თავის გადასარჩენად და რომ არ დაიჩაგროს, უფრო მაგისთვის ჭირდება.

– ნანუაშვილები როგორი ხალხია?

– რა გითხრა აბა? ზოგი რას ამბობს და ზოგი – რას. ისე, დაკვირვებული ვარ, ათ ტყუილში ორი-სამი სიმართლე ყოველთვის გამოერევა. თუ ამ პრინციპით ვიმსჯელებთ, ზოგადი სურათის დახატვა შეიძლება. ოჯახის უფროსს გონერი ქვია, ისე მთავარი მოქმედი პირი მისი მეუღლე ხათუნაა. გონერი ჩასიძებული კაცია და მისი უფლებებიც ისეა შეკვეცილი, როგორც ჭიშკრიდან საცხოვრებელ სახლამდე გაჭიმულ მავთულზე გამომბმული ძაღლის შესაძლებლობები. გონერი წარმოშობით სოფლიდანაა, უმაღლესი, ასე თუ ისე, დაამთავრა. სოფელში დაბრუნება და მიწაზე მუშაობა იუკადრისა. ქალაქში პატრონი ვერ იშოვა, ფეხიც ვერსად მოიკიდა. ყველა სამსახურში ორ თვეზე მეტი ვერ გაძლო. ან ათავისუფლებდნენ, ან თვითონ ტოვებდა. რა დასამალია და, არ უყვარს შრომა. ნაბოლარა და ნაფერებად გაზრდილი ბიჭი ტლანქი, მოუქნელი და როყიო გამოდგა. ისე, თავის ჭკუის ხალხთან საერთო ენის გამონახვა არასდროს უჭირდა და ყოველთვის ახერხებდა. ერთხელაც, ქალაქში ხეტიალისას ერთ-ერთ სარეკლამო ბანერზე გამოკრულ განცხადებაში ამოიკითხა, რომ ახალგახსნილი რესტორანი „მხიარული ხაფანგი“ მიმტანის ვაკანსიაზე სამუშაოდ იწვევდა ოცდაორიდან ოცდაათ წლამდე ახალგაზრდა მამაკაცებს და გოგონებს, უმაღლესი განათლებით, რუსული ან ინგლისური სასაუბრო ენის ცოდნით, ორცვლიანი სამუშაო გრაფიკით და, რაღა თქმა უნდა, კარგი ანაზღაურებით. ერთ საათში რესტორანთან გაჩნდა. გაიკითხ-გამოიკითხა და მენეჯერთან ოთახში მიიყვანეს. ოთახში სამნი დახვდა. ერთი, როგორც მოგვიანებით გაეცნო, მენეჯერი ოთარ გოგუაძე, მეორე ოქროსფერთმიანი, ჩაპუტკუნებული და რომ დაშვენოდა, იმაზე გაცილებით მეტად ბოტოქსით ტუჩებდაბერილი და წითლად მოტყუპნული, ისე რა შესახედაობის, უფრო მაჭანკალის დაძალებით თუ შეხედავდა დასაოჯახებელი კაცი, ისეთი გარეგნობის გოგონა ხათუნა ვაშაყმაძე და წითური ბუღალტერი, რომლის სახელი, მომიტევეთ და ვერ ვიხსენებ, დამავიწყდა. რამდენიმე წუთიანი გასაუბრების შემდეგ ერთთვიანი უფასო სტაჟირება შეთავაზეს, დღეში ორჯერადი უფასო კვებით, „ჩაიების“ სრულად შენარჩუნებით, თუ პირობები აწყობდა, მუშაობა მეორე დღის ათი საათიდან უნდა დაეწყო. გონერმა მოსაფიქრებლად დრო ითხოვა. კარგიო, დათანხმდა მენეჯერი და ორი დღე მისცა, ხელი ჩამოართვა და გამოემშვიდობა. წელათრეული გამოვიდა ოთახიდან. დიდი არა, მაგრამ მინიმალური ხელფასის მოლოდინი ნამდვილად ჰქონდა. თავი ხომ უნდა ერჩინა, ბინის ქირა გადაეხადა, სოფლიდან მშობლები ფულს ვერა, მაგრამ რაც გააჩნდათ, იმას უგზავნიდნენ. ყველით, მჭადით, კიტრის და პომიდვრის მწნილით, მაწვნით, ნადუღით, ამოლესილი ლობიოთი, შემწვარი და მოხარშული კვერცხით თავის გატანა შეიძლებოდა, მაგრამ გონერის ამბიციას ვერ აკმაყოფილებდა. შეძლებულ და წელგამართულ ცხოვრებაზე ოცნებობდა და როგორ მიეღწია ამისთვის, ეს არ იცოდა. მიაბიჯებდა ქალაქის ქუჩებში და გული ბოღმით ევსებოდა.

– ახალგაზრდავ, ერთი წუთით! – ესმის ქალის ხმა და გვერდით მოიხედავს. ნაცნობად ვერავის იგულებს და მორიგი ნაბიჯის გადადგმას შეეცდება, მაგრამ იგივე ხმა ისევ აჩერებს, – აქა ვარ, ვერ მხედავთ?

ხმა ღია ტროტუარზე გახსნილ ბარიდან მოდის. დაკვირვებით გაიხედა და დაინახა ფეხზე

წამომდგარი გოგო, რომელიც ხელების ქნევით იხმობდა.

– მე მეძახით? – გაიკვირვა გონერმა.

– აუუუ, რა გჭირს, მოდით ჩემთან.

– ახლავე. – გასძახა და მაგიდებს შორის გაიკვალა გზა.

– ვერ მიცანით?

გონერი დააკვირდა და რესტორანში, მენეჯერის ოთახში მყოფი გოგო ამოიცნო.

– მაპატიეთ, როგორ არა, ცოტა დაბნეული ვარ... გიცანით, ღვთის წყალობით, მახსოვრობას არ ვემდური.

– ძალიან კარგი. მე ხათუნა ვარ, იმ რესტორნის მეპატრონის ქალიშვილი.

– სასიამოვნოა, – ჩაილაპარაკა და შეატყო, ხასიათი თანდათან გამოუკეთდა, – მე დაგიძახე და მე გეპატიჟები. ოღონდ, პირველ ხელფასზე ამ კაფეში შენი სტუმარი ვიქნები.

– ჯერ მუშაობა არ დამიწყია, რა დროს ჩემი პირველი ხელფასია, მთელი თვე სტაჟიორი უნდა ვიყო, თანაც უხელფასო.

– არ მიყვარს წუწუნა კაცები, დაიმახსოვრე, – გააფრთხილა გოგომ, – შენ ეს მითხარი, მართლა გინდა მუშაობის დაწყება?

– მინდა, თანაც საჩქაროდ.

– ხვალამდე ვერ მოითმენ?

– თქვენ თუ მთხოვთ, მაშინ კი.

– ბევრი არ მოგივიდეს?

– დავიღალე პატარ-პატარა მოთხოვნებით, ახლა რაღაც გრანდიოზული მინდა გავაკეთო, თავი დავიმკვიდრო და ვინც გვერდში ამომიდგება, იმათ წავადგე, გავახარო და გავაბედნიერო.

– პოლიტიკური პარტია ჩამოაყალიბე, გირჩევ, დემაგოგობა მშვენივრად შეგძლებია, საქმის გაკეთებით არც ისინი არ იკლავენ თავს, რაღა შენ უნდა მოგთხოვონ გამონაკლისობა. გამონახე სპონსორები, იყოლიე აქტივისტები, გაიწყვიტე შუბლის ძარღვი, შეპირდი რისი შემსრულებელიც არ ხარ, ზუსტად ის და რა იცი, სამომავლოდ იქნებ პარლამენტშიც ამოჰყო თავი. ა, რას იტყვით, როგორი აზრია?

– მადლობა უფასო რჩევისთვის. არ მეგონა ჩემს დასამცირებლად და დასაცინად თუ დამიძახებდი. – იწყინა გონერმა და გაბრაზებული ფეხზე წამოდგა, წასასვლელად მოემზადა.

– აუუუ, გადავამლაშე ხომ? მაპატიე, გთხოვ, ეტყობა ვერ მოვზომე სათქმელი და სიტყვა გამექცა. ვწუხვარ, თქვენი გაბრაზება აზრადაც არ მომსვლია, დღეს ისედაც მძიმე დღე მაქვს... გთხოვთ, არ დამტოვოთ და რასაც ისურვებთ, პირწმინდად შეგისრულებთ...

– ნუ შემიწუხდებით, არ ღირს... რომ იცოდეთ, მეც მძიმე დღე მქონდა.

– მაშინ ჯერ შენ მითხარი, რატომ ხარ გაბრაზებული? – ჩაეკითხა ხათუნა.

– არ დაგაინტერესებს, ერთი ჩვეულებრივი, უიღბლო დღე მოვიტოვე უკან. სამ დამსაქმებელს შევხვდი და გავესაუბრე, შედეგია ნული. რესტორანი მეოთხე იყო. აქ ჯერ კიდევ დარჩა ნაპერწკალისხელა იმედი.

– ოო, ეს პრობლემები ჩემგან შორსაა. მე მამამ გამაბრაზა, მისი არჩეული ტიპის გაცნობაზე უარი ვთქვი და იმით დამსაჯა, რომ ევროპის გარშემო ათდღიან ტურში არ მიშვებს. მეგობრები ორ დღეში მიდიან, მე კი... – ამოიხვნეშა ხათუნამ და თვალები შეუწყლიანდა. – ასეთი ქაჯობა გაგონილა?

– თუ რამეში შემიძლია წაშველება, ჩემი იმედი იქონიეთ, მზად ვარ... – გამოიდო თავი გონერმა.

– ასეთი საუბარი მომწონს. – შეაქო ხათუნამ და მარცხენა ხელი მაღლა ასწია. – ვინმე მომაქცევს ყურადღებას თუ გვერდით რესტორანში გადავიდე? – იკითხა ცივი, გამყინავი ხმით. დამთავრებული არ ჰქონდა წინადადება, რომ ერთი აქლოშინებული მიმტანი მიუახლოვდა.

– გვაპატიეთ, ერთი ჭირვეული კლიენტი გვყავს და წაგვჭამა თავი უსაფუძვლო პრეტენზიებით. ფულის გადახდა არ უნდა და რას არ კადრულობს, ვერ წარმოიდგენთ. – შეაცოდა მიმტანმა თავი ხათუნას, მაგრამ დანამდვილებით შემიძლია გითხრათ, რომ მისი ნაამბობისთვის ყური არავის დაუგდია. – მენიუ თუ შეიძლება და სანამ არ ჩაგანიშნინებთ, რა გვინდა, ადგილიდან ფეხი არ მოიცვალოთ. – მსუსხავი ტონი შეინარჩუნა ხათუნამ. მენიუ გადაშალა, გადაფურცლა, რაღაც იკითხა, რაღაც დააზუსტა და

შემდეგ იმდენი შეუკვეთა, რომ ცივმა ოფლმა დაასხა გონერის. – გვეყოფა, არ ინერვიულო. თუ რამე, კიდევ შევუკვეთავთ, ჩვენი ნება არაა? – თქვა გამომწვევად.

– როგორც ისურვებთ, მე თანახმა ვარ. ისე, უხერხულ მდგომარეობაში კი მაყენებთ...

– დამშვიდდით, გთხოვთ. არ იქნება ურიგო, თუ გაგიცნობთ. ვინ ხართ, მე მხოლოდ სახელი და გვარი გამიგია თქვენი.

– მაგის მეტი, ჯერჯერობით თავმოსაწონი არაფერი მაქვს. უმაღლესი დავამთავრე, ბაკალავრის დიპლომი მაქვს, ვიცი დამტვრეული რუსული და უცხოელს რომ დავაფრთხობ, იმდენი ინგლისური. მაქვს უზარმაზარი სურვილი რეალიზებული ადამიანი გავხდე და კაი ანაზღაურებად სამსახურში ვიმუშაო.

– შესაქები ახალგაზრდა ხარ! ჩემგან ერთი დიდი კი.

– მადლობა თანაგრძნობისათვის.

– ქალაქელი ხარ?

– არა, აქ ქირით ვცხოვრობ.

– გასაგებია. ეგ რა პრობლემაა. ჩემი მშობლებიც სოფლებიდან ჩამოვიდნენ, უმაღლესში გაიცნეს ერთმანეთი, დაქორწინდნენ, მერე დაშორდნენ, ორი წლის შემდეგ ისევ შეუღლდნენ და ცხოვრობენ ახლა ტკბილად და უდარდელად. რომ იტყვიან, ჩიტის რძე არ გვაკლია, მე კი სიყვარული მაკლია, თავისუფლება მაკლია, სუფთა ჰაერი და უღალატო მეგობრები. ირგვლივ მხოლოდ ის მყავს, ვინც ჩემს მშობლებს უნდა. ჯიბეგასისინებული მამების შვილები, პრაგმატულები, გრძნობაგამოფიტულები, ბრიყვები და საოცრად ანგარებიანები. ჩვენს წრეში შემთხვევით ვერავინ მოხვდება, განსაკუთრებული სტატუსია საამისოდ საჭირო. ვატყობ, მეც მალე ამ კასტის რიგითი წევრი გავხდები და თვალდახელშუა, გავიხრწნები, სხვა პერსპექტივა არ მაქვს, მომყირჭდა ეს ყველაფერი, საიდან ამდენი ამპარტავნება, მოჩვენებითობა, გაუტანლობა და ნიჰილიზმი. ბებია მენატრება, სოფელი და იქ გატარებული უდარდელი ბავშვობა, ბიძაშვილ-მამიდაშვილ-დეიდაშვილებთან ერთად ღელეში ფეხშიშველა ტყაპუნი, კლასობანას, მგელობანას და კუკუდამალობანას თამაში, ბავშვობაში დაბრუნება მინდა, გულუბრყვილო, მიამიტ პატარა ადამიანად დაბრუნება, რომელსაც ცისარტყელასფერებიანი ოცნებები გააჩნია და ამითაა გახარებული. კიდევ? კიდევ თუნუქით გადახურულ სახურავზე აცეკვებული თავსხმა წვიმის ცქერა და მოსმენა მენატრება, საგვიანო ვაშლის დაუმწიფებელი ნაყოფის გემოს გასინჯვა, ეზოს განაპირას რომ გვედგა და უზარმაზარი ტოტებით გვიცავდა ბავშვებს წვიმისა თუ თაკარა მზისგან. ხომ მისმენ, რამდენი რამ მდომებია, თუ მოგაწყინე უკვე თავი?

– რას ამბობ, გულისყურით გისმენ, საოცრად დასამახსოვრებელი ბავშვობა გქონიათ. თუ რითიმე დახმარება შემიძლია, გვერდით მიგულე.

– რომ მისმენ და არ მაწყვეტინებ, უკვე მეხმარები.

– უფრო მეტის გაკეთება მინდა შევძლო.

– რამდენი წლის ხარ?

– ოცდაშვიდის.

– დროს ტყუილად ნუ დაკარგავ, პატრონი თუ არ გყავს, ქვედა საფეხურს ვერ ასცდები, დაიმახსოვრე.

– ამას ვხდები და ვიბოღმები.

– ცუდია, დაბოღმილი ადამიანი ხშირად სწორ არჩევანს ვერ პოულობს და შეცდომას შეცდომაზე უშვებს, რითაც დასახულ მიზანს შორდება. ჯიუტი უნდა იყო, ენერგიული და მებრძოლი. ახალგაზრდას უხდება ბრძოლა, თავგანწირვა, რისკზე წასვლა, დაცემა და ამაღლება. ადრე თუ გვიან, ის დასახულ მიზანს აუცილებლად მიაღწევს. ამას ბაბუა მიმეორებდა ხშირად, ჩემი სიტყვები არ გეგონოს. შენც გულს ნუ გაიტეხ. გულში ფიქრობ ალბათ, მიმტანობა რა ჩემი საქმეაო, მაგრამ ახლა სხვა გამოსავალი არ გაქვს, უმუშევრობას ნამდვილად სჯობს, მოდი აქედან დაიწყე, არ იუკადრისო შრომა და ისწავლე საზოგადოებაში გამოჩენა, ტივტივი, ლავირება, შეეცადე, შენს გზას მიაგნო და იმ გზით გააგრძელო სვლა.

– მეც ეს მინდა, თანაც ძალიან.

– ჰო და ხვალ ათს რომ დააკლდება 15 წუთი აუცილებლად მოდი რესტორანში, მამას ვთხოვ

და სამსახურში ავაყვანინებ შენს თავს, თან იმაშიც შეგაწევ სიტყვას, ხელფასიც დაგინიშნოს. ისე, რომ იცოდე, ჩვენთან ბონუსები ხშირად ხელფასზე გაცილებით მეტია. შენი შანსი გამოიყენე...

– არ ვიცი მადლობა როგორ გადაგიხადო. – უხერხულობიდან შეიშმუშნა გონერი და გოგოს დააკვირდა.

– როცა მაგის დრო მოვა, მიხვდები, როგორ მოიქცე. გონიერი ჩანხარ და დარწმუნებული ვარ, არ გაგიჭირდება სწორი არჩევანის გაკეთება. მთავარია შენი თავის გჯეროდეს და მიწას არ მოწყდე. ღრუბლებში აღზევებულებს უჭირთ დედამიწაზე დაბრუნება, ეს მათთვის კატასტროფის ტოლფასია. არადა ჩვენი სახლი და სამოსახლო აქაა, მიწაზე, ერთმანეთის სიახლოვეს.

– ეს ვიცი.

– ძალიანაც კარგი. მგონი გვეშველა, ჩვენი დაკვეთაც მოდის. არავითარი პოლემიკა და აზრთა სხვადასხვაობა, გაუმარჯოს ერთსულოვნებას და ტოლერანტობას. სუფრას შენ უთამადებ, ეს ჩემი სურვილია, ისე, ალტერნატიული კანდიდატურა არც მყავს. დაიმახსოვრე და დირექტორის ქალიშვილის გადაწყვეტილების გასაჩივრება არ გაბედო...

– ვატყობ, გამიჭირდება დირექტორის ქალიშვილთან საერთო აზრის გამონახვა.

– ვერ გავიგე, მითხარი რამე? – ჩაეკითხა ხათუნა და გამომცდელი მზერა მიაპყრო გონერს.

– არა, ერთი ორი სიტყვა ჩავილაპარაკე ჩემთვის... – მიუგო გონერმა და საკვების საგორებელი ურიკით მოტანილ კერძებს მოშიებული თვალებით ხარბად დააშტერდა.

– ვახსენოთ ღმერთი, გადავიწეროთ პირჯვარი და შევუდგეთ ტრაპეზს.

– დიდი სიამოვნებით, ქალბატონო... – უპასუხა გონერმა და მხურვალებაშემორჩენილი შამფური აიღო, წამოდგა, ხათუნასთან მივიდა და თეფშზე რამდენიმე ნაჭერი მწვადი დაუდო. ქალს ესიამოვნა კაცის მხრიდან გამოვლენილი ჯენტლმენობა და გაუღიმა.

– თუ ნებას დამრთვათ, სასმისსაც შეგივსებთ. – თავი გამოიდო გონერმა და პასუხის მოლოდინში გაიტრუნა.

– არ იქნება ურიგო, – ბიჭის ეს საქციელიც მოიწონა გოგომ, – შენთვისაც დაისხი და კერძიც გადაიღე. უმადო ხალხი არ მიყვარს, დაიმახსოვრე!

– ახლავე. – თბილღვინოს ჩამოსხმა ნახევრადტკბილი „ქინძმარაულის“ სურნელი ხათუნას ბოკალიდან ერთბაშად ამოიფრქვა.

– მე და უმადობა? – გაიკვირვა ბიჭმა. – თუ გამამხნევებ, პირველი სადღეგრძელოსაც ვიტყვი. – როცა მისი სასმისი შეავსო, მერე თქვა გონერმა.

– ჩათვალე, ჩემგან სრული მხარდაჭერა გაქვს! ბრძანე! – მიიღო თანხმობა.

– ვიცი, ორიგინალური არაა, რასაც ახლა ვიტყვი, ბევრი და მაღალფარდოვანი ლაპარაკი ისედაც არ შემიძლია, მაგის ნიჭი არ გამომყვა. ყველაზე მეტად ადამიანებში ვაფასებ გულწრფელობას, მიზანდასულობას, კეთილ გამოხედვას და ნდობას. მადლობელი ვარ განგების, ეს წუთები რომ მაჩუქა და გამაცნო დღემდე სრულიად უცხო ადამიანი, სახელად ხათუნა.

– იცი, ხათუნა რას ნიშნავს? – მოულოდნელად იკითხა გოგომ და გონერს სიტყვა გააწყვეტინა.

– ჩემი განმარტებით, კალმით ნახატ ერთ გოგონას.

– ჩაგეთვალა, მაგრამ სწორი არაა. ხათუნა თურქულ და ირანულ ენებში ქალბატონს და მანდილოსანს ნიშნავს. იცოდი?

– დანამდვილებით არა, მაგრამ რაღაც მაგდაგვარს კი მეუბნებოდა გული, – არ დაიბნა გონერი, – ნამდვილი ქალბატონი ხარ, ამას დანახვისთანავე მიხვდება კაცი, თუ ბრმა არაა. გაიხარეთ...

– კაი, კაი, ნუ გაიკრიფე ენად, დავლიოთ აბა სადღეგრძელო და ჩაიცდინე ლუკმა პირში.

ინდური ფილმის სიუჟეტივით მხიარულად, რომანტიკულად და ხალისიანად წარიმართა გონერის შემდგომი ცხოვრება. მეორე დღეს სამსახურში მიიღეს, ერთ თვეში, ზუსტად ხელფასის აღების დღეს, ხათუნა ქალაქის საუცხოო რესტორანში დაპატიჟა და იმაზე მეტი თანხა დაახარჯა, ვიდრე ემეტებოდა. არ უნანია, ახლა

მიზანი ჰქონდა, რაც არ უნდა დაჯდომოდა, მისი გული მოეგო. მტკიცედ გადაწყვიტა, მცირედი შანსი, რაც გოგოსთან მინიმალური ურთიერთობით და მცირე ფლირტით გამოიხატებოდა, მაქსიმალურად გამოეყენებინა. ჯერ საკუთარი თავი დააჯერა, რომ მისი მომავალისთვის ხათუნას ცოლად მოყვანა ერთადერთი და უალტერნატივო გამოსავალი იყო. გრძნობდა, რომ არ უყვარდა, მაგრამ მთელი არსებით ცდილობდა დაეჯერებინა, რომ, მისი ხვალინდელი დღისთვის ასე აჯობებდა. დამოუკიდებლად რასაც მიაღწევდა, კარგად უწყოდა. მისი ნიჭის, უნარის და შრომისმოყვარეობიდან გამომდინარე, ნული შანსი ჰქონდა. ამიტომ იმ ხავსს ჩაებღაუჭა, გადარჩენის იმედად რომ მიაჩნდა. ყური მოჰკრა, რესტორანი გათხოვების შემდეგ მზითვად ხათუნას ერგებოდა, უფრო გააქტიურდა. დასვენების დღეს შეიარა რესტორანში, ხათუნა მოძებნა და ხინკალზე დაპატიჟა. რა გადაუდებელი საქმეები უნდა აღმოჩენოდა გოგოს ისეთი, რომ ვერ მოეცალა. ჰო და, გამონახა თავისუფალი დრო, გონერმა ტაქსი გამოიძახა და მძღოლს ყველაზე ძვირიანი სახინკლის მისამართი უთხრა.

– ხუთ წუთში მანდა ვართ. – დაამშვიდა მგზავრები შოფერმა და მანქანა ადგილიდან დაძრა.

– დღეს არ ისვენებ? – დაინტერესდა გზაში ხათუნა.

– დასვენებას ყოველთვის მოვასწრებ, ასეთი ანგელოზის გვერდით ყოფნის ბედნიერება კი არ მინდა მივიკლო.

– რას მეუბნები? სულაც არ გამიკვირდება ლექსების წერა რომ დაიწყო...

– გამიგია, ლექსს შეყვარებულები წერენო. მე არც პოეტი ვარ და არც შეყვარებული ჯერ.

– მაშინ რა გჭირს?

– განუკურნებელი სენი.

– არ გინდა, ვერ გამაცურებ. არც ისე ახლოს ვარ შენთან, რომ შენმა სამედიცინო დიაგნოზმა, რაც არ უნდა ცუდი იყოს, გული მატკინოს, იცოდე. ამოღერღე ახლა, რის თქმას აპირებ?

– მოგვიანებით რომ იყოს, სუფრასთან, ხომ არ გამიბრაზდები?

– გააჩნია, როგორ მოიქცევი.

– რა თქმა უნდა, სანიმუშოდ. თუ გინდა ბიბლიაზე ხელის დადებით დავიფიცებ.

– ჯერ ხელი კარგად დაიბანე... – ურჩია ხათუნამ.

განცალკევებულ კუპეში ჩამოსხდნენ და დაკვეთის მოტანას დაელოდნენ.

– ამოიღებ ენას თუ იქნები ასე მუნჯივით დადუმებული? – შეუტია ხათუნამ.

– მიყვარს სიჩუმე და ერთი გოგო...

– აბა შეყვარებული არ ვარო? – შეახსენა ხათუნამ.

– ვმალავ, როგორც შემიძლია, მაგრამ თავს ვერ ვერევი...

– ვინაა მაი ბედნიერი, არ გაგვიმხელ?

– გეტყვი, მაგრამ ეჭვი მეპარება, რომ დამიჯერებ.

– სინჯე მაინც, იქნებ ცდად ღირდეს?

– რაკი არ მეშვები, ექსკლუზიურად მხოლოდ შენ გეტყვი, სხვას არ გავუმხელ...

– ამოღერღე, თუ კაცი ხარ, მომკლა ცნობისმოყვარეობამ. – ნერვებმა უმტყუნა ხათუნას.

– რაკი მაძალებ, გეტყვი, ისე არ ვაპირებდი, ღმერთია მოწამე. ჩემი ანგელოზი აგერ, ჩემ პირდაპირ ზის, მიყურებს და ენით ვერ გადმოვცემ, როგორ სიხარულს, აღფრთოვანებას და ბედნიერებას მანიჭებს. – ისეთი ხმით თქვა გონერმა, რომ მისი სიტყვების გულწრფელობა, მგონი, თავადაც დაიჯერა.

სიჩუმე ჩამოწვა მცირე ხნით, შემდეგ...

– რა�ა? – პირი ღიად დარჩა ხათუნას. იმ წამს ვერ მოიფიქრა, როგორ მოქცეულიყო, მოულოდნელობისაგან გაბრაზებულიყო, თუ ჩვეულებრივ, სხვათა შორის გაეტარებინა და ვითომც განსაკუთრებული არაფერი მომხდარიყო, გაღიმებული მიეღო გონერის ნათქვამი, – შენ სრულ აზრზე ხარ, ხვდები ახლა რა მითხარი?

– კი და ამაზე ბევრი ღამე მაქვს ნაფიქრი.

– ღამე რატომ მიაყოლე, დღე არ გეყო? – ირონია შეეპარა ხათუნას.

– დღე ვმუშაობ და სამაგისოდ სად მცალია?

– ხომ ხარ ღირსი, ავდგე ახლა და მიგატოვო.

– რატომ? – ვერ მიუხვდა გონერი, – რასაც ვფიქრობ, იმას გეუბნები გულწრფელად. ღმე-

რთს ვფიცავარ, არ ვტყუი. შეეცადე გამიგო, გთხოვ? – შეეხვეწა გაბზარული ხმით.

– უარესი მეკუთვნის! – ამოიხვნეშა ხათუნამ და თავი მკლავებში ჩარგო, – შენი ერთი სიტყვაც არ მჯერა!

– ახლა თუ გინდა, ნუ დამიჯერებ. ოღონდ ჩემს ნათქვამს ქარს ნუ გაატან, როცა საჭიროდ ჩათვლი, რამდენიმე წამით იფიქრე მაინც. ცოდვა ვარ...

– რასაც ვფიქრობ, ახლავე რომ გითხრა? – გამომცდელად შეაპარა გოგომ და პასუხის მოლოდინში გაილურსა.

– ახლა არ მინდა, დაფიქრდი და მერე, რა... – შიშს იმაზე დიდი თვალები აღმოაჩნდა, ვიდრე გონერი მოელოდა. ერთიანად აიწურა, ტანში ჟრუანტელმა გაუარა და შუბლზე ცივმა ოფლმა დაასხა. ცალი თვალით ხათუნა შეათვალიერა. შინაგანი რწმენა არ ღალატობდა, თავს ატყობდა, რომ დღიდან დღემდე მოსწონდა გოგო და ეს განცდა ფარულ და გაუმჟღავნებელ სიხარულს ანიჭებდა. მისი ჩანაფიქრი მოქმედებდა და სასურველი შედეგის მისაღწევად უკან დამხევი რომ არ იყო, დაიჯერა. „ღმერთო, გადმომხედე მოწყალების თვალით და ეს თხოვნა ამისრულე, უსინდისო კაცი ვიყო, თუ კიდევ რაიმესთვის შეგაწუხო...“ – გაიფიქრა გულში და შვებით ამოისუნთქა.

ხათუნას არ მიუტოვებია, ოღონდ მთელი საღამო გაბრაზებული, გაგულისებული და გამომცდელი ქალის ნიღაბი არ ჩამოუხსნია სახიდან. ხინკალი ერთად მიირთვეს, ნახევარლიტრიანი უცხოური არაყიც დააყოლეს, სადღეგრძელოს გონერი ამბობდა, ხათუნა უსიტყვოდ ეთანხმებოდა და სირჩას მაღლა სწევდა, ოღონდ დემონსტრაციულად არ უჭახუნებდა თანამეინახეს. გულისწყრომის გამოხატავის მისეული ფორმა გამონახა და რაკი მოეწონა, მთელი სუფრა პრინციპულად შეინარჩუნა. მოგვიანებით, პიცაზე უარი განაცხადა, იმერულ ხაჭაპურზეც, მადა დამეკარგაო, გოგომ. ბიჭმა დაძალება ვერ გაბედა, ანთებული სანთელივით უფრთხილდებოდა ხათუნას კეთილგანწყობას და თავის მომავალს. გაბუტულებივით ისხდნენ და თითო-ოროლა სიტყვას თუ ეტყოდნენ ერთმანეთს. ქუჩაში საყვავილესთან შეჩერდნენ, გოგოს რამდენიმე წუთით მოცდა სთხოვა და მაღაზიაში შევარდა. იქედან ვარდის თაიგულით დაუბრუნდა ხათუნას.

– სახლში რომ მივალ, ჩემებს რა ვუთხრა, ეს თაიგული საიდან გაქვსო, რომ მკითხავენ?

– ნუ დამალავ და უთხარი, მე რომ გაჩუქე.

– ვერა ხარ ნორმალური... – თავი გააქნია ხათუნამ და გზა განაგრძეს.

მეორე დღეს სასტუმროს მფლობელმა, ანუ ხათუნას მამამ, მენეჯერის პირით თავისთან დაიბარა გონერი. ბერდია ვაშაყმაძის აპარტამენტები პირველ სართულზე მდებარეობდა და ხალხმრავალ და ხმაურიან ქუჩას გადაჰყურებდა. პირველად უნდა შეხვედროდა მთავარ შეფს, რომელსაც მარტო საკუთარ ბიზნესის კი არა, თუ მოინდომებდა, გონერის ცხოვრების დღევანდელი და ხვალინდელი დღის შეცვლა შეეძლო.

მისაღებში მდივანმა აიფონიდან თავი წამოსწია და... ამდენ ხანს სად ხარ, გელოდება. შეეცადე უფრო მოუსმინო, ვიდრე ილაპარაკო, მთლად კარგ ხასიათზე ვერაა დღეს და გაბრაზებას მოერიდეო, უთხრა და ტელეფონში ჩაიკარგა.

კარებზე დააკაკუნა და მორიდებით შეაღო.

– შეიძლება? – იკითხა.

– შემოდი, შემოდი... – ბერდიას უხასიათობის არაფერი ეტყობოდა, – ჩამოჯექი, – ხელით გვერდით სკამზე მიანიშნა, – სახელი და გვარი შემახსენე?

– გონერი ნანუაშვილი, მესამე სივრცეში მიმტანი.

– რამდენი თვე მუშაობ ჩემთან? – ჩაეკითხა.

– მეორე თვე დაიწყო გუშინ.

– კმაყოფილი თუ ხარ?

– სავსებით.

– ეს კარგია, – ნოუთბუქი დახურა და ფეხზე წამოდგა, – როგორც შეგატყვე, ჩემთან რაიმე პრეტენზია, შენიშვნა ან სათქმელი არ გაქვს?

– დიახ... – დაბნეულად მიუგო გონერმა.

– სამაგიეროდ მე მაქვს სათქმელი. მოუჭრა ბერდიამ და ხმა გაუმკაცრდა, – ჩემს ქალიშვილთან რა გინდა?

– ხათუნასთან?

– აბა მეორე უკვე გათხოვილი მყავს და ვენაში ცხოვრობს. თუ არ ვცდები, იმას არ უნდა იცნობდე?

– არა. – დანამდვილებით უთხრა.

– მიდი, ხათუნაზე მესაუბრე, გისმენ... – საპირისპირო სკამზე ჩამოჯდა ბერდია და მოჭუტული თვალებით მიაშტერდა გონერს.

– მოსაყოლი რა მაქვს, სულ ერთი თვეზე ოდნავ მეტია ვიცნობ...

– პირველ ხელფასამდე პრესტიჟულ რესტორანში დაპატიჟე და სოლიდურად დაიხარჯე, გუშინ სახინკლეში, ვერც მაქ გამოძვრებოდი იაფად. გამანდე, მომდევნო რომელი იქნება: რესტორანი, კაფე თუ ლუდის ბარი?

– არც მასეთი წელგამართული ვარ.

– რაღაც არ გეტყობა. რატომ იდგამ წელებზე ფეხს, ეს მაინც ამიხსენი, თუ კაცი ხარ?

გონერს ენა წაერთვა.

– ერთი ჭიქა წყალი, თუ შეიძლება? – ითხოვა მცირე პაუზის შემდეგ.

– იქნებ ვისკი გაგესინჯა?

– არა, გმადლობთ...

– დაფიქრებულიყავი მაინც.

– ისეც იშვიათად ვსვამ და სამსახურში პირში რომ ჩამასხან, ახლოსაც არ გავეკარები.

– რატომ, ადგილს უფრთხილდები?

– ადგილსაც და საკუთარ რეპუტაციასაც.

– კარგია, ეს მომწონს, არ ჩანხარ ურიგო ბიჭი, – სახეზე არაფერი გამოხატვია, ისე უთხრა გონერს, მეორე ოთახში შევიდა, მაცივრის კარი გამოაღო და პოლიეთილენის ნახევარლიტრიანი ბოთლი გამოიღო. გონერთან მივიდა და მიაწოდა, – ჭიქა არ მომთხოვო, მაქედან მიირთვი.

მთელი ბოთლი სულმოუთქმელად დაცალა.

– ოჰ, შენ მართლა გწყურებია, დამაცა, მეორესაც მოგიტან.

– არ გინდათ, ნუ შეწუხდებით.

– ეს რა შეწუხებაა.

წყლის მეორე ბოთლსაც გამოუტანს და მუჭაში ჩაუდებს. გონერი თავსახურს მოაძრობს და რამდენიმე ყლუპს დალევს.

– რაც მითხარი, იმას არაფერს დაამატებ?... – თავი შეახსენა ბერდიამ.

– ჩვენ უბრალოდ ვიცნობთ ერთმანეთს. – ძლივს ამოილუღლუღა ბერდიამ.

– ესაა სულ? – აშკარაა, პასუხმა არ დააკმაყოფილა შემკითხველი.

– დიახ.

– რაღაც არ მჯერა.

ბიჭი თავდახრილია და დუმს.

– ჩვენთან თვეში რამდენს ღებულობ?

თანხა დაუსახელა.

– ხუთ მაგდენს გადაგიხდი და ჩემს გოგოს ახლოსაც არ გაეკარო.

– მაგდებთ?

– არა, წადიო, არ მითქვამს. მუშაობა გააგრძელე, აქ შენით ყველა კმაყოფილია, საყვედურის საფუძველი არ მაქვს, ოღონდ ჩემი მოთხოვნები შეასრულე. თუ დაარღვევ, არ გაპატიებ იცოდე.

– გავიგე, – უხასიათოდ მიუგო გონერმა და ფეხზე წამოდგა, – განცხადებას მენეჯერთან დავტოვებ. არ დავმალავ და აქ გატარებული დღეებით კმაყოფილი ვარ, ყოველთვის სასიამოვნოდ გავიხსენებ. – თქვა, წამოდგა და კარისკენ შებრუნდა.

– რაღაც არ მაგონდება, წასვლის ნება მომეცა! – გაკვირვება ვერ დამალა ბერდიამ, – დაჯექი ადგილზე!

– არ ღირს, – თვალი თვალში გაუყარა რესტორნის მფლობელს და გამომშვიდობების აღსანიშნავად, თავი დაუკრა, – შეხვედრამდე...

– ახალგაზრდა ხარ და ზედმეტი სიამაყე დაგღუპავს.

– თქვენს რჩევას გავითვალისწინებთ და შევეცდები წინდახედული ვიყო.

– არ გინდა ეს ირონია, არ გშვენის.

კარი იღება და ოთახში ხათუნა შემოდის. მას ფეხდაფეხ შეწუხებული და სახეწაშლილი მდივანი მოჰყვება.

– არ დამიჯერა და უნებართვოდ შემოიჭრა. – ისე ჩაილაპარაკა, შეფისკენ გახედვაც ვერ გაბედა.

– ვხედავ, არ ინაღვლო, დაგვტოვე... – მოკლედ მოუჭრა ბერდიამ.

– მამის სანახავად ნებართვა თუ მჭირდებოდა, დღემდე არ ვიცოდი.

– მგონი უკეთესიცაა, მისი აღმატებულება ხათუნა საკუთარი ინიციატივით რომ გვეწვია.

– რა გამოვტოვე? – იკითხა ხათუნამ.

– დროზე მოგვისწარი. – დაამშვიდა მამამ.

– კეთილი, ბატონო, მაშინ სულგანაბული გისმენთ?

– მინდა იცოდე, შვილო, გონერი გვტოვებს, თანაც საკუთარი ინიციატივით.

– რატომ გონერ? – ხათუნა გონერს მიუბრუნდა.

– ეტყობა ასეა საჭირო.

– გარკვევით ამიხსენი.

– არ ღირს. – თავს გააქნევს გონერი და ოთახიდან აჩქარებული ნაბიჯით გამოვა.

– მამა...

– ჰოო, ჩემო სიცოცხლევ...

მობეზრდა ბუტიაობა და მეოთხე დღეს ხათუნას სატელეფონო ზარს უპასუხა გონერმა, რაც შეიძლებოდა ცივად და განაწყენებული კაცის პოზიციიდან. გოგომ შევხდეთო, ბიჭმა თუ შენი სურვილია, მე თანახმა ვარო. ბევრი არ ულაპარაკიათ, რამდენიმე უემოციო, სასხვათაშორისო მოკლე სიტყვები, ნაცვალსახელები და შორისდებულები გაცვალეს და შეხვედრის ადგილი დააზუსტეს.

– შვიდი შვიდია, თუ დააგვიანებ, ერთ წუთსაც არ მოგიცდი. – დაემუქრა გოგო.

– ხუთი საათიდან დაგელოდები. – შეპირდა ბიჭი.

ექვსი სრულდებოდა, ხათუნამ შეპირებულ კაფეს გვერდით რომ ჩაუარა და თვალებს არ დაუჯერა. გაღებულ ფანჯარასთან სიახლოვეს, თეთრსაფარგადაფარებულ მაგიდასთან გონერი იჯდა და ყავას წრუპავდა. იქვე საგულდაგულოდ, გემოვნებით გაწყობილი მინდვრის ყვავილების დიდი თაიგული ედო.

– მართლა ვერაა ეს ბიჭი კარგად... – გაიფიქრა გოგომ და გზა განაგრძო.

ზუსტად დათქმულ დროზე მივიდა კაფეში. უნდოდა, გონერისთვის გამწყრალი თვალებით შეეხედა, მაგრამ ვერ შეძლო და მაშინ გაიფიქრა პირველად, ეს ბიჭი მართლა ხომ არ მომწონსო.

უბრალდ მყოფთ რომ შეშვენის, ისე შეხვდნენ ერთმანეთს, ცივად, უემოციოდ...

– როგორ ხარ? – დაინტერესდა გონერი და თაიგული გადასცა გოგოს.

– გადასარევად. – ნაძალადევი თავდაჯერებულობით მიუგო ხათუნამ და თაიგული გამოართვა. შემდეგ ხელჩანთიდან გასაშლელი სარკე ამოიღო და სახე შეათვალიერა.

– როგორ გალამაზებულხარ.

– ყოველთვის ასეთი ლამაზი ვიყავი. ეტყობა ადრე მხედველობის პრობლემა გქონდა და ვერ ამჩნევდი.

– ვფიქრობ, მონატრებამაც გაგალამაზა.

– ვის ატყუებ, ოთხ დღეში ისე მოგენატრე, რომ ერთხელაც დარეკვის სურვილი არ გაგჩენია? ნუ ტყუიხარ, არ გიხდება. ისე, კარგად მომზადებულხარ, ყოჩაღ... – ხათუნამ ტაში შემოკრა.

– არ მინდოდა ხმამაღლა მეთქვა, მაგრამ უგულო ხარ. ზრდასრული უგულო.

– შენ კი, მოკლედ და ლაკონურად, უცხვირპირო. – არ ჩამორჩა ხათუნა.

– გეგონოს, პირიც მშვენიერი მაქვს და ცხვირიც. თანაც ცხვირი იმაზე ცოტა უფრო გრძელი, ვიდრე საჭიროა, რომ იცოდეთ, ქალბატონო.

– დასატკბობად, ხშირად ჩაიხედე მაშინ სარკეში.

– შენ გამახსენდები და სარკეში ჩახედვას აზრი ეკარგება. უმალ ვეებერთელა ესთეტიკური ტკბობა მეუფლება და მაწყნარებს.

– გინდა მითხრა, რომ ჩემზე ფიქრი გამშვიდებს და გაწყნარებს? – ჩაეკითხა ხათუნა, – სხვა დროს გიჟი და გადარეული ხარ?

– დაახლოებით მასეა, მაგრამ შენთვის ამის გამხელას რა აზრი აქვს, მაინც ვერ გამიგებ...

– მაგაში გეთანხმები. კვალიფიციური ფსიქიატრი გჭირდება, თანაც სასწრაფოდ. მე ვერ გიშველი, გულწრფელად გეუბნები.

– იქნებ ნაცნობი ექიმი გამომინახო დასახმარებლად?

– ეჭვი მეპარება, მაგ სფეროში ვინმეს ვიცნობდე.

– წყალგადაწურულის პოზიციიდან მორიდებით გკითხავთ, რა მოვატანინო, რას ისურვებთ?

– ყავას მხოლოდ, სახლში გემრიელად გეახელით. აი, თქვენ რა გესიამოვნებათ, კი მაინტერესებს.

– ყავის გარდა, ყველაფერი. – თქვა გონერმა და მისდაუნებურად ჩაეცინა.

– უმადობას ძველებურად არ უჩივი, ხომ?

– ეგ ერთი შემომრჩა შეუცვლელი. – გონერმა ხელი მაღლა ასწია და მიმტანი იხმო...

ხათუნამ თავისი გაიტანა და გონერი სამსახურში დააბრუნა. ამ ისტორიაში როგორი დარჩა ბერდია ვაშაყმაძის წვლილი, არ გახმაურებულა. ისე, უმისოდ რომ ვერაფერი გადაწყდებოდა, ისედაც ნათელი იყო. ერთკვირიანი გაცდენა გონერის ხელფასზე არ ასახულა. პირიქით, თვის ბოლოს საგრძნობლად მომატებული თანხა აიღო. ესიამოვნა და ხათუნას ტელეფონით ახარა. იმან, რას მიყიდიო, შემოუთვალა. ამან, რასაც ისურვებო. კაი, მაშინო, შეთანხმდნენ და კვირას შეხვედრა დათქვეს. კვირას, თანადროულობას რომ არ ჩამოვრჩეთ, ასე ვთქვათ, გულიანად იშოპინგეს. საღამოს გონერის ნაქირავებ ბინაში ავიდნენ, ვაჟმა ნაუცბადევი სუფრა გააწყო. მოშიებოდათ და გემრიელად წაიხემსეს.. დასალევის გარეშე პურის ჭამას რა აზრი აქვსო, გონერმა. არავითარიო, ხათუნამ. აბა, ახლა მამაჩემის გამოხდილი ანტივირუსი გავსინჯოთო, ხასიათი გამოუკეთდა გონერს და სოფლიდან გამოგზავნილი ცოფიანი არაყი წყლის დასალევ ჭიქებში მოზომილად ჩამოასხა, ჩვენ გაგვიმარჯოსო, თქვა, ხათუნას მიუჭახუნა და გადაუშვა ხახაში. ზურგის მაჩვენებელს შეურცხვეს პირიო, არ ჩამორჩა ხათუნა და თვალის დახამხამებაში დაცლილი ჭიქა მაგიდაზე გადმოაპირქვავა. მესამე სადღეგრძელოს შემდეგ აიფოფრა და გადელდა ჭაჭის არაყი. გონერს კიდევ მოეკითხებოდა ჭკუა, ხათუნა მთლიანად მოიცელა, ჯერ კედელს მიეყრდნო, შემდეგ თავი მაგიდაზე ჩამოდო და ღრმა ძილს მიეცა. გონერმა ერთადერთ ლოგინზე ხათუნა დააწვინა, ტანზე სანახევროდ გახადა და საბანი გადააფარა. სულმა დაძლია, დაიხარა და ჩაძინებულს ტუჩებში აკოცა. შეატყო, არ ეყო და კიდევ რამდენჯერმე დაიხარა. ხათუნას არაფერი უპასუხია, ვგონებ, არც გაუგია. მშვიდად ეძინა და უდრტვინველად ფშვინავდა.

დილით კარებზე ბრახუნმა გამოაღვიძა გონერი. იატაკზე გაშლილ თხელ გადასაფარებლიდან თავი ძლივს წამოსწია. წელი ატკიებოდა და ძლივს აითრია ტანი. კარი გააღო და რამდენიმე ადამიანი ერთბაშად შეცვივდა ოთახში. გონერი კედელთან მიამწყვდიეს და შეუღრინეს, ხათუნა სადაა? ამ კითხვას რა აზრი ჰქონდა, უბრალოდ, ნაჩქარევად ნათქვამი დაურჩათ. თვალის ერთი გადავლებითაც ყველაფერი ხელისგულზე ჩანდა. გოგოს ლოგინში მარტოს ეძინა. რამდენიმე წუთში ბერდიაც გამოჩნდა მეუღლითურთ და პატარა ოთახში საუცხოო უცხოური ბრენდული სუნამოს სურნელი გაიფრქვა.

– მიდი, გააღვიძე, – ცოლს უთხრა ბერდიამ, – თქვენ კი ქვემოთ, მანქანასთან დამელოდეთ.– კარებში რომ გადიოდნენ, რესტორნის დაცვის ბიჭები მაშინ შეიცნო გონერმა.

ცოლი ქმრის დავალების შესრულებას შეუდგა. საწოლთან ჩაუცუცქდა შვილს და ხელები ლოყაზე მოუტყაპუნა. ვერ გააღვიძა, ისევ ღრმა ძილით ეძინა გოგოს.

– მოწამლულია? – შეუღრინა ბერდიამ გონერს.

– საიდან მოიტანეთ, გუშინ ცოტა არაყი დავლიეთ, სულ რამდენიმე ჭიქა.

– შენ დალიე ცეცხლი, ვერ გადამირჩები, ამისთვის რომ ხელი გქონდეს ნახლები, – დაიმუქრა უფროსის ცოლი, – შენ მე არ მიცნობ და ხატზე ილოცე, სადმე არ გადამეღობო, – გააგრძელა მუქარა, – შვილო, გაიღვიძე, დედა ვარ, შენ შემოგევლე, დედა, გაახილე თვალები, რამე თუ გაწუხებს, არ დამიმალო, მითხარი.

– ეს არაყია? – იკითხა ბერდიამ და მაგიდიდან ლიტრიანი მინის ბოთლი აიღო, – სუფთა ჭიქა მომინახე, პირადად გავსინჯავ, რა დალიეს ბაღნებმა.

– ახლავე. – გონერმა სერვანდიდან ყავის ფინჯანი მონახა და ბერდიას მიაწოდა. იმან არაყი დაისხა, ფინჯანი შეანჯღრია და... – რა ძეწკვები მოიყენა თავზე, ცოფი იქნება ნამდვილად,

წყალი არ გაუვაო, – თავისთვის ჩაილაპარაკა, – აბა, შეგვეწიოს პირველი სახარება. – თქვა და გადაკრა. რამდენიმე წუთი იყუჩა და დაამატა, – მშვენიერი დასალევია, ვერაფერს დაუწუნებ კაცი, უშაქროა?

– გამოიცანით, ნამდვილად უშაქროა. სოფელში იმდენი ხილი გვაქვს, რომ შაქრიანი არყის გამოხდა აზრადაც არ მოგვდის. – ხასიათი გამოუკეთდა გონერს და ენად გაიკრიფა, – ლუკმა მიაყოლეთ, აგერაა ყველი, პური, შებოლილი ძეხვი, ეს სოფლიდან გამოგზავნილი მჟავე კიტრია, უგემრიელესი.

– არ მინდა. თქვენი ნებართვით, კიდევ ერთს დავისხამ? – ირონიაშეპარებული ტონით თქვა, დაისხა და დალია, შემდეგ ცოლს გასძახა, – დაანებე თავი, მოდი ჩემთან.

– შენც ამ საწამლავს სვამ? – გადაირია ბერდიას ცოლი და ლოგინს მოშორდა.

– შენც რომ გაგესინჯა, სხვა აზრის დარჩებოდი.

– ღმერთო, შენ მიშველე!

– მისმინე, ახლა ჩვენ წავალთ. იმან კარგად გამოიძინოს და მერე ორთავე ჩემთან მოდით ოფისში. ხომ გასაგებად ვამბობ?

გონერმა თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია.

ბერდიამ ცოლს გასძახა, წავედითო. ცოლმა კიდევ, რას ამბობ, ბავშვს სად ვტოვებთ, თუ ხვდებიო. იმან, საიმედო ხელშიო, სრული სერიოზულობით უთხრა, ბავშვი მაშინ იყო, სახლის კარს ჩვენს დაუკითხავად რომ არ აღებდა, ახლა დიდი გოგოა და მის არჩევანში მე აღარ ჩავერევი. არ დამიწყო წყევლა-კრულვა, შენზე ნაკლებად არ მიყვარს შვილი, ეს დაიმახსოვრე და ამის წარამარა შეხსენება ნუ გჭირდება, არ ხარ ჯერ მაგ ასაკშიო.

– მგონი, სულ გადამერიე, ეს რა დილა გამითენდა? – ავიშვიშდა ბერდიას ცოლი.

– აბა, წავედით, – აჩქარდა ბერდია, – თქვენ კი, ორთავეს, ერთად შუადღისას გელოდებით ჩემთან, – გონერს გახედა, – ხომ დაიმახსოვრე, რაც გითხარი, თუ გაგიმეორო?

– არაა საჭირო. – იუარა გონერმა.

ბერდიამ ცოლს ხელკავი გამოდო და ოთახიდან გავიდა. გონერი საწოლთან მივიდა და ჩაძინებულ ხათუნას დამფრთხალი დააშტერდა.

– ვერ მიცანი თუ რა გჭირს? – მოულოდნელად თვალები დაჭყიტა გოგომ.

– გაიღვიძე?

– რა ხანია. მათ წასვლას ველოდი, არ დაადგათ საშველი, რომ წამოვმდგარიყავი. მომბეზრდა თავის მომძინარება.

– როგორ ხარ?

– გლახად მყოფის რა მეტყობა!

– ისეთი ფერი გედო სახეზე და ისე მძიმედ ქშინავდი, რომ გული გადამიტრიალდა.

– ჩემი შეწუხებული ბიჭი!

– ახლაც მზრინავს ტანში.

– მართლა? ახლოს მოდი, განუგეშო.

გონერი მივიდა და საწოლთან ჩამოუჯდა.

– უფრო ახლოს მოიწიე.

– ლოგინში ჩაგიწვე?

– ილოცე, ნატვრა რომ აგიხდეს. – შეუბღვირა ხათუნამ და მიახლოებულ გონერს თმაში წვდა. – გუშინ რა დღეში იყავი, გაუმაძღარივით რომ მკოცნიდი?

– მომკალი და ვერ ვიხსენებ?

– გინდა გაგახსენო?

– ძალიან...

– მერე სანანებელი არ გაგიხდეს, წინასწარ გაფრთხილებ.

– გაფრთხილება უკუგდებულია.

– მართლა ვერა ხარ კარგად... – გოგომ საბანი გადაიძრო, წამოიწია, გონერი მიიზიდა და გულში ჩაიხუტა.

ლოგინის სითბოს განსხვავებული ძალა რომ აქვს, ახლაღა შეიგრძნო გონერმა და მისდა უნებურად, დღემდე უჩვეულო, მაგრამ ნასიამოვნები კაცის განცდა დაეუფლა. ნირწამხდარი და დასევდიანებული მოგვიანებით დარჩა, როცა გაიაზრა, წყაროსკენ მიმავალი გზა გაკვალული რომ დახვდა. ძალიან გაუჭირდა იმ აზრთან შეგუება, რომ პირველი არ იყო, ვინც წყაროს წყალს დაეწაფა. შეიძლება, არც ბოლო. დასახულ მიზანს მიახლოებულს, თვითკმაყოფილების ნაცვლად, უზარმაზარი იმედგაცრუება დაეუფლა და

გაშეშდა. ნასიამოვნები და ზეცამდე ამაღლებული, ფრთებშესხმული კაცის ნატამალიც აღარ შერჩა. უცაბედად დაპატარავდა, დაჩიავდა და გაქრა თვალდახელშუა...

ქალი რისი ქალია და ხათუნამაც იმწამს შეატყო უგუნებობა გონერს. მისკენ არც გაუხედავს, ისე ჰკითხა:

– მივდივართ მამასთან თუ გადაიფიქრე?

– ორი წუთი შეგიძლია მადროვო?

– ოღონდ დამელაპარაკე, ნუ გაჩუმდები და მკითხე რაც გინდა. – შეეხვეწა ხათუნა.

– აღსარების მისაღებად არ გამოვდგები, ჩემი ცოდვებიც მეყოფა. – უკმაყოფილება ხმაზეც დაეტყო გონერს და სახეზეც.

– შენდობას არ გთხოვ ჩემი სტუდენტობისდროინდელი, დაუფიქრებელი ნაბიჯის გამო. იმის გაგება მინდა, ახალი ცხოვრების დაწყებას ერთად თუ შევძლებთ. ისიც მინდა გითხრა, რომ რაც შენ ახლა გაიგე, იმის შესახებ მშობლებმა არაფერი იციან, თორემ საკუთარი ხელით მომკლავენ. არ დავმალავ და ალალად გეტყვი, რომ მართლა მიყვარხარ და მინდა დამიჯერო, რომ ამ სიტყვას ჰარიჰარალედ არ ვამბობ...

– ვერ გამირკვევია, რა დავიჯერო და რა არა. სად გენდო და სად არა. ნდობის გარეშე როგორ ვიცხოვროთ, ამაზე გიფიქრია?

– როგორ არა...

– მერე?

– რა მერე! შენ მე დამიდექი გვერდით, მე შენ დაგეყრდნობი და გავაძლიეროთ ერთმანეთი. უკვე მოვიშუშე ყმაწვილქალობის იარები, საკმაოდ გავიზარდე საიმისოდ, რომ თეთრის და შავის გარჩევა დამოუკიდებლად შევძლო. მინდა ცხოვრებაში გამომიჩნდეს ადამიანი, რომელიც გამაღმერთებს, რომელსაც თვალდახუჭული ვენდობი და თავს დამავიწყებინებს, რომელსაც მე ვეყვარები და არა მამაჩემის შეძლება, გავლენა ან ის მზითვი, რომელიც ჩემთვისაა გადადებული. ჩემი თავი მინდა ვირწმუნო მის სიყვარულში, შევქმნა ოჯახი, ვიყო მოსიყვარულე ცოლი, დედა, დიასახლისი და თავს დამტრიალებდეს საყვარელი კაცის მზრუნველობა, ვგრძნობდე მის სითბოს, გულისფეთქვას და ალერსიან გამოხედვას. დარწმუნებული ვარ, რომ ასეთი შენ ხარ. ამას გაცნობისთანავე მივხდი და სათუთად ვუფრთხილდები ჩვენს ურთიერთობას. ამიტომ, სანამ გადაწყვეტილებას მიიღებ, გულით და გონებით იფიქრე და ისე მიპასუხე, გთხოვ...

– უნდა მაპატიო, ერთს გკითხავ და ამ თემას აღარასოდეს მივუბრუნდები, რამდენთან გქონდა ურთიერთობა?

– მხოლოდ ერთთან, ისიც ორიოდე კვირით, სტუდენტური პრაქტიკისას, – გაიხსენა გოგომ და თვალები აუცრემლიანდა, – ვინ დავიფიცო, რომ დამიჯერო?

– ჩემი თავი დაიფიცე...

– ვფიცავ. – რამდენიმეწამიანი დუმილის შემდეგ წართმეული ხმით უთხრა ხათუნამ, თავი ბალიშში ჩარგო და აქვითინდა. ჯერ მხრები აუცახცახდა, შემდეგ მთელი სხეული, ბოლოს ისტერიკაში ჩავარდა და ხმამაღლა აბღავლდა. დაწყნარებას სრული საათი დასჭირდა, ხასიათის გამოკეთებას ნახევარი, ერთი ამდენი ტანზე ჩაცმას.

– შემირიგდები? – ეჭვის ჭია ჯერ კიდევ ხრავს ხათუნას და დანამულ თვალებს ცხვირსახოცით იწმენდს.

– მე არც გაგბრაზებივარ, შენ გჩვევია ახირება, რამდენადაც მახსოვს, – ალერსიანად მიუგო გონერმა და გოგო ჩაიხუტა, – ჩემი ამქვეყნიური სიცოცხლე ხარ და ეს მინდა იცოდე.

– შენ კიდევ ჩემი ამქვეყნიური და იმქვეყნიურიც. – არ ჩამორჩა ხათუნა.

– ესეც ასე... – წამოიძახებს გონერი და მრავლისმთქმელი გამომეტყველებით შეხედავს ხათუნას, – გველოდება და ნუ ვაცდევინებთ, უხერხულია...

– მეც მასე ვფიქრობ, დროზე წავიდეთ! თუმცა, ერთი წუთით შემომხედე, რას გიგავს თმები, მიდი სარკესთან და დაივარცხნე. თანაც, წვერი გაგზრდია და საჩქაროდ გაიპარსე!

– ახლავე...

სამი საათისთვის ოფისში იყვნენ, მაგრამ ბერდია არ დახვდა. ენერგიულმა მდივანმა კონვერტი გადასცა. კონვერტში ბარათი იდო. ბარათში კი რამდენიმე სიტყვა ეწერა: „სახლში გე-

ლოდებით ორივეს. ძალიან არ დაიგვიანოთ. ბერდია“.

– მამას სტილია. არ უნდა გეუბნებოდე, მაგრამ მინდა იცოდე, მამას მოსწონხარ. ეს კი იმას ნიშნავს, რომ წინ ნათელი პერსპექტივა გელის. – ჩუმად ეტყვის ხათუნა.

– იმედს არ გავუმტყუნებ, ამაში დარწმუნებული იყოს. – თავდაჯერებული გონერი მაცდურად გახედავს გოგოს.

– დამავიწყდა მეთქვა, თუ სადმე წასვლას დაიპირებს, ხათუნას მანქანა ელოდება. – გაახსენდა მდივანს.

– გააფრთხილე, სასტუმროს მთავარ შემოსასვლელ კარებთან დაგვხდეს, ორ წუთში გამოვალთ. – ბრძანა ხათუნამ, გონერს ხელმკლავი გაუკეთა და მისაღები ოთახიდან გამოვიდა.

რაღა სიტყვა გავაგრძელო და გონერმა სტუდენტობისდროინდელი გულისწადილი აისრულა, მდიდარ გოგოზე იქორწინა და ახლა რესტორნის დირექტორია, ორი შვილის, მოსიყვარულე მეუღლის, ავტოსალონიდან გამოყვანილი, ძვირადღირებული „მერსედესის“, მთაში აგარაკის, ქალაქში სამსართულიანი სახლის, რბილად რომ ვთქვათ, ჯიბეში საკმაოდ სახარჯი ფულის და ხუთი წლით უმცროსი ერთი საყვარლის პატრონია. რომ ოცნებობდა, ისე. ახლა თავის აუტკივებლად, შეძლებულად ცხოვრობს და გუშინდელი დღის გახსენებას ერიდება. ერიდება რა, არ სურს. უსიამოვნო მოგონებასავით, გონებიდან ამოშლას ცდილობს, მაგრამ ამაოდ, ვერ ახერხებს. და რაკი ვერ ახერხებს, განმარტოებული, დროდადრო იტანჯება და დარდს ვერც ბახუსი უქარვებს, ვერც ცოლი, ვერც შვილების მოფერება და ვერც ქერათმიანი საყვარელი. გრძნობს, რომ ამ დროს სრულიად მარტოა, ობოლი და განდეგილი, მაგრამ იმასაც ხვდება, რომ ეს მისი ცხოვრებაა, ცხოვრება, რომელიც შეგნებულად აირჩია, რომლისთვისაც იბრძოლა და ხარკიც გაიღო. აწი წუწუნი გვიანია. თუმცა რატომ? გვიანი არაფერია ამ ცხოვრებაში, თუ რაიმეს შეცვლა გსურს. ასეთი სურვილი კი გონერისთვის უკვე უცხოა. მისი ცხოვრებიდან მხოლოდ გარკვეული ეპიზოდების ამოშლა და მივიწყება, მაგრამ არსებული, ზოგადი სურათის შენარჩუნება გულით სურს. მიეჩვია, შეეზარდა და შეესისხლხორცა ახალ რეალობას, ახალ ყოფას, ახალ ურთიერთობებს, შეძლებული კაცის ცხოვრებას. დაიკმაყოფილა ამბიცია, მარჯვედ აუღო ალღო იმ საზოგადოებას, რომელშიც მიიღეს და ტრიალებს. ოღონდ ესაა, საზიზღარი რამ ყოფილა თავმოყვარეობა! რომ არ ელის, მაშინ ახსენებს თავს. გადაეღობება წინ და არ ასვენებს, აშკარაა მინიშნებაც – თავმოყვარეობა ან გაქვს, ან არა. გონერთან, ვგონებ, უფრო გამწვავებული ვითარებაა, მას სრულყოფილად ჩამოყალიბებული არც ერთი მხარე არ გააჩნდა, კომპრომისული ვარიანტი კი შეღავათებს არ ითვალისწინებს და გარკვეული დროის განმავლობაში, მეტად უსიამოვნო განცდებს უღვიძებს. ძლივს დაუსხლტა ბრჭყალებიდან გუშინდელ დღეს, შიმშილს, უფულობას, გოგონების უყურადღებობას და დამცირებას, ხშირ უმუშევრობას, დაბალ საფეხურზე ღოტიალს. ახლა კაცობს და რა გასაკვირია, წინ ყურება თუ ურჩევნია?! მისი გადასახედიდან, არც ცდება, მგონი.

– სადაცაა მოსაღამოვდება. ღამით გაწვიმდებაო, – ყური მოვკარი, როგორ გადაულაპარაკა გვრიტუნა ზოიძემ მათე ყალიჩავას. მათე ტაქსის წინ დგას და კლიენტს ელოდება. დღეს ცუდი მუშაობა და უკმაყოფილო გამოხედვა აქვს და სიგარეტს სიგარეტზე უკიდებს.

– ფიქრია, ხომ არ მოიწყინე? – გადავხედე ცეცხლის მეზობელს.

– საიდან მოიტანე?

– ენას რომ არ იღებ, ასე ჩავთვალე.

– სათქმელი რომ მქონდეს, ვინ გამაჩერებს? – გამოცოცხლდა ფიქრია. – მართლა მშვიდი უბანია. მომწონს.

– მარტო უბანი თუ ვისაც უბანზე ყველაზე ხშირად ხედავ? – ჩავეძიე ფიქრიას.

ვერ მიმიხვდა, რა ვუთხარი ან ძალით წამიყრუა.

უპასუხოდ დამტოვა.

მეც გავატარე.

– გვრიტუნა როგორი გოგოა? – მკითხა მოგვიანებით.

– მე რაც მსმენია, აქებენ მხოლოდ.

– რატომაა ხელახლა გასათხოვი?

– პირველ მეუღლეში არ გაუმართლა. სამწლიანი თანაცხოვრების შემდეგ დაშორებულან. როცა დაოჯახდნენ, მაშინ ძალიან ახალგაზრდები იყვნენ და ვერ გაუფრთხილდნენ სიყვარულით შექმნილ ოჯახს. კირკიმალობა, სიტყვის არშერჩენა, ურთიერთბრალდებები, დაპირისპირება, საფუძვლიანი თუ უსაფუძვლო ეჭვიანობა, ბიჭის ლოთობა და პათოლოგიური სიმთვრალე, აყალმაყალი, გაწევ-გამოწევა, ორივეს მხრიდან ვერდამთბობი ხასიათი და ადრე თუ გვიან ის შედეგი მივიღეთ, რომელიც ასეთ დროს დგება. წყვილი სასამართლოს გადაწყვეტილებით განქორწინდა. საერთო ქონება არ გააჩნდათ, მშობლების ოჯახებს დაუბრუნდნენ. უერთმანეთობა ორივეს ძალიან გაუჭირდა. ბიჭს უფრო დაეტყო. გოგო შერიგებაზე არ დათანხმდა. ბიჭი სხვა ქალაქში გადაიხვეწა, აქაურობას განერიდა. საერთო შვილი არ შეძენიათ.

– ცდა არ დაგვიკლია, მაგრამ ღმერთმა არ ისურვა. ერთი მაინც რომ მყოლოდა, ჩემს ბედს ძაღლი არ დაყეფდა, – ზოგჯერ დანანებით იტყვის გვრიტუნა. – გავზრდიდი, მოვეფერებოდი, ცივ ნიავს არ მივაკარებდი, შვილი ცხოვრებას გამილამაზებდა და ჩემს არსებობას სულ სხვა აზრს, შნოს და ლაზათს შემატებდა.

გვრიტუნას ბავშვების დანახვაზე ჭკუა ეკეტება, ისე უყვარს. როცა ფსიქოლოგიურად და სულიერად მომჯობინდა, ახალი საბუდარის შექმნაზე დაიწყო ფიქრი. ხელახალი გათხოვების რამდენიმე უშედეგო მცდელობაც ჰქონდა. ერთს მოწონდა, მაგრამ საკუთარი ბინა არ გააჩნდა და ასაკიან მშობლებთან და გაუთხოვარ სამულესთან ერთად ცხოვრება არ ისურვა, მეორეს – თმის ფერი, სიმაღლე და მოკლე ცხვირი დაუწუნა, მესამეს – აიქიუ აღმოაჩნდა დაბალი და პირველსავე პაემანზე აიცრუა გული, მეოთხეს თითქმის ნანატრი სიძე ეთქმოდა, მაგრამ ოჯახის კეთილისმსურველებმა ფრიად საიდუმლოდ ამცნეს, ბიჭი ნარკოტიკს ეტანება და გოგოს დროზე უშველეთ, ახლოს არ გააკაროთ, თორემ მერე ვერ მოიშორებთო. მეხუთეს – მშვენიერი შესახედაობა, აღზრდა, განათლება, მარიფათი უმაგრებდა ზურგს, მაგრამ გაცნობიდან ერთ თვეში სამსახურიდან ბელგიაში გააგზავნეს კვალიფიკაციის ასამაღლებლად და იქ გათხოვილა, მეექვსე – შინაურმა წრემ გამოუნახა, არ იყო ურიგო ვარიანტი, მაგრამ გოგომ გული ვერ შეაჯერა სასიძოზე, ნამეტანი უმარილო და უგერგილო კაცის შთაბეჭდილებას ტოვებსო, უთქვამს, მეშვიდეს – გამცნობი მართლა გალახვას იმსახურებდა. ისეთს უწევდა რეკომენდაციას, რომელსაც საკუთარი თავის გარდა არავინ მოსწონდა და თან, უსაზიზღრესი წუნია და უაღრესად დახვეწილი ნარცისი გამოდგა. შეხვედრისას, გულის ჯიბიდან პატარა სარკე ამოიღო და გამომშვიდობებამდე, სარკიდან თვალი არ მოუშორებია. რა ლამაზი ხარ, თვალს ვერ გწყვიტავო, ეძახდა სარკეს. მერვე – სოფელში ცხოვრობდა და ცოლის შერთვა სასწრაფოდ სურდა, მაგრამ დაგვიწუნა პატარძალი, მაი რომ აწი ძროხის მოწველას, ბოსტნის მოვლას, თოხის და ბარის, ვალინკისა და კალოშის გარჩევას და გამოყენებას ისწავლის, მაგდენს ვინ დაელოდებაო და უარი გაცნობისას არ უთქვამს, მოერიდა და ჭკუასაკითხი კაცის პირით შემოთვალა. მეცხრეს, გამხნევების მიზნით, რამდენიმე სირჩა კონიაკი გადაუკრავს, ოდნავ ნასვამს სათქმელი გაქცევია და გოგო გაუბრაზებია, ასეთი კარგი თუ ხარ და შეუდარებელი, როგორც მიქეს, აქამდე მარტო როგორ დარჩიო? მეათე – თურქი გამომდგარა და ორი კაპიკის მაძიებელმა მაჭანკალმა ძლივს გაასწრო კარში, რომ დაწეოდა ქართულ ტრადიციებზე გაზრდილი გადარეული გვრიტუნა, სისხლი დაიღვრებოდა უდავოდ.

სანდო წყაროს თუ დავეყრდნობით, რომელიც ამავე დროს, დამატებით დაზუსტებას და გადამოწმებას მოითხოვს, მეთერთმეტე, მეთორმეტე და ასე შემდეგ, აქტივობებიც შეიმჩნეოდა, მაგრამ სასურველი შედეგი რომ დღემდე არ ჩანს, უდავო ფაქტია, თანაც ჯიუტი.

– როგორ ემოციურად ყვები, გისმენ და ვტკბები.

– გავწითლდი.

– დიდად მაინც არ დაგეტყობა, – გაიცინა ფიქრიამ, – უდარდელად რომ მოაბიჯებს, მაგას საბა ჰქვია მგონი.

– ყოჩაღ, დაგიმახსოვრებია. კი, სტუდენტი საბა ანანიძეა. მხიარული, უკომპლექსო, უდარდელი, ემოციურად მოსაუბრე, ძმაკაცების მოყვარული, მუდამ ჯიბეგაფხეკილი, წიგნებთან ვერშეამხანაგებული, მარიფათით და მოსწრებული სიტყვა-პასუხით, თანატოლ გოგონებში ფრიად დაფასებული და მიღებული. მესამე კურსზე მამამ ამერიკიდან ჩამოყვანილი, შერემონტებული და ახალსიცოცხლე შეძენილი „ფოლცვაგენ ჯეტა“ აჩუქა იმ პირობით, რომ ოჯახის მეგობრის, ხარიტონ ბერაძის შარშან სკოლადამთავრებულ ქალიშვილს საქმროს თვალებით შეხედავდა. მანქანის ხათრით, მშობლების ყველა შეთავაზებაზე აქაცუნა თავი, მთვარისაც გაიცნო, რამდენჯერმე ბულვარში გაისეირნეს, რესტორანსა თუ კაფეში დაპატიჟა, მოილხინეს, იმხიარულეს, იცეკვეს და ერთი-ორჯერ გამომშვიდობებისას, გადაკოცნეს კიდეც ერთმანეთი.

– აი რაა, სულ არ გცოდნია კოცნა? – საბამ მორიდებული ამბორი დაუწუნა მთვარისას და გამომწვევად გახედა.

– შენ რომელი, ექსპერტი გამოდექი. გული მიგრძნობს, არვინ მოგასვენებს, მასტერკლასების და ტრეინინგების ჩასატარებლად დაგაღლეტენ კალთებს. – არ დაუთმო ბერიძის ქალმა.

– მე პრაქტიკის გაცილებით მეტი შანსი მაქვს! – წაეტრაბახა საბა გოგოს. – არ გჯერა?

– რა გითხრა! ეტყობა სალექციო კურსს უფრო ესწრები, ვიდრე პრაქტიკულებს. – გაკენწლა მთვარისამ.

– გეგონოს.

– მე რა, შენ მოინდომე ტრაბახი. ჩემთან არ გაგივა. დაიმახსოვრე, სამომავლოდ წაგადგება.

– მაგასაც ვნახავ!

– კეთილი.

ნაცნობობის მეოთხე თვე იწურებოდა, როცა გოგომ თავი შეახსენა.

– ასე როდემდე ვიაროთ?

– სანამ მოგვბეზრდება... – საბა ვერ მიუხვდა, რის თქმას აპირებდა მთვარისა.

– მე ვატყობ, უკვე მბეზრდები. შენგან მეტ სერიოზულობას მოვითხოვ, მინდა დამიჭკვიანდე და წინ გაიხედო.

– გიყურებ და თვალებს ვერ ვუჯერებ, მგონია ჩემ წინ კოპებ და დოინჯშემოყრილი მშობელი დედა დგას და ის მელაპარაკება.

– საბაااა.

– რა იყო?

– არ მინდა დამეკარგო, მეტი არაფერი. – უთხრა მთვარისამ.

– მერე გამიფრთხილდი და შეეცადე, ნუ გამაბრაზებ. – ისევ ხუმრობის ხასიათზეა საბა.

– ოიიი! – წამოიძახა მთვარისამ და ისე წავიდა, ბიჭს არც გამოემშვიდობა.

ერთ თვეში მთვარისა იმერეთისკენ გაფრინდა და იქ აძებნინა თავი ჭირისუფალს. ორი კვირის გაცნობილ ბიჭს გაჰყვა ცოლად. არ მოუტაცნია, არც მოტყუებით ან ძალდატანებით ჩაუსვამს ვინმეს მანქანაში. ბიჭმა, ხმამაღლა თქმა მერიდება და რომ არ გითხრა, იმასაც ვერ ვახერხებ. ვფიქრობ, მართლა მომწონხარო. გოგომ, მეც მაგდაგვარს ვგრძნობ შენს მიმართ ეს დღეებია და ვერ გავრკვეულვარ, რატომო. ბიჭმა, მოდი, ერთად ვიფიქროთ მაგ თემაზეო. გოგომ, რა ვიცი, ძალიან ხომ არ ვჩქარობთო. ბიჭმა, რას ამბობ, ბაბუაჩემს ჩემს ასაკში მამაჩემი გაჩენილი ჰყავდა თურმეო. გოგომ, ამით რის თქმას ცდილობო? – უკითხავს. რის და, ძალიან ვგავარ ბაბუასო, – წაუტრაბახია ბიჭს და მეზობლის „ნოლშესტის“ კარები გამოუღია. – ქალაქგარეთ გავისეირნოთ, ერთი მშვენიერი ადგილი ვიცი, წყნარი, მშვიდი, რომანტიკული. იქვე ახლოს კაფეში უგემრიელეს აჭარულ ხაჭაპურებს აცხობენ. რას იტყვი, ხომ არ გაგვესინჯა? მე ცომგამოცლილი მიყვარსო, – გოგომ. რა დამთხვევაა, მეცო. – დათანხმებია ბიჭი. იცოდე, შვიდ საათზე სახლში უნდა ვიყო, ამ დროს ძაღლი გამომყავს სასეირნოდ და ვერ ვალოდინებო, უთქვამს გოგოს. შეხსენებაც არ დაგჭირდება, ბრწყინვალე მახსოვრობა მაქვსო, თავი შეუქია ბიჭს და მართლაც, ადგილობრივი დროით 19 საათსა 00 წუთზე, სოფლის ორსართულიანი ოდა-სახლის აივანზე, სუფთა ჰაერის ჩასასუნთქად გამოსულ

მთვარისას შეახსენა ბიჭმა, ოჯახში სამი ძაღლი გვყავს, რომელიმეს აირჩევ თუ სამივეს ერთად გაასეირნებო. გოგოს ალმაცერად გადაუხედია ბიჭისკენ და სხვათა შორის უთქვამს, აწი შენი პატივისცემა ჩემზე იყოს, დამაცადეო...

როცა გაიგო, ეწყინა ეს ამბავი საბას. არ მოელოდა. ჯერ გაუკვირდა, მერე გული დაწყდა და მიხვდა, რამხელა სიცარიელეს უვსებდა გულში თურმე მთვარისა. იმასაც მიხვდა, რომ დაიგვიანა, თანაც ძალიან და თვალები ცრემლებით ამოევსო.

დღემდე მარტო დაყოყიალობს და სჯერა, ადრე თუ გვიან, ისეთ ვინმეს შეხვდება, მას რომ გაუგებს და იგიც მიხვდება ამას...

– ფიქრია, შენ გყვარებია ვინმე?

– ვერ მოვიცალე სამაგისოდ.

– ვერ დაგიჯერებ უდროობა გიშლიდეს ხელს? ეტყობა, წუნია ხარ?

– წუნია? შეიძლება... უფრო არა მგონია. შენ? შენ დღემდე მარტო რატომ ხარ?

– ჩემს ბედისწერას ველი, ერთადერთს და განუმეორებელს.

– მერე?

– რა გითხრა, ჯერ მხოლოდ კარგი განწყობა და მოლოდინი მაქვს.

– ოოო, ეს მომწონს! მოლოცვას ვერავინ დამასწრებს, ამას ვგრძნობ...

– მეც მასე ვფიქრობ...

– დაიმახსოვრე, შენს რჩეულს პირველი მე გამაცნობ.

– სიტყვა სიტყვაა. – დავუდასტურე.

– რომ არ მომეწონოს, მაშინ რას შვები? იცი შენ, ტყული არ მეხერხება და რასაც ვფიქრობ, იმას გულღიად გეტყვი და არ გამიბრაზდე?! ან იმ გოგომ რომ დაგიწუნოს?

– თავს მოვიკლავ! – მთლად რიხიანად ნათქვამი ვერ გამომივიდა, მაგრამ ფიქრია წამიერად მაინც შევაცბუნე. გადავხედე და სახეზე შეშინებული თაგვის ფერი ედო.

– აი ეს მესმის, – მრავალმნიშვნელოვნად ჩაილაპარაკა მცირეხნიანი დუმილის შემდეგ ფიქრიამ, – ისე რაა სიყვარული მსხვერპლის გარეშე? – მკითხა პათეტიკურად, გამომწვევად და შეპარული ირონიით, – არც არაფერი...

– ახლა ოცდამეერთე საუკუნეა, ძვირფასო, ძველი ფასეულებების გადაფასების და ახლის შეძენის ეპოქა! რა მსხვერპლი, რის მსხვერპლი? სიყვარულს მსხვერპლი რად უნდა, არ გადამრიო? სიყვარულს უნდა ზეცამდე ამაღლებული ორი ადამიანის ერთად ყოფნის უზარმაზარი სურვილი, ერთმანეთისათვის გამეტებული, წამლეკავი და ვნებიანი გრძნობები, საერთო მიზნები, ოცნებები და იმის განცდა, რომ ერთად ბედნიერები იქნებიან და ვერაფერი მოერევათ. მოერევათ კი არა, თუ მოისურვებენ, მთელ სამყაროს შეაზანზარებენ.

– მასე მარტივადაა საქმე?

– იმაზე უფრო მარტივად, ვიდრე შენ წარმოგიდგენია.

– რაღაც ეჭვი მეპარება!

– ეჭვიანებთან კამათი უაზრობაა და არ ვაპირებ, მათ საღი აზრი და განჯის უნარი დაქვეითებული აქვთ და ძირითადად ინსტიქტებით მოქმედებენ. ამიტომ ხშირად ცდებიან და ბევრ არასწორ გადაწყვეტილებას იღებენ. – გადავუწურე წყალი ეჭვიანებს.

– გეგონოს! – არ დამეთანხმა ფიქრია.

– დამიჯერე, რასაც გეუბნები.

– არ გეთანხმები, მაგრამ შენთან კამათს არ ვაპირებ.

– ძალიან კარგი, – ვუთხარი და ფიქრიას ქათინაური შევაპარე, – დღეს უჩვეულოდ მომხიბვლელად გამოიყურები და გამთანგავ სითბოს ასხივებ?!

– მზე მანათებს და მასე იმიტომ გგონია.

– ჩემი ვარაუდით, მარტო მზის ბრალი არ უნდა იყოს.

– რა შემატყვე განსხვავებული?

– მერე გეტყვი.

– დაგელოდები, ოღონდ არ დაგავიწყდეს.

– შევეცდები... ისე, ორი მზე ერთდროულად ნამეტნავად ბევრია.

– შეიღირსიე, თორემ ზამთარში შეიძლება ერთიც სანატრელი დაგირჩეს!

მაშინ ფიქრიას სიტყვებისთვის ყურადღება არ მიმიქცევია, ჩვეულებრივ ნათქვამად ჩავთვალე...

თვენახევარში ჩვენი ქუჩის გაგრძელებაზე, საპირისპირო მხარეს, ერთი ახალი ურნა დადგეს, შავი ფერის, სულ ახალთახალი, ბზინვა რომ გაუდიოდა, ზუსტად ისეთი. დადგეს და იმ დღიდან დამეკარგა ფიქრია. აზრით, გონებით, გამოხედვით, არსებობით სულ სხვა სამყაროში ისე თვალდახელშუა გადამისახლდა, რომ გააზრებაც ვერ მოვასწარი, რა ხდებოდა. როცა რეალობა აღვიქვი, შევაფასე და ყველაფერს თავისი სახელი დავარქვი, მოსვენება დავკარგე, არ მომეწონა. დავღონდი და დავნაღვლიანდი. სახეცვლილება ფიქრიამაც შემატყო, მაგრამ იგი უკვე ფერად ღრუბლებში დაფრინავდა და ჩემთვის აღარ ეცალა. ღრუბლის სიმაღლიდან კი დედამიწაზე მცხოვრებლები ჭიანჭველასავით პატარა ჩანან და მათი გულისფანცქალის შეცნობა ძალიან ჭირს...

ბოლოთქმისმაგვარი, ანუ ისევ ფიქრია

ეს დილა მესამეა, უშენოდ რომ გათენდა ფიქრიავ! ისე ნაუცბათევად წახვედი, მიმატოვე და გადამისახლდი სხვა სამყაროში, რომ ხეირიანი გამომშვიდობებაც ვერ მოვასწარი. მინდა დამიჯერო, შენ მხარეს გამოხედვა მიჭირს. რატომ? ამოუცნობი, შეამხანაგებული სიცარიელე და ნაცნობი, გაშინაურებული სევდა მხვდება იქ და ცუდად ვხდები. და მეც, როგორც მიხერხდება, ისე ვერიდები... შენ ოცნება გიხდებოდა, სიყვარულმაძებარი თვალებით შემონათება, გაუმხელელ გრძნობებში ჩაძირვა, გაბუტული შემოხედვა და ენამოვლილობა. იშვიათად გაბრაზებაც... ისე, გაბრაზება და გაბუტვა რომელ ქალს არ შვენის? ვინ მოთვლის, რამდენი სათქმელი დამიტოვე უთქმელი. უშენობა დღითიდღე მამძიმებს და შენს მონატრებას მიმძაფრებს. ახლა რომ გიხსენებ, ბევრ ჩემს საქციელს ვნანობ. ვხვდები, აწი ვეღარაფერს შევცვლი. უშენობასთან შეგუება მიჭირს. შენი გახსენებით ვიოხებ გულს და ვაფრთხობ მომრავლებულ ჯავრს.

რომ იცოდე, მათე ყალიჩავამ არც ამჯერად უღალატა დამკვიდრებულ ტრადიციას და დილის შვიდი საათისთვის პოსტზე დგას, ხელში ფერდაკარგული ტილო უჭირავს და კლიენტების მოლოდინში დროს უქმად არ ჰკარგავს, მანქანის საბარგული აუხდია და მოჩვენებითი მონდომებით რაღაცას აკვირდება. ფეფოც გამოჩნდა მოგვიანებით, ზოზინა, მოზომილი ნაბიჯებით და სანახევროდ გავსებული პოლიეთილენის პარკით ხელში. სოსო მასწავლებელს დღეს გაკვეთილები არ აქვს, სპორტულებში გამოწყობილა და სასეირნოდ მიდის ბულვარში, ალისას კიდევ გაასწრო „მარშრუტკამ“ და უნდა გენახა, რა დღეში იყო, ემოციების ფოიერვერკის თვითმხილველები და სამარშრუტო ტაქსის მძღოლის მისამართით გამოთქმული ერთობრ ძნელად მოსასმენი შესამკობელი სიტყვების გამგონე გავხდით. დანახვა რომ გაგიხარდება, ისე გამოწკიპულად ჩაცმული გამოჩნდა გვრიტუნა ზოიძე, ხუთსართულიან სახლს ოდნავ მოშორებულს, ტროტუარზე გამწვანების სამსახურის ნებართვის გარეშე, საკუთარი ინიციატივით, თვითნებურად ამოსული ნიგვზის ხის ჩრდილს ვერ გაშორებულს წამოეწია გაწკრიალებული BMW, იქედან თმაში ოდნავ შესამჩნევად, ჭაღარაშეპარებული კაცი მკვირცხლად გადმოვიდა, ქალს მიუახლოვდა და მიესალმა. ქალმაც თავაზიანად უპასუხა და რამდენიმეწამიანი გასაუბრების შემდეგ, ზედმეტი თავპატიჟის გარეშე, მანქანაში ჩაუჯდა. მგონი, ადგება საშველი, მისალოცი ამბავია და მეც ძალიან მინდა, ღმერთმა, ამჯერად მაინც, მოწყალების თვალით გადმოხედოს გვრიტუნას. გონერი დასასვენებლადაა წასული და დღეს ვერ მოვკრავთ თვალს, ანტალიაშიაო, ეთერ ნაგერვაძეს წამოცდა, ოჯახის ძიძას. არაა გასაკვირი, რასაც მაგი შრომობს, წელიწადში სამ-ოთხჯერ დასვენება რას ეყოფა, მეტია საჭირო. ეთერის გამოჩენასაც მალე ველოდები, იმედია, თავს არ მოგვანატრებს... სასურსათო მაღაზიისკენ მიმავალი ბუჩქი და მიმოზა შენ არ მოგწონდა, ფიქრიავ! ახლა გამახსენდა, მეტყოდი ხოლმე, ენამოუთოკავები, ჭორიკნები, შესამჩნევად ვულგარულები, ანჩხლები, ყველა-

ფერზე უკმაყოფილოები და შუბლზე ვერდაფარული სექსის მონატრება რომ აწერიათ, ისეთი ქალები არიანო. არა და ორივეს ხალხის თვალში მშვენიერი ოჯახები აქვთ, შვილები ჰყავთ, ერთს შვილიშვილიც, ქმრები სოლიდური შესახედაობის, კაი გამომუშავების მქონე სამსახურებით, მაგრამ რა მერე? ქალების ქცევასა და მათ სისხლის ყივილში აშკარად ძლიერი მამაკაცის სოლიდური დეფიციტი შეიმჩნევა.

გალინა არ გეცოდინება შენ. მეც გუშინ მოვკარი თვალი პირველად. ორსართულიანი კერძო სახლის პირველ სართულზე აქვს ოთახნახევრიანი, იზოლირებული ბინა ნაქირავები. შუახნეს გადაცილებული ქალია, სანდო შესახედაობის, მეუღლესთან და ორ შვილთან ერთად ცხოვრობს. ეტყობა კერძო დასაქმებულია. დილით ავტობუსების გაჩერებასთან ცხრის ნახევარზე გამოდის და ცხრა საათამდე იცდის. ახლაც, დროის ამ მონაკვეთში გუშინდელივით, სამი მანქანა გაჩერდა მასთან და სხვადასხვა ჯიშის ძაღლები დაუტოვებეს მოსავლელად. ვერ გეტყვი, რა ჯიშის ძაღლებია, ფიქრია, ძაღლებში ვერ ვერკვევი, ისე ძალიან ლამაზები ჩანან, მოუსვენრები, მოვლილები და ჯიშიანები. გალინაც ისეთი ალერსიანი, მზრუნველი და სიყვარულით გამთბარი თვალებით უყურებს, რომ უნებურად შენ გამახსენდი. გამახსენდი და მოვიწყინე... გალინამ ძაღლები ქუჩის მოპირდაპირე მხარეს გადაიყვანა და პარკში გასასეირნებლად გაეშურა.

– ეს ტაქსა არაა? – ჰკითხა საბამ და გალინა გააჩერა ტროტუარზე, ძაღლებთან ჩაიმუხლა და მოეფერა.

– კი, ტაქსაა, საოცრად დამჯერი, მოძრავი და ალერსის მოყვარული. – მიუგო გალინამ.

– დანარჩენებიც მეცნობა, უბრალოდ, მათ ჯიშებს ვერ ვიხსენებ?

– თეთრი ფერის რომაა, ის იაპონური შპიცია, ეს ცოტა შეუხედავი კი – ფრანგული ბულდოგი. – აუხსნა გალინამ.

– ეტყობა, ქუჩის მაწანწალები რომ არ არიან.

– მათ რას ერჩით, თავიანთი ბედით ცხოვრობენ, ძალიან საყვარლები არიან.

– ზოგჯერ მაფრთხობენ, თორემ, ისე რა უნდა დამიშავონ? – გაიკვირვა საბამ და ახლა მეორე ძაღლის მოფერება სცადა, მაგრამ მეორემ იუცხოვა და ახლოსაც არ მიიკარა.

– კუპატა ხომ გაგიგია? – ჰკითხა გალინამ.

– მაგას ვინ არ იცნობდა, ფეისბუქვარსკვლავი იყო, საწყალი, – კუპატა გაიხსენა საბამ, – ადგილობრივ ბევრ პოლიტიკურ ლიდერზე მეტი ავტორიტეტი და სიყვარული ჰქონდა ხალხში. მრავალსართულიანი სახლის კედელზე მისი უზარმაზარი სურათიც დახატეს. როგორ ეფერებოდნენ და კვებავდნენ. მგონი ზედმეტმა ყურადღებამ გადაიყოლა კიდეც. ნამეტარი მოგვდის ქართველებს, ზომიერება არც სიყვარულში ვიცით და არც სიძულვილში, ძაღლს ძაღლური ცხოვრება მოვანატრეთ და აბა, რა დაემართებოდა? გაგვერიდა და გაგვშორდა, დაისვენა ჩვენგან...

– ეჰ, რა გითხრათ. ღმერთმა ნათელში ამყოფოს. – დანანებით თქვა გალინამ.

– ამინ! – დაუდასტურა საბამ და ფეხზე წამოდგა.

სიახლე კიდევ გვაქვს. მალე მეორადული ტანსაცმლის მაღაზია „ევროპული ღიმილი“ გაიხსნება ჩვენს უბანში. ერთმა საბიუჯეტო ორგანიზაციამ, დამატებითი შემოსავლის მიღების მიზნით, ოცდახუთი კვადრატული მეტრის ფართი გააქირავა, სადაც ახლა სარემონტო სამუშაოები მიმდინარეობს. სამწევრიან ბრიგადას ხუთი ზედამხედველი და ჭკუისდამრიგებელი ჰყავს. კარგი ტემპით მიიწევენ წინ და ორ კვირაში გემოვნებიანად ჩაცმის მსურველებს სასიამოვნო სიუპრიზები ელოდებათ.

ბოსტნეულის მაღაზიას კი ვალუტის გადამცვლელი პუნქტი შეემატება. ადგილი გამოყოფილი და შემინულია, მაგიდა და სკამი დადგმული, კომპიუტერული ტექნიკა შეძენილი, მომუშავე პერსონალი ცნობილი. მაგდალინა ოვსესიანი ადრე აქ მუშაობდა დამხმარედ, შესახედაობით თუ არა, მარიფათით და სიმკვირცხლით ნამდვილად იმსახურებდა ყურადღებას. ყავის მოხარშვაც ეხერხება და ყავაზე მკითხაობაც. დასაოჯახებელია, მაგრამ სასურველი მუშტრის

დაგვიანებას, როგორც კრიტიკულ ასაკს მიღწეული, ზრდილობიანი და ორწიგნწანაკითხი გასათხოვი ქალი, ისიც გაგებით ეკიდება და მისაღები პერსპექტივის მოლოდინით ცხოვრობს. ამ დღეებში შემინულ ოთახში ინტერნეტს შეიყვანენ და პუნქტიც ამოქმედდება.

კიდევ რა მოგიყვე, გული რომ გადავატანო, ფიქრიავ! ამასობაში ცარგვალს მზე დაეპატრონა. ქალაქმა გაიღვიძა. სიცოცხლე ხარობს. საქმის გამკეთებელი სასიკეთო საქმის კეთებას განაგრძობს, ზარმაცი, რა გასაკვირია და ზარმაცობს. ვერაგს კიდევ რა მოასვენებს, თავისი მიზნები ჰქონდა და გამჩენი ღმერთი არ ასვენებს, ავხორცი თავის შანსს დარაჯობს, სეინერებმა ზღვაში თევზსაჭერი ბადეები გაშალეს და ნადავლის მოლოდინში არიან, გაპოლიგლოტებულ ზღვისპირა ბულვარში, ძირითადად, ჩამოსული სტუმრები სეირნობენ ან დარბიან, აქა-იქ თანაქალაქელებსაც დაინახავ, უფრო ასაკოვან კაცებს, ჯანმრთელობაზე ზრუნვა ინფექციების შემოტევამ რომ გადააწყვეტინათ, თორემ ცოცხალი თავით, აქეთ გამომხედავი რომ არ იყვნენ, ეს გამომეტყველებაზეც ეტყობათ. დროდადრო, ოპოზიცია ოპოზიციონერობს და ხელისუფლებას, როგორც შეუძლიათ, ისე ახსენებენ თავს, გამეტებით უჯიქებენ, აჯანჯღარებენ და უშლიან ნერვებს, ხელისუფლება კი მათ აქტიურობას შეჩვეული, დღემდე მოუშორებელი ჭირივით, მშვიდად და აუღელვებლად უცქერის, უშედეგოდ, ამაოდ ტუქსავს და არჩეული გზით დაბეჯითებით აგრძელებს სიარულს.

მე კი მოცალეობის ჟამს მხოლოდ შენ მეფიქრები, ვერა და ვერ გივიწყებ ჩუმ, წყნარ, მოსიყვარულე და ზეცაში გაფრენილ იმედიან ნაპერწკალს.

ახალი მეზობელი მეექვსე დღეს მომიტოლეს გვერდით. წითელკაბიანი უჩვეულოდ მხიარული, ენაწყლიანი და იმაზე მეტად თამამი, მოუსვენარი და ინტერესიანი აღმოჩნდა, ვიდრე ვისურვებდი.

– მე ნომერი 251 მქვია. – გამომეცნაურა და ცნობისმოყვარე თვალებით გადმომხედა.

– მე იმედა ვარ... – უხასიათოდ მივუგე და მისთვის არც შემიხედავს, მხოლოდ იმას ვცდილობ, უტაქტო არ გამოვჩნდე თანამოსაუბრის თვალში.

– იმედა, იმედა... – ხალისიანად მომიგო და გადაიკისკისა, – ვის დაჰკარგვიხარ იმედა? – მკითხა მოულოდნელად.

– მგონი, საკუთარ თავს...

– ოოო, ეს უკვე მომწონს... – კვლავ გადაიკისკისა და როცა დაწყნარდა, გული გამიკეთა, – პესიმისტად ნუ დარები, ირგვლივ მიმოიხედე, ღრმად ჩაისუნთქე და თვალები მოისრისე.

– ეგღა მაკლდა ჭკუის მასწავლებლად. – უხასიათოდ ჩავილაპარაკე და თვალი მოვაშორე მის გაღიმებულ სახეს.

პირველ თვეს უფრო გაცნობითს დავარქმევდი. ის აქტიურობდა, მე ხან ხათრით, ხანაც – ზრდილობის გულისთვის ვპასუხობდი ახალი მეზობლის უამრავ, ჩემთვის ფრიად უინტერესო შეკითხვას... ვერც მეორე თვემ შეძლო ჩვენი დაახლოება. მოგონებები მძიმე ტვირთად მაწევდა, არ მასვენებდა და მახსენებდა თავს. ვერც მესამემ მიხსნა იმ მარწუხებიდან, რომელშიც აღმოვჩნდი. მხოლოდ მეოთხე თვეს გავიაზრე, რომ ძველებურად აღარ მიღირდა ცხოვრება. უნდა შევიცვალო, უკეთესი გავხდე, ძლიერი, ემოციების მომთვინიერებელი, გავიფიქრე და გაზაფხულივით აკვირტებულ წითელკაბიანს პირველად შევხედე მამაკაცის თვალით. გამოგიტყდებით და ჩემნაირს ათს რომ დაიწუნებდა, ზუსტად ისეთი მეჩვენა. მეხუთე თვეს მისი საუბარი ისე მომწონდა, ათასში ერთხელ გაჩუმებულს თუ დავინახავდი, ვუჯავრდებოდი. მეექვსე თვეს, როცა ქუჩის საპირისპირო მხარეს დროებით გადაახრიგინეს, მოსვენება დავკარგე და მივხდი, რაღაც ჩამწყდა გულში...

ვიცი, ხვალ დილით ისევ ჩემ გვერდით დააბრუნებენ.

ხვალამდე გაძლება არ გინდა?

ნატალია ჯეიტრიშვილი

გადარჩი, თუნდაც ასე

როცა მარტო დარჩები
საძირკველგამოთხრილ,
საყრდენგამოცლილ,
კედლებჩამოშლილ,
გადაჭიმულ ჰორიზონტებთან,
შეგიძლია დახუჭო თვალები,
ან არც დახუჭო და
ისე გამოიგონო ბუხარი
მოგიზგიზე, მოტკაცუნე,
სახეს წითლად რომ შეგიფაკლავს...
– როგორც ბავშვობაში, როცა რამის ძალიან შეგრცხვებოდა,
შეგიძლია ამოაშენო კედლები, მიახატო ფოტოები,
შეგიძლია წარმოიდგინო, რომ
რაღაც, მიწისმაგვარი გიზიდავს
და ამ მიზიდულობის წყალობით
მყარად დგები – თავბრუსხვევების გარეშე.
შეგიძლია გამოიგონო დივანი
გაზაფხულისა და იასამნის ფერებში,
გამოიგონო ადამიანი,
რომელსაც არც მიეყრდნობი, არც მხარზე არ ჩამოადებ თავს,
უბრალოდ, გაჩუმდები მასთან ერთად
და გამოიგონებ არსიმარტოვეს.
რომელსაც ჩაის ჭიქაში კოვზის წკარუნით
მორზეს ანბანით გააგებინებ, რომ კმარა,
რომ საკმარია ის, საკმარი...
რადგან სულ არ ითხოვ ბევრს.
მხოლოდ გინდა რომ იყოს
და შენსავით ფხიზლობდეს ღამღამობით,

რათა მასზე იფიქრო,
მის ფიქრებზე,
რათა შენ ფიქრებმა არ წაგიღონ
და სადმე სასიკვდილო მორევში არ გადაგისროლონ.

გამოიგონებ, რომ მასაც
ასე ძლიერ სჭირდება შენი სიფხიზლე.
რომ მასაც შენსავით, ან უფრო სჭირდება, რომ
ერთმანეთის ფიქრებიც გამოიგონოთ,
რათა ამ უკედლებო და უიარაღო უსასრულობაში
ერთი გამოგონილი ემოცია მაინც დარჩეს,
ყველაზე რეალური და ნაღდი ემოცია
არსიმარტოვის გარანტად.

ალური

ბედნიერების საბურველს შემოისხამ დილით,
ერთგულ ბედაურს შემოაჯდები და გასწევ...
გასწევ ცხოვრების ჭაპანს
გამოსწევ.
თუმცა,
როცა ალური, ნავარდიდან თოხარიკზე, ჩორთზე და ბოლოს ნაბიჯზე გადავა...
როცა, გინდ ბრიტანული წმინდა ჯიშის გყავდეს და გინდ არაბული –
წლები თავისას შვება, ნალიც ცვდება...
როცა, შენი საბურველი ჭუჭყისა და სინესტისგან მძიმდება
შენი მხრებიც ილევა – წლები, ღმერთმანი...
ხვდები რომ სჯობდა უსაბურველოდ და უბედაუროდ გევლო,
ნელა, მშვიდად და შესვენებებით.
რადგან დანიშნულების ალაგები აღარ არსებობს
არც არასდროს არსებობდა
არც იარსებებს.
რაც არ უნდა მივუახლოვდეთ ერთმანეთს
ვერასდროს მივალთ ერთმანეთთანაც.
და ეს ნიღბები ისე აფუჭებს საქმეს...

– „მერე რა თუ არც გეცინება?!
დამადე თავი მხარზე და აქვითინდი რამდენიც გინდა!
აქვითინდი – არ დაგამადლი მხარს და ცრემლსახოცს.
არ დაგამადლი დროს და თბილ სიტყვებს.
არ დაგამადლი დასველებულ პერანგს
ჩახუტებისგან ჟანგბადდეფიციტს...“

– ჰა, ღვთისნიერო, ვინ ხარ მანდ რომ მიჩურჩულო...
ჩამოვქვეითდე ამ დაბეჩავებულისგან, მოგეყრდნო და ჩაგეხუტო,
თუნდაც უგარანტიოდ, რომ მოჩვეულს, მოშინაურებულსა და მონდობილს,
უცაბედად
საძირკველივით არ გამომეცლები.

ვერ დაგიჩემებ

ვერ დაგიჩემებ, სიყვარულო,
რადგან შენს გამო იმდენჯერ ვიჯიჯგნე, იმდენჯერ დავიწვი,
იმდენი ცრემლი ვღვარე,
კმარა, არ ყოფილხარ საჩემო
და გამეშვი.
ვერ დაგიჩემებ, სიბრძნევ,
ასეთი ეკლიანი რომ არ იყო შესაგროვებლად,
ასეთი მძიმე რომ არ იყო სატარებლად,
ასეთი მოუხელთებელი – ხელსაყრელად
კიდევ ხო.
ვერ დაგიჩემებ, ღიმილო,
ყოველ ჩემს ღიმილზე
იმდენჯერ დავისაჯე, იმდენჯერ მოვკვდი,
იმდენჯერ დავიტანჯები, იმდენჯერ მოვკვდები,
რომ დავიღალე.
ვერც შენ დაგიჩემებ, ბედნიერებავ,
შენი ულუფებისთვის ქაფქირი მარგუნეს
ამითაც კმაყოფილს, ეს ულუფები დამიყადაღეს
და დავრჩი ასე, გამოგონილი ბედნიერებით,
რომლისთვისაც მხოლოდ ჩემს თავს ვემადლიერები
აწი.
ვერ დაგიჩემებ, ქალობავ,
იმდენჯერ მომაგლიჯეს ხორცი,
იმდენჯერ ამომგლიჯეს ჯიგარი,
იმდენჯერ წამართვეს სიკეკლუცე და სილაღე,
ჩონჩხიღა დავრჩი და ამ ჩონჩხს
ვერც ძუძუს მიახორცებ,
ვერც – თეძოს და ჟუჟუნა თვალებს,
მხოლოდ შეგიძლია შემოსო, შებურო და დაახურო,
თუმცა მაინც ჩონჩხად დარჩება,
ჩონჩხად, სქესის გარკვევა მხოლოდ გენეტიკური ანალიზით რომ მოხერხდება,
ასე რომ საჩემო არ ხარ და შევეშვათ ერთმანეთს.
ვერ დაგიჩემებ, სიცოცხლევ,

ვერ დაგიჩემებ, რადგან არსებობიდან სიცოცხლემდე
დიდი მანძილია
რკინის ქალამნებით სასიარულო.
ჩემს ფეხებს, ჩემს ფეხებს ვერც ერთი მოერგება –
ჩემი სხეული ვერც ერთს ათრევს,
ისევ თავს ვათრევ უსასრულობისკენ
და მხოლოდ ჭინჭებით, ნაგავსაყრელის ზიზილ-პიპილოებით
მოვრთავ აქა-იქ და ესეც კმარა.
შენ ჩემთვის არ გამოუგონიხარ გამჩენს.
მხოლოდ დედობის დაჩემებას ვეპოტინებოდი,
ამისთვის ვიბრძოდი რაც თავი მახსოვს
და ესეც არ შემერგო,
ესეც არ დამცალდა და გამყვეს,
თუ ასე გსურდა
ბარემ ორივ სამყაროს დედა იყავიო,
და ახლა, როცა დედის ლოცვას ვამბობ
ორად ვიყოფი,
გულიც ორგული გავხადე,
სინდისიც ორმაგად მქენჯნის,
როცა სიცოცხლე მიყვარს,
როცა ქალობაც მიყვარს,
როცა სიხარულიც მიყვარს,
როცა ღიმილიც მიყვარს,
როცა სიბრძნე და ბედნიერებაც მიყვარს
და რაღაც უცნაური არითმეტიკით,
არაამქვეყნიური ძალით,
ათასმაგად მტკივა ჩემი ორგულობა.

შემეხე

შემეხე
ხელზე და შემახსენე,
რომ ჩემი ცხოვრება კიდევ ღირს
თუნდაც ერთ
სიხარულისგან რითმებარეულ გულად,
რომ ღირს
ხვალ თვალის გახელად,
გაღიმებად და საღამოს კურთხევად.
– კურთხეულ არს საღამოები,
რომელსაც მარტოობაგამოჩაჩულ ახლობელს
გაუუთოვებელ თეთრეულში ჩაუტევ,

ჩაეხუტები და უსიტყვოდ ეტყვი,
რომ ის მარტო არაა მარტო,
რომ ყველა მარტო ვართ.

შემეხე
წვივებზე,
ხანდახან ჯდომისგან დასიებული
მაინც გიგრძნობენ
და დარწმუნდებიან, რომ სიარული
ხანდახან ფრენას სჯობს,
ხოხვა კი – სიარულს.
თუ ერთ წრეზე არაა შენი ტრაექტორია,
არამედ მხოლოდ წინ.
ჩემი ფეხებიც, ამ ჩემს ფეხებს,
რომელსაც დავაჯერე,
თუ არ მოსწონთ ესთეტებს,
რომ ფრთებს მირჩევნის
– შემოვევლე – ჩემია რადგან.

შემახე
შენი ამოსუნთქვა,
ხომ გიყვებოდი
ნახშირორჟანგის კეთილი ძალა
როგორ გვათბობს ყურის ძირში
და არამარტო.
მე ვერ გაგიშვი,
ვერ დაგიჯერე,
ვერ გამოგყევი,
ვერ აგარიდე,
ვერ გაკმარე მოფერებები,
ვერ ვაღიარე უშენობა.

შემეხე
ჩემს სიზმრების გამჭოლ სიფერადეში,
თვალისმომჭრელ ბრწყინვალებაში,
კვლავ დავფრინავ – ვერ ვპატიობ თავს
ბავშვობაში ჩარჩენას,
ახალ მიწურებში, ჩემი ტვინი თუ
რაღაც აუხსნელი რომ იგონებს
გაუკვალავი გზებით მისასვლელ ბილიკებს,
იქ გამომყევი
და დამეხმარე რომ არ დავიჯერო უშენობა.

თამთა მუმლაძე

საქართველო

(ილია მართალს)

რომ შემოიჭირა საკართული
დღემ, წამოიმართა მით იო[1]... და
გზაზე ფართო ეტლი მიდიოდა –
ეტლში ეტეოდა საქართველო.
მწვანე გადაეკრა, შილიფანი[2],
ჭაკზე – ტაბახტითა, ო, სველია...
იგი მოდიოდა შილიფად და
სუნი ასდიოდა – ბოსველიას[3].
ქართა წერაყინი ამუშავეს;
ხებუჩქს დაუამეს „გუმა“[4] თივით...
ჩრდილი, თოფაწვდილთა, ამ უშავეს
ჩირგვებს ადგებოდა გუმბათივით –
თულნი უხვდებოდნენ ამ უთოფოს.
ხელთა გამოსტაცეს ქართ ველობა –
ჰოდე, ფარდებს უკან მამულს თოფავს
გარეგამხედვარი ქართველობა.
უკვირთ ტაბასტისა ნუცა მართვეთ,
ისმენს შარაბნიდან ილი[5] ავად:
„– ამ კაცს ნუ მომიკლავთ, ნუ წამართმევთ...“
„– ახა...
ილია ვარ!
ილია ვარ...“

---

[1] იო – (ბერძნ.) მთვარის ღვთაება ძველ არგოსში.

[2] შილიფა – დაწნული, ბრტყელი ზონარი.

[3] ბოსველია – საკმევლის ხე.

[4] გუმა – სიმსივნური კვანძი. აქ: კოჟრი.

[5] ილი – ბალახოვანი მცენარე.

მსჯავრი განაჩინა მაგიდამაც[1],
დარდი აერევა[2] გაისს ოლეს...
ჰაი, გიდი! ხაფად მაგიტომაც,
ხროხთა თოფ-დამბაჩა გაისროლეს, –
ერთხმივ განზე მდგომთა ერობისგან,
ერს რომ განაფრთხობდა, ჩაძინებულს;
ძალუმ უწალდავდა ევროპისკენ
გზას...
ფანდს ასრულებდა ცა, ჩინებულს –
ლეგა ჩამოაწვა უღალოთა,
დინჯად მოეკიდა „წიწანს“ მური;
თითქოს საქართველოს უღალატა,
ისე წითლდებოდა წიწამური
სისხლით. ჯირმიხები იმ არითა
ელდით შიშნეული ბერდებიან.
ალბათ შუბლი იყო იმერეთი...
ალბათ ქართლ-კახეთი ფერდებია...
ესრე, მავნებელთა გახრეს მტილი,
უნდოდ ქანაობდა საკარდლე. ო,
დიდი გული ჰქონდა გახვრეტილი...
სამი ტყვიით წახდა საქართველო...
ისმის სათხოელი და დის ოხვრა
უშტი, უშტის-უშტი... (ივ[3], „ლიასთვის“[4]...)
გზაგზა ლანდივითღა დადის ოლღა:
„– აანთეთ სანთელი ილიასთვის...
ეს კაცი ქვეყანას სჭირდებოდა...
ეს კაცი ქვეყანას სჭირდებოდა...“

* * *

ნაწვერალი[5] მოკონა
და დაცლილი ჟინისგან,
ჭალებიდან ბოკონა[6]
იპარება შინისკენ.

---

[1] მაგიდა – ზოგი დაწესებულების განყოფილება, რომელიც განაგებს სპეციალურ საქმეებს.
[2] დარდის არევა – სევდის მოძალება.
[3] ივ – სიხარულის გამომხატველი შორისდებული.
[4] ლია – (ქართლ., კახ.) გუბე. აქ: ცრემლის გუბე.
[5] ნაწვერალი – მომკილი ყანის ნაშთი.
[6] ბოკონა – (იმერ.) პატარა სკამი.

როს მიწურის მოკეთე
ბოლო ჩერომ აზომა, –
კუტიკარი, მოკეტა
მარუშიანთ ეზომაც.

ბუკიოტი ხან ასთა
მდუღარებით გაწივის –
უმეკაანთ ყანასთან
მზე გათავდა კაცივით!

შემოდგომა

აივსო ვალალის ბოღჩა და- ხნისა!
ელვა მრისხანებს სა ერთობ ინათა.
შიშმა უტყვი სულის[1] ბაღჩა დაყნოსა,
ბოლოს თვალებში დაედო ბინა და
მწვანე ოთახი აქვს.
შეაბათქაშა...
ვაჰ, ილახლახა უნდომ... იხუთება...
მწვანილი დახია, შეაბა თქეში
ლიფსმა, ჭადრებთან უნდა მიხუტება.
წინგარდი დალეწეს ქართა სრულიად...
ზესხმით დანამეს აყალო, ჩარისა...
უჩქამო დღეები გარდასულია
და ჟამმა ჩქროთა აღალი ჩარაზა,
ისევაც ცისპირზე ჩანდა მოგვიცა[2]...
ხმაურს გამოსცემს კატაღა ეზოდან.
ამბის თალათინის ჩანთა მოგვეცა –
რწევით დაჰყვება კატარღა, ესოდენ,
მტკვარს.
შინ მატერია და ოთახია.
როცა დარდობა, უნდომი, ხუთდება,
სიმრუმეს თვალები დაუდაღია
და თავს სიყმესთან უნდა მიხუტება, –
ბრკიალებს ანძაღა... – განძია მთებში!
სერი სვრელებით დაკუჭა ცა, ბაცი,
როს ღამე ჩამოდგა, – ანცი რამ, თეფშით.
დღე გამოთავდა...
და ქუჩა, ცაბაძის.

[1] უტყვი სული – სამშვინველი.
[2] მოგვი – ცეცხლმსახურების ქურუმი. აქ: მზე.

სიმინდები

უტეხავს წელთა, პაპა ნაკიდი
ნამგლით, უფოთლოთ და ფოთლიანებს.
წნელის ხახალი, ფაფანაკივით,
ბასრ ღეროებში დაფოთიალობს.

ძართა ივსება, სასა, იმდენი, –
ძალს შემოდგომა, ძალს ეს ალაგი...
იზნიქებიან სასიმინდენი –
ხმელი სიმინდის ძვალშესალაგნი.

მზის ჩასვლა ზღვაში

ბოლოს მოჰგვარა, დაისს, ცხროება –
უთმობდა ქარი მასაც სიგანედს,
თითქოს ფერებით დაიცხრო ვნება
და უნებლიედ უნთო სიგარეტს...

ვით ნამთვრალევი, ოთხზეღა იყო,
უცილოდ ტალღის, ეხლო, უნდო შტოს[1],
როს ანარეკლით ოთხზე გაიყო
და მზე მოთავსდა ზღვაში უნაშთოდ.

წასული

ვიდრე შეიყრიდა კოპთა
ზეცა – ღრუბლის, ცამდე ნაზიდ
მთა-გორაკებს ნისლის „კოფთა“
ეხვეოდათ წელზე ნაზად.
თუ ქვენათი მიწა გახმა –
იშლებოდა თოხთა რიგი;
ჯაგლაგი კი პატრონს დაღმა
მიჰყვებოდა თოხარიკით.
თუთუნისთვის გაზეთს ხევდა
ბაბუ სხვენში, თხილთან – თუგინდ...
რძეს, სალბუნად წკვარამ ხევთა,
მიათრევდა მთვარე თუნგით.

[1] განშტოება.

თიბათვე

რძე ტორტმანით მიაქვთ ცურებს.
მზე ბოძის ჩრდილს, ურჩს და უქცევს,
ბორცვებისკენ მიაცურებს
და პაპიროსს ტუჩთ-შუა უქცევს.
სიო არწევს ოწინარებს,
ვით ხმელ აკვანთ, მაშინ, დილა...
და ცის ქერცლი, უწინარეს,
ივლისივით მოშვინდილდა.
წუხს უღელთა განტოლება –
ცელმა ზვინი დადო შამბით...
ნეშო ყრია გონდოლებად... –
დგას თიბათვე დიდის ამბით!

ძველი ქალაქი

ქარნი ჭადართა ეტლს აქანებენ
და მუშთაიდის, ჩამოდის, კიდეს.
ჭრელ აივნებმა ხის მაქმანები
წინსაფრებივით ჩამოიკიდეს.
ტირის ვიტრინა...
თარო...
წიგნები...
ფერდში შემდგარი ოფლი აციებს –
ვერესთან წმინდა მთა ქორწინდება,
ან ცით ინაღდებს ობლიგაციებს.
ჟვავნიც, ვით ნისლნი, მას აშურებენ.
ო, ქარით შრება ძელქვათა ლაქი...
და ქალღმერთივით ჩანს აჟურული
მინიდან, ახლა, ძველი ქალაქი.

გამოდარება

ეკიდებიან ჭერთ ქვე ბუდენი.
გაალმასებულ ენითღა ბალთავს
ცას ელვა, – ფუყე და ქვებუდანი.
ჩანს, მალე სრულად შეიკრავს ბალთას...
წამოიმართნენ ლაფში ერთობ ზე:
ჯიმლა, მაჩალო, არყა და ფიჩხა...

და გამოვიდა დედაც ერდოზე,
მესკიელასთვის პური დაფინჩხა.
ხელთ დასხლტომიათ ზესხმათ კიფარა,
ჯანღს შეატოვეს შჯა, თეთრს, ეული...
გადაიკარა, მწყემსმა კი ფარა
მთაზე გაფინა, ვით თეთრეული.

* * *

საყოფელთა გარე ცხელა,
თუმც ცა იყო, უნაკერო...
წიფხარეთი[1] გარეცხილა
ჩოღრათო თუ უნაგირი...
აღარ არის მეტი ჩარა –
უზვი მისდევს შარლატანებს;
საჯი[2] ჩრდილით, მეტიჩარა,
მალე მოსდებს შარს ლატანებს.
და ამბავი ცუდად როა,
წერტა იგრძნო აქ სიომაც –
მზის ჩასვლამდე ცოტა დროა
(მიჰყვეს, უნდა, აქსიომას...).
ბინდი, ლუკმა ამო ხევსთა,
მიაცილებს მას კარამდი,
წითელ ფურცელს ამოხევს და
დამთავრდება მასკარადი.

* * *

მას უკან, სინჯა თხრილი, ოღრო, ჭა,
შეავლო, ბარე, თვალი ათ რუვს და
ჩარანიანთა ჩრდილით მოყრონჭა –
ჩადის მზე ახად. მთვარე ატრუვდა.

ძლივ მოეჭიდა ხავსსა და ისიც
უკანასკნელი ტრფობის ალით ხურს
და ნაშიმშილარ ხევსაც დაისი
შეაჭმევს მალე წითელ ალიყურს.

[1] წიფხარეთი – გამოდარებისკენ წასული წვიმა.
[2] საჯი – ურთხელი.

დავით ჩომახიძე

რეინკარნაცია

სამგზავრო თვითმფრინავი „ბოინგ-747“ ატლანტიკის ოკეანის თავზე მიფრინავდა, მისი შუქფარები ნაირფერად ციმციმებდნენ და ღამეულ ცაზე მკრთალ კვალს ტოვებდნენ. ფრენისთვის შეუფერებელი ამინდი იდგა, შტორმი აქოჩრილ ურჩხულს ამსგავსებდა ოკეანეს, ძლიერი ქარი კი აკვანივით არწევდა ხომალდს.

გოგა მჭედლიშვილი „ლეპტოპს“ ჩასჩერებოდა, მონიტორზე ახალგაზრდა ქალის გამოსახულება ცახცახებდა, ხმა კი წყვეტილად ისმოდა. მიუხედავად იმისა, რომ თვითმფრინავის ბორტზე ძლიერი Wi-Fi დანადგარი იყო დამონტაჟებული, ცუდი მეტეოროლოგიური პირობების გამო, ინტერნეტი წამდაუწუმ იჭედებოდა, ამიტომ Online-ში, Skype-თი საუბარი ჭირდა.

– როგორა ხარ ნატა? – ღმერთმა იცის უკვე მერამდენედ ეკითხებოდა გოგა მეუღლეს.

– არა მიშავს, არ იდარდო. ჩემებიც და შენებიც ჩემთან არიან, ხომ იცი, არაფერს გამიჭირვებენ.

– ვიცი, – გოგამ მონიტორს თითი გადაუსვა, – ვერ წარმოიდგენ, როგორ მინდა ახლა შენს გვერდით ყოფნა.

– შენს სიახლოვეს აქედანაც ვგრძნობ, – ქალის სახე მონიტორიდან გაქრა. ჯერ სამშობიაროს თეთრად შეღებილი პალატა, მერე კი ცისფერ ხალათში გახვეული გაბერილი მუცელი გამოჩნდა, – დააკვირდი როგორ ბორგავს შენი ბიჭი, – კომპიუტერიდან ნაწყვეტ-ნაწყვეტ გაისმა ქალის ხმა.

გოგამ სახე მონიტორთან მიიტანა და შეამჩნია ფეხმძიმე მეუღლის მუცელი ტალღისებურად რომ ირხეოდა, მომძლავრებული ნაყოფი გარეთ გამოსვლას ლამობდა.

– ექიმები რას ამბობენ? – ხმადაბლა იკითხა მამაკაცმა, – როდის დაგეწყება სპაზმები?

– ალბათ განთიადისას. უკვე საშინლად მტკივა მუცელი, – ქალმა თვალები დახუჭა, თუმცა სახეზე ტკივილის ნაცვლად კმაყოფილება აღებეჭდა, – დღეს ყველაზე მნიშვნელოვანი დღეა ჩვენს ცხოვრებაში.

გოგამ თავი ჩაქინდრა. რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანი დღეა, მათ პატარა ოჯახს პირველი შვილი შეემატება. ყოველთვის უნდოდა მეუღლის მშობიარობას დასწრებოდა, მის თავთან ჩაცუცქულიყო, ხელი ხელზე ჩაეჭიდა და ტკივილი შეემსუბუქებინა. მაგრამ...

გული ტკიოდა მის გვერდით, რომ არ იყო. თითქმის მთელი ცხოვრება ზღვაში გაატარა. სულ ქვედა საფეხურიდან, გემბანის მეზღვაურიდან დაიწყო, გემბანს ხეხავდა და შავ სამუშაოს ასრულებდა. თუმცა მისმა მიზანდასახულობამ შედეგი გამოიღო, დააწინაურეს. ჯერ ბოცმანი გახდა, მერე კაპიტნის მესამე თანაშემწე. გარკვეული ტრეინინგების გავლის შემდეგ კი კაპიტნის უფროსი თანაშემწის თანამდებობა მიიღო.

გოგამ მისი მომავალი მეუღლე შემთხვევით გაიცნო, რეისიდან დაბრუნებული მოულოდნელად გადაეყარა ბათუმის პლაჟზე მოსეირნეს,

რომელიც სანაპიროზე გამორიყულ მიდიებს აგროვებდა. მოგვიანებით ნატამ აუხსნა, რომ მიდიები პატარა სამეცნიერო ნაშრომისათვის სჭირდებოდა.

ნატა მალაკოლოგ-კონხიოლოგი გახლდათ, მოლუსკებს სწავლობდა, თუმცა გოგასგან განსხვავებით მისი სამუშაო აკადემიური იყო, სტუდენტებს ლექციებს უკითხავდა და ახალგაზრდა თაობას ათასგვარი ჯიშის ნიჟარიან, რბილტანიან თუ თავსახსრიან წყლის ბინადრებზე უყვებოდა.

ერთი ნახვით შეუყვარდა და მანამ არ მოეშვა სანამ ცოლობაზე არ დაითანხმა. ზუსტად ხუთი თვის შემდეგ დაოჯახდნენ, ახალდაქორწინებულებმა თაფლობის თვე ჩინეთში გაატარეს.

სწორედ ამ დღის შემდეგ დაავადდა გოგა მალაკოლოგიით. სადაც არ უნდა ყოფილიყო, რომელ მხარეში ნატასთვის ყოველთვის ჩამოჰყავდა სხვადასხვა ჯიშის მოლუსკები. ერთ-ერთი რეისის დროს კი როცა მისი ხომალდი მალაიზიის კუნძულებისკენ მიცურავდა. გოგამ ადგილობრივ მარგალიტის მაძიებლებთან ერთად ანდამანტის ზღვაში მცხოვრები Cristaria plikata-ს კლასის უშველებელი მარგალიტის მოლუსკი დაიჭირა, ადგილობრივები მას დიდი დაკბილური ნიჟარის გამო „მამლის ბიბილოს“ ეძახდნენ.

ნატა აღაფრთოვანა მოლუსკმა, არასოდეს იშორებდა თავიდან, ყოველთვის თან დაატარებდა, ცდილობდა ხელოვნურად მარგალიტიც გაეზარდა, მართალია არაფერი გამოსდიოდა, მაგრამ იმედს არ კარგავდა. მან Cristaria plikata-ზე რამდენიმეთვიანი დაკვირვების შემდეგ ანდამანტის ზღვაში მცხოვრები მარგალიტის მოლუსკებზე ნაშრომიც კი დაწერა.

ორი წლის შეუღლებულნი იყვნენ, ნატა რომ დაფეხმძიმდა. გოგა სულმოუთქმელი ელოდა ამ დღეს, თუმცა რეისში წასვლა მოუწია და ფეხმძიმე მეუღლე, აუარება მოლუსკებთან ერთად მარტო დატოვა თბილისში. ის სამუშაო კონტრაქტის ამოწურვამდე თვეებს, დღეებს და წუთებს ითვლიდა, რათა მალე დაბრუნებულიყო საქართველოში და ფეხმძიმე მეუღლე გაეხარებინა.

მისი და მკურნალი ექიმის გამოთვლით ნატას მშობიარობას აუცილებლად ჩაუსწრებდა, მაგრამ მოუოდნელმა ტკივილებმა, ნაყოფის ნაადრევი მომზადება გამოიწვია.

სატვირთო გემი არგენტინის სანაპიროს უახლოვდებოდა, როდესაც ძმამ, გიორგიმ, დაურეკა და ახალი ამბავი ამცნო, ერთის მხრივ ეს ცუდი სიახლე არ იყო, თუმცა გოგა ძალიან ანერვიულდა და კაპიტნიდან ერთკვირიანი შვებულება აიღო. დასატვირთად გამზადებული ხომალდი ბუენოს-აირესის საზღვაო პორტში მიატოვა და საქართველოსკენ გამოეშურა.

საქართველომდე პირდაპირი რეისით ვერ ჩაფრინდებოდა, ჯერ სტამბულის აეროპორტში უნდა ჩასულიყო, იქ კი სტამბული-თბილისის რეისზე გადაჯდებოდა. მგზავრობა დამღლელი იქნებოდა, სამაგიეროდ ხვალ დილისთვის უკვე მეუღლეს ჩაიკრავდა გულში.

– რამ ჩაგაფიქრა გოგა? – ფიქრებიდან ნატას შორეულმა ხმამ გამოიყვანა.

მონიტორს დახედა და საყვარელ მეუღლეს სახეში შეჰღიმა.

– შენთვის სუვენირი მომაქვს, – ჯიბეები მოიქექა და პატარა ვარდისფერი მარგალიტი ამიღო, კამერის წინ რამდენჯერმე შეატრიალა, მეუღლეს კარგად რომ დაენახა და დაუმატა, – ჩემი ხელით დავიჭირე წითელ ზღვაში, მთელი საათი დავეძებდი მარჯნის პოლიპებსა და რუხ რიფებს შორის.

– რა ლამაზია, – ქალს თვალები აღფრთოვანებისგან გაუბრწყინდა. – ძალიან მიყვარხარ. ერთი სული მაქვს როდის გნახავ. იცი ჩვენი გიგანტი მოლუსკი თან მაქვს წამოყვანილი. – ნატამ კამერა მიაბრუნა.

მონიტორზე მკვეთრად გამოჩნდა ფანჯარასთან მიდგმულ მაგიდაზე ოვალურ აკვარიუმში ჩასვენებული Cristaria plikata-ს კლასის მოლუსკი, რომელიც უშველებელი დაკბილული იასამნისფერი ნიჟარით მართლაც მამლის ბიბილოს წააგავდა.

– მეც მიყვარხარ, – დანახულმა სურათმა გოგა გაამხიარულა, – მახსოვს, ეგ მოლუსკი ძლივს

გამოვსტაცე ხელიდან მოხუც მეთევზეს, რომელიც ჩემთან ერთად თევზაობდა. გემისკენ რომ მიმქონდა, იმ მოხუცმა გული და სული გამოაყოლა თან. – გოგამ თვალი მხიარულად ჩაუკრა მეუღლეს.

– მე ძალიან მომწონს, – ნატამ აკვარიუმს გახედა, – ლამაზი ნიჟარა აქვს.

მოულოდნელად თვითმფრინავი შეძაგძაგდა. გოგამ ილუმინატორში გაიხედა, წვიმა ჰორიზონტალურად ასხამდა, მძიმედ მოქუფრულ ღრუბლებში კი ალაგ-ალაგ გაიკლაკნებოდა ელვა. ის მეზღვაური იყო და ბევრად უფრო ძლიერ შტორმსაც შესწრებია, მაგრამ ქარიშხალი ჰაერში სულ სხვაგვარად მოქმედებს ადამიანზე.

– რა ხდება ძვირფასო? დაძაბული სახე გაქვს, – იკითხა ნატამ.

– არაფერი, – გოგამ კვლავ მონიტორს ჩახედა, – უკვე ოთხი საათია მოვფრინავ, კიდევ ოთხიც და სტამბულში ვიქნები. იქედან კი თბილისამდე ერთი საათის გზაა დარჩენილი. შეიძლება შენს მშობიარობასაც მოვუსწრო.

ქალმა გაიღიმა.

– მშობიარობას თუ ვერ მოუსწრებ სანანებელი არაფერი გექნება, რადგან შენს ვაჟკაცს ჩაგახუტებ, – ნატამ თვალები მორცხვად დახარა და ხმადაბლა დაუმატა, – ნეტა როგორი იქნება?

– შენსავით ლამაზი, – გოგამ თვალებში ჩახედა მეუღლეს, – რა დავარქვათ?

– თორნიკე.

– მამაჩემის საპატიცემულოდ? – გოგამ გაიღიმა, – ძალიან კარგი გოგო ხარ, მენატრები.

თვითმფრინავი კვლავ შეძაგძაგდა, ელვისებურად ჩაქანდა ქვემოთ. გოგა უეცრად ამჩატდა, იგრძნო როგორ იკლო მიზიდულობის ძალამ. ხომალდის სალონში პანიკამ დაისადგურა, ანერვიულებული მგზავრები ილუმინატორებს მიაწყდნენ, ზოგი ტიროდა, ზოგი ლოცულობდა. გარეთ კი ქარიშხალი მძვინვარებდა.

– პატივცემულო მგზავრებო, გთხოვთ სიმშვიდე შეინარჩუნოთ, ხომალდი ჰაერის ტურბოლენტურ დინებაში მოხდა, საგანგაშო არაფერია, თუმცა თავი სამაგრებით დაიმაგრეთ და საჭიროების შემთხვევაში ჟანგბადის ნიღბები გამოიყენეთ. – კაპიტანმა სამ ენაზე აუწყა მგზავრებს.

გოგამ თავთან დაკიდებულ ნიღბებს ახედა. რატომღაც ჰოლივუდური ფილმი კატასტროფა გაახსენდა, სადაც ჟანგბადის ნიღბების გამოჩენის შემდეგ თვითმფრინავი ყოველთვის ფეთქდებოდა. ავმა წინათგრძნობამ გაუარა გულში.

„ლეპტოპს“ დახედა, ინტერნეტი ისევ გამორთულიყო, მონიტორზე მისი მეუღლის გამოსახულება გაშეშებულიყო. გოგამ Skype თავიდან ჩართო, ცოტა ხანი ადროვა, მერე სწრაფად აკრიბა მოკლე ტექსტური შეტყობინება და გააგზავნა.

...„ელემენტი ჯდება, ჩემზე არ იდარდო, მალე გნახავთ, ორთავე ძალიან მიყვარხართ“...

შემდეგ ყველაფერი ელვისებურად მოხდა, მარცხენა ტურბორეაქტიულ ძრავს მეხი დაეცა, ხომალდი შეძაგძაგდა, ალმოდებული ძრავი აფეთქდა, მარცხენა ფრთა შუაში გადატყდა. თვითმფრინავი ჩიკორასავით დაბზრიალდა, მოწყვეტილი ვერხვის ფოთოლივით შეფარფატდა და წვერით გადაეშვა ოკეანესკენ.

მგზავრებს თავზე ჩემოდნები გადმოეყარათ, ყველა შეშინებული ყვიროდა, შველას ითხოვდა, მაგრამ შველა არსაიდან იყო.

გოგას ირგვლივ ყველაფერი დატრიალდა, იატაკი ჯერ გვერდზე, შემდეგ კი თავს ზემოთ მოექცა, „ლეპტოპი“ ხელიდან გაუვარდა. მიხვდა, რომ მისი დრო მოსულიყო, ცოლ-შვილის უნახავად ემშვიდობებოდა სიცოცხლეს. თვალები დახუჭა და ნატას სახესთან ერთად პატარა შავგვრემანი ბიჭის სახე წარმოუდგა თვალწინ, ბიჭი ბუნჩულა ვარდისფერ ხელებს მისკენ იშვერდა და უღიმოდა.

– ღმერთო დიდხანს აცოცხლე ორთავე. გადააფარე შენი კალთა და უბედურებას მოარიდე. – ხმადაბლა ჩაიჩურჩულა და ილუმინატორიდან მოახლოებულ ოკეანეს გახედა.

„ბოინგ-747“ გვერდულად დაენარცხა აბობოქრებულ ტალღებს, ცოტა ხანი ნარ-ნარად ირწეოდა ზედ, შემდეგ უშველებელი ტალღა გადაემხო ზემოდან.

ხომალდი შიშინით გადაიხარა და ბუყბუყით ჩაიძირა ატლანტიკის ოკეანეში.

* * *

ნატამ ნარკოზისგან დამძიმებული თვალები გაახილა. სამშობიაროს პალატა მოათვალიერა, უკვე საკმაოდ გათენებულიყო, მთელ ოთახში მზის კაშკაშა შუქი აღწევდა. უეცრად მკერდზე თბილი სხეულის შეხება იგრძნო, სულში ჯერარგანუცდელი სითბო ჩაეღვარა, საბანი გადასწია და მიხუტებულ ჩვილს ნაზად მიეფერა.

გონება დაძაბა. გაიხსენა, როგორ მიჰყავდათ საოპერაციოში, ნარკოზისგან სანახევროდ გაბრუებული. შემდეგ კი ყველაფერი უკუნმა მოიცვა.

– გოგა? – მისუსტებული ხმით იკითხა. ოთახი ერთხელ კიდევ მოათვალიერა. საწოლთან მიდგმულ ტუმბოზე დადებულ „ლეპტოპს“ გადაწვდა.

...„ელემენტი ჯდება, ჩემზე არ იდარდო, მალე გნახავთ, ორთავე ძალიან მიყვარხართ“...

ლურჯი ასოებით ციმციმებდა შეტყობინება Skype-ში.

ოთახში მედდა შემოვიდა, ნატას შეჰღიმა.

– როგორა ხართ? – მზრუნველად ჰკითხა.

როდესაც დადებითი პასუხი მიიღო. ქალს საბანი შეუსწორა.

– ბავშვი ჯანმრთელია, საკეისრო ოპერაციამ გართულების გარეშე ჩაიარა, – იქვე მაგიდაზე დადგმულ აკვარიუმს გახედა და დაუმატა, – დღეს თქვენი მოლუსკი სხვანაირია, ფერი იცვალა და იასამნისფერი ნიჟარა წითლად დაეზოლა.

ნატამ თავი ძლივს წამოსწია. ოვალურ აკვარიუმში მოთავსებულ Cristaria plikata-ს გახედა, რომელსაც უშველებელი დაკბილული ნიჟარა ფართედ გაეღო და მის სიღრმეში მზის შუქზე პატარა ვარდისფერი მარგალიტი ბზინავდა.

სოფლის შარაგზა

აგვისტოს მზე უმოწყალოდ აცხუნებდა სოფლის შარაგზას, ბუღი ასდიოდა არე-მარეს. ძველ, ხავსმოდებულ წისქვილთან ქალ-ვაჟი იდგა. ვაჟს ქალის ხელი ჩაებღუჯა და ცისფერ თვალებში ჯიქურ ჩაშჩერებოდა.

– არ წახვიდე მარიტა, – ხმადაბლა ბუტბუტებდა ის, – უშენოდ რა აზრი ექნება ჩემს აქ ყოფნას.

– მშობლებმა ასე გადაწყვიტეს.

– მაგრამ შენ ხომ დიდი გოგო ხარ, შეგიძლია აქ დარჩენა არჩიო.

– მე მხოლოდ თექვსმეტი წლისა ვარ ჯაბა, – გოგონამ თავი ჩაღუნა და ნაღვლიანად დაუმატა, – არ შემიძლია.

– მაშინ გავიპაროთ, – ვაჟის თვალებში იმედის ნაპერწკლებმა გაიკვესეს, – ახლავე გავიპაროთ.

– არა ჯაბა, მე პატივს ვცემ ჩემს მშობლებს... აჯობებს დავიცადოთ.

– მაგრამ როდემდე ვიცადოთ, მე ხომ მიყვარხარ, მარიტა! – ვაჟმა მკერდში ჩაიკრა ქალი და აცრემლებული თვალები დაუკოცნა.

– მეც მიყვარხარ, მაგრამ...

– წამოგყვები. – სიტყვა შეაწყვეტინა ვაჟმა.

– ამით მხოლოდ ურთიერთობას გაართულებ.

ქალმა ნაზად გაითავისუფლა თავი ვაჟის მკლავებიდან.

– ჯერ გავიზარდოთ, – გადაჭრით წარმოსთქვა, ვაჟს ლოყაზე ეამბორა და მტვრიან შარაგზას გაუყვა.

ვაჟი კი იდგა ძველ წისქვილთან და მიმავალ გოგონას უმზერდა, მას იმ წუთას სძულდა სოფლის შარაგზა, რადგან სიყვარულმა ამ ვიწრო შარაგზით ირჩია მისგან წასვლა, იდგა და ცრემლებს ძლივს იკავებდა, შემდეგ წისქვილის ხავსმოდებულ კედელს მიეყრდნო და თავისთვის ჩაიჩურჩულა.

– გავიზრდები.

* * *

როდესაც ავტობუსის სველი მინის მიღმა ჟანგმოდებულ აბრას მოჰკრა თვალი, რომელსაც მსხვილი ნახევრადწაშლილი ასოებით ეწერა „გოჩა ჯიხაიში“, მხოლოდ მაშინ იგრძნო თუ რაოდენ მონატრებოდა სოფელი, მონატრებოდა გაგიჟებით მთელი სულითა და გულით. ის ფარული სევდა კი, რომელიც თან სდევდა ეს ხუთი წელია, უბრალოდ საყვარელი სოფლის სიშორით იყო გამოწვეული. მშობლიური კერის სიახლოვემ ენით აღუწერელი აღმაფრენა მოჰგვარა. მას ხომ ბავშვობის უმეტესი წლები სოფელში ჰქონდა გატარებული, ბავშვობა კი ყველაზე დაუვიწყარი და უმთავრესი ეტაპია, ცხოვრების იმ ძნელი გზისა, რისი გავლაც ადამიანს უხდება.

აბრას თვალი გააყოლა, რომელიც რკინის ორ მოლაყლაყებულ ბოძზე დამაგრებული აკვანივით ირწეოდა და იგრძნო, როგორ შეუყვა სოფლის დანგრეულ შარაგზას ერთიორად აჯაყ-ჯაყებული ავტობუსი.

– სოფელი „გოჩა ჯიხაიში“, – ხმადაბლა ჩაიჩურჩულა და გაყინულ მინას სახით აეკრო.

გვერდით მჯდომმა მოხუცმა ქალბატონმა, წამით გაოცებულმა გადმოხედა, შემდეგ პატარა დრო-ჟამისაგან დანაოჭებული ხელი ბეჭზე ფრთხილად შეახო და ნაცნობი აქცენტით ჰკითხა.

– სტუმრად მოდიხარ, შვილო?

ქალს ნაღვლიანად გაუღიმა და თავი უარის ნიშნად გაიქნია.

– არა ბებო, – შემდეგ კი სიამაყით დაუმატა, – მე აქაური ვარ.

მოხუცმა ჯერ ინტერესით შეათვალიერა, შემდეგ სუსტი მხრები სასაცილოდ აიჩეჩა და იქვე, მოუხერხებლად დადებულ ჩანთას გადასწვდა, რათა ის ავტობუსის ჯაყ-ჯაყზე არ გადაყირავებულიყო.

აი ასეთები არიან მისი მშობლიური სოფლის მკვიდრნი, მოსიყვარულე და კეთილნი. უცნაური იყო ყოველივე, მონატრებულ სოფელში ჩამოსვლამ მისტიკური შთაგონება მოჰგვარა. ხუთწლიანი „ძალად“ ემიგრანტობის შემდეგ, როგორც იქნა ეღირსა სამშობლოში დაბრუნება, აღარც კი ახსოვდა რამდენი ხანი დაეხეტებოდა ლონდონის მარად ნესტიან ქუჩებში უმუშევარი, სანამ ერთ პაწაწინა მაღაზიაში იაფფასიანი სუვენირების რეალიზატორად არ მოეწყო. ერთფეროვნად მიიზლაზნებოდა წლები. უცხოეთში გადაკარგული თავს ეულად გრძნობდა, თუმცა არაერთ ქართველთან ჰქონდა ურთიერთობა, მაგრამ იქაურ ქართველებს, დაეკარგათ ის ეშხი და ლაზათი, რითაც ყოველთვის გამოირჩეოდა ქართველი ერი. არ ჰგავდნენ მის მოსიყვარულე თანასოფლელებს. ამიტომაც უგდებდა ყურს დაუსრულებლად მოსაუბრე მგზავრებს, სიამოვნებდა იმერული კილოკავით გაჯერებული სიტყვების მოსმენა, გაფართოებული თვალებით მისჩერებოდა ფანჯრის მიღმა გადაშლილ ნაცნობ პეიზაჟს და მიუხედავად იმისა, რომ გარეთ საკმაოდ მოჟამული ამინდი იდგა, ნისლიანი ლონდონის შემდეგ მისი სოფელი ფანტასტიური ნათელით გასხივოსნებული ეჩვენებოდა.

ავტობუსის მძღოლი მოსული, ბრგე მამაკაცი იყო, ნაღვლიანი გაუპარსავი სახე და უზარმაზარი, გაბურძგნული თავი ჰქონდა, ტიკივით გაბერილი მუცელი საჭესთვის მიებჯინა და კოტიტა თითებით საჭეს ჩაფრენილი მართავდა ავტომობილს.

როდესაც მგზავრობის საფასური გადაიხადა და მძღოლს ხმამაღლა გასძახა.

– გამიჩერეთ!

მან მოზვერივით შეუბღვირა, ავტობუსი გააჩერა, ფული დაუდევრად გამოსტაცა ხელიდან და ხარბად ჩაითვალა.

დეკემბრის თვის შუა რიცხვები იდგა. ყინავდა. ცა მძიმე ნაცრისფერ ღრუბლებს დაეფარა. ირგვლივ ოდნავი ბინდი ჩამოწოლილიყო, არე-მარე გარინდული ელოდა ზამთრისთვის ესოდენ დამახასიათებელ... თოვლს...

ავტობუსის თბილი კაბინიდან ჩამოსულმა წამსვე შეიგრძნო დეკემბრის ძვალსა და რბილში გამტანი სუსხი, პალტოს თბილი საყელო ყურ-

ებამდე აიწია და ერთ დროს მოასფალტებულ, ახლა კი ნაასფალტარ შარაგზას გაუყვა, თან ცდილობდა პირდაპირ შუა ქუჩაში დამდგარი ნაწვიმარი გუბეებისათვის აექცია გვერდი.

სახლამდე საკმაოდ შორი გზა ჰქონდა გასავლელი, მთელი საათი გავიდოდა სანამ მშობლიურ ეზოში შეაბიჯებდა. განა ეზარებოდა დეკემბრის სუსხიან ამინდში ხეტიალი, პირიქით უხაროდა ესოდენ ნაცნობი ადგილების ხილვა. გულისფანცქალით შესცქეროდა წინ შემხვედრ ყოველ ეზოს, ყოველ სახლს, მან ხომ აქ გაატარა ბავშვობა, დარბოდა ტოლ-მეგობრებთან ერთად ზაფხულის მწველი სხივებისაგან აბიბინებულ მინდვრებზე, ხან კი ყინვისაგან ფქვილივით გამომშრალ თოვლში გორაობდა. ახლაც გამოჩნდა ტანაშოლტილ ნაძვებს შორის გამომწყვდეული, მრავალ ჭირვარამნახული ფეხბურთის მოედანი, რომელზეც გულის ამოვარდნამდე თამაშობდა ფეხბურთს, თუმცა მთელი მოედანი ღორებს გადაეჩუღნათ, არც კარი ჰქონდათ სახარბიელო და არც გულშემატკივარი ჰყავდათ თავსაყრელად, მაგრამ ეს როდი აბრკოლებდათ.

მის თვალწინ რძისფერი ნისლის მიღმა, თანდათან გამოიკვეთა ის პაწაწინა ტბორი, სადაც პაპანაქება ზაფხულში ტიტლიკანები ჩაცვივდებოდნენ ხოლმე და ჟივილ-ხივილით ბაყაყებს დასდევდნენ. თუმცა ის ახლა დაპატარავებული და უფერული ეჩვენა, მაგრამ მაინც სიამოვნებდა მისი შორიდან ჭვრეტა და არა მარტო მისი, არამედ ყოველი ხე, ყოველი ბუჩქი ბავშვობისდროინდელ მოგონებებს აღუძრავდა.

ვინ მოთვლის რამდენ საიდუმლოს მალავდა ეს ტალახიანი და მიხვეულ-მოხვეული შარაგზა, ალბათ ენა რომ ჰქონოდა, ყურით გაუგონარ ამბებს მოუყვებოდა ყოველ გამვლელ-გამომვლელს, მაგრამ... როდესაც ის ამ შარაგზას დაადგებოდა ხოლმე, ისეთი შეგრძნება უჩნდებოდა, თითქოს წარსულში მოგზაურობდა. პირველი სიყვარული ამ შარაგზაზე ეწვია, აქ გაიცნო მარიტა, საღამოობითაც შარაგზაზე სეირნობდნენ ერთად. ძველი, მიტოვებული წისქვილი კი, რომელიც შარაგზის განაპირას დგას, მათი საიდუმლო შეხვედრების ადგილი იყო. მხოლოდ წისქვილი და სოფლის შარაგზა გახლდათ მათი მესაიდუმლე, თუმცა მის სიყვარულს ხელი გარემოებამ შეუშალა, მარიტას მშობლები რატომღაც აღარ სწყალობდნენ, ამიტომ გოგონასთან ურთიერთობა რომ გაეწყვიტა, ის ქალაქში გააგზავრეს, თვითონ კი დადარდიანებული უცხოეთისაკენ გაუყვა გზას და მას შემდეგ აღარც კი ენახა მარიტა.

უხმაუროდ მიუყვებოდა შარაგზას, უკვე მოჩანდა კიდეც მხიარულად მოწაკწაკე რუს გვერდით წამოჭიმული წისქვილი, მისი და მარიტას საიდუმლო შეხვედრების ადგილი, ის ისევ ისეთი იყო, როგორიც წლების წინ მდუმარე და სევდიანი, მაგრამ ყველაზე უცნაური ის გახლდათ, რომ წისქვილთან ახლოს სიფრიფანა გოგონას სილუეტი ილანდებოდა. ჯერ თვალებმოჭუტული უმზერდა სილუეტს, შემდეგ როდესაც მასში მარიტა შეიცნო, ნაბიჯს მოუჩქარა და მისკენ მოკურცხლა.

სირბილით მიუახლოვდა გოგონას, რომელიც წისქვილის კედელს მიყრდნობილი, ღიმილით შესცქეროდა თვალებში, შეცვლილიყო მარიტა, გალამაზებულიყო. ნაცნობმა გრძნობამ მოიცვა მისი არსება, თბილმა ტალღამ დაუარა სხეულში და გულმა ძალუმად დაუწყო ფეთქა.

– მარიტა, – ჩაიჩურჩულა და მოეხვია.

– გავიგე რომ ჩამოხვედი, – მარიტამ სველ თმაზე ხელი გადაუსვა და დიდრონი ცისფერი თვალები მორცხვად აახამხამა, – არც კი შეცვლილხარ, ისევ ისეთი ხარ.

– შენ კი ძალიან ლამაზი ხარ, – დაბნეულად ჩაიბურტყუნა.

– მომენატრე.

– მეც მომენატრე.

– მერედა სად იყავი აქამდე? დაგერეკა მაინც.

– მეგონა ასე აჯობებდა, – მხრები აიჩეჩა, – შენს დავიწყებას ვცდილობდი.

– მერე, არ გამოგივიდა?

– არ გამომივიდა, – ქალს მზერა აარიდა და ხავსმოდებულ წისქვილს გახედა, – ისევ აქა ვართ, როგორც მაშინ, პირველ დღეს.

– შეგვიძლია ყველაფერი თავიდან დავიწყოთ.

– მერე შევძლებთ?

ერთად გაუყვნენ შარაგზას, რომელმაც რამდენიმე წლის წინ დააშორა, მაგრამ დღეს ისევ შეახვედრა ერთმანეთს, ხელიხელჩაკიდებული მიდიოდნენ და ყურადღებას არ აქცევდნენ დეკემბრის სუსხს.

– ახლა უნდა წავიდე, ორ დღეში თბილისში ვბრუნდები, – მარიტა ნაღვლიანად გამოემშვიდობა.

– დღეს საღამოს წისქვილთან შევხვდეთ, – მომთხოვნი ტონით წარმოსთქვა ვაჟმა, – მე ის პატარა ბიჭი აღარა ვარ, უცხოეთმა ბევრი რამ მასწავლა.

– შენ უკეთ იცი.

გოგონა მიტრიალდა და ნელი ნაბიჯით სახლისაკენ გაეშურა. ღრუბლებით მოქუფრული ცა უფრო დამძიმდა, თითქოს ერთი-ორად დაახლოვდა და თოვლი წამოვიდა, მსხვილი ფანტელები ტრიალ-ტრიალით გადმოეშვნენ, სოფლის თავზე მრისხანედ გადმოკიდებული ღრუბლებიდან, ერთ წამში სულ შებურეს არე-მარე, ერთმანეთში ქინქლასავით აირივნენ და ლამაზად დაეფინნენ სველ ასფალტს. ის გაუნძრევლად იდგა და მიმავალ გოგონას მანამ უმზერდა, სანამ მისი სილუეტი შარაგზის მოსახვევში არ მიიმალა. დეკემბრის სუსხმა ისევ შეახსენა თავი, სიცივემ აიტანა, მოიბუზა და სწრაფი ნაბიჯით გაუყვა შარაგზას.

ჭიშკარი, როგორც ყოველთვის, ალუმინის მავთულით დახვდა გამოკრული, ბებოს ამ უცნაურ ჩვეულებაზე გაეღიმა, მავთული გახსნა, ურდული გამოსწია და ეზოში შეაბიჯა. პატარა კუდაპრეხილი ძაღლი ხმამაღალი ყეფით გამოექანა მისკენ.

– პწუ, პწუ, ცუგო, ვერ მიცანი? – დაუყვავა ძაღლს, ცუგომ ყეფა შეწყვიტა, თავი გვერდზე სასაციღოდ გადასწია, შემდეგ კუდის ქიცინით მიელაქუცა, ანცად აწკმუტუნდა და გაყინული ხელები თბილი ენით აულოკა.

ეფერებოდა ცუგოს და თან ხარბად ათვალიერებდა ესოდენ მონატრებულ ეზო-გარემოს, აი ის ლოყაწითელა ვაშლის ხე, რომელსაც ახლა ფოთლებიდან გაძარცვულს, თხლად დასდებია თოვლის ქათქათა ფენა, ის დედოფალივით თეთრ სამოსში გამოწყობილა, ღმერთმა იცის, რამდენჯერ მოქცევია მას კენწეროზე და რამდენჯერ ჩაუკბეჩია მისი ლოყაწითელა ნაყოფი, აი თოვლისგან გათეთრებული გოლიათი მსხლის ხე, რომელიც ობლად დგას ყველასაგან განმარტოებით, ის თავისი არსებობის მეასე წელიწადს ალბათ დიდი ხანია რაც ითვლის, უხარია ესოდენ მონატრებულ ეზოში ფეხის შემოდგმა, უხარია ნაცნობი გარემოსათვის თვალის გადავლება და უნდა გიჟივით იყვიროს, ცუგოს ჩაეხუტოს, თოვლში იკოტრიალოს, უკვე საკუთარ არსებას აღარ ეკუთვნის და დგას შუა ეზოში ერთ ადგილზე ქანდაკებასავით გაშეშებული.

შემდეგ სახლიდან ბებო გამოვიდა, ალბათ ცუგოს ხმამაღალი წკავ-წკავით და ყეფით შეწუხებული. ძველი, უშველებელი სათვალე გაიკეთა, ცოტა ხანი უმზირა შუა ეზოში მდგარს, ალბათ, გაუკვირდა ვინ არის ეს კაცი ამ „თოვლ-მეხში“ რომ დამდგარა აჩრდილივითო, შეიძლება პირველად ვიღაც გადარეულადაც კი ჩათვალა, მაგრამ ბოლოს იცნო, გაიღიმა, რამდენიმე ნაბიჯი გადმოდგა მისკენ და მონატრებული ხმით ჩაილაპარაკა.

– ჩამოხვედი, დია?

ისიც გაემართა ბებოსაკენ, გადავეხვია აცრემლებულს და მხოლოდ ახლა იგრძნო თუ რაოდენ მონატრებოდა.

– ჩამოვედი, ბებო. – ხმადაბლა უპასუხა და გულში ჩაიკრა.

* * *

თოვდა, თოვლის ფანტელები ფარვანებივით ფარფატებდნენ ღამეულ ცაში და ჩუმი შრიალით ეფინებოდნენ გაყინულ მიწას, სოფლის შარაგზას ქალ-ვაჟი მიუყვებოდა, ხელი-ხელჩაკიდებულნი მიაბიჯებდნენ სიბნელეში, მათ არც დეკემბრის სუსხი აბრკოლებდათ და არც წაღმაუკუღმა მოფარფატე ფანტელები.

– ხუთი წელია ველოდი ამ დღეს, – სიჩუმე დაარღვია ვაჟმა.

ქალმა თავი მორცხვად დახარა და საპასუხოდ მხოლოდ ხელი მოუჭირა.

– ჩვენ გავიზარდეთ მარიტა.

– ჰო, გავიზარდეთ, – ქალმა თანხმობის ნიშნად თავი დაიქნია და ვაჟს მიეხუტა.

უკან, შარაგზის ბოლოს ძველი წისქვილის სილუეტი მოჩანდა, რომელიც ძლივს ილანდებოდა სიბნელეში, თოვლით გადათეთრებული შარაგზა კი არიადნეს ძაფივით მიიკლაკნებოდა ქალ-ვაჟის წინ და თითქოს ხელიხელჩაკიდებულ წყვილს, ახალი ცხოვრებისაკენ მიმავალ გზას ასწავლიდა.

ვაჟს იმ წუთას უყვარდა სოფლის შარაგზა, რადგან მისი გავლით წარსული უკან მოიტოვა და საყვარელ ადამიანთან ერთად მომავლისაკენ მიემართებოდა.

წარმატებული ჟურნალისტის საიდუმლო

ყოველთვის მეგონა, რომ არაფრის მეშინოდა, როგორც ყოველი ქართველი მამაკაცი, შიშზე ღიმილით ვსაუბრობდი. არ ვიხსენებდი იმ დროს, როცა ხუთი წლის ბიჭუკელას სიბნელე მაფრთხობდა, თავს ვინუგეშებდი: – უკვე გავიზარდე, სიბნელის შიში კი ბავშვობასთან ერთად წარსულს ჩაბარდა-მეთქი.

მართალი გითხრათ, დღევანდელი რეალობა უფრო საშიშია, ვიდრე ბავშვობის დროინდელი „მონსტრები“. თავი უშიშარ ადამიანად მას შემდეგ ჩავთვალე, როცა ერთ-ერთი ბანკის კრედიტოფიცერმა 22% (პროცენტში) დამიმტკიცა სესხი.

ხუმრობა იქეთ იყოს, უმჯობესია ამბის თხრობას შევუდგე.

ისტორია რომელსაც ახლა მოისმენთ, ჩემი ფანტაზიის ნაყოფი როდია. ის რეალურად გადამხდა თავს და ჩემი ცხოვრება რადიკალურად შეცვალა.

პატარა პროვინციულ გაზეთში ვმუშაობ, ხელფასი დაბალი მაქვს, სამაგიეროდ ენთუზიაზმით ვარ სავსე. დავეხეტები მთელი დღე ქალაქის ქუჩებში და იმედი მაქვს, სადმე საინტერესოს გადავაწყდები, რომლიდანაც სენსაციურ სტატიას გამოვაცხობ.

სენსაციების რა მოგახსენოთ, მაგრამ დროს უქმად ნამდვილად ვკარგავ. არც ოჯახი მყავს, არადა უკვე ისეთ ასაკში ვარ, დროა ოჯახის შექმნაზე ვიფიქრო.

შეიძლება ნორმალურ ადამიანს ჩემი ცხოვრება საშინელებად მოეჩვენოს და მართალიც იქნება, ზოგჯერ მეც მეზიზღება ჩემებური ყოფა. ქვეყნიდან წასვლაზეც ბევრჯერ მიფიქრია, თუმცა ვერასოდეს მოვაბი თავი. ალბათ, პატრიოტი ვარ. ღარიბ-ღატაკი და ყველასთვის უჩინარი პატრიოტი.

ზუსტად მახსოვს, იმ დღეს 15 ივნისი იყო, რედაქციაში შეწუხებული რესპოდენტი შემოვიდა. შავი, მოუვლელი წვერით დაფარული დაღლილი სახე ჰქონდა, ძველი გაცრეცილი ჯინსები და გახუნებული ნაცრისფერი პერანგი ეცვა.

კარებთან ჩუმად აიტუზა და მავედრებელი თვალებით შემომხედა, დაჯდომა შევთავაზე და მისი პრობლემით დავინტერესდი.

– უნდა დამეხმაროთ, უფროსო, – სასოწარკვეთილი ტონით თქვა და პლასტმასის სკამზე ხვნეშით დაჯდა.

– გისმენთ. – ინტერესით ვუთხარი და ამბის მოსასმენად გავემზადე.

– მთელი ცხოვრება პატიოსანი შრომით ვარჩენდი ოჯახს, – აკანკალებული ხმით დაიწყო რესპოდენტმა, – არავისთან არ მივსულვარ დახმარების სათხოვნელად, ახლა კი იძულებული ვარ თქვენ მოგმართოთ.

– რით შეგვიძლია დაგეხმაროთ? – მხრები ავიჩეჩე.

– ჩემი ოჯახი სიღარიბის ზღვარს ქვემოთ იმყოფება. ხუთი მცირეწლოვანი ბავშვი და ინვალ-

იდი მეუღლე მყავს. ერთოთახიანი სახლიც ჩემი ხელით ავაშენე ფანერისა და შიფერისაგან, ქალაქის განაპირას. გუშინწინ კი ვიღაც ტრაქტორით მომადგა და ჩემი ნაოფლარის დანგრევა დაიპირა. არ დავანებე, მერე დამემუქრა: მოგკლავო.

რესპოდენტს ხმა აუთრთოლდა.

ფეხზე წამოვდექი და ხელი ბეჭზე მოვუთათუნე, შემეცოდა დაბეჩავებული და განადგურებული ჩანდა.

– ნუ ნერვიულობთ ბატონო... თქვენი სახელი თუ შეიძლება.

– ჯემალი.

– ბატონო ჯემალ, პირველ რიგში პოლიციას მიმათეთ, – ვურჩიე.

– უკვე მივმართე. მათ კი მითხრეს, რომ უკანონოდ ვცხოვრობ სხვის მიწაზე.

– გასაგებია, – რესპოდენტს მივაცქერდი, რომელიც ცრემლს იწმენდდა, – მე მხოლოდ სტატიის დაწერა შემიძლია, – შევთავაზე, – თქვენი პრობლემის შესახებ საზოგადოებას მოვუთხრობ. მკითხველი წაიკითხავს, გულთან მიიტანს, მერე კი ვინ იცის, რა მოხდება.

– დიდი მადლობა, – სახე გაებადრა ჯემალს, – მეც მაგის თხოვნა მინდოდა თქვენთვის. იქნებ მეშველოს რამე. – ჯიბეები მოიქექა, ოთხად გაკეცილი გაყვითლებული ფურცელი მაგიდაზე დადო და ხმადაბლა დაუმატა, – ეს ჩემი მისამართია.

ფურცელი გავშალე და ბატიფეხურად მიწერილ ასოებს თვალი გადავავლე.

– საღამოთი აუცილებლად გესტუმრებით.

რესპოდენტი თავის დაკვრით დამემშვიდობა, ხელი მეგობრულად ჩამომართვა და ოთახიდან გავიდა. მის თვალებში იმედი დავინახე, ამიტომ ძალიან მომინდა დავხმარებოდი და ცოტათი მაინც შემემსუბუქებინა მისი მძიმე მდგომარეობა.

რედაქციაში ბევრი საქმე არ იყო, მხოლოდ ერთი სტატია მქონდა დასასრულებელი. თუმცა საღამოს შვიდ საათამდე მაინც დავრჩი, შემდეგ ციფრული ფოტოაპარატი და დიქტოფონი ავიღე. რედაქციის კარი გამოვხურე და დღევანდელი რესპოდენტის მიერ დატოვებული მისამართისაკენ გავუტიე.

სახლი მართლაც ქალაქის განაპირას იდგა, მის გვერდით მხოლოდ ძველი, ნახევრადანგრეული ქარხანა წამოჭიმულიყო, რომელიც ჩამავალი მზის ფონზე, მრისხანედ გარინდებულ ციხესიმაგრეს წააგავდა.

ქოხი ფანერიდან გახლდათ შეჭედილი, პატარა იყო, დაბალჭერიანი, ფანჯრების ნაცვლად ორი ბურთისხელა ხვრელი დაეტოვებინათ, საიდანაც ჭრაქის მოცახცახე შუქი გამოდიოდა.

– ალბათ ელექტროენერგიაც არა აქვთ საცოდავებს. – ჩემთვის ჩავიბურტყუნე და ფანერის კარზე დავაკაკუნე.

კარი პატარა, კიკინებიანმა გოგონამ გამიღო, ჭვარტლით გამურული სახე ჰქონდა და დიდრონი შავი თვალები.

– მამა, მამა, სტუმალია. – ენამოჩლექით გასძახა მშობლებს.

ჯემალი ღიმილით შემომეგება. სახლში შემიპატიჟა და დანჯღრეულ სკამზე დაჯდომა შემთავაზა.

ჩემს თვალწინ საშინელი სურათი გადაშლილიყო, ოთახის შუაგულში პატარა მაგიდაზე დანთებული ჭრაქი ირგვლივ შავ კვამლს აყენებდა, გაჭვარტლურ ოთახში კი ძლივს ჩანდა იატაკზე დაგებული ქვეშაგები, რომელზეც ოთხი ბავშვი გოჭებივით გაწოლილიყვნენ.

ოთახის განაპირას ფიცრებისგან ხელდახელ შეჭედილ ბორბლებიან სავარძელში ქალი იჯდა, ფერმკრთალი სახე მოღრეცოდა, თვალებით ერთ წერტილს მისჩერებოდა, ის ერთი შეხედვით ადამიანს კი არა, ბოსტნეულს უფრო წააგავდა.

უნებურად, ფოტოაპარატი მოვიმარჯვე და სურათების გადაღება დავიწყე, გადავიღე ერთმანეთზე გადაწოლილი ტიტლიკანა ბავშვები და ჯემალის უმოძრაოდ მჯდარი მეუღლე, რომელსაც ფოტოაპარატის თვალისმომჭრელ „ფლეშ“ ნათებაზე თვალიც არ დაუხამხამებია.

მართალი გითხრათ, მაშინ პირველად შემეშინდა და ღმერთს მადლობა შევწირე, რომ ჩემი ცხოვრება ჯემალისგან განსხვავებით მოულოდნელი ბედნიერი სიურპრიზებით მაინც იყო აღსავსე.

ისე გავერთე სურათების გადაღებით, რომ ყურადღება არ მიმიქცევია, ფანჯრებს მიღმა გამკრთალი შუქფარებისთვის, არც საბურავების ხმადაბალი შრიალი ჩავთვალე საინტერესოდ, მხოლოდ წამით გავაყოლე თვალი კიკინებიან გოგონას, რომელიც ასკინკილით მიადგა ფანჯარას, ფეხის წვერებზე შედგა და ბურთისხელა ხვრელიდან ძლივს მოახერხა გარეთ გაჭვრეტა.

შემდეგ კეფაში მტკივნეული ჩხვლეტა ვიგრძენი, უკან მივტრიალდი. ზურგს უკან ჯემალი მედგა, ხელში კი ცარიელი შპრიცი ეჭირა. უეცრად მუხლი მომეკვეთა, თვალთ დამიბნელდა, ვიგრძენი როგორ გამომეცალა ძალ-ღონე, ის იყო წავიქცეოდი კიდეც, რომ ჯემალი მეცა, ხელები იღლიებში ამომდო და სკამზე დამსვა.

პირველად ვერ გავერკვიე რა ხდებოდა, გაოცებული აქეთ-იქეთ ვაცეცებდი თვალებს, ვცდილობდი წამომდგარიყავი, მაგრამ სხეული არ მემორჩილებოდა. თვალწინ ყველაფერი ირწეოდა, შემდეგ ჯემალის მოუვლელი წვერით გაბურძგნული სახე მომიახლოვდა.

– მაპატიე ძმაო, მაგრამ ხომ ხედავ უკანალში ვცხოვრობ. შვილები მშიერი დამიწყდება, რამე თუ არ ვიღონე. – მან ხელით იატაკზე დაგებული ლოგინისკენ მიმანიშნა, – იმათმა კი ათი ათასი დოლარი შემომთავაზეს თუკი ჯანმრთელ მამაკაცს მოვუყვანდი. – ხრინწიანი ხმით მითხრა და საზიზღრად გაიცინა.

ჯემალის სიტყვები მესმოდა, მაგრამ პასუხის გაცემა არ შემეძლო. სწორედ მაშინ ვიგრძენი, რომ ისევ ის მშიშარა ბიჭუკელა ვარ, რომელსაც სიბნელის ეშინოდა. თავიდან ფეხებამდე ცივმა ჟრუანტელმა დამიარა, განძრევა ვცადე, მაგრამ ნარკოტიკი, რომელიც ჯემალმა გამიკეთა, ამის საშუალებას არ მაძლევდა.

შემდეგ კიკინებიანი გოგონა, რომელიც მრგვალი ფანჯრიდან ჩაბნელებულ ეზოს ინტერესით აკვირდებოდა, უკან მოტრიალდა და ბავშვურად ჩაიტიტინა.

– მამა, მამა, ისევ სტუმალია.

იმავდროულად კარზე დააკაკუნეს. ჯემალმა გააღო. ოთახში ორი ადამიანი შემოვიდა ქალი და მამაკაცი. ორთავე შავ სამოსში იყო გამოწყობილი, ძალიან ჰგავდნენ ერთმანეთს, საოცრად ფერმკრთალი სახე და თეთრი თმა ჰქონდათ.

– ეს არის? – იდუმალი ხმთ იკითხა მამაკაცმა.

ჯემალმა თავი თანხმობის ნიშნად დაუქნია.

– ნარკოტიკის ზემოქმედების ქვეშაა. – დაუმატა მან.

თითქოსდა ოთახში სიომ ჩაიქროლაო, ჭრაქის ალი აცახცახდა, ჩემს ცხვირწინ კი მოულოდნელად ქალის სახე გაჩნდა, ის ისე სწრაფად მოვიდა, რომ თვალის მოკვრაც ვერ მოვასწარი. ქალი უფერული თვალებით ინტერესით მაკვირდებოდა, შემდეგ ყელზე მისუნა, იქ სადაც საძილე არტერია ფეთქავდა და მომნუსხველი ხმით ჩაილაპარაკა.

– შესანიშნავი ექსპონატია.

– კარგად იმუშავე მსახურო, – შავოსანმა მამაკაცმა, ჯემალს ზიზღით გადახედა, – აი შენი გასამრჯელო, – ფულის შეკვრა მაგიდაზე დააგდო, რომელსაც ხარბად დააცხრა ჯემალი.

– ახლა კი დაიკარგე აქედან შენი საცოდავი ოჯახიანად, – ამჯერად ქალმა მიმართა ჯემალს, – თუკი ოდესმე დაგვჭირდები, თავად დაგიკავშირდებით.

ჯემალმა ფაცხა-ფუცხით წამოყარა ლეიბზე მიწოლილი ბავშვები, ბოსტნეულად გადაქცეულ მეუღლეს კალთაში ჩაუჯინა და ბორბლებიანი სავარძელი ჭრიალ-ჭრიალით გააგორა ოთახიდან.

შიშის პანიკური შეტევა მქონდა, ალბათ რომ შემძლებოდა, ხმამაღლა დავიღრიალებდი, მაგრამ უცნობი ნარკოტიკის ზემოქმედებით, ყველა კიდური გამშეშებოდა, თავი მარჯვენა ბეჭზე გადამეგდო და შეშინებული თვალებით მივსჩერებოდი შავოსნებს, ერთადერთი რისი გაკეთებაც შემეძლო, მხოლოდ მათი მზერა იყო.

ქალი ისევ მომიახლოვდა. დამაკვირდა, ყელზე თითები ნაზად ჩამომისვა და შავოსან მამაკაცს უცხო ენაზე მიმართა.

– Voi începe ori[1]

[1] Voi începe ori – (რუმინული) ჯერ მე დავიწყებ.

შემდეგ ჩემსკენ მოტრიალდა, თვალები უცნაური მოწითალო ფერით ანთებოდა, შუაგაპობილი ტუჩებიდან კი წაწვეტებული ღოჯები მოუჩანდა. ვამპირების არასოდეს მჯეროდა, მაგრამ იმ წუთას პირველი რაც თავში მომივიდა ის იყო, რომ ვამპირის მსხვერპლი გავხდი, ჯემალმა ოსტატურად შემომიტყუა მათ მიერ დაგებულ ხაფანგში.

შეშინებული, ალბათ, ავკანკალდებოდი, კიდურები პარალიზებული რომ არ მქონოდა. შავოსანი ქალი შუაგაპობილი ტუჩებით კისერზე შემეხო, ჯერ მისი კოცნა ვიგრძენი, სხეულში სასიამოვნო ჟრუანტელმა დამიარა, მერე კი წვეტიანი ღოჯები მტკივნეულად ჩამესო, საძილე არტერიიდან სისხლმა იფეთქა. ქალი მოწყურებული დაეწაფა ჩემს სისხლს, თან ხელები ისე მჭიდროდ შემომხვია, რომ ლამის სუნთქვა შემეკრა.

არ ვიცი სისხლის გამოშვებამ იმოქმედა თუ ნარკოტიკს გაუვიდა მოქმედების ვადა, მაგრამ სხეულში ძალის მომატება ვიგრძენი. მივხვდი, კვლავ შემიძლია მოძრაობა, ჩემში სიცოცხლის წყურვილი იმდენად ძლიერი იყო, რომ ყელზე ჩაფრენილ ქალს ხელი მძლავრად ვკარი.

შეშინებულს ერთიორად მომმატებოდა ძალა, ქალი ბუმბულივით გავიქნიე, ის პატარა მაგიდას მტკივნეულად დაენარცხა. უეცრად შავოსანი მამაკაცი ელვისებურად გაჩნდა ჩემთან, თვალწინ გაკრთა მისი ჩაყვითლებული ღოჯები. შეშინებულმა უკან დავიხიე, სკამი გადავაყირავე, იატაკზე გავხოხდი, ვცდილობდი რამე იარაღი მეპოვა, თუმცა ერთადერთი რაც ხელში შემრჩა, ჩემი Canon-ის ფოტოაპარატი იყო, რომელიც სქელი ლენტით ყელზე მქონდა ჩამოკიდებული.

მამაკაცს ფოტოაპარატი სახეში ვსთხლიშე, ის წინააღმდეგობის გაწევას არ ელოდა, თითქოსდა შეცბა, გონზე მოსვლა არ ვაცალე, ფეხზე წამოვდექი და აპარატი მეორეჯერ ვხეთქე. სწორედ ამ დროს ფოტოაპარატის „ფლეშ“ ნათება აინთო, წამით გაბრწყინდა ოთახი, კბილებდაკრეჭილმა ვამპირმა ხმამაღლა დაიღრიალა და დაბრმავებულ თვალებზე ხელი აიფარა.

უეცრად ერთბაშად გამახსენდა ყველაფერი, რაც კი ოდესმე ვამპირებზე მქონდა გაგონილი თუ წაკითხული: – „ნიორი, ნაკურთხი წყალი, ვერცხლის ტყვიები, ხის სოლი, მზის სხივები“. საუბედუროდ, ახლა, ვერც ერთს ვერ ვიშოვიდი. ამიტომ ისევ ფოტოაპარატი მოვიმარჯვე და „ფლეშ“ ნათებით ამჯერად ქალი ვამპირი დავაბრმავე, რომელიც შეშლილი სახით მოჰქროდა ჩემსკენ.

შემდეგ თავქუდმოგლეჯილი გავვარდი ოთახდან. შიშისაგან არც დაღლილობას ვგრძნობდი და არც კისრიდან წამოსულ სისხლს ვაქცევდი ყურადღებას. ქოხთან ახალთახალი Chrysler-ი იდგა. მანქანაში ჩავხტი, ძრავი დავქოქე და ქალაქისკენ გავაქროლე.

* * *

იმ დღის შემდეგ ყველაფერი შეიცვალა.

ქოხში გადახდენილმა თავგადასავლმა პარანოია დამმართა, მეშინოდა ვამპირის ნაკბენს სავალალო შედეგი არ გამოეღო, პოლიციაში მისვლა აზრადაც არ მომსვლია – რა უნდა მეთქვა? მაინც არავინ დამიჯერებდა, შეიძლება პირიქით გადარეულად ჩავეთვალე.

მთელი კვირა სახლში ვიყავი გამოკეტილი და ველოდი, როდის გარდავისახებოდი მისტიურ „მონსტრად“, მაგრამ ტრანსფორმაცია არ მომხდარა, შეიძლება არანაირ ვამპირს არ შევხვედრივარ და ყველაფერი ჩემი წარმოსახვის ნაყოფი იყო?

იქნებ ვიღაც შეშლილმა უცხოელებმა, ბოროტად იხუმრეს?

მოკლედ ასეთი უსუსური არგუმენტებით ვიიმედებდი თავს, მაგრამ ფოტოაპარატის „ფლეშ-მეხსიერებაში“ ჩაბეჭდილი რამდენიმე ფოტო, სადაც თვალებდაქაჩული და კბილებდაკრეჭილი ვამპირი ქალი იყო გამოსახული, ფანტომურ იმედებს საბოლოოდ აცამტვერებდა.

„მონსტრები“ ნამდვილად არსებობდნენ.

აზრზე მოსვლას რამდენიმე თვე მოვანდომე, როცა საბოლოოდ დავრწმუნდი, რომ არც ვამპირად გარდავისახებოდი და არც სისხლისმსმელი „ნოსფერატუ“ მდევნიდა კვალდაკვალ, ჩვეულებრივ ცხოვრებას დავუბრუნდი.

როგორც ყველა ნორმალური ადამიანი, სამსახურში გამოვცხადდი და ჟურნალისტის საინტერესო, მომთაბარე საქმიანობას შევუდექი.

იმ ამბის შემდეგ ღამის ნახევარი წელი გავიდა, მე კი დღემდე ვიმკი ფსიქიკაზე მიყენებულ ტრავმას, ქოხში გადატანილმა საშინელებამ უკვალოდ როდი ჩაიარა, სომნიფობია ჩამომიყალიბდა – ძილის შიში. ვცდილობ არ დავიძინო, რადგან სიზმარში ყოველთვის შავოსან ვამპირ ქალს ვხედავ, რომელიც მორიგ მსხვერპლს სწოვს სისხლს, შემდეგ მაცდუნებლად მიღიმის და მეძახის:

– Tu ești unul dintre noi[1].

რა თქმა უნდა, მის სიტყვებს ვერ ვხვდები, სამაგიეროდ ყელზე ქალის მხურვალე კოცნას ვგრძნობ და ოფლში გახვითქულს ყვირილით მეღვიძება.

ბოლო ხანია საკუთარ თავს ვერ ვცნობ, სულ სხვა ადამიანი ვარ.

არ გეგონოთ, რომ ტრანსფორმაცია განვიცადე ან ღოჯები ამომივიდა, უბრალოდ ბევრად მხნედ გამოვიყურები, იშვიათად ვიღლები და ვამჩნევ, ქალებიც უფრო ინტერესდებიან ჩემით.

სომნიფობია – კარიერის გაკეთებაშიც დამეხმარა, ჩემი რუბრიკა შევქმენი, რომელსაც „ღამის ქალაქი“ დავარქვი, უძილობიდან შეწუხებული ღამღამობით ქუჩებში დავეხეტები, მძინარე ქალაქს ვაყურადებ და პატარა პროვინციული გაზეთისთვის სკანდალურ მასალას ვაგროვებ.

ამ ხნის განმავლობაში მხოლოდ ერთ რამეს მივხვდი, ვამპირის კოცნა ალბათ ადამიანის რეალურ ბუნებას ააშკარავებს, როცა თვალებანთებულმა ვამპირმა ქალმა ღოჯები საძილე არტერიაში ჩამასო, მაშინ ჩემი სულის სიღრმეში მიძინებულმა სისხლისმსმელმა მხეცმა კი არა, პირიქით კეთილშობილმა გმირმა გაიღვიძა.

ალბათ მკითხავთ – საიდან მივედი ამ დასკვნამდე?

როცა ქალაქის ბობოქარ ღამის ცხოვრებაში ჩავები, ბევრ უსამართლობას გადავაწყდი: – ქურდობა, ყაჩაღობა, გაუპატიურება, წესისამებრ როგორც კი ჩვეულებრივი მოქალაქე იძინებს, სულ სხვა ძალები გამოდიან ასპარეზზე, ბევრჯერ შევსწრებივარ კრიმინალურ გარჩევებს, თავს გმირად ნამდვილად არ ვთვლი, მაგრამ ვერც იმას ვუყურებ თუ როგორ ანგრევენ: – ქურდბაცაცები, ხულიგნები და სუტენიორები, საუკუნეების განმავლობაში მისხალ-მისხალ აგებულ ჩემს ქალაქს.

მაგრამ მე რა შემიძლია? მხოლოდ ერთი, ბოროტმოქმედების სისხლი დავლიო და ამ გზით გავათავისუფლო ჩემი ქალაქი დაავადებული ფენისგან.

როცა მსხვერპლს ვკლავ, მუდამ მზადყოფნაში მაქვს ჩემი ერთგული Canon-ის ფირმის ფოტოაპარატი, ყოველთვის დეტალურად ვასურათებ შემთხვევის ადგილს და პირველი ვწერ სკანდალურ სტატიას, უცნობ გმირზე, რომელიც კრიმინალს ებრძვის. ამიტომ ჩემი შურიანი კოლეგები „სიკვდილის მაცნეს“ მეძახიან.

მე კი ვფიქრობ, რომ წარმატებული ჟურნალისტი ვარ.

[1] Tu ești unul dintre noi – (რუმინული) შენ ერთი ჩვენგანი ხარ.

ნანა ნანო შაინიძე

ჯარისკაცის სახსოვარი

...საოცარი განცდაა, მზეს რომ დაასწრებ ცის ხილვას და იალონზე, ცისკრის ვარსკვლავთან ერთად შეეგებები უფლის წყალობას, მომდევნო დღეს!..

ჯარისკაცის ყოველდღიური ყოფითი რიტუალის დასრულების შემდგომ, შეკრებაზე დგები ღირსეული პატრიოტების გვერდით და ყველაზე ამაღლებულ წამს ელოდები – როდის გამოაცხადებს დიქტოფონში საოცრად მკვეთრი, დასამახსოვრებელი ბარიტონი –

ყურადღება!

სრულდება საქართველოს სახელმწიფო ჰიმნი!..

თრთი,

მთელი სხეული გიკანკალებს!

ტირი – ოღონდ უცრემლოდ...

მთელი არსებით ყველაფერს ერთად ტირი (ემოციებს ხომ ასე უფრო გადმოვცემთ ქალები) –

ქართველობას,

წარსულს,

აწმყოს,

მომავალს...

არგაგონილი და ვერახსნილი სიამაყე გიპყრობს და გინდა ეს წამი არასოდეს დასრულდეს!

თავაწეული დგახარ, გაჰყურებ მზეამოწვერილ ზეცას და გიხარია,

რომ ხარ,

რომ არის,

რომ იქნება!..

მერე, ეს დღეც ღამდება...

სამხედრო ცხოვრებით გადაღლილი, სამწყობრო რიგში მდგარი, ისევ შეჰყურებ ახლა უკვე უამრავი ვარსკვლავით გადაჭედილ, მოლივლივე ზეცას და ისევ ტირი –

შენს ქართველობას, ასე რომ შეგსისლხორცებია, გულის მთავარი სარქველივით მჩქეფარე და დაუდგრომელი რომაა...

და

მადლობას სწირავ უფალს –

მშვიდობისთვის,

თანამებრძოლებისთვის,

შენი შესაძლებლობებისთვის

და

იმ ნეკერჩხლის ტოტებისგან შეკრული თაიგულისთვისაც, ჯარისკაცმა რომ გისახსოვრა,

ნიშნად პატივისცემისა და რაინდი სულის გამოხატულებისა, გენეტიკური კოდით რომ ერგო!..

შიშის ფერი...

...მშვიდობაო? –

ცინიკურად იტყოდით, მაქ, მდიდრული ჭაღით გაჩახჩახებულ ოდა-სახლებში და ზერელე შეფასებით დაახურდავებდით მის დედა-აზრს!..

აქ კი, ისე მძაფრად, ცხვირის აწვამდე გრძნობ დენთის სუნს, რომელიც ახლადგასროლილი ტყვიის არსებობას გახსენებს და ხელებს ისე მაგრად უჭერ ავტომატს, თითქოს ვინმე ძალად გართმევდეს...

მასთან ერთად შენი თავისუფლებაც თან მიჰქონდეს, ასე რომ თანაშეზრდილა იარაღთან, სამიდღემჩიო თავდაცვის რეჟიმში, სულ დამპყრობელი მომხდურის ლოდინში რომაა ჩემი სამშობლო...

ცივა...

სხეულის ყველა უჯრედში, უპატრონო ძაღლივით შემოხეტებული სიცივე ძვლებს გამტვრევს...

ცოტაც და ტირილს დაიწყებ, სიცივისაგან გალუმბრული და საველე, სამხედრო ბაზაზე დარჩენილს გახსენდება შენი თანამებრძოლი გოგონები:

ლელა, თიკა, ანა, მარი, მაკა, მარიზი, ლია, სოფო, თამარი, სოფია, სოფიკო, იზო, ნარგო, გუსა და დამორცხვებული ცრემლებს უკან, საყლაპავში იბრუნებ...

კმაყოფილები ბრუნდებიან სასროლეთიდან გოგოები.

მეტიც, საღამოს შეკრებაზე კაპიტანმა მადლობაც გამოუცხადა –

კარგი საბრძოლო მომზადებისათვის...

აქ, სხვანაირი სუნი და თქვენ წარმოიდგინეთ, ფერიც აქვს მშვიდობას – შიშის ფერი აქვს, საყვარელი ადამიანის დაკარგვისას რომ გეუფლება – ისეთი შიშის...

მთების ამობურცულ მკერდს, შენაცრისფერებული ცა საბანივით ახურავს ზემოდან...

რატომღაც ჯაჭვის პერანგს მაგონებს ეს შემორკალული ცა და ღმერთს ვთხოვ – არასოდეს გაირღვეს,

დაირღვეს

და

დაიშალოს, ჩემი სამშობლოს მიწაზე, დედის სალოცავი მანდილივით დაბურული ზეცა...

დედაჩემი

არასოდეს ცმია აბრეშუმი...

არანაირი სამკაულები, სამშვენისი კეთებია, არასოდეს...

– ტუჩსაცხი?

– ჰმ! – ალბათ იმ დროში ესირცხვილებოდა კიდეც...

წელში გამოყვანილი, საკუთარი, ჩამოქანდაკებული თითებით დაკემსილი, სუფთა კაბით დადიოდა, ფეხმორჩილებით... კაბით თორე, კაბების არჩევანის ფუფუნება არც არასდროს ჰქონია...

ჩიხტიკოპივით გადაკეცავდა საბურავის ყურებს ერთმანეთზე და გაფიფქულ ლეჩაქზე ნამუსის გვირგვინივით შემოივლებდა...

ისიც თხუთმეტის ყოფილა, ბედნიერებას რომ გაურიგა სარეცელი და უკანასკნელ გაღიმებამდე (სიკვდილის წინ ყველა იღიმისო – გამიგონია) უერთგულა...

იშვიათად ნახავდით ჩაფიქრებულს, სად ეცალა ფიქრისთვის, თუმცა მუდამ ფიქრიანი იყო, საქმის დროსაც კი...

ვიხსენებ და არსად მინახავს, ხმამაღლა მოკისკისე, მოუბარიც კი...

სამაგიეროდ მოღუღუნე მტრედივით შიგნით მღეროდა, ტკივილის და დარდის დროს რომ მღერიან ქალები, ისე!..

როგორი ღარიბი და როგორი მდიდარი იყო, დედაჩემი!..

მამა

...მამას გოგო ვიყავი, მე...

ტყუპი, უშველებელი ნაწნავით, მთის მზისგან გამურული და ქარებისაგან სახეაქერწლილი...

მამას გოგოაო – ასე ამბობდნენ სოფელში და ბავშვური გულუბრყვილობით მჯეროდა, რომ სამყარო ვერ მოერეოდა, ჩემს მომწვანისფეროთვალება მამას...

დროის ქარიშხალმა ახვეტა, ჩემი მიამიტი ბავშვობის სუფთა ნაფეხურები და ისეთ ადგილას გადამალა, ველარც მე მიპოვია...

დავდივარ ახლა; უმამოდ, დამძიმებული ნაბიჯებით, დატორილ დედამიწაზე და ისეთი უმამობა მჭირს, გამოშიგნულ შვლის ნუკრს ვგავარ, თვალები რომ შერჩენია მხოლოდ შორეული წარსულიდან...

მე ახლაც მამას გოგო ვარ, ოღონდ უმამოდ!

შვილი

...არც წვიმდა და არც ქარი ქროდა, მაგრამ სიცივე სულხორცქცეულიყო და ისე ყინავდა, თითქოს სუთქვას შიგნიდან ამოჰყოლოდესო...

ზამთრის ღამის ცა დაცხრილულიყო ვარსკვლავებით...

ღამე იყო რა, ღამე – რომელსაც ყოველთვის ახლავს ცისკარი...

ჰოდა, გაცისკროვნდა, გათბა და გალამაზდა გაყინული სამყარო...

მეც გამიკვირდა, ასეთი ცვლა მკაცრი, მშრალი, მაგრამ მსუსხავი ამინდისა...

შესუსტებულ მუხლებს ვინ უჩივის, სუნთქვაც შემეკრა – შენ კი ისეთი თავდაჯერებით, შენეული ზომიერი ამპარტავნებით (თითქოს არც კი გაინტერესებდა რაც ხდებოდა)...

იდექი – განიერი მხარბეჭით, ტკივილებჩახვეული გულითა და (შენეული მანერით) ჯიბეში ხელებით...

იდექი და ჩემი: სული, აზრი, განცდა, გრძნობა, ინსტიქტები შენთან შედგა...

დამძიმებული ფეხები კი მიათრევდა: ნაგვემ, ნაჭრილობევ სხეულს და გრძნობდა, როგორ მოსდევდა შენი საყვედურნარევი მონატრებული მზერა...

როგორ მინდოდა მოვტრიალებულვიყავი და მთელი ქვეყნიერების გასაგონად მეყვირა – რომ შენით ვცოცხლობ!

– რომ შენით ვსუნთქავ!
– რომ შენთვის მთებს გადავდგამ!
– რომ, რომ და დაუსრულებლად რომ...
მაგრამ ვერ შევძელი,
ძალა არ მეყო,
ვერ გაგითამამდი...
წამოვედი და ნუგეშად შენი ლამაზი სახე გამოვიყოლე – თვალში შერჩენილ კადრად და ხატად...
...დღეს დაგინახე შვილო!!!

ერთი ღმერთის შვილები ვართ

ძმების შვილები ვართ...
ძალიან კარგი ძმების; (ცხონდეს მათი სულები).
ის მუსულმანია, (სასულიერო პირი),
მე ქრისტიანი.
ერთმანეთი მოვიკითხეთ და როცა გაიგო კარგ საქმეს შევჭიდებივარ – შემაქო!
დამლოცე გულო-მეთქი, (ვთხოვე).
ალლახმა – ღმერთმა დაგლოცოსო – მითხრა.
შენც დალოცვილი გატაროს უფალმა-მეთქი, (ვუთხარი).
დავუკიდე ყურმილი
და
ავტირდი...
– სხვადასხვა მრწამსზე მლოცველი,
ერთი სისხლისანი
და
ერთი სამშობლოსანი,
უამრავ მომხდურთა მიწისანი რომ ვართ ამაზე ამეტირა...
და მაინც, –
ერთი ღმერთის შვილები რომ ვართ, ესაა ჩემთვის ყველაზე მთავარი!..
შენმა ალახმა – ღმერთმა დაგლოცოს, (ხოჯა).

წასვლასაც არ მაპატიებენ

...მე წავალ, წავალ ისე როგორც მიდიან სხვები
და ამ წასვლასაც ვიცი, რომ არ მაპატიებენ...
წავალ, წავიღებ:
ცრემლიან და მზეჩამქრალ თვალებს, დაბინდულ გრძნობებს, ჩანავლულ ვნებებს და მოკავებ-ულ, მომხრჩვალ ღიმილებს...
ჰო, მე წავალ – ჩემი სევდით, ყოფნა-არყოფნით და კედევ ერთი სამარის ქვას დაათარიღებენ – ნანა თუ ნანო?

იქნებ საერთოდ უსახელოდ იყოს თარიღი... (დაიბადა და გარდაიცვალა)

...ეჰ, ნწ, ნწ, ნწ...

ჩვეულებისამებრ გადააქნევს ჩემი სამარის გვერდით შემთხვევით გამვლელი თავს და გვერდით მდგომს შეეკითხება – გახსოვს ეს ქალი, საცოდავი?! ის კი მხრების აჩეჩვით გაიკვირვებს – ნეტა რატომ უნდა ცნობოდა საფლავის ქვაზე მიხატული ვიღაცა ქალი (?!)

...ჰო, მე წავალ და ისე წავალ ვით განა სხვები? – არა, აქაც ჩემეულს გამოვავლენ არამიწიერ სიგიჟეებს და ვიცი ამაზეც აიჯაგრებიან – როგორ გაბედა ასე წასვლა, ეს რა თავხედობაა, რა უტაქტობაა...

...ჰო, მე უხეში ვარ, თუნდაც უტუხი; თავკერძა, თვითნათქვამა, ახირებული...

ჰოდა ამ ყველაფრით წავალ...

ჰოო, წავალ ისე, რომ თან გავიყოლებ ყველაფერს ერთად!

...სასაცილოა, ვიცი ამასაც არ მაპატიებენ!

მე მაინც წავალ, რადგანაც მოსვლაც არ მიკითხავს არავისთვის...

ღამის სუდარა

(მე უშენოდაც გავარღვევ ჯებირს, რადგან

ცხოვრებამ უშენობა მასწავლა!)

პირქუშ სიბნელეში, ამღვრეულ ფიქრებში და უშენობაში გულზე სუდარად მაფარია ღამე-ღამე უტყვი და უსასრულო...

გარეთ კი გაზაფხულის ლაღი წვიმა პაკიპუკობს და სულ არ ანაღვლებს ღამის სუდარა...

ალბათ, შენთანაც წვიმს (?!)

ყური მიუგდე, რას ამბობენ წვიმის წვეთები...

ალბათ ათას რამეზე ჭორაობენ...

ან იქნებ არც წვიმს შენთან?!

– ვინ იცის...

– ვინ იცის...

კუპრივით სიბნელეში, ცის კაბადონიდან, რაღაც შუქმა გაიელვა და მივხვდი – ვარსკვლავი მოწყდა ციდან და უსასრულობაში დაინთქა. ღამე კი დუმს, გაბუტული ბავშვივით...

შენ გინახავს, როგორ წყდებიან ვარსკვლავები ციდან? – იქნებ შენი ცა სულ მზიანია და არასოდეს ღამდება...

ჩემთან რახანია ღამეა და გათენებას ველოდები...

მოდი, გამითენე შენეული მზით, სითბოთი და ხალასით,

იქნებ ვერ მოხვალ?! – რა გაეწყობა, დაგელოდები, ამ უსასრულო და პირქუშ ღამეში...

გაზაფხულის ლაღი წვიმა დაუღლელად პაკიპუკობს ისევ!..



საბა ქვათაძე

ყოველთ-დღიური #1

სამიკიტნოს სისხამ ახსნეს კარის კლიტენი.

ვაი, რომ პოეტურად დაწყება მსურდა, მაგრამ შენც აქ ყოფილხარ, ნიკალაი! ჩემო, ლამაზო ბიჭო...

შენი ინტელექტუალური შესაძლებლობების მქონე გონს სხეულის ტოტალური დესტრუქცია სჭირდება, რათა მუდმივი განსაცდელის ფაზას თავი აარიდოს. რაციონალურობა მოითხოვს მხეცისებრ განცალკევებას, რადგან ფიზიკის გველებს, ადამიანთა ნახვის დროს რომ ჭირვეული ბავშვივით იბერებიან, სადავეები წაუჭირო. თუ მავანი საკუთარ თავს ვერ მართავს, მაშ როგორღა მართავს სამყაროს?!

შენ არ არსებობ, შენ ხარ ზმანება კაცთა სამყაროში. ვინღა გაბედავს უხორცოს თვალებში ყურებას, ანდა როგორ აღიქვამს მოჩვენების ირეალურ თვალებს. იკითხე ფიქრის მობეზრებამდის, სხეული ანგრიე იქამდის, ვიდრე თავად შენი ლეშის თრევას ვერ შეძლებ. თვალნი დაღალე ვიდრე სიბრმავეს შეჰღაღადებენ უსინათლოებს.

რჩეულთა ხვედრი არა არს მატერია, სილამაზე სახისა და ოხვრა მასზედ, რაც ჩვენი კონტროლის ქვეშ არ გახლავთ. არა ნიკალაი, კაცის სილამაზე ჭკუაში, მასების მართვასა და ძალაუფლებაშია.

ადამიანი ბუნებით შემოქმედია, და მხოლოდ მაშინ გრძნობს საკუთარ ავყია თავს კარგად, როდესაც ქმნის. არ აქვს მნიშვნელობა ნაწარმს, საზრისი აქვს ქმნილებას. და მაშ, თუ კაცი შემოქმედს უნდა ემსგავსოს, რაღა ყოფილა მისი მთავარი არსი ამა სოფლისა?

ქმედება და შემოქმედება, ნიკალაი, ქმედება და შემოქმედება!

ყოველთ-დღიური #2

სამიკიტნოს სისხამ ახსნეს კარის კლიტენი.

– ყოველი ოცნება პირველშობილი იმედივით მაშინ ჩამეკლა, როდესაც ტრანსპორტში მგზავრობის დროს ფეხზე რამდენჯერმე ლაზათიანად მიმაბიჯეს.

– ქალაქი ყარს, რუხ ფასადებს ლეშისფერი ვერაფრით განუშორებია.

– მერედა როგორ?! სადგურებში ჭიანჭველების დინებებს მიუხრჩვიათ მეფენი.

– აჰა! მაშ, შენც ხალხს მატლებთან აიგივებ, მაგრამ თასების გამოცვლას მუდმივად ითხოვ, წვერზე ობი მოგდებია, ნაყვითლარ კბილებს, ალბათ, აპოლონმა უძღვნა ალმური, რად შეგბღალვია

სამოსი ესე? ო, დიდებულო, მეფეო ამიერისა! იმიერშიც სოლომონს უბოძებია შენთვის ციური ტახტი, „ანგელნი“ შენ სახელს გალობენ, ხოლო სამნი განიძახიან მოდი, მოდი და გვიხილე!

– ნუ მაქილიკებ, კიდევ დამისხი!

– რაოდენ სევდა ჩაქსოვია ძახილის ნიშნებში, დამიანე...

ყოველთ-დღიური #3

სამიკიტნოს სისხამ ახსნეს კარის კლიტენი.

მორალურ-ეთიკური ჯაჭვი, კაცობრიობა ზღვარს გადადის და ფარგლებს ლახავს. ამორალიზმი ბუდობს და სადავეები ეშმას უჭირავს. ყოველგვარი სიბიწითა და გარყვნილებით ხარობს ადამიანი, იგი პრიმატის ბაზისის მქონე არსებად იქცა.

მისთვის არარაა იდეალები და შესცქერის მხოლოდ ლეშის ხარობას. ზურგი აქციეს ღრმა ერთსა და ღრმთისმოსაობას, გამვლელ-გამომვლელს რომ შეეკითხო, ნორმალურობა სიგიჟიანობის გეზია, ხოლო გიჟიანობა ნორმალურობის, მაგრამ ვინ მეტყვის, რომ კაცის უბრალოებაზე ესთეთიკური რამ შექმნილა ამ სამყაროში! ვერვინ და ვერვინ და თუკი იტყვის, წმინდა წყლის ტყუილი იქნება.

გიხაროდენ, რომ შეძელით ჭეშმარიტი ღაღადის მოსმენა დაპირებული პრინცისგან, გიხაროდენ და ილტვოდეთ ჭეშმარიტებისკენ... მძაგს როსკიპნი ყურადღებისა, მზარავს ციფრული ერა და გონებადაჩლუნგებული მანქანები, საკუთარ თავებს ადამიანად რომ იხსენიებენ. ნამუსთან ერთად, ღირსებაც რეცხეს და უსასრულო წყლებსაც ატანეს...

– სკოჩზე არ ვიტყოდი უარს, გთხოვთ ერთიც დამისხათ.

– ორმაგი?

– მშვენიერია, ჰო, მართლა, ვინ არის ეს მჭერმეტყველი?

– ადგილობრივია, იოჰანი. სანამ ჭკუამცდარი გახდებოდა „სუწინიორი“ და იარაღის გამსაღებელი იყო, ნარკოტიკების სულში ხუტებამ კი ორატორობის ნიჭითაც დაამშვენა.

ყოველთ-დღიური #4

სამიკიტნოს სისხამ ახსნეს კარის კლიტენი.

მაინც რაოდენ მშვენიერი იყო მისი ხატება, მწყაზარი პირსახე, იერი მითოსური ქალღმერთისა. მშთამგონებელი მსგავსად მნემოსინეს ქალიშვილისა, მუზა, რომლისთვისაც თავს გასწირავდა ყოველი, რამდენ საყვარელს მიატოვებდა მისთვის ლორდ ბაირონი, რამდენ მიწას დაჰყიდდნენ ჰერცოგნი.

აუარება იქნებოდა არქივისთვისა და მტვრის ჭამისთვის განწირული ლექსთა კრებული. ვიჯექი ჩემთვის და კრძალვით შევსცქეროდი, ხოლო ჩემსავე უბეს მცონარე ვირთხები ღრიდდნენ, გროშიც არ მქონდა და ჩემი დამპალი სხეულიც ვერავის მივყიდე.

სულს ვებღაუჭებოდი, ხოლო გზაჯვარედინზე არც ეშმა ჩანდა. ვერც დორიანი გავხდი და ვერც რაფაელი, ნეტავ გენახათ, რაოდენ მიუწვდომელი გახლდათ, ბაგეს უმშვენებდა ზეთის ტუჩსაცხი, შეფაკლულ ლოყებს უგალობდნენ დილის ფრთოსანნი. ნამტირალები და დარცხვენილი ცხრათვალაც მთვარეს იფარებდა ბოღმითა და შურით გამომძღარი...

– ღორის ნეკნებზე არ ვიტყოდი უარს, სამი პორცია თუ შეიძლება.

– ცოტა შეაგვიანდება, მზარეული ისევ არ ჩანს.

– რა ბედენაა, დიდად არც უშავს, მისი ტრაგი-კომედიით დავტკბები, მაინც რა გრძნობაა ეს სიყვარული, ნეტავ ვინ დაასხა რეტი ამ უბედურს.

– დღემდე ჰგონია, რომ ავტომობილიდან სწავლული ოჯახიშვილი ხიბლავდა თვალისცეცებით. ჩვენი მზარეული კი ყოველდღე დასცინის და არაფრის დიდებით სიმართლეს არ ეუბნება. ის კია, სახელგანთქმული მეძავია, ვალენტინა.

– რაო, რა ბრძანეთ? ნეკნებს რამდენ ხანს დააგვიანდება?

ყოველთ-დღიური #5

სამიკიტნოს სისხამ ახსნეს კარის კლიტენი.

– ღმერთმაც დასწყევლოს, რით ვერ აინთო ეს შხამნარევი ნამწვი, არადა რა წარმტაცი რეკლამირებითაა შეფუთული ეშმას საკმეველი, აქაოდა შოკოლადის სურნელიო, იქაოდა ვანილის დაუვიწყარი გემო, მე თუ მკითხავ, ყველა ერთი ნაგავია ათასი შხამ-ქიმიკატით შემკულ-მოკაზმული.

მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ამ კარდონის 20-გველიანმა ყუთმა გადამარჩინა. რეის შევუარე 2 კოლოფის საყიდლად,

ლენტიც ავხსენი, გოგირდით გაჟღენთილი ასანთიც ცეცხლში მოვახვიე. ჰოდა, მეც ასე ამხსნეს ხორცი და ძვლებიც გეენაში გამიხვიეს, როცა ელენა დავინახე ვიღაც ნახევარკაცასთან ერთად, მიყრუებულ არკაში...

– როგორ... ელენა?

– ელენა... აბა, როგორ!

– არადა მეუბნებოდა, ბავშვი უნდა გავასინჯო ფერზე სიყვითლე ერევაო.

– როგორც ჩანს, თავადაც გადაწყვიტა დეტალური გამოკვლევა, ვერაფერს იტყვით, მშვენიერი ამბავია.

– ეს ტექსტი უნდა დავამუშავო, დღეს სცენაა, თეატრის სუნი მომენატრა. ხომ მოხვალთ, როგორც შემპირდით, ისე უნდა იყოს ყველაფერი დაგეგმილი, მოზომილი და დაპირებულიც.

– მოვალ, სიტყვას ყოველთვის ვასრულებ.

– გთხოვთ, კიდევ ერთი კათხა... გაუფილტრავი.

– ხომ არ უძალიანდები, არც ისე დიდი ხანია, რაც პირზე რძე შეგაშრა.

– ასე 2-3 თვე იქნება, ხომ იცით ტერეზა, აი ის, ფუნთუშას რომ ეძახიან, მისი შრომისმოყვარე მეუღლეც ზუსტად 2-3 თვეა, რაც ზღვისკენ ილტვის და სხვა მეზღვაურებთან ერთად აქა-იქ მეკობრეებსაც იგერიებს...

– შენადა, თუ იცი, ეწევა?

– ეწევა რომელია, ფუნთუშამ მითხრა, მარტო მაგის დღიურმა ხუთმა კოლოფმა ქანცი გაგვაძროვო. რატომ მკითხეთ?

– ჯერი! კიდევ ერთი კათხა, გაუფილტრავი.

ყოველთ-დღიური #6

სამიკიტნოს სისხამ ახსნეს კარის კლიტენი.

– ლახვარი ჩამცეს! ბავშვობის ძმა-ბიჭები მოვარაკებული სიტყვით, შეფუთული ბოროტებით, გარყვნილებით გახარებულნი მოაბოტებდნენ და თესდნენ ავისა და უხსენებლის თესლს.

თანაც ვყვებოდი ყოველს, ვსწირავდი ჯანმრთელობას, ნერვებს, ფულს, ოჯახს ვაკლებდი არმოსაკლებელს, ბოლოს რა შემჩრა?! სულ გამღლიტეს, სულსაც დამციცლავდნენ მაგის შნო და შეძლება რომ ებოძებინა ზეციერს კაცისთვის. გულს მირევს უგუნებობა, არც კი ვიცი ფეხზე საიდან წამოვდგე, ვის ან რაღასღა უნდა დავეყრდნო...

– რამეს ხომ არ დალევთ? არჩევანი გვაქვს, თანაც საკმაოდ ბლომად.

– არა, დიდად გმადლობ... კაცი, სასმელში ვარამს რომ ჩაახშობს, თითო ჭიქაზე თითოჯერ გატყდება. უსუსურობაა მათრობელს ატანო შენი ტკივილები და ფხიზელი გონით ვერ გაუსწორდე, დაგემშვიდობებით, კარგ დღეს გისურვებთ.

– როგორც გენებოთ.

– ღორის სტეიკი თუ შეიძლება, კარგად დაბრაწული, ეს კაცი ვინ იყო?

– ყოფილი შერიფია, თავის ბავშვობის მეგობარს მისსავე მეუღლესთან უღალატა, მშობლების ოქროები სახლიდან გამოჰქონდა, ოქროსფერს კი მწვანე ფერზე დებდა, ერთადერთი სახლიც მევახშეებში მიაბარა. საბოლოოდ კი ფერადი საერთოდ არ დარჩენილა. მეგობრის მამის კრიმინალური მოღვაწეობით საკუთარი კარიერაც აიწყო, საკუთარი ცოლი სიგარეტის ნამწვით მრავალჯერ დაამშვენა. ორი შვილი ჰყავს, ერთი მეძავია, მეორე ციხეში ლპება...

ჰო მართლა, სასმელს არ ეკარება, იძახდა კოკაინის შემდეგ რაღა დამალევინებსო, ახლაც მაგაზე გაიქცა.

ყოველთ-დღიური #7

სამიკიტნოს სისხამ ახსნეს კარის კლიტენი.

– კლარა! როგორ გაბედე ჩემი მიტოვება, თითქო სამყოფელი ობოლია შენ გარეშე, ან შვილმკვდარი დედის მსგავსად გლოვობს მარტოობას! ო, ღმერთო, ერთო! აბსოლუტო ყოველთა, რად შემიქენ საქმე ასრედ, რად დამანაცრე მე უბედური შვილი შენი... კლარა! ჩემო მწყაზარო უშნოთა და უსახურთა მხარეში, ჩემო ერთადერთო სულის სალბუნო... რად უკუ მიკრა პირი ყოველმან, რაღა დამრჩენია ავად სახსენებელს...

– გოჭის ყურები მინდა, შემწვარი, ლუდს უხდება.

– ახლავე მოგართმევთ...

– ყოველდღე ასე მოდის და ტირის, არა?

– დიახ, რიტუალად ექცა.

– სხვისი ტრაგედია კაცის თვალში მაინც პათეთიკური სანახავია, როცა ეს პათეთიკა ცრემლებად წარმოაჩენს ხოლმე თავს საზოგადოდ, რა ვიცი... მე ასე მგონია.

– შეიძლება ასეც ითქვას, მაგრამ, როგორც ამბობენ, სხვის ომში ყველა ბრძენიაო.

– ეგეც მართალია, თქვენი ჭკუის კაცი აქ რატომ მუშაობს, რატომ იღებთ შეკვეთებს ყოველი მეორე მოხეტიალისგან.

– ხომ თქვეს უკვე, სხვის ომში ყველა ბრძენიაო.

– ჰი-ჰი!

– რაც არ უნდა ვილაყბო, გულს მაინც მტკენს მისი დანახვა, ცოლია ხომ ალბათ?

– უღლის გამწევი წლების წინ განეშორა მიწას.

– კლარა, რატომღაც პირველად გავიგე ეს სახელი.

– ჰო, კლარა მის კატას ერქვა.

ყოველთ-დღიური #8

სამიკიტნოს სისხამ ახსნეს კარის კლიტენი.

– ეს რა იხილა უღირსის ხედვამ, აღსარებას მივაშურე, ეგღა მეჩვენა უძლურის მხსნელად, საზარელი ვიხილე თავად საზარელმა, მრუშობა ჩემივე მოძღვრისმიერი, მრევლისკენ მიმართული, კაბა ახდილი, სარცხვინელ ხილული. თვალსაც ვერ ვუჯერებ და არც წადილი მაქვს მრწამდეს. განრიდებაზე ფიქრი მიელტვის სიტყვას – მემენტო, მემენტო, მემენტო!

– არც პირველი ხართ და არც უკანასკნელი, ვისაც ტრაგედია გადახდენია უმწეო თავს, ყოველი გამვლელი და, განსაკუთრებით, აქ შემომვლელი გამვლელი ფრიად განსაცვიფრებელი ისტორიით შემოიფარგლება ხოლმე, სანაცვლოდ კი სიტყვიერ ანდაც სასმლისმიერ თერაპიას ვთავაზობთ.

– რაიმე ორმაგი თუ შეიძლება.

– გოლდენ გრეინს შემოგთავაზებთ, მილედი...

– სულ ერთია, სულს მაინც ვერ გამიმრთელებს, მითოსურ სიყვარულს მეფიცებოდა, როგორც ჩანს, არც სულიერი მამები გამოდგებიან ერთგულ საყვარლებად.

ყოველთ-დღიური #9

სამიკიტნოს სისხამ ახსნეს კარის კლიტენი.

– ვეღარ ვწვდები, გესმის? ოჯახისა და საკუთარი თავის თრევაც ჩემს დაღერილ ძვლებზეა გადაწვდომილი, მეხუმრები სამ მცირეწლოვანს?! რაც თავი მახსოვს კოჟრებსა და ბებერებში გავახუნე ქალური სილამაზე, სიტყვა ქალურიც ზედმეტია, ნაადრევად დავქვრივდი, ქვრივების სევდა უფრო ადამიანურია, მაგრამ უფრო მძიმე, რაც თავი მახსოვს, ვერც ერთი გენიისა და ბუმბერაზის კალამმა შეძლო მისი აღწერა, ტყუილია გარჯა, ამაოა მეცადინეობა.

ხომ შეიძლება ერთხელ იმაზე ვფიქრობდე, როგორი კაბა შევიკერო, მაგრამ არა... არ შეიძლება, სირცხვილის საცეცები ცოცხლად მინელებენ როდესაც ჩემ თავს მოვლილსა და კოხტას წარმოვიდგენ. მირაჟია, მაგრამ მირაჟებსაც ვუფრთხი...

რა შემრჩენია?! შრომა, შრომა და შრომა, პატიოსნად, ნაქურდალის გარეშე. ახლაც აქ შემოვედი შელახული 5-დოლარიანით, საჭმელსაც კი გავურბივარ, მაგრამ რა ვქნა, ენერგია მჭირდება ბავშვებისთვის, ვირივით ფეხზე დგომა აქა-იქ კვებასაც მოითხოვს საჭიროებისა და არა პირადი სიამის გამო.

სტუმრებმა გალეშილის შეძახილს მიაპყრეს სასმენელი.

– ლოლა, ჩემო ლამაზო! ერთ 5-დოლარიანს მე დაგიმატებ თუ მახლობელ არკაში გაისეირნებ ჩემთან ერთიოდე საათით.

– თუ არ გრცხვენია, ნაბიჭვარო! ქალის ფასიც არ იცი, პირადად მაინც არ ვიცნობდე შენ ცოლს, აქედან პირდაპირ მასთან მივალ და ყველაფერს ჩავურაკრაკებ, ნაკაცარს პატიოსანი საყრდენი არ ეკუთვნის.

– ვიხუმრე, ლოლა, რამ გაგაცოფა.

– 5 დოლარი! აი რა ვღირვარ, წყეული 5 დოლარი!

– ვიხუმრე, ლოლა... მე ვიხ...

– მერედა ვინც შეესწრო ავყია ხუმრობას, ნუთუ არავის დარჩა გამბედაობა თქმისა მრთელი სიმართლის, ნუთუ ესღაა დღევანდელი ვაი-კაცების ჭეშმარიტება!

– ლოლა, მე, უბრალოდ...

– 5 დოლარი? არა?! 5 დოლარი!

– მაპატიე, ლოლა... მე არ... არ ვიცოდი...

– 10 დოლარი და არანაირი საათი, მხოლოდ 10 წუთი გაქვს.

ყოველთ-დღიური #10

სამიკიტნოს სისხამ ახსნეს კარის კლიტენი.

მიუსაფართა ყეფა, ყორანთა ჩხავილი, ბეღურა შიშებით კრთის, თოვლში იისფერ სევდას დაუდია ბინა, მაგრამ განა კი აქცევენ მეზობელ სახლის ყრმანი ყურსა და გონს დამთრგუნველს, გუნდა-გუნდებით აუწყვიათ თოვლის ბაბუა, ღილებით მოურთავთ, ცხვირის მაგიერ სტაფილოს ეძებენ რომ პირ-სახე დაუმშვენონ... მაგრამ დაბერა მყივარა ქარაშოტმა, ვერა ისვენებს აკვილონი...

– საკმაოდ ბევრს წერთ, ხომ არ შეუკვეთავთ?

ვერა ისვენებს აკვილონი... მერამდენე ჩესტერფილდია, მეშვიდე? იქნებ მერვე ჩავაქრე... გავჰ-ყურებ ყრმებს და არა დამჩნევიათ შიში ან კრთომა... მერამდენეა, იქნებ მეცხრეა, თუნდაც მეათე.

– იცით რომ დღეს დედათქვენი გარდაიცვალა?

– რა ბრძანეთ?

– ამბობდა, რომ ძალიან უყვარდით.

ვერა ისვენებს აკვილონი, დღეს დედაჩემი გარდაიცვალა... მერამდენე ჩესტერფილდია, იქნებ მეათე, თუნდაც თერთმეტი, ყრმები დარბიან გამყინავ თოვლში, სუსხიც ატანებს ძვალში და რბილში, თუმცაღა უცხო რჩება მათთვის ყოველი სიცივე და შიშის როზგები, მერამდენეა, მეთორმეტე? მახსოვს, მახსოვს, მეცამეტეა, მეცამეტე!

ყოველთ-დღიური #11

სამიკიტნოს სისხამ ახსნეს კარის კლიტენი.

– წარმოიდგინეთ რამდენად სარფიანია! რამდენი ადამიანი კვდება ყოველდღე? აროდეს არ ჩაგძირავს საბაზრო კონკურენცია, რადგან მომხმარებელი მუდმივია, ხალხი ყოველდღე კვდება, კარგი მყიდველები, მკვდარი მყიდველები არიან.

– ვერ გეტყვით ნოე, რომ 4 ფიცრის დამზადება მომგებიანი შეიძლება იყოს.

– მომგებიანია, ზედმეტადაც მომგებიანი, წარმოიდგინეთ, რამდენი ადამიანი კვდება ყოველდღე, ანდა რაღად გინდათ წარმოდგენა, უბრალოდ ფართოდ გახელილი თვალებით მიმოიხილეთ. მოკვდა ერთი, მოკვდა ორი, სამი, ოთხი, ხუთი, ექვსი და ვოალა! ეგეც თქვენი 6 საცხედრე, მერედა ზოგნი განსაკუთრებული პატივისცემით კრძალავენ თავიანთ მკვდრებს, საცხედრის ფასი მასალის ექვივალენტი იქნება, ბრწყინვალე ბიზნესია!

– ნოე კროუფორდი აქ არის?!

– საკმაოდ სარფიანია! წავიკითხე კიდეც, ყოველივე გარკვეული და გამზადებული მაქვს, წერია ყოველ წამში ორი ადამიანი კვდებაო. ახლა მიეცით გასაქანი ვიზუალიზაციას. თუ საქმე ლოკალ-

ურიდან საერთაშორისო გახდება, მსოფლიოს მასშტაბით ყოველ მომდევნო წამს 2 პოტენციური მომხმარებელი გვყავს.

– ნოე კროუფორდ, სერ...

– გენიალურია, აუცილებლად უნდა დავიწყო, სიზმარი ვნახე, ძალიან კარგი აზრია!

– ბატონო, ნოე... კროუფორდ...

– მაპატიეთ, ვერ გავიგონე, მოგისმენთ.

– თქვენი შვილი, სერ... ადგილობრივ სროლას ემსხვერპლა, მოზიარენი ვართ...

– ესე იგი, დიახ... სად გავჩერდი... სად... გავჩ... ერთი მკვდარი, ორი... ჰო, ორი მკვდარი... სამი, ოთხი, ხუთი, ექვსი და ვოალა, შვ... შვიდი მკვდარი... ეგეც თქვენი 7 საცხედრე.

ყოველთ-დღიური #12

სამიკიტნოს სისხამ ახსნეს კარის კლიტენი.

– რას შეუკვეთავთო მეკითხებით?! რა უნდა შევუკვეთო! საკუთარი მეუღლის მობრაწულ თავს ვისურვებდი ლანგარზე. შენი დედაც, ვანესა! როგორ მძაგხარ შენი კაპრიზებით შენც და დოყლაპია დედაშენიც. ყველაფერი ჩემ კისერზეა! ადექი სისხამს, ჩაიცვი მიკუჭულ-მოკუჭული მოთეთრო პერანგი. უმტკიცე ხალხს რომ მოკრემისფრო დაჰკრავს ჭუჭყის მაგივრად, ყავასა და აყროლებულ თუთუნზე გადააგორე მთელი სამუშაო დღე.

იყიდე საჭმელი, მოათრიე დაულაგებელ სახლში და შეხედე შენ მსუქან-ღაბაბა ცოლს როგორ კოტრიალობს ჩამპალ საძინებელში, აი რას ვისურვებდი, ვანესას შემწვარ თავს, ბროწეულსაც თუ მიამატებთ, ფრიად კმაყოფილი დაგრჩებით.

– ჰენრი, ჰენრი!

– აქაც მომაგნო, ყასაბს თუ სცალია იქნებ ბარემ აქვე გამოღადროთ, სულ ცინცხალი იქნება.

– ჰენრი!

– რა ჯანდაბა გეტაკა! ამ დილა-უთენია მაინც მომასვენე.

– ხომ გახსოვს გათამაშების ბილეთი რომ დავწერე და გამომთათხე ფულს რაში ხარჯავ შენ ვინ რას მოგაგებინებსო?! მოვიგეთ ჰენრი! ერთი-ერთში, არასდროს მუშაობა აღარ მოგიწევს, ჯეკპოტია, საყვარელო, ჯეკპოტი, აი ნახე, 9, 3, 5, 7, 8, 2, 1, ზუსტად დაჯდა!

– ახლა ვფიქრობდი თუ როგორ მიყვარდი, ვანესა, ჩემო უძვირფასესო! შენ გარეშე წამიც კი არ მასუნთქოს გამჩენმა, კაცი არდადის ვინც ჩვენ შორებას წარმოიდგენს ან შეეგუება! ჩემო ყოველთა ვარსკვლავო, სიანცით რომ კაშკაშებს ცის კამარაზე! მომეცი, ვნახო, ჩემო უძვირფასესო!

– აი, ჰენრი, ნახე, ნახე, რაც შეიძლება მალე, შემდეგ კი ფულიც მოვხსნათ და სადმე სიშორეს გადავიკარგოთ!

– ეს ფურცლის ნაგლეჯზე წამელნილი ნაჯღაბნია, ეს გათამაშების ბილეთი კი არა ფურცელზე მოთათუნებული ბოტოტა თითებია, შენი დედაც, ვანესა! შე უდღეურო, უსუსურო, ტვინგამორეცხილო ნაბიჭვარო! აყროლებულო ლეშო, ერთი სული მაქვს როდის ჩაძაღლდები და სადმე ღია ცისქვეშ მიგაგდებ მატლების საჯიჯგნად, ან თუ არა, თავად ჩაგაძაღლებ!

– ფურცელი ამერია ჰენრი, აი, გათამაშების ბილეთის ასლი!

– ღმერთო, დიდებულო! როგორ მიყვარხარ, ვანესა! ჩემო სიცოცხლის ცოცხალო ანგელო.

ყოველთ-დღიური #13

სამიკიტნოს სისხამ ახსნეს კარის კლიტენი.

– უფალს არა ხილული, არამედ არახილული მატერია უნდა სთხოვო, რომელსაც თავად გარდაქმნი ვიზუალურ ნაწარმად.

– როგორ შეიძლება მატერია უხილავი იყოს?

– თუ კაცი ღვთის სახელით იქმნს, მაშინ თეთრიც შავად აღმოცენდების. ენერგია და ძალა არახილული მატერიაა.

– მიმაჩნია, რომ წმინდა მამისებრ სჭექენ შენი ბაგენი, დღეს იშვიათია რომ ვინმე აბსოლუტს ასრედ მოიხსენიებდეს, იშვიათი და სასიხარულო.

– ხალხნი ყოველნი გარს შემომერტყნენ – უფლის სახელით მართლაც ამოვწყვეტ მათ, გარს შემომერტყნენ და გარემომიცვეს – უფლის სახელით მართლაც ამოვწყვეტ მათ, გარს შემომერტყნენ ფუტკრებივით, ჩაქრნენ, ვითარცა ცეცხლი ძეძვისა – უფლის სახელით მართლაც ამოვწყვეტ მათ.

– გთხოვთ, 117-ესა და პიესის მოხაზვის ტალანტის წყალობით პირად პროფილს ნუ აამაღლებთ.

– დაძგერებით მკრეს ხელი ძირს დასაცემად და უფალი შემეწია მე.

– განა არ გთხოვეთ, ბატონო?!

– ჩემი ძალა და სიმღერაა უფალი და ის იქნება ჩემი მშველელი.

მაშ დაცვამ განარიდა ცრუ მეტყველი სამიკიტნოს და განართხა მიწას მტვერსა და მურში.

მაგდა ჩხარტიშვილი

სიყვარულში გავიპაროთ

უგზოობა,
სახლის კარზე
მოტეხილი სახელური...
ღამის ლანდი –
ხელჩაჭიდულ
სიბნელეში
სუნთქვით ცნობა,
სახე გაქვსო
თავსაფრიან ქისტის ქალის,
სანამ მყავხარ,
რა უნდაო
მარტოობას...
ერთ დიდ წამში
ჩატეული საუკუნე,
ცხოვრება რომ ექადნება
გახუნებით,
მოდი, ისევ სიყვარულში
გავიპაროთ
და ზღაპრიდან
ნურასოდეს დავბრუნდებით!
თვალებიდან
იდაყვამდე საკბენ მანძილს,
ნეტავ მართლა
სინანული ვინ დაარქვა?
უგზოობამ
გადაკარგა ქისტის ქალი
და დოლაბმა
ძვლებთან ერთად სული დაფქვა!

სახლი ზემელზე

სახლი ზემელზე...
დამსხვრეული მთვარის
პროფილი...
მამის საფერფლე
და ჭიქაში
პინაკოლადა...
გაჰყვა ნოემბერს
სიყვარული –
უკვდავყოფილი,
დრომ დამსხვრეული ოცნებები
დამიტოვა და...
მე მზისგან ვიშვი!
ავედევნე მთაწმინდის ქარებს...
მერე რა, თუკი „დაბარბაცებს
მთვრალი ყაყაჩო“?!
წასულა მამა,
იქ არავინ არ მიღებს კარებს,
ღვინომ თუ არა,
რა იქნება, ლექსმა დამათროს?!
ჩამოფლეთილა
მელნისფერი ზეცის კალთები,
მოჰგავს წარსული
საფეთქელთან მიბჯენილ ტყვიას,
სახლი ზემელზე...
სამახსოვრო მამის ბარათი...
ჩემი ცხოვრების სევდიანი ქირომანტია.

ყოველთვის გეძებდი

შექცეულ ზურგიდან
ტანჯვით ამოვიძრე
ნასროლი ისრები,
ყლუპივით გათავდა
ფრთათეთრი სიცოცხლე
მილეთის ბინდიდან.
სიცოცხლის ხაზებზე,
მარტოკა,
იღბლიან სარჭით

რომ ვკიდივარ,
გეძებდი, უფალო,
ყოველთვის გეძებდი,
პირველი სიტყვიდან!
გზები და უგზოო
დღეების მწკრივები
სულ მხრებით ვატარე,
იქ მამის ხსოვნიდან
დაბრუნდა ღმერთკაცი,
ცრემლივით უბრალო.
თენდება ჩუმად და
სიკვდილზე სიცოცხლით
ათასჯერ მეტი ვარ,
უკან რომ მომყვები,
სინათლით გიცანი, მოხვედი, უფალო?!

შენ უკეთ იცი

მოვდივარ, ღმერთო...
„გახელილი დამრჩა თვალები“...
ვეცლები სხეულს
შეფარებულ დროის პასტორალს,
ცას ვეღარ ვწვდები...
სასიკვდილოდ შემაჭრეს ფრთები,
პეშვით მიჭირავს მოწყალება
მე – მზის მათხოვარს...
ფიქრის მსტოვრებმა
მომახვიეს ტანზე სუდარა,
გადასერილი ოცნებიდან
მრწამსივით ვჟონავ...
მოვდივარ, ღმერთო...
შეისმინე ჩემი მუდარა,
თუნდაც მარცხენით
მაგრძნობინე
შენ გვერდით დგომა...
მოვდივარ, ღმერთო,
უსიერი, ბნელი გვირაბით,
გაქრა სინათლე,
დაიფერფლა
ცოდვა, ზრახვები...
არაფერი მაქვს მოსაყოლი,

შენ უკეთ იცი...
მოვდივარ ჯვარცმით
და ვიცი, რომ
მზესთან დამხვდები.

რა ცოტა დროა

ვერ წაგიკითხავ
უშენობით
დასიცხულ ლექსებს,
ამაღამ, ვიცი,
მარტოობა
ტკივილით მოვა.
მატარებელი ისევ მასწრებს,
თავს ვახლი რელსებს,
სადღაც მთებში კი...
სიყვარულმა
თეთრად
მოთოვა.
რა ცოტა დროა...
რა დიდია
დარდის საზომი,
გაცრეცილ ფრესკებს
შევატოვე
შენზე ვედრება,
მიიკლაკნება
ცხოვრების გზა
ბედის წამმზომით,
თვითონ სიცოცხლეც
შენს სიყვარულს
ვერ შეედრება!
დაგიმახსოვრეს
ჩემი სულის
უხმო სიმებმა,
შემოვიხვიე შენეული
სიტყვის სამოსი,
მიყვარხარ, მწამხარ,
მეგულები, მესულღმერთები...
და მეშინია მარტოობა
ამ საღამოსი.

უნდა მომეშველო

დახუჭე თვალები,
სული გამოგიჩნდა,
რაც კი გიფიქრია,
უნდა გადმოვწერო.
სეტყვად დატეხილი
სიტყვის ძახილი ხარ...
ველარ ვბედნიერობ,
უნდა მომეშველო!
ვირგებ მარტოობის
ნაცნობ რეგალიებს,
ვის რა ენაღვლება,
მე რა განმიცდია?
ჩუმად მონატრებას
სუნთქვა შევალიე,
გრძნობის გროშებს ვითხოვ,
ხელი გამიწვდია...
თუკი
ხვალინდელი
დღე არ გათენდება,
თუკი შემიფარებს
შეშლილს მაცხოვარი...
მოდი,
სევდისფერი სული დამიხუჭე,
ლოცვა წამიკითხე
გამოსათხოვარი.

ნუ გამისულერთებ

სოხუმი სამშობლოს ცისფერი თვალია,
ტკივილის საშველად
ცრემლებს
რომ იჭირვებს...
იქ, გაღმა ნაპირთან,
ნატკენი მუხლებით,
მინდა, რომ
ბავშვობა სიზმრადაც მიცდიდეს.

ჭუბერთან
თითებით ამოთხრილ

საფლავებს,
გზებს, გადაბნეულებს,
გმირების კვალი აქვს...
ჯვარივით
გულიდან მოგლეჯილ
აფხაზეთს
ნუ გამისულერთებ,
წმინდაო მარიამ!..

ხან ისე ცოტა ხარ,
მუჭშიაც მეტევი.
ხან ისე მაღალი –
დაცემულს ვერ გწვდები...
იმ ყველა დაფერფლილ
სიცოცხლის ზეიმად,
იქ, გაღმა ნაპირთან,
ვიცი, რომ შევხვდებით...

ლაზარე

დღეს მე ვარ
ლაზარე –
სამი დღის
მკვდარი ვარ,
ვერაფრით ვეცლები
მართას და მარიამს.
სადა ხარ,
უფალო,
ძმაო და მამაო,
უშენოდ სიკვდილის
წუთები მწარეა...
შეხვეულს
სუდარის
თასმები მიჭერს და...
აკლდამის ყურეში
ცოდვისგან
ვიწვები.
უფალო, მომხსენი
ეს ლოდი გულიდან
და, თუკი ინებებ,
თავიდან ვიშვები...
ეს მე ვარ, ლაზარე,

გაყინულ თვალებით,
უჩემოდ (მეოთხედ),
მზე ისევ ამოდის,
მე გელი,
უფალო...
ვიცი, რომ აღმადგენ,
ჩამესმის შენი ხმა –
„ლაზარე, გამოდი!..“

დიდო მეფეო

დიდო მეფეო, დამიმძიმდა
თქვენგან სასჯელი,
აზრთა ომიდან წაგებული
სიშორე მტკივა.
ამ ბრძოლის ველზე
თუ კიდევ ხართ გადასარჩენი,
დიდო მეფეო,
ჩემს სიყვარულს
თქვენს გვირგვინს ვწირავ.
ნახანძრალ მინდორს
შერჩენია მზე შუბის ტარით,
ირგვლივ ფიქრების,
ოცნებების ნამსხვრევებია.
იხოცებიან ბრძოლის ველზე ჯარისკაცები,
მაგრამ გრძნობები
არასოდეს აღარ კვდებიან.
დიდო მეფეო, თუ დავმარცხდით,
ტყვედ წამიყვანენ,
სადღაც დილეგში უსახურად,
ჩუმად მოვკვდები.
შემომეცლება
თვალებიდან სულის ხატება
და უჩემობით, გევედრებით,
ნუ დაბრკოლდებით!
მე ველი თქვენგან
მარტოობის დაგრაგნილ წერილს,
უკვდავვყოფილვარ თქვენს განცდებში,
ვაბრუნებ წარსულს.
მეფურ მწვერვალებს
საპყრობილის ფანჯრიდან ვწვდები,
შემომეშველეთ ტყვედჩავარდნილ
მიწიერ ასულს.

იზა ოსეფაიშვილი

ოჯახის კალენდარი ჩემი მეგობარია

ალბათ, ახალს არაფერს ვამბობ, საოჯახო კალენდარი თითქმის ყველა ოჯახში არსებობს, რაც აუცილებელი ატრიბუტია წლიდან წლამდე. მასში ნაჩვენები თვეების, რიცხვებისა და დღეების გარდა, ათასგვარ საინტერესო ამბავს გაიგებთ, თუ რა იყო წარსულში და რა ხდება დღეს მთელი დედამიწის ზურგზე. ვიცი, ბევრი ადამიანი დღის საათებში გადახედავს კალენდარში მითითებულ ნიშნულებს და შემდეგ ფურცელს მოახევს, ისე რომ არც კი დახედავს, თუ რა სწერია მეორე მხარეს, ხელში საგულდაგულოდ დაჭმუჭნის და უდიერად ურნაში ჩააგდებს. არა, ჩემო კარგებო, გირჩევთ მუდამ თვალი ადევნოთ კალენდრის ფურცლების მეორე მხარეს, იქნებ, თქვენთვის სასარგებლო და საინტერესო ამბებით დატკბეთ, მასში გაეცნობით: ზოგჯერ სახალისო, ზოგჯერ სამწუხარო და ზოგჯერ ცოდნის გასაღრმავებელ მეტად საჭირო სტატიებსა თუ ისტორიულ ამბებს. მსურს ჩემეული მწერლობის სტილით შევალამაზო ამ პატარა მოთხრობების მიწოდება ერთგული მკითხველებისათვის, ვინც მართლა შეიყვარა ჩემი პატარ-პატარა წრფელი გულით დაწერილი ამბები, სადაც მეტი წილი რეალურ თემებზეა აგებული. მადლობა უფალს, რადგან საკმაოდ მყავს სათანადო მკითხველი, რომელმაც სტიმული მომცა, რაც შეიძლება უფრო მეტი ვწერო, ვიდრე კალამი თავად არ გამივარდება ხელიდან.

როგორც მსუყე ემოციებით დატვირთულ ადამიანს, მინდა, გაგიზიაროთ გულში ჩამწვდომი ამბები, რომლებიც საქართველოს ნებისმიერ კუთხეზე გვესაუბრება. მჯერა, ყოველი ადამიანი იმ განცდებით წაიკითხავს ჩემს დაწერილ თვითოეულ ფრაზას, როგორი ემიციებითაც წავიკითხე კალენდრის პაწაწინა ფურცელზე გამოქვეყნებული სტატიები. აი, ერთ-ერთი მათგანი, რომელიც 60 წელს მოითვლის. ის მართლაც მეხის გავარდნას ჰგავდა ქართველთა გულებში.

* * *

1959 წლის 17 მარტი. გარდაიცვალა პოეტთა მეფე გალაკტიონ ტაბიძე. შავით შეიმოსა თბილისის ქუჩები. მთაწმინდიდან მონაბერი ნიავი ნაზად არხევდა დაშვებული დროშების კალთებს. გლოვის ზარმა საქართველოს თვალწარმტაც კუთხეში, მაღალმთიან აჭარაშიც ჩააღწია, სადაც იქ მცხოვრებ ადამიანებს ცხელ ძარღვებში ნამდვილი ქრისტიანული და ნამდვილი ქართული სისხლი უჩქეფთ. ამ თემის გმირი გახლავთ კალენდრის ფურცლის საშუალებით ნაპოვნი შუახევის რაიონის სოფელ უჩამბის მკვიდრი, ქვრივი თენზილე თურმანიძე, რომელიც თბილისში ჩავიდა და დაიტირა დიდი გა-

ლაკტიონი. ის დატირებაში თითქოს ქართველ პოეტს უმტკიცებს, რომ მან დედაენისა და ქართული წიგნების სიყვარულით აღზარდა შვილები და ქრისტიანული სულისკვეთებით ცხოვრობს. შაოსნის გულისამაჩუყებელმა სიტყვებმა შესძრა მწერალთა კავშირის დარბაზში მყოფი ადამიანები. ქალბატონ თენზილეს დაკოჟრილ ხელებს რიგ-რიგობით უკოცნიდნენ ცნობილი მწერლები და პოეტები.

ქალბატონო თენზილე, მიყვარხართ! ჩემო აჭარელო, ალალო, ნამდვილო ქრისტიანო ქალბატონო. ახლა კი მოგაწვდით ზუსტ ამონარიდს სწორედ იმ კალენდრის ფურცლიდან, რამაც გადამაწყვეტინა დამეწერა ამ სათნო აჭარელ ქვრივ ქალზე, რომელსაც უცრემლოდ ვერ წაიკითხავთ:

შავი კაბა შავი თავსაბურით...

შუახევი, უჩამბა, ნაადრევი ქვრივობა, საფლავი, ობლები, მთა-ბარი, ყანა-ბახჩა, სადილ-ვახშამი, ნადი, ნალია, ბოსელი, ლოცვა, ძროხა, გუთანი, შეშა, დარდი, სატკივარი...

გალაკტიონი გარდაიცვალაო...

თენზილე თურმანიძე: თბილისში ჩამიყვანეთ, ჩემი გალაკტიონი უნდა დავიტიროო... მგლოვიარე შავად შეფერილი თბილისი, ყველა გზა გალაკტიონისკენ მიდის... მწერალთა სასახლე... მარმარილოს კიბეები... დაიღალა მთიელი ქალი... ვინ არის ეს შაოსანი? ერთმანეთს გადახედეს კონსტანტინე გამსახურდიამ და ირაკლი აბაშიძემ... მამია ვარშანიძე მოყვა შაოსანი ქალის ისტორიას... თენზილე გალაკტიონის ცხედარს მიუახლოვდა და დაიწყო: მე შუახეველი ქალი ვარ, დიდო მგოსანო, შორსაა ჩემი სოფელი, საყვარელო მგოსანო, უჩამბიდან ჩამოვედი. ბევრი გაჭირვება და ცრემლი ვნახე ცხოვრებაში. უბედობა გვერგო წილად ჩვენებურ ქალს... ტანჯვის დღეში ვიყავი, ჩემო მგოსანო, ჰოდა, მოვედი მე ამ დღემდე ოხვრით, გოდებით, მაგრამ მოვიტანე ქართული მანდილი, დიდო მგოსანო, ქართველი დედის სახელი არ დამიკარგავს, შვილებს ქართულად ავუდგი ენა, ქართულ ზნე-ხასიათზე დავზარდე, მგოსანო. „დედა ენა“ იყო ჩემთვის საკითხავი და გულში ჩასახუტებელი წიგნი, მგოსანო, შვილებმა შემაყვარეს შენი ლექსები, სულ ჩემთან იყავ, ჭირშიც და ლხინშიც, შენი სიკვდილი რომ გავიგე, დიდო მგოსანო, სახლში ვეღარ გავძელი, დიდო მგოსანო, თბილისში ჩამოვედი შენს სანახავად და დასატირებლად. მინდა გიტირო აჭარელმა ქალმა, სიტყვა არ მყოფნის, უსწავლელი ვარ, რა ვქნა, გული რასაც მეუბნება იმას ვამბობ. თუ ლამაზად ვერ დაგიტირე, მაპატიე დიდო მგოსანო...

ეს იყო იშვიათთაგანი დატირება, რომელიც სადმე თქმულა... ეს იყო მოძახილი, რომლის გამოც მაშინ მწერალთა კავშირში ცრემლს ვერავინ მალავდა...

ქალბატონი თენზილე, რა თქმა უნდა, ამჟამად, ცოცხალი აღარ არის, მაგრამ მის სულს მუდამ წმინდა სანთელს ავუნთებ და მოვეფერები, რათა მარადიული სიმშვიდით განისვენოს სამუდამო სასუფეველში.

ქალბატონო თენზილე! ვიდრე ამ პატარა მონათხრობს ვწერდი, ტანში სულ ჟრუანტელი მივლიდა. იქნებ იგრძნო თქვენმა წმინდა სულმა, მე უკვე გულიდან გადმოღვრილი ზღვა ცრემლი გაჩუქეთ. მწამს, ბევრი აჭარელისთვის სამაგალითო დამრიგებელი და წინამძღოლი ხართ.

დიდი სურვილი მაქვს ვიდრე ფეხზე ვდგავარ, მოვინახულო და მოვეფერო იმ წმინდა ადგილს, სადაც განისვენებს უმწიკლო ქალის თენზილე თურმანიძის ცხედარი.

კუბო ორ ლარად

კაცს, რომელიც დილით გაღვიძებას მამლის ყივილს ასწრებს, დღეს რატომღაც ღრმად ჩასძინებია. თუმცა, რა გასაკვირია, ღამის ოთხ საათზე დაძინებულს მაღვიძარაც კი ვერ გააღვიძებს ადვილად. მასთან ერთად, მეუღლესაც გასტეხია ძილი და გვიან ღამემდე საოჯახო საქმეებით გართულა.

ივნისის თბილი და მშრალი დილაა. ვახო ცინცაძის სახლის ფანჯრებში, კარგა ხანია, მზემ მკაფიოდ შემოანათა, ხეებზე ჩიტების ხმაშეწყობილი ჭიკჭიკი სასიამოვნო ჰანგებით ატკბობს ულამაზეს ეზო-გარემოს, აქა-იქ მამლის ყივილის ხმა ისმის. ბოსელში ფურმაც დაიბღავლა.

სოფლის შრომითა და გარჯით დაღლილ-დაქანცული ცოლ-ქმარი ჭიშკართან მოსულმა ახალგაზრდა კაცის ხმამ არ გამოაფხიზლათ.

– ვახო ბიძია, ვახო ბიძია!

ძილბურანში გახვეულმა ვახომ თვალები მოიფშვნიტა და მეუღლეს გასძახა:

– თინა, ვჭამეთ სირცხვილი, ქალო, ამ დრომდე ლოგინში რამ გაგვაჩერა?!

მერე სასწრაფოდ ზეზე წამოხტა, შარვალი ჩაიცვა და კარი გამოაღო.

– მობრძანდი, მობრძანდი, ჩემი ძაღლი არ იკბინება, ისე ყეფს, რომ გამაგებინოს სტუმრის მოსვლა. – ხუმრობაგარეული ტონით გასძახა სტუმარს ვახომ.

– დილა მშვიდობისა, ვახო ბიძია! ბოდიშს გიხდით, მგონი ნაადრევად გაგაღვიძეთ, ალბათ მიცანით, მე ის კაცი ვარ, დედის კუბოს შეკვეთა რომ მოგეცით. ხვალ პანაშვიდი გვაქვს, მინდა ბარემ გაპატიოსნებული მიცვალებული სასახლეში რომ ესვენოს, ამიტომ ორასი ლარი მოგიტანეთ, რათა დააჩქაროთ მისი გაკეთება.

– ჩემო ბიძიკო, იქნებ გაიხსენო, როცა თქვენს ოჯახში, ცხონებული დედათქვენის კუბოს ზომებს ვიღებდი, დამშვიდობებისას ორი ლარი გთხოვე, შენ თითქოს გაუგებრობაში ჩავარდი და საკუთარი ჯიბიდან ამოღებული ორლარიანი ისე მომაჩეჩე ხელში, არც კი გიკითხავს, რისთვის მჭირდებოდა. იცოდე, შენი მიცვალებულის კუბოს საფასური უკვე გადახდილია. ეს ორასი ლარი სხვა, საჭირო საქმეებზე გამოიყენე. კუბოც მზადაა და შეგიძლია ახლავე წაიღო.

– როგორ? მზადაა? თანაც თქვენი მასალით კუბო ორ ლარად?

– დიახ, დიახ, მე შენი ოჯახის გაჭირვებულ ცხოვრებას ძირფესვიანად ვიცნობ, ფულის გაკეთებაც შემიძლია და ცოდვა-მადლისაც, მეტი რითი უნდა დაგეხმაროთ, შვილო, ღმერთმა მწუხარება გაკმაროთ და ასეთ საქმეზე არასოდეს მოგიყვანოთ ჩემთან. იმ ორ ლარსაც არ გამოგართმევდი, მაგრამ კუბოს ჩუქება არ შეიძლება, ბიძიკო.

– რას ბრძანებთ, ვახო ბიძია, თქვენმა საქციელმა დედის სიკვდილის განცდა გამიადვილა და მომავლის იმედი ჩამისახა გულში, რადგან, თურმე, თქვენნაირი კეთილი ადამიანები კიდევ არსებობენ ქვეყნად.

– დაწყნარდი, გენაცვალე, ჩემი ბედნიერება ისაა, თუ ვისმეს სიკეთეს გავუკეთებ. აი, სწორედ ამიტომ არ დამიძინია წუხელ, ღამის ოთხ საათამდე, ვიდრე შენი შეკვეთა ბოლომდე არ დავასრულე. მე დღეს იმით ვარ კმაყოფილი, რომ ჩემს წინ მდგომ დამწუხრებულ ახალგაზრდა კაცს სახეზე მადლიერების ღიმილი მოვგვარე. კარგად მეყოლე შვილო.

მათე ლომთაძე

მათე ლომთაძე ქუთაისის აკაკი წერეთლის №1 საჯარო სკოლის მეთერთმეტე კლასის წარჩინებული მოსწავლეა. მინდა, გზა დავულოცო ახალგაზრდა შემოქმედს.

მერაბ კვიცარიძე

შეცდომა

ხის ქვეშ მოევლინა ამ კოსმოსური წესრიგის ხარვეზს. ხარვეზს, რომლის გამოსწორება შედარებით რთულია, რადგანაც იგი არ ჰგავს იმ ჩვეულ ხარვეზებს, რომელსაც შუა ხნის მამაკაცი, მიუვალ ტყეებში აწყდება, ხოლმე.

ექვს დღეს და შვიდ ღამეს ბავშვი მარტო იყო, მიუვალ ტყეში. უცნაურია, მის თვალებს ერთხელაც არ გადმოუგდია წმინდა წყალი. ზოგჯერ ყველაფერი გეგმის მიხედვით არ ხდება, ზოგჯერ ქაოსურად მოძრავ სამყაროს უნდა ვაპატიოთ ერთი კვანძის გარღვევა, მაგრამ კანონზომიერება, რომელიც დიდმა ღმერთებმა დააბერტყეს ამ მოძრავ ქვას, აუცილებლად მოხდება... ახდება ისევე როგორც, ახდა კაცისა და ბავშვის შეხვედრა. პირველი დანახვისას კაცს ბედნიერების გრძნობა დაეუფლა, მიხვდა, რომ რაღაც ისეთს ხედავს მისი ელვარე თვალები, რომელზე უკეთესსაც ვეღარასდროს იხილავს. ის მისი შვილია, მისი შვილი, რომელიც ვერასდროს შეეძინა, ეს ბავშვი სწორედ მას ეკუთვნის. ღმერთს მადლობა შესწირა და ბავშვი სახლისკენ წამოიყვანა.

წლობით პატარა, რომელსაც სახელად ლევი დაარქვა კაცმა, ბედნიერად ცხოვრობდა მასთან. იზრდებოდა, სწავლობდა, ინტერესდებოდა. კაცი ხვდებოდა იმას, რისიც ყველაზე მეტად ეშინოდა. ბავშვი დაიტანჯებოდა, ბავშვსა და მის შორის ძაფი არ იყო იმდენად დიდი, რომ მისკენ გადაექაჩა. მათ შორის ყოველთვის იქნებოდა ბუნდოვანება, გაურკვევლობა... მაგრამ იქნებ ეს საჭიროც იყო, იქნებ ესეც იმ მტვრის ნაწილია, რომელმაც ჩვენ შეგვქმნა, იქნებ ესეც იმ სანთლის დაცემული წვეთივით მშვენიერი და უმტკივნეულო ნაწილია უსასრულობის. იქნებ საჭიროა, ბავშვმა ბოლომდე ვერ გაიგოს მისი მშობლის, თუმცა მანამდე ჯერ დიდი დრო იყო.

ამ და სხვა ფიქრებში გართული მამაკაცი ზრდიდა ბავშვს, სრულიად მარტო, პატარა ქოხში. გაჭირვებისგან დღეები უშიმშილია კაცს, მაგრამ რაშიც იგი მდიდარი იყო, ეს ცოდნა გახლდათ. მოზრდილ ლევის იგი ყველაფერს ასწავლიდა, რაც კი ოდესმე გაეგო, ზეპირად უყვებოდა მითებს, ლეგენდებს, ლოცვებს. სკოლა ძალიან შორს იყო, ფულიც არ ჰქონდათ, ამიტომ კაცმა მთლიანად საკუთარ თავზე აიღო პასუხისმგებლობა ბავშვის ცნობიერის ამაღლებაში. მოჰქონდა წიგნები, რომელსაც სარდაფებში ნახულობდა, იცოდა ბერძნული, ლათინური. თარგმნიდა და ისე ასწავლიდა ლევის. თითქოს ერთი შეხედვით, როგორი მშვენიერი იყო მათი ცხოვრება, ღარიბები თუმცა ბედნიერები, მაგრამ რამხელა სიცარიელეა მათ შორის. რამხელაა მათ შორის სხვაობა, რომელსაც ჯერ კიდევ ვერ ხვდება ლევი. ასაკის მომატებასთან ერთად, თითქოს უმნიშვნელო გაუცხოება იგრძნობოდა მათ შორის. თავდაპირველად კაცმა მას ყურადღება არ მიაქცია თუმცა ერთ წვიმიან, მტირალა, წინასწარმეტყველურ ამინდში მძინარეს მეტად უცნაური რამ ესიზმრა.

რეალობასთან ძალიან მიახლოებულ სიზმარში კაცი მიწვეული ჰყავდათ ღმერთებს, რომელთაც ვერ მიუახლოვდებოდა იგი... რამდენადაც არ უნდა ეცადა, ვერ ხედავდა მათ სახეს, მათ სხეულს, მაგრამ იცოდა, რომ ღვთიური ძალისა და განგების ნება იყო მისი აქ მოსვლა. თუნდაც მათთან კავშირი არ დაემყარებინა. მისი უბრალო სტუმრობაც საკმარისი იყო, ზეციური ძალების ჩარევის დადასტურებისთვის. ირგვლივ ნაცრისფერი გარემო მოასწავებდა უბედურ ამბავს, ამბავს, რომლის გაგება შეიძლება კაცისთვის დამღუპველიც ყოფილიყო. ფეხის კანკალით მიუჯდა ოვალურ მაგიდას, სადაც მხოლოდ წითელი, მქუხარე ფერის ბალი იყო. მთლიანი მაგიდა ბალით იყო მოფენილი. ეს არ იყო უბრალოდ ხილი, ეს გრძნობა იყო, რომელიც მხოლოდ ღმერთებს შეუძლია აღიქვას.

– ხომ იცი, რომ ეს არ მოხდება? – დაიწყო საუბარი მასთან ყველაზე ახლოს მჯდომმა.

– რა, რას გულისხმობთ? – ენის ბორძიკით მიუგო კაცმა.

– ეს შეუძლებელია, რამდენიც არ უნდა ეცადო. – განაგრძო ძლიერი, ბოხი ხმით მის უკან მჯდომმა.

– იქ შენ არ უნდა მისულიყავი, შენ რა გინდოდა იქ, ეს არ უნდა მომხდარიყო, შენც კარგად იცი ეს, – თითქოს ყვიროდა ერთ-ერთი მათგანი ისეთი გზნებით საუბრობდა, – სასწრაფოდ დატოვებ მას, რამდენიც არ უნდა ეცადო, ქვესკნელს ვერ ამოავსებ, დამსხვრეულს ვერ გაამთელებ, მას ვერ შეინარჩუნებ...

– რატომ, რატომ, რატომ, რატოოომმ... – ყვიროდა კაცი და ასე გამოეღვიძა.

ვისზე საუბრობდნენ? ლევიზე? სიმართლე იყო, რაც თქვეს? არა, კაცი არ დაუშვებს ამ ყოველივეს. ღმერთების წინააღმდეგაც წავა, ყველა ღონეს იხმარს, რომ ლევი შეინარჩუნოს. თუნდაც მათ შორის ზღვარი, კოსმოსური სივრცის ხელა იყოს...

ამას ფიქრობდა კაცი და ვერც შეამჩნია, რომ ძალიან ცუდად გამხდარიყო...

უკვე ოციოდე წლის ლევი მასთან მივარდა.

– მამა რა ხდება, ცივი ოფლი გასხამს.

კაცს არაფერი არ უთქვამს.

მომდევნო დღეებში სახლიდან საერთოდ აღარ გასულა. ყველა წიგნი თავიდან ამოალაგა, ყოველ წუთს უმეორებს ლევის ყველაფერს, რაც იცოდა... ყველაფერს აკეთებდა, რომ მისთვის ცოდნა გაეზიარებინა... ოჰ რა წამები ჩაყლაპა ჰადესმა, ის წამები, როცა სანთლის მბჟუტავ შუქთან უსაუბრიათ მამა-შვილს საათობით. როგორ ცდილობდა ღმერთები ამ ყველაფრის შეფერხებას. მათ სახლიც კი გადაუწვეს. ის პატარა ქოხი, რომელმაც ამდენი მნიშვნელოვანი ეპიზოდი დაბადა. სწორედ ეს ქოხი იყო სახლი თეთრ საბანში გახვეული პატარა ახალწვეულისთვის... თითქმის განადგურებულმა ქოხმა კი დაინახა, უკვე კაცად ქცეული შვილისა და ხანდაზმული მამის გაქცევა და თავის შველა ცეცხლისაგან...

დიდ ფიქრს მიეცა კაცი, უკვე ძალიან დაბერებული იყო, ბავშვი მეტად სუსტი იყო სამუშაოსთვის. ბოლოს, ღმერთებმა და განგებამ შეიბრალა ისინი და სადღაც, მდიდრის მიტოვებულ ფარეხში შევიდნენ. კაცი აღარ კარგავდა დროს, ასწავლიდა ლევის იმას, რასაც თვითონ ვერ ხვდებოდა. სანამ ერთ დღეს ის მტანჯველი დღე არ დადგა, რომელზედაც კაცს ღმერთები აფრთხილებდნენ.

ლევი ნახევრად მძინარე მამასთან მივიდა. პატარა სკამზე ჩამოჯდა, ერთი ღრმად ჩაისუნთქა და დაიწყო.

– მამა, როგორი ძლიერია ამ ქვეყნად გრძნობა. როგორი ძლიერია სულის უკმაყოფილების შეგრძნება, რა ძლიერია ღმერთის ნება და როგორ ძლიერად მაქვს ერთი საფიქრალი გულის სიღრმეში გამჯდარი. ცამდე და მის საზღვარს იქით, უსასრულობამდე შენი მადლიერი ვარ. შენ მასწავლე ენა, ანგარიში, ლიტერატურა, ფილოსოფია, მეცნიერება, სიყვარული, მეგობრობა... ერთადერთი ხარ, ვინც ცხოვრებაში მყავს. მაგრამ რა ვქნა, რომ მგონია შენი არ მესმის... რა ვქნა, რომ გული ტანჯვას და სინანულის მოუცვია, რადგან შენ კიდევ ბევრს ფიქრობ და აცნობიერებ, რომელიც ჯერ კიდევ არ მესმის. ამოუცნობი მოვლენა ხარ ჩემთვის მამა, მითხარი რატომ ვარ ასე... ეს

ასაკს დავაბრალო? ჩვენს შორის სხვაობა წლოვანების მიხედვით ძალიან დიდია, მაგრამ საქმე ამაში არაა. რაღაც სხვაა, მამა...

ღმერთებმა და ადამიანმა ერთად შეკივლა.

გააყრუა მთელი მსოფლიო უხმო გმინვამ.

კაცმა ძლივს შეიკავა თავი ცრემლებისგან, ღმერთებმა რისხვა მოამზადეს, ქაოსი იგრძნო ლევის გულმაც, რომ რაღაც ისეთი თქვა რომელიც შეცვლიდა მის ყოფიერებას. მართლაც, მამამ სევდანარევი ღიმილით, ტანჯვის ფარვით, თითქოს უმნიშვნელოდ მიუგო.

– მე რაც გულში მქონია, მე რაც გულში მექნება, შენ უკვე იცი. შენ უფრო მეტი იცი ჩემზე ვიდრე მე საკუთარ თავზე. შენ უფრო მეტს იგებ ძვირფასო. ეს უბრალო ფიქრია, მიეცი შენს გულს თავისუფლება, მიეცი შენს თავს სილაღე და მოიცილე ამგვარი ფიქრები გონებიდან...

იმ ღამეს ერთმანეთისადმი სიტყვა აღარ დაუძრავთ, ღმერთებმა კი კაცს სასჯელი მოუვლინეს. დიდი სნეულება შეეყარა კაცს, ფილტვების დიდი პნევმონია, როგორც ექიმებმა დაადგინეს, თუმცა რა იციან მათ, რომ ეს ბევრად დიდი სნეულებაა, რა იცის ხელქმნილმა ხელსაწყომ თუ რა ტანჯვასთან აქვს საქმე კაცს. და ეს ტანჯვა უფრო დიდია ვიდრე უბრალოდ დაავადება, რომ ეს ტანჯვა ღმერთების ენითაა შექმნილი და მისი ჰიმნი ბევრად უფრო დიდ ხავს ჰკიდებს გულს ვიდრე სხვა...

3 წელი კაცს მოსვენება არ ჰქონდა. ლოგინიდან ვერ დგებოდა. ლევი, თითქოს მისი მეოთხედი ენერგიის ამარა იყო დარჩენილი. ფიქრის საშუალებაც არ ჰქონდა. ევედრებოდა ღმერთებს, ოღონდ ის გადარჩენილიყო, ოღონდ მამასთან ერთად კიდევ დიდხანს ეცხოვრა, მაგრამ ფუჭ იმედს თვითონაც ამჩნევდა. არ ნებდებოდა, იცოდა განწირული იყო, მაგრამ ფულს აგროვებდა, რომ მამამისის მკურნალობა მოესწრო. მაგრამ ვერც ერთი წამალი ვერ უშველის ღმერთთა კანონს. ლევის დაბადების დღიდან მეშვიდე ღამეს, კაცი გარდაიცვალა. ლევი მუხლებზე ემხო და მამამისის ცხედარს დატიროდა.

იცით რა არის ყველაზე საშინელი ხმა? სიჩუმე. ყველაზე მტანჯველი მელოდია სიჩუმეა. ყველაზე ტანჯული ადამიანი ჩუმადაა და იმ ღამესაც მჩქეფარე ცრემლების ფონზე ხმა არავის გაუღია. უფრო სწორად, ხმა ლევის არ გაუღია. სხვა ვინ იქნებოდა იქ?

გარდაცვლილი კაცის სული ადის ზეცაში და უერთდება ღმერთების ადგილს, მის კუთვნილს... მიუსხდება ოვალურ, ბლით მორთულ მაგიდას. მის გვერდით მჯდომი ღმერთი დაიწყებს.

– ეს რატომ გააკეთე, ხომ იცოდი რთულად დასრულდებოდა.

– ძნელია იყო ადამიანიც და ღმერთიც, ადამიანურ ცდუნებას ვერ გავუძელი. მე ის მიყვარდა, მე სხვა გზა არ მქონდა – მიუგო წყნარად აწ უკვე ღმერთად ქცეულმა კაცმა.

– შენ ის ბიჭი დაღუპე, დატანჯე. შენ შეცდი, – უყვიროდა მას მის მარცხნივ მჯდომი.

– შესაძლოა. შესაძლოა... – სევდით თქვა მან.

გავიდა 10, 15, 20 წელი. პატარა ლევის ციდან მამა დაჰყურებს, ხოლო ლევი მის მოწაფეებს. 5-6 ბავშვი მასთან ყოველდღე დადის. ფული იშოვა და ბედნიერად ცხოვრობს. ბავშვებს ყველაფერში ამეცადინებს, რაც კი იცის. ერთი მოსწავლე განსაკუთრებით უყვარს. ერთხელაც სწორედ ზემოხსენებული ლევის გაკვეთილების შემდეგ კითხვას დაუსვამს.

– მასწავლებელო, იქნებ მითხრათ ყველაზე დიდი ჭეშმარიტება რა პოვეთ ამ ქვეყნად.

ლევი დაიბნა, არ იცოდა, რა ეპასუხა. ჩავიდა მისი სულის ბოლო წერტილში, ყველაზე ღრმად და ასეთი სიტყვები უთხრა.

– ამ ქვეყნად ყველაზე მეტად ერთი რამ გავიგე. არსებობს რაღაც კანონზომიერება ამ ქვეყნად. ერთ-ერთი მათგანის თანახმად მე მამაჩემისას ვერასდროს გავიგებდი. მე ადამიანი ვარ, ის კი უფრო მეტი იყო. მის ცოდნას ჩემი პატარა ცნობიერი ვერ დაიტევდა. მე ბედნიერი ვარ, რომ მას შევხვდი. მე ალბათ სადღაც მარტო ხის ძირას მოვკვდებოდი, რომ არა ის.

მადლობა, რომ ჩემს ცნობიერს ყველაფერი შემატე...

ეს უნდა ეთქვა? გაიგო რამე მოსწავლემ?

არ აქვს მნიშვნელობა,

მამამ გაიგო.

მე ვარ ყველგან

სანამ ვეშაპსამონადირეო ხომალდზე, ისმაილად წოდებული პიროვნება ზღვის მეფეს უპირისპირდება, სანამ აურელიანო ბუენდია იარაღს უცქერს, სანამ რასკოლნიკოვი ბებრუხანას ბინაში სიარულის ხმას გაიგებს, სანამ იოზეფ კ. სასამართლოს ეძებს, სანამ უცხო, საუცხოოდ მიჰყავთ სიკვდილით დასასჯელად, სანამ გიუნპლენი ნავიდან გადმოხტება, სანამ გული დასუსტდება, სანამ ამერიკაში ბიძა გამოჩნდება, სანამ წამი გასაჩერებლად ღირებული შეიქმნება და სანამ მშობლიურ მიწაზე ახალ სამშობლოს დააარსებენ, აი სწორედ მანამდე, მაგ მოვლენების უკან მე ვიყავი. დიახ! მე ვიყავი, მე ვიყავი ის, რომელიც ამ ყველაფერს უკანა მხრიდან აკვირდებოდა და უყურებდა, უყურებდა, უყურებდა... ოჰ, რა საზარელი სანახავი იყო მოგზაურობა ღამის დასალიერში. მოგზაურობაზე იმდენი რამ მაქვს ნანახი რა მოთვლის, ღმერთმანი რა მოთვლის! თქვენ კი ჩემი არსებობის შესახებაც არ იცით. სირცხვილი, საერთოდ როგორ შეგიძლიათ წარმოიდგინოთ უჩემოდ ამბები, რომელიც ოდესმე წაგიკითხავთ, გინახავთ. ავრელიუსის ქანდაკებაზე ხომ მე დავწვი ის ავადმყოფი და შეშლილი? არა, ვცდები, მე არ დამიწვავს, მე არაფერში ვერევი. ყველაფერი მაინც ჩემგან ფარულად და ჩაურევლად ხდება...

მაგრამ ვინ იცის ეს? რომელი ხედავთ? კითხულობთ და საერთოდ არ განაღვლებთ პერსონაჟების გარდა სხვისი ბედი. ოჰ, საწყალი ჰექტორი, საწყალი მე, რომელმაც შემოვურბინე ტროას სამჯერ. თქვენ, ვისაც ოდესმე ლიტერატურაში ფეხი შეგიდგამთ ან თავს იწონებთ მასზე ყველაფერი ვიცითო, ერთ მნიშვნელოვან რამესაც გეტყვით, საერთოდ არაფერი არ იცით, საერთოდ არაფერი!!! რომელმა გამიხსენეთ მე, როდესაც ოდისევსთან ერთად შემოვიარე სამყარო. სამყარო კი არა, მაგის მეოთხედიც ყოფილა, სიმართლე რომ ითქვას. იობთან ერთად ვინ იყო, როცა ღმერთმა მთელი სამყარო ანახა? არ ვნერვიულობ, საერთოდ. არც აღელვებული ვარ... პირიქით თქვენ ინერვიულეთ, რომ არ იცით არაფერი. იტყვით, კი მე გამახსენდიო, მე ვიფიქრე შენზეო, მე დავუშვი შენი არსებობაო... მაგრამ ტყუილია, ტყუილია. მე დავინახავდი... ყველა ვინც მხედავს, მეც ვხედავ. რამხელა სამყაროა თქვენ არ იცით, ჩემნაირი კი არავინაა. სჯობს არ გამოცადოთ ჩემი ბედი, იმედია არც არასდროს იხილავთ იმას რაც ჩემმა თვალებმა ნახა. არა, როგორ არ იყო სასაცილო, სასიამოვნო მომენტებიც. მაგრამ, რომელი სიხარული გადაწონის მეგის საკუთარი ნაწნავებით ჩამოხრჩობის სცენას? რომელი?? ახლა რატომ ვყვები ამას? არ ვიცი. ამგვარი შეკითხვები არ მინდა. მე, გეუბნებით ერთ რამეს. წიგნს და ზოგადად ამბებს, ვერც ერთი ვერ გებულობთ. თქვენ იცით წვეთი ზღვაში. ზოგი მეტყვის, საიდან უნდა გამახსენდე შენ, როცა ვხედავ დატანჯულ ჰენრის, გარდაცვლილ ქეთრინთან ერთად. მე ვუყურებდი, მე მანდ ვიყავი, მე ვისმენდი იმ აუტანელ სიჩუმეს, როცა იგი წვიმიან ამინდში სასტუმროსკენ დაიძრა. მე ვიყავი... ჩემს ხვედრს ვერავინ მიხვდებით. ავტორზეც გაგესაუბრებით, ვინაა ავტორი? ავტორი არის უნიჭო ადამიანი, რომელმაც არაფერი იცის იმაზე, რაზეც თვითონ წერს. საერთოდ ვერც ერთი მათგანი ვერ მხედავს. მე გხედავთ, თითოეულ თქვენგანს ვხედავ, იმ გლახაკსაც, რომელიც ცდილობს, რაც შეიძლება ზუსტად აღწეროს ენეიდას გმირობები. რომელი შემედრება მე?! თქვენ რამდენ ამბავს არ იცნობთ, რამდენ პიროვნებას არ იცნობთ, რომლის არსებობაც კი არ გჯერათ და უბრალოდ წარმოიდგენთ. ღმერთო, როგორ შეიძლება ეჭვი შეიტანო ჯოჯოხეთის მომვლელში. არც ერთმა არ იცით, რომ მეც იქ ვიყავი. სამმა მოვიარეთ. მაგრამ მეტსაც გეტყვით, არც მათ იციან ჩემი არსებობა. დიახ, არც იატაკქვეშეთის კაცმა, არც სიზიფემ, არც ზევსმა, არც ენქიდუმ, არც უინსტონ სმიტმა და არც თანასწორმა

ცხოველებმა. საერთოდ არავინ იცის ჩემზე. მე ვხედავ, კიდევ შევხედავ, კიდევ დავწყევლი ჩემს ხვედრს. სანამ კაცთა მოდგმა იარსებებს, სანამ უნიჭო მწერლები ამბავს შექმნიან, სანამ ეს ამბები იარსებებს, ისეთი ამბებიც, რომელიც ჯერ არ შექმნილა, მე მანამდე ვიქნები. ვიქნები აწ და მარადის.

არ შეიძლება, ასე გაგრძელება. ვინმემ იგრძენით ჩემი ხელი, ვინმემ შემამჩნიეთ. უშველეთ აქაბს, აქაბს უშველეთ... მე ვერ ვშველი. მე ვერ გავუწვდენ ხელს ტარიელს, მე ვერ გამოვგლეჯ მარგოს ურჩხულს. ჩემი ხვედრი ყურებაა. მე იქ ვარ, ჩუმად, ყველაფერს ვგრძნობ, ყველა სიჩუმე მესმის. გეშინოდეთ, უარეს ამბებში გავეხვევი და უარესი ამბები მოვა თქვენამდე.

თქვენ მაინც ვერ შემხედავთ.

ახლა, ამ ყველაფერს ვიღაც წერს, სხვებიც წაიკითხავენ, არც ამ იდიოტმა იცის ჩემზე. მე სხვა ვარ, ვხედავ როგორ წერს იგი, მე მაინც ვერ შემხედავ, ჩემს უძლურებას ვერ შეიგრძნობ.

შენ არ მიცნობ, მე უკვე ვიცი რასაც იფიქრებ...

ტანჯვა მელის, რომელსაც ვერც ერთი თქვენგანი ვერ გაიგებს, განსაკუთრებით შენ.

შენ!!!

სოფია ქურასბედიანი

* * *

სოფლის ორღობეს მშრალსა და ვიწროს,
შემოჰხვევია თოვლი ქალამნად,
ყველა სეზონის სიმშვიდეს იცნობს
ზეცის ქარაგმა.

იმ ძველ ქვითკირით ნაშენებ სარკმელს,
ჩემი ბავშვობა დაჰყვება ფირად,
მთვარე ბელურებს სახელებს არქმევს,
უცნაურს ფრიად.

ვქსოვ მოლოდინის ვიწრო არშიას,
ვუცდი გაზაფხულს – ნორჩსა და ხალასს,
ფიქრებს ვაპურებ, თუმცა არ შიათ,
თოვს... ბილიკს ფარავს...

* * *

მთები ლურჯ სიზმრებს დამიხატავს ისევ ახლოდან,
ნაცნობ სილაღეს კაეშანი ვეღარ დამიშლის,
მწვანე წალკოტი ამ ფიქრების სამოსახლოა
და მზე საცაა დეკემბრისთვის ნაწნავს გამიშლის.

სუსხი გაკაფავს ვიწრო ბილიკს ღობის გადაღმა,
როცა გაზაფხულს კაკლის ძირას შევეგებები,
ხეებს გამორჩათ უცაბედად უცხო გადაღლა,
ისე ლამაზად აკიაფდნენ მოგონებები.

ჩემს სოფელში

სიჩუმეში ცამ თავისი ფერი მაცხო,
ამ დროს ალბათ ჩემს სოფელში ხეხილს რგავენ,
დედაჩემი თავთუხისფერ პურებს აცხობს,
როგორ მატკბობს ეს სურნელი, როგორ და ვერ

ვეგუები სიშორისგან დაღლილ სარკმელს,
მხრები უხმო მონატრებით მეწურება,
ჩემი ეზო გრძელ სიზმრებში იმედს მაკმევს,
სულის მიღმა მობინადრე ფიქრი კრთება.

სიჩუმეში ცამ თავისი ფერი მაცხო,
ბაბუ დინჯად მელოდება ვაზის ძირას,
ვბორგავ, იქნებ ეს მანძილიც დავამარცხო,
ვნახო ჩემს მთებს სოფლის თავზე როგორ სძინავთ.

* * *

ვკვალე ბილიკები, უტყვი მიმიკებით,
სწვავდა ცას გრძნობები უცხო ეშაფოტზე,
წლები გარინდებულ განცდებს ირიგებენ,
დაბერებულაო მთებში ეს წალკოტი...

წამი მიეყინა ღრუბლებს უკარება,
ღამის სიჩუმეში სდუმან ნეკერჩხლები,
ვერა დააკლეს რა ფიცხმა მუქარებმა,
ლექსებს თუ სმენიათ ნატიფ ლეგენდებზე.



შოთა ანანიძე

თქვენ ღირსეულად დაიდგით ბინა

თქვენს საფლავებთან გულდაწყვეტილი,
ვიდექი ისე, როგორც ეული,
თქვენი ლექსების ნაკვესის ჟინჟღლი
მკერდზე მცვიოდა ცრემლმორეული.

ვუყურებ ქვებზე დახატულ სურათს,
სულის ყულაბა ივსოდა დარდით,
დავცალე ნატვრის პირსავსე სურა,
დალოცვილებო – ფრიდონ და ზურაბ.

დღე-ღამეს ტეხდით ნათელი დღისთვის,
თუ დაგეკეცათ თქვენ ლტოლვის ფრთები,
გადავლილი გაქვთ ოცნების სირთი,
წევხართ ვალმოხდილ დაღლილი მხრებით.

იქ ღირსეულად დაიდგით ბინა,
ანთია თქვენი აზრის ფარანი,
ვარსკვლავებივით ელავს და ბრწყინავს
თქვენი მქუხარე სიტყვის ალამი.

აპრილი

გაიყო შარა ერთურთის
ავდარისა და დარისა,
ავდარი ჩანდა ზეურჩი,
ქედები შავად ჩანისლა.
და ხელჩართული შეტევა
უმალ მათ შორის დაიწყო,

მაისი წამოეშველა,
ავდარმა ხელი აიღო.

ფრთები შეისხა აპრილმა,
მაისმა გამოაფხიზლა,
თავისი ფხიან სატევრით
თოვლს მუსრავს მთებზე დატკეპნილს.

ხმა დაუბოხდა სიცილით
სოფლის ჩუხჩუხა წყაროებს,
გახარებული კისკისით
გამაჯერებლად გალობენ.

საამური დღე დაუდგათ
ღელე-ღურდნებში კალმახებს.
თავს აღარ გრძნობენ სათუთად,
ჩანჩქერი ფრთებით დალაშქრეს.

მანანა წულუკიძე

მასწავლებლის დარიგება

განა ცოტა მაქვს სათქმელი?
არა, არც ისე ცოტა.
სჯობს ახლა გითხრათ სათქმელი,
სანამ ცხოვრება ოხრავს.
გულისფანცქალით ჩავატევ
ჩემებურ სიტყვებს, ნაქებს,
ლამაზ ცხოვრებას გისურვებთ
ლამაზს მზესავით ნათელს.
ვიცი გული გაქვთ კეთილი,
ბევრიც კარგი გაქვთ ჩვევა,
ქება-დიდებას გერჩივნოთ
დედაშვილური რჩევა.
წიგნს დაეწაფეთ ხარბად,
წყაროს წყალივით შესვით,
რადგან ეს არის გონისთვის
გაღვივებული თესლი.
იშრომებთ, გზები გექნებათ,
წინსვლა გექნებათ მუდამ.
უფროს-უმცროსი იცანით
და მიიხუტეთ გულთან.
გვერდში ედექით მეგობარს,
მისი ყოველი იწამეთ.
მისი ტკივილი, გტკიოდეთ,
მისი წამებით ეწამეთ.
ჩვეულ სიჩქარით იფრინეთ,
უცებ არ გინდათ მაღლა.
ნუ დააჩქარებთ ცხოვრებას,
რომ არ დაგეტყოთ დაღლა.
განა ცოტა მაქვს სათქმელი?
არა, არც ისე ცოტა.
სჯობს ახლა გითხრათ სათქმელი,
სანამ ცხოვრება ოხრავს.

სულ ცოტაც ვაცალოთ

სამშობლოვ, შენს სადიდებლად
დაგიწერ ლამაზ სტრიქონებს,
ვამაყობ შენი სიდიადით,
შენი უკვდავება მიმონებს.
ერთმანეთს სხვა გრძნობით შევხედოთ,
სიკეთის კარები შევაღოთ,
და მარტო თვალებით კი არა,
სუფთა ცას გულითაც შევეხოთ.
შევიცნოთ მტერი თუ მოყვარე,
ვამხილოთ, ვინც ჩვენს წინ მაქციობს,
ღვთისმშობლის წილხვედრი მამული,
ბიბლიურ წალკოტად ვაქციოთ.
მოვიდეს ახალი მესია,
გიორგის ფრთამალ რაშს მოახტეს,
სულ ცოტაც ვაცალოთ, მოიცათ,
უფალი სასწაულს მოახდენს!

დედაო, ენავ!

მთის მდინარეებს გააქვთ რაკრაკი,
იქ, სადაც მთები კოცნიან ზეცას.
მზე ერთნაირად ეალერსება
შაშვსა და ბულბულს
არწივს და მერცხალს.
მარადიული ისმის გალობა,
მზე ოქროს სხივებს ყველა მხრით ისვრის.
ვარდები ფეთქავს, ნარცისი ღელავს,
მარადიული გალობა ისმის.
დღეს დედაენას უნდა ვუმღერო,
მიტომ მჭირდება ამგვარი ფონი...
ცას უნდა მიწვდეს ჩვენი ზეიმი,
როდი გვჭირდება დღეს მიკროფონი.
„აი ია“ და აი, ღიღილო,
გაზაფხულია, აი, ყაყაჩოც,
„დედა ენაა“ იუბილარი,
ლექსის ამოთქმას ნეტავ რაღა ჯობს.
ჩემს „დედა ენას“, ჩემს პირველ ანბანს,
მარადიული საგალობელი!
დედაო ენავ, მზევ, ყვავილნარო,
შეგედარება აბა რომელი!

ზორენა
მახაჭაძე

მეტამოდერნისტული ეპოქის პოეტური პროფილი

(კრებულის – „მე მქვია ბათუმი“ – მიხედვით)

„მე მქვია ბათუმი,
შენ გქვია ბათუმი,
ჩვენ გვქვია ბათუმი,
ჩვენ ერთად ჩვენივე ქალაქის აწმყო ვართ“.

გენრი დოლიძე

ჩვენს საანალიზო კრებულს – „მე მქვია ბათუმი“ – 14 წელი აშორებს ამავე ავტორების 2010 წელს გამოცემული კრებულისაგან – „ა, ბ, გ, დ“. ამ უკანასკნელის შესახებ დაწერილ წერილს მაშინ დავარქვი „მომავლის მონატრება“ (სათაური ვისესხე გიორგი გაბაიძის ამავე სახელწოდების კრებულიდან). ეს იყო ამ ახალგაზრდა პოეტების პირველი მძლავრი ნაბიჯები ქართულ პოეზიაში. მაშინ ისინი 20-21 წლის იმედისმომცემი, ნიჭიერი ახალგაზრდები იყვნენ, დღეს კი უკვე შემდგარი პოეტები არიან. ამის დასტურია ეს კრებულიც, რომელშიც როინ აბუსელიძის, აჩი ბერიძის, გიორგი გაბაიძის, გენრი დოლიძის რჩეული ლექსებია შესული. მათ, ვფიქრობ, ლოგიკურად დაემატა კიდევ ერთი ახალთაობელის – სულხან წულუკიძის – სახელიცა და ლექსებიც.

მართალია, კრებულში შესული ლექსების უმეტესობა წაკითხული მქონდა, მაგრამ ერთად შეკრულმა წიგნმა უფრო დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე და კიდევ ერთხელ დამარწმუნა, რომ 14 წლის წინანდელი ჩემი ოპტიმიზმი ფუჭი არ აღმოჩნდა: მოვიდა ახალი თაობა და, ყოველგვარი შეღავათების გარეშე, საკუთარი ძლიერი პოეტური ხმით, თანამედროვეობის შეგრძნების უტყუარი ალღოთი და ორიგინალური ფორმით გამოკვეთა საკუთარი პროფილი, დაიმკვიდრა თავი ქართულ მწერლობაში.

მე არაერთი წერილი მივუძღვენი კრებულში შესული ავტორების შემოქმედებას, მაგრამ, როგორც ვთქვი, ასე ერთად თავმოყრილმა ლექსებმა უფრო სხვა ემოცია მოიტანა, სხვა თვალით დამანახა ახალი თაობა, რომელიც ასე ზუსტად ასახავს პოსტმოდერნისტულისაგან სრულიად განსხვავებული – მეტამოდერნისტული ეპოქის – სახეს, სულს, მსოფლხედვას.

ძალიან მოკლედ მეტამოდერნიზმის შესახებ: მას შემდეგ, რაც ალან კირბმა ხმამაღლა და ავტორიტეტულად განაცხადა, რომ „პოსტმოდერნიზმი, როგორც თანამედროვე კულტურული პროდუქტი, მკვდარია“ (კირბი, 2012:), მეცნიერებმა დაიწყეს ახალი ეპოქის შესაფერისი ტერმინის მოძიება, ასე მაგალითად, ტიმოთი ვერმიულენმა და რობინ ვან დენ აკერუმ მას მეტამოდერნიზმი უწოდეს (2011), თავად ალან კირბმა – ფსევდომოდერნიზმი, დიგიმოდერნიზმი, ალტერმოდერნიზმი (2012) და ა. შ.

ჩვენ გამოვიყენებთ ტერმინს მეტამოდერნიზმი, რომელშიც წინდებული – „მეტა“ – მომდინარეობს პლატონის დიალოგებიდან „ნადიმი“ და აღნიშნავს როგორც ორ პოლუსს შორის მერყეობას, ისე დროის განსაზღვრულ პერიოდში მის არსებობას ცენტრში.

მეტამოდერნისტულ ეპოქას ახასიათებს: სოციალური ურთიერთობების სივრცის ვირტუალიზაცია; ტექნო-სურათების შექმნა ისე, რომ შეიძლება შეიქმნას ინფორმაცია, რომელსაც რეალობასთან არანაირი საერთო არ გააჩნია; ან შეიქმნას ინფორმაცია, რომელიც იქცევა საინფორმაციო ომის ნაწილად (რასაც ამჟამად ყოველდღიურ რეჟიმში ვადევნებთ თვალს!).

მეტამოდერნისტული ეპოქის დამახასიათებელია, ასევე, გლობალიზაციის ფონზე ნაციონალური სოციუმების გლოკალიზაცია: საკუთარი უნიკალურობის, იდენტურობის, კულტურის ხაზგასმა და შენარჩუნება (დაგვეთანხმებით, ალბათ, რომ ესეც ჩვენი რეალობის შემადგენელი ნაწილია!); კიდევ ერთი ნიშანი ეპოქისა, რომელიც გამოყო ინგლისელმა მხატვარმა, „მეტამოდერნისტის მანიფესტის“ (2011) ავტორმა, ლიუკ ტერნერმა არის ტრანსსანტიმენტალიზმი, ე. წ. „ახალი რომანტიზმი“. მანვე აღნიშნა, რომ მეტამოდერნიზმი აღნიშნავს მერყეობას ირონიასა და გულწრფელობას, გულუბრყვილობასა და გაგებას, რელატივიზმსა და ჭეშმარიტებას, ოპტიმიზმსა და ეჭვებს შორის (ტერნერი, 2011:).

ვფიქრობთ, ზედმეტი არ იქნება დავაკონკრეტოთ, რა მსგავსება-განსხვავებაა პოსტმოდერნიზმსა და მეტამოდერნიზმს შორის.

მსგავსება – მეცნიერები შეთანხმდნენ, რომ არც პოსტმოდერნიზმი და არც მეტამოდერნიზმი არ არის ერთიანი ფილოსოფია ან პროგრამა, ისინი მსოფლშეგრძნების ფორმებია, ანუ „გრძნობის სტრუქტურაა“.

განსხვავებანი: პოსტმოდერნიზმი – მეტამოდერნიზმი:

1. ღმერთის სიკვდილი, ნიჰილიზმი, ურწმუნოება – ღმერთის ძიება, რწმენის აღორძინება;
2. ღირებულებათა უარყოფა, მათზე უარის თქმა – ფასეულობების ძიება და დაბრუნება;
3. სასტიკი/გამანადგურებელი ირონია, სარკაზმი, ცინიზმი – მსუბუქი, მიმტევებლური იუმორი, თვითირონია;
4. დეკონსტრუქცია – რეკონსტრუქცია;
5. პიროვნების გაუფასურება – ინდივიდისკენ მობრუნება;
6. პრაგმატიზმი, მომხმარებლური ფსიქოლოგია – ნეორომანტიზმი, „პრაგმატული რომანტიზმი“;
7. ემოციათა უარყოფა, გულგრილობა – ახალი სულიერების ძიება, „ახალი გულწრფელობა“;
8. ავტორის სიკვდილი – ავტორის გაცოცხლება;
9. ჰომო ფაბერების სამყარო – ტექნოეთიკის, ადამიანისა და ბუნების თანაარსებობის შესახებ მსჯელობა;
10. სუბიექტის დეცენტრალიზაცია – სუბიექტის ცენტრალიზების პროცესი;
11. ანტიფსიქოლოგიზმი – ინტერესი ფსიქოლოგიზმისადმი;
12. თხრობის ფრაგმენტულობა, სიუჟეტის არარსებობა – ისტორიების თხრობა.

ჩვენ შევეცდებით, ზემოთ ჩამოთვლილი ნიშნების მიხედვით, გამოვკვეთოთ მეტამოდერნისტული ეპოქის პოეტური პროფილი – აჭარაში მოღვაწე ახალი თაობის შემოქმედთა მიერ ერთობლივად გამოცემული კრებულის – „მე მქვია ბათუმი“ – ანალიზის საფუძველზე. მაშ ასე, დავიწყოთ:

შემთხვევითი არაა, რომ კრებული როინ აბუსელიძის „ახალი რომანტიზმის“ სულით გაჟღენთილი ლექსით – „მიწის პოეტის მსხვერპლი“ – (მე..., 2023:3) *[„მე მქვია ბათუმი“, გამომცემლობა „კალმოსანი“, თბილისი, 2023; შემდგომში ციტატებს მოვიყვანთ ამ გამოცემიდან, მივუთითებთ მხოლოდ გვერდებს]* იწყება. ეს სულისშემძვრელი ინტიმითა და სიყვარულით, ერთდროულად სიმშვიდითა და ტკივილით გაჯერებული ლექსი ერთგვარ ტონს აძლევს მთელ კრებულს. მასში პოეტის მამის რომანტიზებულ-მითიური პორტრეტიცაა დახატული და ის ფესვებია გაშიშვლებული, საიდანაც თავად შემოქმედის სამყაროსადმი მიმართება ამოიზარდა. დიდოსტატურად ხატავს და შეგვაგრძნობინებს როინ აბუსელიძე „მიწის პოეტის“ ორგანულ კავშირს მშობელ მიწასთან, ის თითქოს პირველყოფილი ინსტინქტებით გრძნობს ბუნების ენას, ესაუბრება, ლოცვებით აჯადოებს, ცრემლითა და ოფლით რწყავს მიწას, უვარცხნის მზისგან დაკოჟრილ ზურგს, მიწის პოეტმა იცის მზისა და მთვარის საიდუმლო, იცის, როგორ მოიყვანოს შემოდგომა, იცის, რომ მსხვერპლშეწირვის გარეშე ვერაფერ ღირებულს ვერ შექმნი და თავად აღასრულებს ამ აქტს: „მაგრამ მიწამაც აღიარა ალბათ პოეტად, – ჩვენთან, ეზოში მსხლის ხემ მოისხა...“ (5).

როინ აბუსელიძის „მიწის პოეტის მსხვერპლი“, სათაურიდან დაწყებული ბოლო სტრიქონამდე, ერთი მთლიანი მეტაფორაა, შესაბამისად, ის მრავალი პლასტის შემცველიცაა, ის შემოქმედის მიერ რაიმე ღირებულის შექმნის პროცესზეც მიგვანიშნებს, რაც მსხვერპლის, საკუთარი სულისა და გულის, თვითშეწირვის გარეშე არ მიიღწევა: მხოლოდ ასე თუ აყვავდება ბაღი, ასე თუ შემორჩება მიწას, სამყაროს შენი შემოქმედების ნაყოფი, ასე თუ იგრძნობს შენი შთამომავალი შენ მიერ გაღებული მსხვერპლის ფასს და თავადაც შეემზადება თვითშეწირვისთვის და ასე, თაობიდან თაობას უწყვეტ ჯაჭვად გადაეცემა მამაპაპისეული სიბრძნე, გამოცდილება და არასოდეს მოაკლდება სამყაროს შემოქმედი ადამიანი, ასეთია წესი დროის მარადიული წრებრუნვის კანონისა:

„წერდა უფლისთვის,
წერდა თავისთვის,
ჩვენ გამო წერდა,
რომ წაგვეკითხა მიწის ლექსი მამის ხელებში,
რომ მოგვეყოლა თავად მამებს შვილებისთვის და
ეს პოეზია ყოფილიყო უპირველესი.
პოეტი იყო მამაჩემი!“ *(4)*

ფესვებთან კავშირის შეგრძნებას კიდევ უფრო ამძაფრებს „სენტიმენტალური ჰუმანიზმის“ მედროშის, დიდი ნოდარ დუმბაძისა და მისი ბრწყინვალე „ხაზარულას“ გახსენება – ამ ლიტერატურული ტრადიციის ხაზიც შემოდის და ლექსის რეალისტურ თუ მითოლოგიურ პლასტში წარსული გადაეჯაჭვება აწმყოსა და მომავალს ისე, როგორც მზის სხივი – ვენახის ყლორტს: „მწველ და უნაზეს – მზის სხივს ნაწნავში მოიმწყვდევდა იმ დროს ვენახი“; მთვარე, მზე, ვენახი – ქართველთა წინაპრების ამ სამი ღვთაების გაერთიანებაც არაა შემთხვევითი.

როინ აბუსელიძემ თავის პოეზიაში რამდენიმე ღმერთიანობის თემაც ისე ბუნებრივად და ფაქიზად შემოიტანა, რომ სულაც არ გვეხამუშება წარმართივით ბუნების ენის მცოდნე მუსულმანის მიერ ვენახისა და ღვინის თაყვანისცემა, ორ რელიგიას შორის ტიპური მეტამოდერნისტული მერყეობის სურათს, მართლაც რომ, დიდოსტატურად გვიხატავს პოეტი:

„იცოდა მამამ ღვინის მადლი, იცოდა გემო,
მშობლების გამო სულ სხვა გზებს და ფიქრებს უსმინა,
თუმცა ვერავინ ვერ დაასწრებდა სადღეგრძელოს თქმას
მამას, მუსლიმანს“. *(3)*

სწორედ ამიტომ ვფიქრობ, რომ „მიწის პოეტის მსხვერპლი“ ტიპური მეტამოდერნისტული ტექსტია თავისი „ახალი რომანტიზმით“, შინაგანი ინტიმითა და გრძნობიერებით, წარსულთან, წინაპრებთან ორგანული კავშირის განცდით.

ბევრი საოცარი ლექსი აქვს როინ აბუსელიძეს, მაგრამ მათ შორისაც გამოირჩევა, ჩემი აზრით, „წამოსვლა“, რომელსაც თავად ავტორი მიკროპოემას უწოდებს და – არცთუ უსაფუძვლოდ: ამ ტექსტში გარეგნულად მშვიდ, დინჯ თხრობაში იმდენი ტრაგიზმია, ისეთი სასოწარკვეთილება შეგიპყრობს მკითხველს, რომ ზოგიერთი მოცულობით დიდი პოემაც ვერ მოახდენს ასეთ ემოციურ ზემოქმედებას.

ეს მიკროპოემა შედგება ოთხი აბსოლუტურად სიმეტრიული ნაწილისაგან, თითოეულს ერთმანეთისგან აშორებს ზუსტად ერთი წელი, სულ ოთხი წელია, იწყება ბზობაზე და მთავრდება, ასევე, ბზობაზე. ბზობა ქრისტიანული აღდგომის წინა კვირას აღინიშნება, მას ჯვარცმა მოსდევს, ესეც სიმბოლურია და ჩვენს თვალწინ თამაშდება ერთი ჩვეულებრივი ოჯახის ჯვარცმის მისტერია. 1-ელ ეპიზოდში იხატება მრავალშვილიანი, ბედნიერი, მხიარული, „მცირედითაც კმაყოფილი“ ოჯახის სურათი, ხის ქვეშ დასასვენებლად მიწოლილი ქუდჩამოფხატული მამა, რომელიც „სიზმრებს იჭერს“ და იქვე მხიარულად მორბენალი მურია. თითქოს არაფერი მოასწავებს ამ იდილიური სურათის ცვლილებას, არაფერი ემუქრება ოჯახის სიმშვიდეს და კეთილდღეობას, არაფერი მიგვანიშნებს ჯვარცმაზე, მაგრამ მეორე ეპიზოდში ოჯახის მხიარულება ქრება, მამა და მურაც კი დამწუხრებულია, რადგან არაფერი იციან ომში წასული უფროსი ძმების შესახებ.

ეპიზოდებში მოქმედების ფონი, ფაქტობრივად, სტატიკურია: „პატარა ქოხი გვქონდა. ღელესთან ახლო და ხის ლაფარო“, მცირედ იცვლება მხოლოდ ანტურაჟი: ჯერ მთხრობელი ქმნის ემოციურ ფონს და გვაგრძნობინებს თავის დამოკიდებულებას ამ ხის ლაფაროს მიმართ, რომლის „სუნი მუდამ ჟრუანტელს ჰგვრიდა“ (15), შემდეგ ეპიზოდში ამ ლაფაროსთან ცხენია მიბმული, მესამე ეპიზოდში „ლაფარო, იფერთხავდა ქარით შემოსილ ფოთოლს“, ეს ფოთლები ისევე დასცვივდა ხეებს, როგორც ოჯახს – შვილები – ასე შეგვაგრძნობინებს ომის მთელ საშინელებასა და უსამართლობას ავტორი:

„გამთენიისას მარტო მივუყვებოდით ნახირს
მე და ნენე და გულზე სამი ვაჟკაცის ფოტო...“ *(15)*

ტრაგიკულობის შეგრძნებას ამძაფრებს ცხოვრების ყოველდღიურობაც, რომელიც თავისას მოითხოვს: ოჯახმა აუცილებლად უნდა გადენოს საძოვარზე ნახირი, უნდა მოიპოვოს საარსებო წყარო... მხოლოდ მოქმედი პერსონაჟები იცვლებიან, ანუ ოჯახის წევრები მცირდებიან. ერთადერთი, ვინც ყველა გასაჭირს გაუძლო, წარსული უბედურებაც უკან ჩამოიტოვა: ხის ლაფარო ბოლო ზამთარს, წამოსვლამდე დაწვა, დაადგა უცხო გზას – ოჯახის მომავლის გადასარჩენად – ქვადქცეული დედაა:

„ჩვენ ერთმანეთი გვახლდა.. და ჩვენ ერთმანეთს ვახლდით,
მოვდიოდით და ახლაც (ყველაზე უფრო მწარედ)
მახსოვს – ავტობუსს როგორ მოსდევდა ჩვენი ძაღლი!...“ *(16)*

1-ელ ეპიზოდში ოჯახის წევრების ირგვლივ მხიარულად მორბენალი მურია ბოლო ეპიზოდშიც გვხვდება და ეპიკურ თხრობას კომპოზიციურად კრავს, ოღონდ ეს ერთგული მურია ამჯერად სასოწარკვეთილი მისდევს ავტობუსს, რომელსაც მისი საყვარელი ადამიანები ახალი ცხოვრებისკენ მიჰყავს.

მართალი გითხრათ, ამ მიკროპოემამ ისევე შემძრა, როგორც თავის დროზე დავით კლდიაშვილის მოთხრობამ „მიქელა“. მასში მწერალი არაჩვეულებრივი ფსიქოლოგიური სიზუსტით ხატავს ოჯახის

გადაშენების შიშით შეპყრობილი მიქელა გიორგაძის ვნებებს (მას შავმა ჭირმა ოჯახი გაუნადგურა, სამი ვაჟი მიაბარა მიწას, ერთი – ცოლშვილიანად). კლდიაშვილი, მისთვის ჩვეული ოსტატობით, გვიჩვენებს მიქელას შეუპოვარ ბრძოლას ერთადერთი ჯანმრთელი მემკვიდრის, ნესტორას, გადასარჩენად, სიცოცხლის გაგრძელების ინსტინქტი ყველა სხვა ადამიანურ გრძნობას ჩრდილავს მის პიროვნებაში. ვფიქრობ, სწორედ ამ ინსტინქტმა მისცა ძალა როინ აბუსელიძის მიკროპოემის პერსონაჟ ნენესაც (მით უმეტეს, დედებს ეს ინსტინქტი ყველაზე მძაფრად აქვთ განვითარებული), რომ ერთადერთ გადარჩენილ შვილთან ერთად უკან მოუხედავად დადგომოდა მომავლის გზას, უკან მოეტოვებინა მეუღლის საფლავი, დაეფერფლა ყველანაირი მოგონება თავსდამტყდარი უბედურებისა და თვალი გაესწორებინა ბუნდოვანი ხვალინდელი დღისთვის.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, მამის კონცეპტი ერთ-ერთი უმთავრესია როინ აბუსელიძის პოეზიაში, ის ხშირად გაიელვებს მის ლექსებში და ახალი კუთხით წარმოგვიჩენს მამის სახეს:

„ამ ქალაქში ჩაიძირა მამაჩემი,
როგორც ადრე ვთქვი,
სიკვდილს ვერ შეასწრო თოვაში,
იგი იყო ისეთი ახალგაზრდა, როგორც – მინდოდა,
იგი იყო ისეთი კეთილი, როგორც – ტირიფი,
იგი იყო ისეთი მაღალი, როგორც – ცა,
მაგრამ შეერია ზღვას და
ზღვა მოხუცდა“.

(„ამ ქალაქში (ბათუმს)“, 8)

კიდევ ერთი მთავარი კონცეპტი როინ აბუსელიძის პოეზიაში არის „ბათუმი“. შემთხვევით არაა კრებულის სახელწოდება – „მე მქვია ბათუმი“. ბათუმი საკმაოდ წინააღმდეგობრივი კონცეპტია, რადგან ის შეიცავს როგორც დადებით, ისე უარყოფით კონოტაციებს. ურბანისტული თემატიკა უცხო არაა ახალგაზრდა შემოქმედებისთვის, უფრო მეტი, ჩვენ გვაქვს გარკვეული დაპირისპირება არა მარტო ქალაქისა და სოფლისა, არამედ – ძველი და ახალი ბათუმისა.

როინ აბუსელიძის ლექსში – „ამ ქალაქში (ბათუმს)“ – დიდი სევდაა ჩადებული, მოწმენი ვხდებით, როგორ ართმევს მშობლიური ქალაქი ლექსის ლირიკულ გმირს ყველაზე სანუკვარს: დროს (ბავშვობას), გრძნობას (სიყვარულს), ძვირფას ადამიანებს – მეგობარს, მამას...

როგორც ოთარ ჭილაძის რომანში „გზაზე ერთი კაცი მიდიოდა“ – ვანელების ყველა ცოდვას ზღვა ერთი ნაბიჯით უკანდახევით პასუხობს და ასე აფრთხილებს თუ სჯის ზღვისპირა ქალაქის მცხოვრებთ, ასევე, ამ ლექსშიც ლირიკული გმირის ყველა დანაკარგის ხილვისას ზღვაც იცვლის თვისებებს: ის ხდება უფრო მლაშე, უფრო შავი, უფრო წებოვანი, უფრო თბილი...

ბათუმი ლექსის ლირიკული გმირის სულის ნაწილად ქცეულა, ამიტომაც პროეცირდება ქალაქზე მისი გრძნობები, მისი იმედგაცრუებები, მისი დანაკარგები. ამას შესაშური მხატვრული ოსტატობითა და ფსიქოლოგიური დამაჯერებლობით გვაგრძნობინებს როინ აბუსელიძე. მისი სტრიქონებიდან იღვრება გაუსაძლისი ნოსტალგიაც ძველი, ქათქათა, კოპწია და მყუდრო ბათუმის მიმართ, რომელიც მხოლოდ უფროსი თაობის მონათხრობებშიღა არსებობს, მისი ადგილი კი გაუცხოებულ, კოსმოპოლიტურ, კაზინოებისა და გასართობი კლუბების ქალაქს დაუკავებია; თანამედროვე ბათუმი კი არის:

„ქალაქი – სადაც ზღვა შორიდან აღარ ჩანს,
ქალაქი – რომელიც ცათამბჯენებში ჩაიძირა“. *(8)*

ვფიქრობ, აჭარაში მოღვაწე პოეტებმა განსაკუთრებული მხატვრული ფენომენი შექმნეს ბათუმური წვიმის სახით: ვერ ნახავთ ბათუმელ პოეტს, რომელსაც არ მოენახოს ორიგინალური, განსაკუთრებული ტროპული საშუალებები ჩვენებური წვიმის დასახატავად, არ გადმოეცეს საკუთარი ემოციური დამოკიდებულება ამ ფენომენის მიმართ: დაწყებული დიდი ფრიდონ ხალვაშის „ბათუმის წვიმით“:

„ხანდახან გული ძლიერ დამეწვის,
რომ ემდურიან ბათუმის წვიმას,
მათ არ იციან, შტოზე წვეთები
რა სევდიანი ღიმილით ბრწყინავს“.
(ხალვაში, 2005:353)

დამთავრებული ვახტანგ ღლონტის: „ბათუმი არის წვიმა და არაფერი სხვა“ (ღლონტი, 2003:86).

გამონაკლისი არც როინ აბუსელიძეა, მანაც მიუძღვნა „წვიმიან მზიანეთს“ თავისებურად დანახული, განცდილი და აჟღერებული წვიმის ლამაზი ვალსი:

„წვიმის ქალაქში იმ დღესაც
წვიმდა,
იწუწებოდნენ
მაგნოლიები,
შენი ჩურჩული ჟრუანტელს
მგვრიდა
და ათას რამეს
გაყოლიებდი.
.....
ბათუმს მოედო წვიმის
არშია,
წვიმდა უმიზნოდ, უხმოდ,
სიბეცით
და როგორც იმ ძველ
სიმღერაშია,
თითქოს ჩვენც წვიმად
გადავიქეცით“.
(„პირველი შეხვედრა“, 25)

რა თქმა უნდა, ამით არ ამოიწურება როინ აბუსელიძის პოეზიის თემატიკა, მას სათქმელიც ბევრი აქვს და მისი გადმოცემის შესაბამის ფორმასაც ოსტატურად პოულობს. მისი ლექსების ლირიკული გმირი ხშირად დაემგზავრება ხოლმე სიზმრებს მშობლიური სოფლისკენ, სადაც ერთი მსხლის ძირას დაუვიწყარი მამის საფლავი ეგულება, სადაც პირველი სიყვარულის უდარდელი გულუბრყვილობა, სიტკბო და, შედეგად, მუზის პირველი სტუმრობაც შეიგრძნო:

„მე ლექსებს ვწერდი, ხოლო რითმები
ამოდიოდა კვამლად ბუხრიდან“. *(22)*

როინ აბუსელიძეს აქვს უნარი ერთი მოულოდნელი და ეფექტური ეპითეტით – „მუხლებგადაყვლეფილი ბავშვობა“ – გადაგიყვანოს ბავშვობის ხანაში, შეგაგრძნობინოს განუმეორებელი წლების ჯადო, მოგვგვაროს ნოსტალგია:

„იცი, შენს ბავშვობას, მუხლებგადაყვლეფილს,
კვლავ ვეძებ, სიყვარულო, ეზო-ეზო“. *(9)*

როინ აბუსელიძის პოეზიაში ღვთის ძიებისა და, როგორც უკვე ვთქვით, ორი რელიგიის დაპირისპირების მოტივსაც შეხვდებით, რაზედაც ასეთი გამაოგნებელი, უცხო და მოხდენილი მეტაფორით მიგვანიშნებს პოეტი:

„მამიდამ თმებში დამალა ქრისტე,
გადმოგდებული მინარეთიდან“. *(22)*

ასეთი მძაფრი შეგრძნებები ბადებს ჭეშმარიტ პოეზიას, მხოლოდ მსგავსი დაუვიწყარი მოგონებებითა და შთაბეჭდილებებით იბადება როინ აბუსელიძის მშვენიერი, ემოციური და განუმეორებელი ხიბლის მქონე ლექსი:

„და ყურში ზარივით მიწკრიალებს ათობით
ლექსი და განცდა და მუსიკა“. *(9)*

დაგვეთანხმებით, ალბათ, ამ რამდენიმე ლექსის მაგალითზეც კარგად ჩანს როინ აბუსელიძის მიერ სიტყვის ფლობის შესანიშნავი უნარი, მისი ფრაზის დინამიკურობა და მოქნილობა, პლასტიკური სურათების ხატვის ოსტატობა, სხარტი და ორიგინალური, ზუსტი და შთამბეჭდავი ტროპების შექმნისა და მიზნობრივად გამოყენების ნიჭი, ემპირიული მასალის საკუთარი ფანტაზიით გარდაქმნისა და ახალი ვირტუალური, თუმც უაღრესად დამაჯერებელი, სინამდვილის შექმნის ხელოვნება, ამასთან ერთად, ის უდაოდ ძლიერია როგორც მხატვარი, როცა ლირიკული გმირების ფსიქოლოგიურ პორტრეტებს გვთავაზობს, მათ ემოციებს უზუსტესი სახეობრივი შტრიხებით გადმოგვცემს და იწვევს მკითხველის თანაგანცდის მაღალ ხარისხს.

როგორც ვთქვით, მეტამოდერნისტული ეპოქა „ახალ რომანტიზმს“ გვთავაზობს, რომანტიზმი კი სიყვარულის გარეშე წარმოუდგენელია, ამიტომაც ასე მრავალფეროვანი სატრფიალო ვნებები ბობოქრობს ახალთაობელთა პოეზიაში: აქ სიყვარულის ყველა რეგისტრია წარმოდგენილი: მოგხიბლავთ პირველი სიყვარულის გულუბრყვილობა და განცდის უჩვეულობა, სატრფოს მოლოდინის ფორიაქი და რაღაც სასწაულის განცდა, განშორების აუტანელი სიმძიმე, ღალატის სიმწარე და შეურაცხყოფილი სულის ტკივილი... თუმცა აქვეა, სიყვარულის რეალობაში დაეჭვებით გამოწვეული ირონიულ-თვითირონიული ჩაცინებაცა და „რაც უფრო შორს ხარ...“ – შეგრძნებაც:

„შენ შეიძლება არ ფიქრობდე, მაგრამ ნამდვილად –
როცა წახვედი, მაშინ უფრო ჩემთან იყავი“.
(აჩი ბერიძე, „რეფლექსი“, 32)

ან:

„შენს მხარზე მეძინა და თავი ვამხილე,
რომ ერთად ვიყავით და მაინც მციოდა“.
(აჩი ბერიძე, „ქაოსი“, 36)

ზემოთ დამოწმებული სტრიქონების ავტორს – აჩი ბერიძეს აქვს უნარი, ფაქიზად, ორიგინალური შედარებებით, მეტაფორებით გადმოსცეს შეყვარებული ახალგაზრდის გრძნობები და მისი ემოციების თანაზიარი გაგვხადოს:

„და როგორც საბანს, გექაჩები, მსურს მოგიპარო,
შენ კი საკუთარ თმებს მახურავ, ჰგავხარ კვიპაროსს“.
(„რეფლექსი“, 32)

ან:

„ცაში ხელებაწვდილი ვიჭერ მგონი იმ ფიფქებს,
შენ რომ ტუჩი შეახე, შეახე და გაუშვი...
მთვარე ღრუბელს იხდის და კადრს შევცქერი წამიერს,
ჩვენც გვიყვარდა ერთურთი ცალმხრივად და სრულებით...“
(„კადრების მოლოდინი“, 37)

განშორების ტკივილს კი შესანიშნავად გადმოსცემს კრებულში წარმოდგენილი კიდევ ერთი მშვენიერი ავტორი – გიორგი გაბაიძე, რომელიც მზადაა, ათასობით კილომეტრი დაფაროს, რათა კიდევ ერთხელ შეიგრძნოს სატრფოს სურნელი, კიდევ ერთხელ დაკრიფოს მის „ტანზე ხალები კენკრად“ (50), კიდევ ერთხელ დაიჯეროს სიყვარულის სასწაული:

„მოვალ და ცოდვის ჩიტებს მოგისევ,
რაც შენში დავრჩი, იმის საკენკად“.
(გიორგი გაბაიძე, „ტრიპტიქი რეანიმაცია“, 50)

მიუხედავად იმისა, რომ გიორგი გაბაიძის ლექსების ლირიკულმა გმირმა („ბარბარობის ტრიოლეტი“, 55) უკვე თორმეტი წელი მიმოიმთაბარა სატრფოს გარეშე, მაინც მწარეა, „ყელში ჩაღვრილი ცრემლებივით მლაშე და ცხელია“ ერთ დროს ასე ძვირფასი და სანუკვარი, ღმერთივით საყვარელი ადამიანის გახსენება, რომლის შესახებ გავარვარებული მოგონებები მხოლოდ ლექსებს შემორჩა:

„შენგან რაც დამრჩა – ლექსებია ახლა მხოლოდღა,
ვფიქრობ, ცოტა მეტ სიყვარულსაც ვიმსახურებდი,
მინდოდა წასულს ჩემი სუნთქვაც თან გაგყოლოდა,
მაგრამ დამტოვე მე უღმერთო ღვთისმსახურივით“.
(გიორგი გაბაიძე, „შენგან რაც დამრჩა“, 57)

ყველაზე მძიმეა საყვარელი ადამიანისგან დატოვებული სიცარიელის მიჩვევა, დამთრგუნველი სიჩუმის ატანა, იმის შეგრძნება, როგორ იცლება ერთ დროს შენით სავსე ადამიანი შენგან:

„ივსები ასე უჩემობით და მეც ვმცირდები
შენში, ცოტაც და დაიცლები ბოლო წვეთისგან...“
(გიორგი გაბაიძე, „წეროს ორიგამები“, 58)

და სულში გაღვიძებული ეჭვი: მიიღებს კი „სხვა ტაძარი შენგან განდევნილს?!“ (58), როდესაც უმძიმესი ბოლო წერტილი დასმულია, „სისხლში კი პეპლების პანაშვიდია“, იმედგაცრუებულ, მიტოვებულ, ნაღალატევ ადამიანში, „გამომშრალ, გვალვიან მინდვრებს“ რომ დამსგავსებია, რთულია სიყვარულის დღესასწაულის რწმენის აღორძინება („აპოკრიფი №2“, 59):

„არადა, ახლა ისე მჭირდება შენი თითების ნაზი ქარიზმა,
შენი სიტყვების თბილი სინათლე, როგორც სანთელი
ჩამქრალ მონასტერს“.

(გიორგი გაბაიძე, 66)

ასეთივე ემოციურ-ექსპრესიული და გულწრფელი ვნებებითაა დამუხტული გენრი დოლიძის პოეზიაც. მისთვის სიყვარული ბოლომდე გამოუცნობ, წინააღმდეგობებითა და პარადოქსებით, უკიდეგანო ბედნიერებითა და ასევე უსაზღვრო იმედგაცრუებებით სავსე, ერთდროულად სიხარულისა და ტკივილის მომნიჭებელ გრძნობად რჩება. მას უყვარს თავდავიწყებით, თუმცა ეს გრძნობა იმდენად ეფემერულია, რომ ლექსის ლირიკულ გმირს ეეჭვება კიდეც მისი რეალურობა:

„უყველაფრობით და სიჩუმის მკრთალი ლირიკით,
ჩვენ უარვყავით ყველა პოზა, ყველა ნიღაბი –
მხოლოდ მე და შენ ვარსებობდით, ანდა, პირიქით –
ეს ყველაფერი იყო, მაგრამ ჩვენ არ ვიყავით...“

(გენრი დოლიძე, „არც“, 75)

ამ ლექსში კარგადაა გადმოცემული დაპირისპირება სიყვარულის გრძნობის რომანტიკულ აღქმასა და მის თანამედროვე გაგებას შორის. ლექსის ყველა სტრიქონი იწყება ნაწილაკით „არც“, რომელსაც მოსდევს მშვენიერი მეტაფორებით შესრულებული ტრადიციულ-რომანტიკული სიყვარულის დამახასიათებელი ატრიბუტების ჩამოთვლა:

„არ მოწყვეტია ამ საღამოს ყურზე ვარსკვლავი,
არც ჩავიფიქრეთ ერთად ყოფნის ტკბილი სურვილი,
არც წვიმის წვეთებს ზეცის ყელზე მძივად ნასკვავენ,
არც ჩავარდნილა მზე ტალღებში, ოქროცურვილი“. *(იქვე)*

„არც“ ნაწილაკის დაჟინებული გამეორება ლირიკული გმირის დიდი სინანულის გამომხატველიცაა, რადგან გულის სიღრმეში ყველა ოცნებობს სატრფოსთან ერთად პალმების ქოლგის ქვეშ წვიმის ტანგოს ცეკვაზე, სამიჯნურო ბარათების მიღებაზე, სიყვარულის რომანტიკულ გაცხადებაზე:

„არც გამიცვლია შენს მანდილში ვერცხლის ქამარი,
არც შენს ფანჯრებთან დამინთია „მე შენ მიყვარხარ“. *(იქვე)*

ალბათ, ამიტომაც ასე მკაცრი განაჩენი გამოაქვს ცხოვრებას, რომლის ტალღები მუდმივად აშორებს ერთმანეთს შეყვარებულებს და ვერც ლამაზი მოგონებები, ვერც ბედნიერი, ფერადი ღიმილები ვერ აღუდგება მას წინ:

„ჩვენ კი სევდიან მოგონების ფერწერულ ტილოს,
ლამაზ კადრებად მიხატული ამბებით ვრჩებით,
ცხოვრებაც ასე გამუდმებით, ზღვასავით ცდილობს
დაგვაშოროს და მიგვალეწოს სხვადასხვა ჯებირს“.

(გენრი დოლიძე, „გახსოვს ის ღამე...“, 76)

გენრი დოლიძე ლექსში „ახალი თავისუფალი ლექსი“ ოსტატურად გადმოგვცემს სატრფოსგან მიტოვებული ლირიკული გმირის გრძნობებს:

„და მე დამტოვე ჯვარცმასა და აღდგომას შორის,
წიგნში სანიშნედ ჩადებული ძველი ფოტოთი...“ *(80)*

მისი ლექსის ინტონაციური, რიტმული სისტემა, დინამიკურობა, პოეტური პაუზა, ტროპული მეტყველება – ემსახურება ერთ მიზანს: ღრმად ჩაგვახედოს და გვაგრძნობინოს სატრფოს ღალატითა და დაკარგული სიყვარულის მოგონებით გამოწვეული ემოციები, იმედი და სასოწარკვეთა ერთდროულად:

„დილა გათენდა ისე თავხედი,
რომ სამჯერ მაინც გამახსენა შენი სახელი...
შენ დაბრუნდები – ისე წახვედი...
უბრალოდ მოხვალ თავდახრილი, მოხვალ და ხელებს
თვალებზე აიფარებ,
თვალებს კი სულზე,
ხიდან ცრემლივით ჩამოვარდნილ კვირტად წახვეტილს,
გიცნობ – ფეხის ხმით, ცრემლის ფერით, დუმილით,
პულსით...
შენ დაბრუნდები – ისე წახვედი...“ *(იქვე)*

კიდევ უფრო რთულია, როცა „ციხესავით მყარი ოჯახი ბანქოს სახლივით გენგრევა თავზე“ (გენრი დოლიძე, „ეპილოგი“, 83), როცა „ველარ ახდენს სასწაულს ლექსი...“, არც შენს სატრფოს და არც შენს უფალს შენი სიტყვებისა აღარ ესმით, ამიტომ ასე ბუნებრივად გვეჩვენება პოეტის ლოგიკურ-პესიმისტური დასკვნა:

„ერთია, როცა ღმერთის აღარ გწამს,
უარესია, ღმერთს რომ არ წამხარ“. *(იქვე)*

სიყვარულის ღმერთი ყოვლადძლიერია, ის სრულად დაიპყრობს ადამიანს და ავიწყებს მას ყველაფერს, სატრფოს გარდა – ასე ფიქრობს სულხან წულუკიძეც:

„უსაშველოა უშენობის წვიმით ნაზავი
ქარი, რომელიც შემოდგომას სიზმრებს უფლითავს,
მე ყოველ დილით ვიღვიძებ და გეძებ ბრმასავით,
რადგანაც პირჯვარს ვიწერ მხოლოდ შენი შუბლიდან“.
(სულხან წულუკიძე, „უსაშველოა“, 94)

ეჭვი, წუხილი, ფორიაქი მუდამ თან სდევს სულხან წულუკიძის ლირიკას, რადგან, მიუხედავად იმისა, რომ „შენზე ბევრი რამე ვწერე, ვიცი, ბევრი რამეც დამრჩა“, „თითო-თითოდ გფურცლავ ასე მშვენიერს და ლამაზს“ (106), სიყვარული მაინც პეპლის სიცოცხლესავით ხანმოკლეა, მალე ქრება და მხოლოდ ლექსების ამარად ტოვებს პოეტს:

„ჰოდა ვიპოეტებ დღესაც,
ლექსებს ჩანჩქერებად ვიდენ,
ოღონდ მაგნოლიის ფესვებს
ვინმე ატირებდეს კიდევ“. *(იქვე)*

როგორც ზემოთ ვთქვით, ბათუმი ერთ-ერთი მთავარი კონცეპტია მეტამოდერნისტული პოეტური კრებულისა, შემთხვევითი არაა მისი სახელწოდებაც – „მე მქვია ბათუმი“. ბათუმის მხატვრული

ხატი, მისი აღქმა ძირითადად მსგავსია ახალგაზრდა პოეტების შემოქმედებაში: ის ბეტონის ტყედ ქცეულა, მაგნოლიებსაც კი აღარ შერჩენიათ ძველებური სურნელი, „ჰაერიც ფილტვებს ისე ამძიმებს, სიმლაშე გამჯდარ ღრუბელს ედრება“ (გიორგი გაბაიძე, 65), მხოლოდ ზღვა და ბათუმური წვიმა დარჩა უცვლელი, ისინი უმსუბუქებენ აქ მცხოვრებთ სუნთქვას:

„ამინდი დარჩა მხოლოდ ამინდად, თავდავიწყებით რომ
შევიყვარე,
რომელიც ქალაქს ესინონიმა და დარჩა მხოლოდ
ქალაქის თქეში...
ქალაქში დადის ზღვის სიმსუბუქე და ამსუბუქებს ბეტონის
ქალაქს“.

(გიორგი გაბაიძე, 65)

ბათუმი სიყვარულის ქალაქიცაა, მის ქუჩებს ახსოვთ ბედნიერ წყვილთა შეხვედრები, მაგრამ უფრო მეტად – ტკივილიანი განშორებები, ასე რომ აშრობს და ანადგურებს ადამიანს:

„ჰო, ამ ქალაქში, ბოლოს და ბოლოს, გვიყვარდა ყველას
დროგამოშვებით,
მის ვიწრო ქუჩებს ხომ კარგად ახსოვს, რომ ვერ გაუძლო
ტკივილებს ყველამ,
და ამიტომაც, წვიმის ქალაქო, კალაპოტიდან თუ
ამოვშრებით,
შეგვინდე, რადგან ვერ მოვინელეთ, ანდა ტკივილმა ვერ
მოგვინელა...“

(გიორგი გაბაიძე, „ჰო, ამ ქალაქში ხიდი არ არის“, 65)

ორიგინალური მხატვრული სახეებით ხატავს ბათუმს გენრი დოლიძე:

„მიედგა ქალაქს ზღვით სავსე კათხა,
ნაპირთან ქაფით დასვროდა ტუჩი“.

(გენრი დოლიძე, „აციება“, 82)

ან:

„ღეჭავდა ტალღა – მშიერი ლოქო,
სიბნელეს – ქვრივი ამინდის კალთას...“

(გენრი დოლიძე, „აციება“, 82)

ამ ლექსს „აციება“ ჰქვია და მასში ბუნებრივად ერწყმის პეიზაჟი ლირიკული გმირის ემოციურ ფონს: ორივე ცივი და მოქუფრულია, ნათელ მოგონებებს, ულამაზესი ტროპებით გადმოცემულს – „ზეცა დავცალეთ თუთის ხესავით ნახევრადმწიფე ვარსკვლავებისგან“ (82) – განშორების ბურუსი ფარავს, რის შემდეგაც მხოლოდ „ზღვაში დათესილ ტკივილებს ვიმკით“:

„აწიე ცივი ხელისგულები
და თქვი, რომ ცალკე სავალი გზა გაქვს...

მერე ზურგსუკან, ხურდა ფულივით,
ისროლე ჩვენი ბავშვური საგა...“
(გენრი დოლიძე, 82)

აჩი ბერიძეს აქვს მშვენიერი ლექსი ბათუმზე, რომლის ერთი სტრიქონი მთელ ლექსად ღირს და ახალთაობელ პოეტთა მშობლიური ქალაქისადმი დამოკიდებულებას გადმოგვცემს: „საქართველო ბათუმიდან თენდება“:

„ჩემი ქვეყნის ყველა კუთხე მინახავს,
ყველა კუთხის გმირობები მსმენია,
საქართველოვ, უბათუმოდ ვინა ხარ?!
საქართველოვ, ბათუმი ხომ შენია“.
(„ბათუმი“, 42)

მოდით, კიდევ ერთხელ ჩამოვთვლი ბათუმელ ახალგაზრდა პოეტებს: როინ აბუსელიძე, აჩი ბერიძე, გიორგი გაბაიძე, გენრი დოლიძე, სულხან წულუკიძე – თითოეულ მათგანს აქვს უფლება გაიმეოროს გენრი დოლიძის ლექსის – „მე მქვია ბათუმი“ – სტრიქონები:

„შენ გქვია ბათუმი,
ჩვენ გვქვია ბათუმი,
ჩვენ ერთად ჩვენივე ქალაქის აწმყო ვართ,
შენ ხედავ
და თუ მეც,
შენ გტკივა
და თუ მეც,
შენ გეწვის
და თუ მეც, მადლობა მაცხოვარს...“ *(89)*

რადგან ეს ახალგაზრდები ნამდვილად არიან აწმყოცა და მომავალიც ჩვენი ქალაქისა, ქართული მწერლობისა. მათი პიროვნული უკომპრომისობა, ტრადიციულ ქართულ და ზოგადკაცობრიულ ზნეობრივ ღირებულებებთან მიბრუნება, ფესვებთან ორგანული კავშირის შეგრძნება, ღვთის ძიებისა და პოვნის მოტივები, ასევე, მოყვრობისა და სიყვარულის რომანტიკულ-ამაღლებული გრძნობებისთვის ფერების დაბრუნება და ახალი ნიუანსებით გამდიდრება – სწორედ ამ თაობის დამსახურებაა.

ამის თქმის საფუძველს გვაძლევს კრებული „მე მქვია ბათუმი“, რომელმაც კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა, რომ პოსტმოდერნისტულ ემოციურ სტაგნაციას, გულგრილობას მეტამოდერნისტულ ეპოქაში აშკარად ენაცვლება „ახალი გულწრფელობა“, „პრაგმატული რომანტიზმი“. სწორედ ამ კრებულში იჩენს თავს სრულად მეტამოდერნისტული ეპოქისათვის ესოდენ ნიშნეული მერყეობა ორ რელიგიას, რწმენასა და ურწმუნობას, წარსულსა და აწმყოს, ქალაქსა და სოფელს, ძველსა და ახალ ბათუმს შორის. აქვე ვხედავთ მამის კონცეპტის დამკვიდრების ცდას, რაც საკუთარ წარსულთან, ტრადიციებთან, ფესვებთან მიბრუნებისა თუ დაკავშირების განაცხადია; ასევე, კრებულში შესული ლექსები გვიჩვენებს ერთ ყურადსაღებ ტენდენციას, კერძოდ, ქაოსური, უსიუჟეტო პოსტმოდერნისტული ტექსტის ნაცვლად პოეზიაშიც კი უბრუნდებიან ისტორიების თხრობას, ბალადის ფორმას.

ჩვენ კი ისღა დაგვრჩენია, კვლავ და კვლავ ვუსურვოთ ახალგაზრდა პოეტებს შემოქმედებითი წარმატებები თექვსმეტსაუკუნოვანი ქართული მწერლობის კიდევ უფრო გამდიდრება-გამრავალ-ფეროვნებისა და პოსტმოდერნისტულ ეპოქაში ესოდენ გაუფასურებული ზნეობრივი ღირებულე-ბების, გულწრფელი რომანტიკული გრძნობების გაცოცხლება-დაბრუნების მიზნით.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. კირბი ალან, „პოსტმოდერნიზმის სიკვდილი და შემდეგ“, იხ. http://a-library.org/alan-Kirby-Postmodernizmissikvdili/#sthash.vyn6V2jb.dpbsy; 10.02.2012.

2. „მე მქვია ბათუმი“, გამ. „კალმოსანი“, თბილისი, 2023.

3. ტერნერი ლიუკ, მეტამოდერნისტის მანიფესტი, იხ. http://www.metamodernism.org. 2011.

4. ღლონტი ვახტანგ, „სიტყვები ქარისთვის“, გამ. „გულანი“, თბილისი, 2003.

5. ხალვაში ფრიდონ, „აქედან იქამდე“, გამ. „აჭარა“, ბათუმი, 2005.

მაია ჯაღიაშვილი

ბავშვური თავისუფლების გემო

ბავშვებისთვის მშობლები ის სარკეები არიან, რომლებშიც არა მხოლოდ საკუთარ თავს, არამედ სამყაროს ხედავენ, მათგან სწავლობენ სიცოცხლის უმარტივესსა და ურთულეს კანონებს, მათი გზით შეიცნობენ უნივერსალურ კანონზომიერებებს, თუმცა გაუცნობიერებლად. მხოლოდ მოზრდილ ასაკში გაიაზრებს ადამიანი მშობლების როლსა და ფუნქციას საკუთარი პიროვნებისა თუ მსოფლმხედველობის ჩამოყალიბების საქმეში. „მშობლის“ როლში ხშირად გამოდიან ბებიები და პაპები, ნათესავები თუ გარემო და საზოგადოება. მხატვრულ ლიტერატურაში არაერთი მაგალითია გოგონებისა თუ ბიჭებისა, რომლებიც დედისა თუ მამის მოსაწონებლად თავს არ ზოგავენ, რადგან ისინი მიაჩნიათ ჭეშმარიტების საზომად. ამგვარად, ნაბიჯ-ნაბიჯ ეზიარებიან კულტურას, მორალურ ღირებულებებს, ქცევის მოდელებს. ამჯერად რამდენიმე პატარა ბიჭი გვინდა გავიხსენოთ, დიდი გული რომ აქვთ და მზად არიან ცხოვრებას შეეჭიდონ. ჯეკ ლონდონის მოთხრობის, „საკრამენტოს ნაპირებზე“, პატარა ბიჭი უდიდეს სიმამაცეს გამოიჩენს, სხვა ადამიანებს სიცოცხლის საფრთხეში ჩაგდების ფასად გადაარჩენს, მაგრამ მხოლოდ იმაზე სწყდება გული, რომ მამას ეს ყოველივე არ დაუნახავს: „ბიჭი კმაყოფილი იყო, ამაყობდა თავისი საქციელით, სჯეროდა, რომ სწორად მოიქცა და რახან ეშმაკობისა არაფერი ეცხო, არც იმის ეშინოდა, საკუთარ თავს გამოსტყდომოდა ამაში. ერთ რამეზე კი სწყდებოდა გული – ნეტავ მამა მაინც ყოფილიყო შინ და ყველაფერი დაენახაო“. ეს მოთხრობის ფინალური ფრაზებია. მანამდე კი ვეცნობით მას ერთი ჩვეულებრივი დღის რაღაც მონაკვეთში, რომელმაც ის „კაცად“ აქცია, მიახვედრა, რომ ცხოვრებაში მთავარი გამბედაობა და სხვისი შეწევნის მზადყოფნაა, რომ ნამდვილი სიხარული ისაა, როცა ხედავ, შენმა გულადობამ სხვა ადამიანები განსაცდელისგან იხსნა. გარეგნობაში გამკრთალი ცეცხლისფერი მის ცეცხლიან გულს შეესაბამება: „ჯერისაც მამასავით წითური თმა, მკვირცხლი თვალები და ჭორფლიანი კანი ჰქონდა“. მას პატარა ჯერის ეძახდნენ, რათა დიდი მამა ჯერისაგან განესხვავებინათ. მთელი მოთხრობა კი იმაზეა, ქარიშხლიან დღეს, საშინელ ავდარში, როგორ გადაიყვანა მდინარე საკრამენტოზე საბაგირო გზით ცოლ-ქმარი, როგორ გადალახა შიში, ტკივილი, მაგრამ მაინც შეძლო ყოველივეს გამკლავებოდა. მას აქვს ხატი, რომელსაც ჰბაძავს, ეს მამამისია, რომლის არყოფნაში მის მაგივრობას სწევს, მის როლს ასრულებს. ამ შემთხვევაში, მამა-შვილის ურთიერთობა ჰარმონიულია, მაგრამ ხანდახან საქმე რთულდება, როდესაც ბავშვის მიერ მამაზე შექმნილი წარმოდგენა სინამდვილეს არ შეეფერება.

უილიამ ფოლკნერის მოთხრობაში „ცეცხლისწამკიდებელნი“ სწორედ ამგვარი ვითარებაა. ბიჭს უყვარს მამა და აღმერთებს, ცდილობს, მის მხარეს იყოს სულ, მაგრამ წინააღმდეგობა მაშინ ჩნდება, როდესაც ბიჭის ანგელოზურ სულს სისხლი ვერ ჯაბნის. მიუხედავად მცირე ასაკისა, და, შესაბამისად, ნაკლები ცხოვრებისეული გამოცდილებისა, ის გრძნობს, მამის სისხლი ჩქეფს მასში: „სისხლი, რომლის ამორჩევა მისთვის არავის უკითხავს. სისხლი, უნდოდა თუ რა, მემკვიდრეობით რომ მიიღო. სისხლი, მის გაჩენამდე რომ ჩქეფდა მრავალი ადამიანის ძარღვებში და იღვრებოდა, ვინ უწყის, სად და რა ძალადობის, მხეცობისა და თუ ვნებათა ღელვის ჟამს“. მას აწუხებს, რომ თუ რაიმე წინააღმდეგობას იგრძნობს მშობელთან, მის გზას მაინც ვერ გადაუხვევს. ეს წინააღმდეგობა კი ნელ-ნელა გამოიკვეთება. პირველად მაშინ, როდესაც ბიჭი გრძნობს, რომ მამა მისგან მოსამართლესთან ტყუილის თქმას მოითხოვს. ბიჭს მამის გარდა, კიდევ ერთი ხატი აქვს – ეს არის პოლკოვნიკი სარტიროსი, რომლის პატივსაცემადაც დაურქმევიათ მისთვის ეს სახელი. ფოლკნერი მისთვის ჩვეული ოსტატობით აღგვიწერს პატარა ბიჭის სულში ატეხილ ქარიშხალს. ის ხედავს, რომ მამა „დამნაშავეა“, ცეცხლს უკიდებს სხვის ქონებას და მერე სხვას აბრალებს, მაგრამ მაინც იცავს: „მას უნდა, რომ სიცრუე ვთქვა, – გაიფიქრა ბიჭმა და კვლავ შეიპყრო დარდმა და სასოწარკვეთილებამ, – მეტი რა გზა მაქვს, უნდა ვიცრუო“. როცა სხვა ბავშვმა დაუძახა მამამისს ცეცხლისწამკიდებელი, მაშინვე თავს დაესხა და ცხვირ-პირის დასისხლიანების ფასად შეეცადა მამის ღირსების დაცვას. მწერალი ხატავს მას, როგორც ჩვეულებრივ პატარა ბიჭს, მაგრამ თანვე ისეთ შტრიხებს გამოკვეთს, რომ მკითხველს უჩვეულოსთვის ამზადებს, მაგალითად, როცა ბიჭი ღამით ვარსკვლავებიანი ცის ქვეშ მამას უკან მიჰყვება, მასში რაღაც ქვეცნობიერი ცვლილება ხდება. ის მამის სხეულს ბრტყელ, სისხლდაშრეტილ ლანდად აღიქვამს, რომელიც თითქოს თუნუქისაგან არის გამოჭრილი. ამ მხატვრული სახით მწერალი ქვეტექსტურად მიგვანიშნებს, რომ ბიჭი გრძნობს, მამამისს სული აქვს დაკარგული, ამიტომ მის კვალს მიყოლა მისთვისაც დამღუპველი იქნება. ეს არ არის გზა, რომელიც თავისუფლებისკენ მიდის. ბიჭი კი თავისუფლებას ესწრაფვის, ეს სიცოცხლის ენერგიაა მასში, რომელიც ვერანაირ ჩარჩოსა და ბორკილს ვერ ეგუება. ამიტომაც არის, რომ ერთხელ, როდესაც უფსკრულის თავზე ლერწამზე თამამად ჩამოკიდებული გაქანდ-გამოქანდა, „უეცრად დაეუფლა მარადისობასავით უსასრულო წამი, გამაოგნებელი რომ იყო თავისი საოცარი მნიშვნელობით, თითქოს ჟამთა სრბოლიდან ამოვარდნილიყო“. ამ პატარა ბიჭის გულში წარმავლობა და მარადისობა შესჭიდებია ერთმანეთს და ბიჭი გრძნობს, რომ მარადისობის მხარეს უნდა დადგეს, ეს იმას ნიშნავს, რომ ბოროტებას, მამის სახით მოვლენილს, უნდა განუდგეს. მას აწუხებს, რომ შუაში იხლიჩება, თითქოს ორი ცხენის ძუაზე გამობმული. გონიერი გული მის უმწიფარ გონებას გაქცევის არჩევანსა თუ ალტერნატივას სთავაზობს. მან ისიც არ იცის, რომ მამაცი მამის ხატი ყალბია, რომ მამამისი ომში წავიდა არა სიმამაცისთვის, არამედ ნადავლის ხელში ჩასაგდებად, „ხოლო ვის გაძარცვავდა, მტერსა თუ მოყვარეს, მისთვის სულერთი იყო“. ბიჭი რთულ, მაგრამ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან გადაწყვეტილებას იღებს, გაუსხლტება მშობელთა შემბოჭველ ხელებს, გააფრთხილებს ადამიანებს, რომ მათ ბეღელს ცეცხლს უკიდებენ და გაიქცევა. მის გაქცევას მწერალი უმშვენიერესი ბუნების ფონზე ხატავს. ბიჭი დილას ბორცვის თემზე მჯდარი ხვდება, ეს იმას ნიშნავს, რომ მან თავისუფლების გზაზე პირველი ნაბიჯი გადადგა, სინათლის მწვერვალს შეეხო: „იგი ბორცვიდან დაეშვა ქვემოთ, შავად აქოჩრილი ტყეებისაკენ, საიდანაც ისმოდა ჩიტების ჟღურტული, მათი ვერცხლივით წკრიალა ხმები, გაზაფხულის ღამის ამღერებული გულის ხშირი, ძალუმი ძგერა. ბიჭი უკან არ იხედებოდა“. ასოციაციურად ცოცხლდება ბიბლიური პარადიგმა, უკან მიხედვა აქვავებს. ბიჭი ძველი სამოსივით იხდის მამის ბნელ გავლენას, მის მორჩილებას და სინათლის გზას ადგება.

საინტერესო ფსიქოლოგიური ვითარება აქვს დახატული რეზო ინანიშვილს მოთხრობაში „13 წლის ბიჭი“, როდესაც ნათესავებისგან გამოქცეულ ბიჭს გულადად რომ მიიჩქარის შინისაკენ, წინ ღამის ტყე გადაეღობება. ის ვერ გადალახავს შიშს და რცხვენია ამისა. გრძნობს, რომ კიდევ უნდა გაიზარდოს, რათა ძალა ჰქონდეს საკუთარი არჩევანის დაცვისა: „სულ ცოტა ხნის წინ კი გმირად გრძნობდა თავს, ყოველ შემთხვევაში, ისეთი რამე დაიწყო, რაზედაც ვერც ერთი მისი ამხანაგი ვერ ამოიღებდა ხმას. ვერ შეძლო ამ საქმის თავის მობმა და ნელ-ნელა, მწარედ ჩამოსდიოდა სირცხვილის ცრემლი გაციებულ ლოყებზე“. მკითხველი გრძნობს, რომ ეს ბიჭი ამ უმწეობას შემდგომში აუცილებლად გადალახავს, რადგან ჩანს, რომ მას საკუთარ თავთან ბრძოლა შეუძლია.

რეზო ინანიშვილის მოთხრობაში „უშიშარი ბიჭი იოსება“ დახატულია, ერთი შეხედვით, ყოველივეს მსხვრევისა და განადგურებისკენ მიდრეკილი ბიჭი იოსება. „პატარა ავი ეშმაკი“, რომელსაც ერთი შემთხვევა თვალს აუხელს, გამოაღვიძებს და სწორ არჩევანს გააკეთებინებს. ერთხელ ყვავებს დაუბუმბლავი ბახალები დაუხოცა, რადგან ავი და ანჩხლი დედამისი ყვავების ჩხავილს აბრალებდა ფეხის დასხლტომას. მოხუცი ეფემია პატარა ბიჭის წინაშე ბედისწერასავით აღიმართა და გააფრთხილა: „არ გეშინიან, რომ დედაშენი ჩავარდეს ეგეთ დღეში, როგორშიც ეგ ყვავები არიანო?! – მე არაფრისა მეშინიანო, – ამაყად მიუგო იოსებამ, – უარესს ვუზამ, ვინც კი დედაჩემს აწყენინებს, მე არაფრისა მეშინიანო! – არ შეიძლება, არა, შვილო, ეგრეო, – და წავიდა დედამკვდარიანთ დიდი ბებერი სინანულის თავის ქნევით“. მიუხედავად ამ გოროზი სიჯიუტისა და საკუთარ სიმართლეში დარწმუნებულობისა, პატარა ბიჭის სიბნელისკენ მიდრეკილ გულში მინავლებულმა სინათლემ თავისი ძალა გამოაჩინა. ფიქრი კი ღამით სიზმრად იქცა: „წუხელ სიზმარში ის მკვდარი ბახალები დედაჩემს ეწყო წინა, დიდები, დაბერილები. დედაჩემი ტიროდა და იმ ბახალებსა ჰკოცნიდა. ერთი ბახალა მითომ ჩემი და იყო, ეთერა, ისიც ტიტველი, მკვდარი“. სიზმარმა კი ბიჭს თავისუფლების გზაზე ბოროტებისაგან განდგომის საბოლოო ნაბიჯი გადაადგმევინა, თანატოლთა თვალწინ მან თავი დაისაჯა: „როდესაც – აემ მარცხენათი ამოვსხი ის ბახალები ბუდიდან. ეხლა, მე რომ თვითონვე დავისაჯო თავი, ხო აღარაფერს დაუშავებს დედაჩემსა და ჩემ დას ღმერთი? ...მან ელვასავით სწრაფად ჩამოიკრა ხელისგულზე ქვის ფხიანი ნატეხი და ხელი ისევ მაღლა ასწია. ჩვენ შევხედეთ და შევძრწუნდით, – უუხ, შენი! – ხელისგულიდან თრთოლით მოსდიოდა ალისფერი მბრწყინავი სისხლი და დაკლაკნილ ტოტებად ჩამოსდევდა მაჯაზე“. მკითხველს აინტერესებს, ცხოვრებაში რას იზამენ ასეთი ბიჭები, რომლებმაც სიყმაწვილეშივე განიცადეს სულიერი მეტამორფოზი. სხვა მოთხრობებისგან განსხვავებით, აქ არის ამის პასუხიც. მწერალი მკითხველის ნაცვლად სვამს კითხვას და თვითონვე უპასუხებს: „ახლა სად არის ის იოსება? ათას ცხრაას ორმოცდასამი წლის შემოდგომის ერთ წვიმიან დღეს გერმანელმა მეავტომატეებმა მოკლეს უკრაინის მიწაზე, როცა იერიშზე მიმავალი ქართულად ყვიროდა: „მიდიი! მიდი, ბიჭო, მიდიი!..“.

ასეთი მოთხრობებით (ჩვენ მხოლოდ ორიოდე გამოვარჩიეთ) ჯეკ ლონდონი, რეზო ინანიშვილი და ფოლკნერი მოზარდების სულში დატრიალებულ ქარიშხლებს გვიხატავენ და წარმოგვიჩენენ, რა ბნელ და რთულ წინააღმდეგობებს გადალახავენ ბავშვები, რათა თავიანთ არსებაში სიყვარულის, სინათლისა და სიკეთის საწყისები გადაარჩინონ. ამიტომაც წერს რეზო ინანიშვილი თავის მოგონებაში „ჯანი როდარზე“: „ბავშვებს, პატარა ბავშვებს, პირველ რიგში, უნდა ჩავუნერგოთ სიბრალულის გრძნობები-მეთქი. ამ პრინციპით არის დაწერილი მსოფლიოს ყველა საუკეთესო საბავშვო ქმნილება – ანდერსენის ზღაპრები, „ალისა საოცრებათა ქვეყანაში“, „პინოქიო“, „ნელო და პატრაში“, „შვლის ნუკრის ნაამბობი“, „გიქორი“ და სხვა მრავალი. ბავშვებს უნდა ებრალებოდეთ ადამიანები, ცხოველები, მცენარეები. ბავშვები უნდა ზრუნავდნენ მათი სიკეთისათვის“.

ელა გოჩიაშვილის პოეზიის ფერადები

პოეზიას მაგიური ძალა აქვს, ის დროს გაქრობის საშუალებას არ აძლევს, წამებს მარადისობად აქცევს და პოეტსა თუ მკითხველს მრავალგანზომილებიან სივრცეში დაუსრულებლად ამოგზაურებს. ელა გოჩიაშვილის პოეზიის სტილური მანერა, მისეული აღქმა სამყაროსი და ადამიანებისა ისეთი ნაცნობია და თანვე უცნობი, როგორც წელიწადის დროების ცვლისას აღძრული შთაბეჭდილებები. ყოველ ჯერზე ვიცით, როგორი იქნება გაზაფხული, ზაფხული, შემოდგომა თუ ზამთარი, ფერებითა და სურნელით, შეგრძნებათა გამებითა და გრადაციებით, მაგრამ მაინც გვიპყრობს აღტაცება და გაოცება. შეიძლება, ის არქეტიპული მზერა იღვიძებს ჩვენში, დაბადებისას პირველად თვალგახელილს რომ გვქონდა. ელა გოჩიაშვილს თავისი ლექსებით შეუძლია მკითხველი არა მხოლოდ გააღვიძოს ერთფეროვნებისა და ყოველდღიურობის რუტინული ძილიდან, არამედ ბიძგი მისცეს ფიქრისა და განსჯისთვის. ეს ლექსები სწრაფადმდენ თანამედროვეობაში ადამიანს შეყოვნების ესთეტიკურ სიხარულს შეაგრძნობინებს. ის ახერხებს წამის მოხელთებას. „Carpe diem“ – მისი მთავარი მხატვრული ამოცანაა.

პოეზია მისთვის ცეცხლთან ისეთივე საშიში თამაშია, როგორიც ცხოვრებასთან. თუ ძალიან გაუშინაურდები, დაგწვავს, დაგფერფლავს, მაგრამ თუ გაუუცხოვდები, სინათლისა და სითბოს ნაკლებობა დაგტანჯავს. ასე „ორ ცეცხლ შუა“ ყოფნაა ტკივილის ლექსად გარდაქმნის ალქიმია. „რაც არ იწვის, არ ანათებსო“, – წერდა აკაკი, რომელმაც საუკეთესოდ იცოდა იმ ადამიანის ტანჯვა, არც ცის რომ არ იყო და არც მიწისა.

ელა გოჩიაშვილის პოეზიას შეუძლია აღგიძრას ისეთი კითხვები, რომლებიც ჩვეულებრიობის სამანებს დაგირღვევენ და უჩვეულოსთან შეგახვედრებენ. ერთი სიტყვით, შეგაგრძნობინებენ, რომ ყველაფერი, რაც ჩვენ გარშემოა, იდუმალი საზრისითაა სავსე. საჭიროა მხოლოდ მიყურადება და ჩვენში წარსულის, გარდასულის, უხილავის ხმები შემოიჭრება, რომელთაც არ სჭირდება თარგმნა და გაგება. უცხო ჩრდილებთან ერთად სეირნობა სტრიქონთა ნაკადებში სინაზისა და სიყვარულის, სიმსუბუქის ნატიფ ჰაეროვნებასთან ერთად სიმარტოვის სიმძიმესა და ილუზიების მსხვრევის ტკბილმწარე სიხარულ-ტკივილსაც განგვაცდევინებს.

გალაკტიონის სტრიქონის „შენ ნუ მკითხავ მაინც წარსულს“ ორიგინალური „შეპაექრებაა“ ლექსი „მკითხე“, რომელშიც წარსული ერთადერთ ხელშესახებ „სინამდვილედაა“ წარმოჩენილი:

„ჯილდოდ მერგო თუ სასჯელად მადევს
ეს სინამდვილე ზღვარგადასული –
რომ არასოდეს მქონია აწმყო,
მაგრამ ყოველთვის მქონდა წარსული“.
(„მკითხე“)

ეს სტრიქონები დროის იდუმალებაზე დააფიქრებს მკითხველს. „წარსული“ ერთადერთია, რომელშიც დაუსრულებლად შეგიძლია შეხვდე შენს თავს, ფოტოებივით დაათვალიერო შენი სულიერი ზრდისა და ცვალების ზიგზაგები, დაცემისა და წამოდგომის კადრები. აწმყო კი ხელიდან გისხლტება. ამიტომაც არის, რომ პოეტი აწმყოს შეყოვნებულ წამებს პოეტურ ხატებად გარდაქმნის და მეხსიერების უკიდეგანო საცავში ინახავს. როგორც პრუსტი წერს, წარსული არსად იკარგება, ის მხოლოდ დროებით მიეფარება და ჩვენს გამოხმობას ელის, რათა ერთ ჩვეულებრივ დღეს ჩაიში ჩამბალ ნამცხვრის სურნელთან ერთად გადმოიღვაროს.

ელა გოჩიაშვილის არაერთი ლექსი გვაოცებს სამყაროსა თუ საკუთარი თავის შემეცნების გზებზე ნანახი ამბების ორიგინალური ხატვით. ერთი ასეთი გამორჩეული ლექსია „ხეებს“, რომელიც ხეების მიმართ ასეთი უჩვეულო თანაგრძნობით აღსავსე სტრიქონებით იწყება:

„როგორ არავის ებრალებით გაზაფხულისთვის,
როგორ ადვილად გიმეტებენ გაზაფხულისთვის“.

ეს სტრიქონები თავისი მოულოდნელი ხედვის რაკურსით თომას სტერნზ ელიოტის „ბერწი მიწის“ დასაწყისს ეხმიანება:

„წყეული თვეა ეს აპრილი, აღმოაცენებს
მკვდარ მიწიდან შროშანყვავილებს, აურდაურევს
მოგონებებსა და სურვილებს, გამოაღვიძებს
მთვლემარ ფესვებს შხაპუნა წვიმით.
ზამთარი გვათბობს, შესუდრავს
მიწას თოვლი იგი თავდავიწყების“.
(ოთარ ჩხეიძის თარგმანი)

მკითხველის შეცბუნებას კი ის იწვევს, რომ ორივე პოეტთან დაბადება, ამ ქვეყანას მოვლინება, უბედურებასთან ასოცირდება.

ელა გოჩიაშვილი თანდათან აძლიერებს მკითხველის დაძაბულობას, როცა წერს:

„ველარ გამჩნევენ
არანაკლებ მძიმე ტკივილებს,
მხოლოდ სხვაგვარად –
ფოთლებად და ყვავილებად ამოკვნესებულს.
ვერ მიმხვდარან,
ჯალათივით რომ დაგდგომიათ
მწვალებელი აპრილი თავზე
და ფესვებიდან გივლით კანკალი
ყოველი კვირტის ამოტეხვისას“.

აპრილის „დანახვა“, როგორც „მწვალებლისა“ და „ჯალათისა“, მკითხველის სულსა, გულსა და გონებაში განსხვავებულ, აქამდე განუცდელ ფიქრთა და შეგრძნებათა ნაკადებს წარმოშობს:

„არ იციან, რომ
შემოდგომის ბანგი გერჩიათ“.

აქ არის არქეტიპული განცდა არყოფნის იდუმალებისა, იმ განზომილებისა, რომელშიც დაბადებამდე მყოფობს ყოველი, სანამ ამ ქვეყანას მოევლინება. შეიძლება ვთქვათ, პლატონისეული ღვთაებრივი სამყაროს მონატრებაა. დაბადება, სიცოცხლის, წუთისოფლის, ყოფიერების ტრაგიზმი პოეტმა ამგვარი ორიგინალური გზით გამოხატა, ამიტომაც შთამბეჭდავია სტრიქონები:

„რატომ ჰგონიათ,
რომ მიქცევა უფრო ძნელია,
ვიდრე
სიცოცხლეატანილი სხეულის გაძლება,

ვიდრე დაბადება,
ვიდრე ყვავილობა,
ვიდრე სიყვარული“.

ეს ტკივილიანი სტრიქონები, რა თქმა უნდა, ეხმიანება ვაჟა-ფშაველას ლექსს „იას უთხარით ტურფასა“:

„შენ თუ გგონია სიცოცხლე
სამოთხის კარი ღიაო,
ნუ მოხვალ, მიწას ეფარე,
მოსვლაში არა ჰყრიაო“.

ელა გოჩიაშვილის ამ ლექსის ფიქრთა ნაკადები ალუზიურად „ეკლესიასტესაც“ გადასწვდება, რომელშიც ვკითხულობთ: „უფრო ბედნიერად შევრაცხე დიდი ხნის მკვდარნი მათზე, ვინც ჯერაც ცოცხლობენ კიდევ. და ორივეზე ბედნიერი მაინც ის არის, ვინც ჯერაც არ დაბადებულა და არ უხილავს ბოროტება, რაც მზის ქვეშ ხდება“ (ეკლესიასტე, 4, 2-3).

ელიოტი პოეტს „მედიუმად“ მიიჩნევდა, რომელიც რეალურსა და მისტიკურს ერთმანეთთან აკავშირებდა. მკითხველს გზას უხსნიდა უხილავის შეცნობისაკენ. ელა გოჩიაშვილი სწორედ ამგვარი „მედიუმია“. მისი ბევრი ლექსი ერთგვარი ჯადოსნური კარია, რომლებსაც განსხვავებულ სამყაროში შევყავართ. მაგალითად, ლექსში „გიჟები და მთვარეულები“ ვკითხულობთ:

„როცა ლეთა წალეკავს მიწას,
მოჩვენებებით დანაღმულ ველზე გამოდიან
გიჟები და მთვარეულები.
დგებიან ვრცელი ღამის წინაშე,
მარადიული ყოფნის უღელში,
და არაფრისკენ გაწვდილ ხელებს
ვარსკვლავებში აფათურებენ“.

„ვარსკვლავებში“ მოფათურე ხელების მეტაფორამ შეიძლება ნიკო სამადაშვილის პოეტური ხატებიც გაგვახსენოს. ეს ასოციაციური ნაკადები, რომლებიც ელა გოჩიაშვილის ლექსების კითხვისას იქმნება, წარმოაჩენს კიდევაც მისი პოეტური აზროვნების მრავალშრიანობასა და პალიმფსესტურობას. იგი სისადავისა და სიღრმის ჰარმონიული სინთეზით ახერხებს საკუთარი ენის შექმნას, რომლითაც მკითხველთან მართავს დიალოგს.

სიკვდილ-სიცოცხლის განუყოფლობის შეგრძნება თან სდევს პოეტს. როგორც პავლე მოციქული წერს, ადამიანი ყოველდღე კვდება (პირველი კორინთ. 15, 31), „გეტყვით თქვენ საიდუმლოს: ყველანი როდი მოვკვდებით, მაგრამ ყველანი შევიცვლებით“ (პირველი კორინთ. 15, 51). ელა გოჩიაშვილი ამ „ცვალებას“ პოეტური ხატებით წარმოაჩენს. მკითხველის მეხსიერებაში სამუდამოდ აღიბეჭდება სიკვდილთან გაშინაურებული, „ულამაზესი საწამლავით“ თავმოკლული ვანო პაპა და სტრიქონები:

„უფალო, რამე უსაშველე
თვითმკვლელების უგზოუკვლობას.
მთელი ცხოვრება
ვენახს წამლობდა შაბიამანით,
ადგა და ერთხელ
თავსაც უწამლა (ალბათ).

უფალო, რამე უსაშველე
თვითმკვლელების უგზოუკვლობას.
დახსენ,
დახსენ მწარე ხეტიალს
და მანდაური ვენახის ბოლოს
ჩარგე ბალახბულახივით,
ან თიკანივით მიაბი სადმე,
მანდაური,
საჩრდილობელი ატმის ძირში
დაღლილი სული ვანო პაპასი,–
ულამაზესი საწამლავით
თავმოკლულისა“.

(„შაბიამანი“)

ტკივილის ამგვარ პოეტურ ვიზუალურ აღქმას, რომელიც აზრის მრავალშრიანობას ქმნის, თან მოჰყვება ფერწერული ხატებიც. ეს „ულამაზესი საწამლავი“, რომელიც ფერით ზეცას ენათესავება, მკითხველის თვალწინ სიკვდილისაკენ მიმავალ ისეთივე მსუბუქ გზად ილანდება, როგორიც გალაკტიონის „ვარდისფერი“ („სიკვდილის გზა არრა არის, ვარდისფერ გზის გარდა“). საიქიოში „ატმის ძირში“ თიკანივით მიბმული ვანო პაპას „დაღლილი სული“ კი უნებურად ჯვარცმული მაცხოვრის, უმანკო კრავის, ტარიგის სახესაც წამოატივტივებს. ვანო პაპაც „ჯვარს აცვა“ ცხოვრებამ. ამგვარად, პოეტი ქმნის მხოლოდ მისი პოეტური წარმოსახვისთვის ნიშნეულ განზომილებას, რომელში მოგზაურობაც მკითხველს ტკბილ-მწარე შეგრძნებებს აღუძრავს.

ელა გოჩიაშვილის სტილურ მახასიათებლად შეიძლება მივიჩნიოთ პოეტური ნეოლოგიზმების შექმნა, რაც იმაზე მეტყველებს, რომ იგი გამუდმებით დაეძებს საკუთარი თავისა თუ სამყაროს შემეცნებისას აღმოჩენილ შეგრძნებათათვის ზუსტი და ორიგინალური შესატყვისების შექმნას. სწორედ ამგვარი ძიების შედეგია ისეთი მრავალმნიშვნელოვანი სიტყვები, როგორებიცაა: ცხოვრებაგამტარი და ცხოვრებაგაუმტარი. ორივე ლექსის სათაურადაა გამოტანილი. ეს, ერთი შეხედვით, არაპოეტური კომპოზიტები საოცარი პოეტური ელფერით წარმოჩნდებიან ლექსის კონტექსტში. ეს ის შემთხვევაა, როდესაც არა ფორმა, არამედ შინაარსი ალამაზებს ფორმას. ადამიანებზე დაკვირვების შედეგად არაერთ პოეტს, ფილოსოფოსს გამოუტანია დასკვნა, რომ უფრო იოლია მიჰყვე ცხოვრების დინებას, ვიდრე შეეწინააღმდეგო. ამიტომაც ცოტანი არიან რჩეულნი, შლეგნი, თავს რომ იმეტებენ ხიფათებისთვის და ცხოვრების მდინარის აღმა მიცურავენ, რადგან სხვანაირად არ შეუძლიათ. სწორედ ამგვარ ადამიანებს უწოდებდა მაცხოვარი წუთისოფლის „მარილს“.

ელა გოჩიაშვილისთვის, რა თქმა უნდა, ცნობილია ეს გამოცდილება, რომელსაც იგი ნიუანსობრივად ამდიდრებს და პოეტურად გამოხატავს იმ ფიქრს, რომელიც მისი სულის, გულისა და გონების ნაყოფია. როგორ უნდა გაუმკლავდე ცხოვრებას, რომელიც სავსეა უსამართლობით, სიძულვილით, შურით, გაუტანლობით? ელა გოჩიაშვილის ლექსთა ლირიკულ გმირებს ასეთი არჩევანი აქვთ: „ცხოვრებაგამტარობა“ ან „ცხოვრებაგაუმტარობა“.

ლექსის „ცხოვრებაგაუმტარი“ კითხვისას გრძნობ, როგორ გადაიშლება ქვეტექსტების წყება. ყოველდღიური რუტინული გამოცდილება საკრალურს გადაეწვნის. ყოფითი დეტალები კი მკითხველის წარმოსახვაში რელიგიურ-ფილოსოფიური შინაარსით ივსება. მატერიალური განზომილებიდან მეტაფიზიკურში გადავყავართ პოეტს გამოთქმის ხელოვნების პალიმფსესტურობით. ლექსში ასე

შემოაქვს ერთ „უწყინარ“ თევზს თავისი მრავალმნიშვნელოვანი სიმბოლიკა, რომელიც აღრმავებს სათქმელს:

„მლაშე წყალშიც რომ მოხარშო,
ზედმეტ მარილს
თევზი
მაინც არ მიიღებსო, –
გამიგია, თორემ, რა ვიცი,
არ მიცდია გადამოწმება.
ღირდა კი, ვითომ,
ჭეშმარიტების დასადგენად
თუნდაც ერთი
ჭეშმარიტი თევზის გაწირვა!“
(„ცხოვრებაგაუმტარი“)

ამ კონტექსტში „ჭეშმარიტების დადგენის“ მოულოდნელი მცდელობა პროფანულ დრო-სივრცეში მარადიულს უხსნის გზას. „თევზის გაწირვა“ მაცხოვრის ჯვარცმის სურათს წამოატივტივებს. ამგვარი გაელვება იწვევს ფიქრის ახალ ნაკადებს. სახარებისეული კაიაფას ნათქვამი გვახსენდება: „ერთმა მათგანმა, კაიაფამ, რომელიც მღვდელმთავრობდა იმ წელიწადს, უთხრა მათ: „თქვენ არაფერი გაგეგებათ, ვერ მოგიფიქრებიათ, რომ გვიჯობს ერთი ადამიანი მოკვდეს ხალხისთვის, ვიდრე მთელი ერი დაიღუპოს“ (იოანე, 11, 49-50). ეს ერთი ადამიანი კი იყო კაცი, ღვთის ძე, იესო ქრისტე. ასეთი ერთი კაცია ყოველი სულიერი, რომელიც ცხოვრების ქარიშხლების შუაგულშია, რომელიც მუდამ „დევნილია“:

„...ნუ შეეცდები,
გაეპარო ცხოვრებას ჩუმად,
ფეხაკრეფით;
არ გაგატარებს, – ნაბულზეა;
ძაღლზე უფრო გულძაღლია
ეს დალოცვილი.
ჩაიცვი რამე – გაუმტარი,
და მოუშვი;
მოუშვი და
დაბამბული მკლავი მიეცი, –
სულ დაბამბულ მკლავზე დაღალე..
არ ჩაუარო!
შეეგებე,
შესცინე,
ოღონდ,
ჩაიცვი რამე – ცხოვრებაგაუმტარი“.

აქ არ არის პათოსი ცხოვრების გარდაქმნისა, ან მასზე ზეაღმატებულების ილუზიისა, როგორც ამას ვხედავთ, მაგალითად, ამ ცნობილ სტრიქონებში. „ცხოვრებავ, ხელში მაქვს, მე შენი სადავე/ რომ ეს ჯოჯოხეთი სამოთხედ ვაქციო“ (ტიციან ტაბიძე), ან კიდევ: „ვერ იზამს წუთისოფელი ფეხებზე დამიკიდოსა“ (ტარიელ ხარხელაური).

ელა გოჩიაშვილისთვის ცხოვრება არის გასაძლები, ოღონდ ხერხია საჭირო, რომ კბენით არ დაგფლითოს, ცხოვრებაგაუმტარი რამ უნდა „ჩაიცვა“. ეს შეიძლება იყოს თვითონ პოეზია. „პოეზიაშემოსილი“ ადამიანი შეიძლება იქცეს „ცხოვრებაგაუმტარად“. ეს „სამოსი“ არაერთ ხელოვანს ჩაუცვამს ცხოვრების მოსაგერიებლად. მათ შორისაა დანტე, რომელმაც სწორედ პოეზიის გზით იმოგზაურა „ჯოჯოხეთში“, მეგზურადაც დიდი პოეტი-ოსტატი ვერგილიუსი ჰყავდა.

ჩნდება ფიქრიც, იქნებ სჯობს, „ცეცხლს“ – ცხოვრებას კი არ ეთამაშო, შეინიღბო, მოატყუო, არამედ მიიღო, შენი არსების ნაწილად აქციო. სწორედ ამის შესახებ წერს პოეტი ლექსში „ცხოვრებაგამტარი“. ლირიკული გმირი იხსენებს, „ღუმელიდან გადმოვარდნილ წითელ ნაკვერჩხალს“ ბებო „თითებით რომ დაეწვდებოდა, – სწრაფად, გულგრილად, ვითომც არაფერი! – და უკანვე მიუგდებდა დედამუგუზალს; არ გეწვის, ბები? – ავცქეროდი...“. მერე ლირიკული გმირი „გაიზარდა“ და შეიცნო, რომ წვამაც იცის შეგუება, ტკივილის ატანა:

„მეც ვისწავლე
ცეცხლთან
უსაფრთხო ურთიერთობა.
აღარც მე, ბები!
აღარც მე მეწვის ასე იოლად;
დაჭკვიანდნენ ჩემი ხელები,
დაეშმაკდნენ,
გულუბრყვილოდ აღარ იტკენენ“.
(„ცხოვრებაგამტარი“)

ისიც უნდა ითქვას, რომ ეს შეჩვევა გარეგანია, რადგან ცეცხლთან ყველა მიახლოება სულზე მტკივნეულად აღიბეჭდება. მაგრამ რომ არა ეს „დაწვა“, არც პოეზია შეიქმნებოდა და არც თვალს გაახელდა ადამიანი. როგორც სულხან-საბა იტყვის: „ღმერთი არის წვა და ხედვა“. პოეტსაც გამუდმებული სიფხიზლე და „მღვიძარება“ ტანჯვის ფასად უჯდება, მაგრამ სხვანაირად არ შეუძლია:

„ის კი, შიგნით, –
რის თარგმნასაც
სხეულით ვცდილობთ,
ის რად დარჩა
მარად უგარსო,
გამუდმებით ახლადგაფცქვნილი;
სულ დაფუფქული რატომ დააქვს
უხილავი, ჩვილი თითები,
რად ვერ ისწავლა
ცეცხლთან
უსაფრთხო ურთიერთობა...“
(„ცხოვრებაგამტარი“)

ბოდლერი წერს: „პოეტს, თავისი უშურველი ახალგაზრდობის ჟამს, შეიძლება სიამოვნებას ანიჭებდეს ცხოვრების ფუფუნებაზე სიმღერა, რადგან, თუკი რამე აქვს ცხოვრებას დიდებული და მდიდრული, განსაკუთრებით ახალგაზრდების ყურადღებას იზიდავს. სიმწიფის ასაკი, პირიქით, შეშფოთებული და დაინტერესებული უტრიალდება პრობლემებსა და იდუმალებებს“ („რომანტი-

კული ხელოვნება“). სწორედ ამ „იდუმალებებს“ უტრიალებს ელა გოჩიაშვილი. პოეტმა კრებული „ცხოვრებაგაუმტარი“ 2013 წელს დაბეჭდა (გამომცემლობა „საუნჯე“). მანამდე გამოცემული აქვს რამდენიმე კრებული, მათ შორის, „შაბიამანი“ (2005 წ.).

რადგან „პოეზიის არსი მხოლოდ და მხოლოდ ადამიანური ლტოლვაა უმაღლესი მშვენიერებისაკენ“ (ბოდლერი), ელა გოჩიაშვილიც მიისწრაფვის ამ მშვენიერებისაკენ, რომელსაც ყოველდღიურ საგნებსა და მოვლენებში აღმოაჩენს. ამიტომაც გიჩნდება მისი ლექსების კითხვისას განცდა: „მშვენიერი ხარ, წამო, შეჩერდი“ (გოეთე). ეს შეჩერებული წამები შემდეგ ისევ აგრძელებენ ჩვეულ დინებას, მაგრამ შთაბეჭდილებაში სამუდამოდ რჩებიან უჩვეულო ხატებად. ეს ანაბეჭდები არაერთხელ წამოტივტივდებიან მეხსიერების ბნელი კუნჭულებიდან და სიცოცხლეს სინათლეს მატებენ, ამ პოეტური ნათლის წიაღში ჩნდება ნელი სიხარულის განცდა.

ელიოტის აზრით, „გამოცდილება ორგვარია: გრძნობა და ემოცია. მწერალი გრძნობებს სიტყვების ფორმაში ახვევს (პოეზია შესაძლოა ყოველგვარი ემოციის გარეშე შეიქმნას). პოეტის გონება სკივრია, რომელიც აგროვებს, ინახავს უამრავ გრძნობას, ფრაზას, ხატებს. ინახავს მანამ, სანამ თავს არ მოიყრის ყველა ნაწილი, შეკავშირების უნარი რომ აქვთ, რათა ახალი ერთიანობა შეიქმნას („ტრადიცია და ინდივიდუალური ტალანტი“). ელა გოჩიაშვილი ამგვარ ახალ ერთიანობას ქმნის ლექსში „ამბავი ვარდკაჭაჭას ყვავილებისა“. მან პირველმა ქართულ პოეზიაში შექმნა ამ მინდვრის ყვავილის პოეტური ხატი და თამამად შემოიყვანა აქამდე ცნობილ პოეტურ ყვავილთა გალერეაში. სიმბოლურია, რომ სწორედ ამ ყვავილის ფოტოა კრებულის ყდაზეც. ის თითქოს მისი ალტერ ეგოა, სხვა მეა. ეს ცისფერყვავილებიანი მცენარე, რომელიც ერთგვარ მორიდებულობას, შეუმჩნევლობასა და სიმშვიდეს განასახიერებს, ახალ სიცოცხლეს იძენს მის ლექსებში. ამ ყვავილს თან შემოჰყვება ვრცელი მინდვრების საზაფხულო ალმური და სურნელი. ამ ლექსის წაკითხვის შემდეგ მკითხველი სხვანაირად შეხედავს ამ ყვავილს, დაინახავს მის ჩუმ სილამაზესა და მოკრძალებულობას. როგორც ხალხურ ლექსშია: „თუ ასე ტურფა იყავი, რად ვერ გამჩნევდი იაო/ იმად, რომ სიყვარულისთვის გული არ გამიღიაო“. ჯერ სამყაროს მიმართ სიყვარულით უნდა აივსო გული და მხოლოდ მერე დაინახავ. პოეტს იგი დედის ხატებადაც მიაჩნია: „ვარდკაჭაჭა დედაჩემო“. ამიტომ ეს ყვავილი ავტორის სულის ერთგვარ ემბლემად წარმოჩნდება:

„აბა, რად უნდათ ამნაირი –
ვერმოშრიალე, ვერხასხასა.
მერე რა, რომ
ყვავილები აქვს, როგორც სული –
ღეროებიდან გამოხელილი“.

„სული-ღეროებიდან გამოხელილი“ შთამბეჭდავი მეტაფორაა, რომელშიც მაღალი ხელოვნებით არის შერწყმული, აზრი, ემოცია, ფერი, სურნელი და მუსიკა. ვარდკაჭაჭა პოეტისთვის, უპირველესად, დედის თვალებში დანახული „დაღლილი ცისფერია“, ერთადერთი და განუმეორებელი:

„მიმეორებ და მიმეორებ დედაჩემის თვალებს,
მიყურებენ და მიყურებენ დედაჩემები“.

კრებულში გამორჩეულია დედისა და დებისთვის მიძღვნილი ლექსები, რომლებშიც წარსულის მშვიდ დღეებს აცოცხლებს პოეტი. დედის სახე ღვთისმშობლისას გადაეწვნება და მარადქალურობის სიმბოლურ-ალეგორიულ ხატებს ერწყმის:

„...სამი ქალი წამოდგება.
დარჩება დედაჩიტის საფლავზე
სამი ბარტყი –
სამგზის ბავშვობა
სამგზის ნათელი“.

ვარდკაჭაჭასთან ერთად, მოულოდნელ მეტაფორულ სახეს ქმნის ძახველიც:

„დგას ძახველი –
ფშავის სევდა –
ჩემი სანიშნობელი“.
(„სანიშნობელი“)

ან კიდევ: „ვაიმე, ჩემი ძახველი, სხვა სივრცეების მნახველი“ („ბალადა“). ერთ ლექსში კი ძახველი შორეულის, იდეალის სიმბოლოდ აღიქმება, იმგვარ ირაციონალურ ფენომენად, რომლის მატერიალური განხორციელება შეუძლებელია:

„არ არსებულა გაღმა სოფელი თურმე,
არ არსებულა გაღმასოფლელი ძახველი,
არ არსებულა მე რომ ძახველი მიყვარდა“.
(„არარსებული ძახველისადმი“)

ეს დონ კიხოტური სიყვარულია, მშვენიერების ტრაგიკული მაძიებლების, ფუფალასა და ელიოზის გზაა. მის პოეზიაში გვხვდება მეტაფორული აზროვნების გასაოცარი ნიმუშები, რომლებიც ფორმისა და შინაარსის განუყოფელი ერთიანობითა და სისადავით გვხიბლავენ.

ელა გოჩიაშვილის ლექსების კითხვისას კიდევ ერთხელ რწმუნდები, „პოეტის მოვალეობაა არა ძიება ახალი ემოციებისა, არამედ ყველასთვის ცნობილით სარგებლობა, მათი პოეტური გარდასახვა იმ გრძნობათა გამოსახატავად, რომელსაც არსებული ემოციები ვერ შეძლებენ“ (ელიოტი). სწორედ ამგვარ ახალ ემოციებს ქმნის ელა გოჩიაშვილი თავისი მოულოდნელი პოეტური სახეებით:

„ცისკენ არის პოეზია, განა ციდან!
ციდან ლექსი კი არა და,
ხეირიანი ერთი სიტყვაც არ მოგეცემა.
აქ უნდა მოიპოვო, სტრიქონ-სტრიქონ,
აქ უნდა მოთხარო დამტვრეული ფრჩხილებით.
მიწაზე, მიწიდან,
სააღდგომო ენდროს ფესვებივით“.
(„ცალი გვერდი“)

ლექსი იბადება პოეტის „ჯვარცმიდან“, შეიძლება ითქვას, ფიქრების ღვარცოფიდან. მარადქალურობის შეგრძნების ორიგინალური გამოხატვით გამოირჩევა მისი პოეზია. ამ თვალსაზრისით, გაბრიელა მისტრალის პროზაულ „დედის პოემებს“ მოგვაგონებს. ორივე პოეტთან მსგავსია დაუბადებელ შვილზე ოცნება, წარმოსახვითი ფეხმძიმობითა და ბავშვის დაბადებით აღძრული შეგრძნებები:

„ნუ გეშინია, შენ ჰყავხარ დედას,
რძის ნიაღვრებს გინახავს მკერდით
სიზმარში... სიზმარში...

სიზმრის ხალხი ვართ, სიზმრად მცხოვრებნი,
სიზმრიდან ვერ გამოაღწია
ჩვენი სიზმრის დედაშვილობამ...
მაპატიე, რომ ვერ გაგაჩინე“.
(„სიზმარში... სიზმარში“)

ელიოტი პოეზიაზე საუბრისას ასეთ საინტერესო შედარებასაც მიმართავს: „პოეტის გონება ჰგავს პლატინის ნაჭერს, რომელსაც თუ მოვათავსებთ კოლბაში, რომელშიც ჟანგბადი და გოგირდის ორჟანგია, შემდეგი რამ ხდება: ამ ორი გაზის შერევით გოგირდმჟავა წარმოიშობა. მას პლატინის კვალი არ ატყვია, პლატინაც ხელუხლებელი რჩება, მაგრამ მის გარეშე ახალი გაზი არ წარმოიშობოდა“.

ამგვარ ალქიმიკოსად გვევლინება ელა გოჩიაშვილი. მისი პლატინის ნაჭერი ხშირად ჩვეულებრივი ცხოვრებისეული ყოფის რომელიმე საგანი, მოვლენა თუ შეგრძნებაა, შემდეგ მას ურევს ასეთსავე ცნობილსა და ხელშესახებს და „გამოდის“ ახალი „ნივთიერება“, ლექსი, რომელიც მის შემადგენელ ნაწილებად აღარ იშლება. ის ჩვეული, ხანდახან ძალიან გაცვეთილი, ახალ ელვარებას იძენს, განსხვავებულ სახეს აჩენს. ამგვარად „განახლდებიან“ და ახალი სიცოცხლისთვის იბადებიან მის ლექსებში ნაცნობი შეგრძნებები:

„აი, მიწა, რომელიც მე,
ადრე თუ გვიან,
ჭიპლარზე უნდა გამომებას
და სიკვდილამდე მეტარებინოს...
აი, მიწა, – საკაბე მიწა
გაუჭრელი,
დედაჩემის კარადაში გადანახული
კრეპჟორჟეტივით“.
(„კრეპჟორჟეტივით“)

ლექსი „უარი ეთქვას“ გალაკტიონისთვის მიძღვნილ ლექსებს შორის უდავოდ გამორჩეულია თავისი მოულოდნელი რაკურსით, ექსპრესიულობით, ტკივილის ისეთი გადმოცემითა და გაზიარებით, რომელიც ნამდვილად იშვიათია. ლექსს წინ უძღვის გალაკტიონის განცხადება: „საქართველოს განათლების კომისარს: რადგან ვიმყოფები მეტისმეტად შევიწროებულ მდგომარეობაში უტანთსაცმელობით და უფეხსაცმელობით, უმორჩილესად გთხოვთ, აღძრათ შუამდგომლობა... გამიხსნას კრედიტი... ტანისამოსისა და ფეხსაცმელის მისაღებად. ფულს ნაწილ-ნაწილად მიიღებენ თვით ჩემგან... იმედი მაქვს, მხედველობაში მიიღებთ ჩემს მდგომარეობას. პატივისცემით გალაკტიონ ტაბიძე (1924 წ. 24 მარტი) განკარგულება: „უარი ეთქვას!“

ლექსის ლირიკული გმირი დაბრმავებულ-დაყრუებული საქართველოა. საბჭოთა ხელისუფლების მიერ პატივაყრილი, ღირსებადაკარგული, თავის გამორჩეულ შვილებზე შურისმაძიებელი. ქვეყანა ჯალათად გარდაქმნილა, ამგვარი სატირულ-გროტესკული რაკურსით პოეტი ქართულ პოეტურ ტრადიციას, გურამიშვილის, მეცხრამეტე საუკუნის რეალისტების (ილიას, ვაჟას, აკაკის), მეოცე საუკუნეში კი – მიხელ ჯავახიშვილის მხილების პათოსს ეხმიანება. ლექსის პირველივე სტრიქონებით აღძრული ელდა კი არ ნელდება, არამედ თანდათან მძაფრდება და კულმინაციას ფინალურ სტრიქონებში აღწევს. საზოგადოების მიერ ხელოვანის დაუფასებლობის თემა უძველესია, მთავარია, ყოველ ახალ ჯერზე პოეტი ამ სატკივარს რა ფორმას მოუძებნის. ელა გოჩიაშვილმა შეძლო ორიგინალური ხერხის პოვნა. მკითხველის წინაშეა გონებაარეული, შეშლილი მშობელი, თავის საუ-

კეთესო შვილებს რომ ხოცავს. ამიტომაც მოთქვამდა და წყევლიდა პოეტი შვილის დაბადებას დედა ბოდლერის ლექსში „კურთხევა“ („ქართან თამაში და ღრუბელთან უყვარს ჩურჩული,/ჯვარცმის გზაზეც კი სიმღერებით შეთრობას ბედავს“ (დავით აკრიანის თარგმანი).

ჯეიმს ჯოისის პერსონაჟ სტივენის საუბარი გვახსენდება მეგობართან რომანიდან „ხელოვანის პორტრეტი ახალგაზრდობისას“: „ირლანდია უპირველეს ყოვლისა! ამის შემდეგ შეგიძლია იყო პოეტი თუ მისტიკოსი. – შენ იცი, რა არის ირლანდია? – ჰკითხა სტივენმა ცივად და მრისხანედ. ირლანდია ის ბებერი ღორია, საკუთარ გოჭებს რომ თქვლეფს“.

„მე ნუ ვყოფილვარ საქართველო, თუ არ დაგღალო,
მე ნუ ვყოფილვარ საქართველო, – შურით მღუარი,
პალტო კი არა, გიჟის კვართი თუ არ ჩაგაცვა,
თუ არ გიშხუვლო მათრახივით: „ეთქვას უარი!“
შენი ვალებით პირთამდე სავსემ,
თუ არ ჩაგიდგა ყველა დროში თითო ფაცერი,
ჩემგან გაწირულს, თუ სამშობლოდ არ მოგაჩვენო
თოვლი ირიბი და ალმაცერი.
თუ არ გავერთო შენი გაძლებით,
თუ არ დაგძახო ბეწვის ხიდზე: „პოეტო, ანტრე!“
მაშინ სამშობლო აღარ ვყოფილვარ,
შენ თუ სიკვდილი არ მოგანატრე!
. . . . .
...თუ გაპატია, რომ გიცნო და თვითვე აღმართა
დაფნა, საშენოდ შემორკალული,
თუ თვითმკვლელივით არ მიგაგდო ღია სარკმელთან,
თუ გაპატია, რომ უყვარხარ, – რაა მამული...“

(„უარი ეთქვას“)

თანაც, „შვილის მოკვლის“ ამგვარი ცხოვრებისეული პარადიგმა დიდი ხანია გააქტიურებულია საქართველოში, მაგალითად, ილიას მკვლელობის გახსენებაც კმარა. ვაჟა-ფშაველა სწერდა გამომცემლობას: „ვიცი, რომ ჩემი სიკვდილის შემდგომ ჩემთვის კარგი ადგილი გაქვთ შერჩეული და დიდის პატივით მიპირებთ დასაფლავებას, მაგრამ სანამ მოვკვდები, იქნება ჩემი ჰონორარი გამომიგზავნოთ, თორემ სრულიად მშიერი ვარ და საჭმლის ფული აღარ მაქვს...“. აკაკის „ფურთხის ღირსი ხარ, შენ საქართველოვ“ („ვედრება“) – ეს სტრიქონებიც გაგვახსენდება და ილიას „ბედნიერი ერიც“ და კიდევ ბევრი სხვაც. გიორგი გეგეჭკორისეული (მისთვის ძვირფასი პოეტის), სოციალური უსამართლობის წინააღმდეგ პათოსით გამორჩეულია ელა გოჩიაშვილის კიდევ არაერთი ლექსი.

ასეთივე პოეტური მამხილებელი პათოსით არის გამსჭვალული ლექსი „მათქმევინე, დე“:

„სამშობლო ხარ! – ამას აღარ ეშველება,
მაგრამ თუ არ მოგვიკითხავ დიდხანს,
იმ დღისათვის მებრალები, საქართველო,
როცა მოგვიკითხავ!“

პოეტი ერთ ლექსში ირონიით ამხელს ლიტერატურისმცოდნეთა ლინგვისტურ აკრობატიკასაც. მაგალითად, როდესაც მხატვრულ ლიტერატურას, პოეზიას ტექსტად მოიხსენებენ:

„თურმე ლექსები კი არა
(აქ მეფეს დავესესხები),
ჯერ ტექსტი მწვავდა, მერე მზე,
ჯერ მზე და მერე ტექსტები“.
(„სევდიანი ტექსტი-ხუმრობა თანაავტორებთან ერთად“)

ეს „თანაავტორები“ კი, უკვე ნახსენები, „ტექსტებით“ დამწვარი გალაკტიონი, „ტექსტი-მეწყერის“ ავტორი ტიციან ტაბიძე, საქართველოს „ტექსტის“ „მეხანძარე“ გიორგი ლეონიძე და სხვები არიან. ამიტომაც აპროტესტებს პოეტი ცნებათა ამგვარ „უკუღმართ“ გამოყენებას:

„არა, ბატონო, მე არ ვწერ ტექსტებს,
მე არ ვწერ ტექსტებს, არ ვარ თანახმა!“

სახარებისეულ სწავლებას ორიგინალური რაკურსით ეხმიანება ლექსი „ნუგეში“ (ლეღვის ხისადმი). იოანე ნათლისმცემელი ქადაგებდა: „აწ უკვე ცული ხეების ფესვთან დევს. ყოველი ხე, რომელიც არ გამოიღებს კეთილ ნაყოფს, მოიჭრება და ცეცხლს მიეცემა.“ (ლუკა, 3, 9). ქრისტემ კი, როდესაც დაინახა უნაყოფო ლეღვი, მხოლოდ ფოთლები რომ ესხა, ასე მიმართა: „აღარასოდეს გამოგელოს ნაყოფი უკუნისამდე. და მაშინვე გახმა ლეღვის ხე. ეს რომ იხილეს, გაუკვირდათ მოწაფეებს და თქვეს: რა უცებ გახმა ლეღვის ხე? ხოლო იესომ პასუხად უთხრა მათ: ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ: თუ გექნებათ რწმენა და არ შეეჭვდებით, არა მარტო იმის ქმნას შესძლებთ, რაც დაემართა ლეღვის ხეს, არამედ თუნდაც ამ მთას უბრძანებთ: აღმოიფხვერი მანდედან და ზღვაში ჩავარდიო, და მოხდება აგრე“ (მათე, 19-21).

პოეტი ცდილობს და ახერხებს კიდევაც, რომ მკითხველმა აღიარებულ ჭეშმარიტებას სხვა თვალით შეხედოს: მართალია, მან იცის, რომ უხილავ ნაყოფს სულიც ისხამს, მაგრამ იგი სწორედაც ხილულ უნაყოფობას თანაუგრძნობს:

„ისეთ ვინმეც ხომ ჩამოივლის –
ნაყოფის არმაძიებელი,
ჩრდილის მძებნელი,
შრიალის მძებნელი,
ხაოს მძებნელი...
მოვა შენთან
მოვა, გეტყვის:
„უნაყოფო ხეო, მჭირდები!
უნაყოფო ხეო, მიყვარხარ!“
დაიჯერე!
დაიჯერე!
დაიჯერე! –
არაფერი ჩნდება ქვეყნად
ერთადერთი და პირდაპირი
დანიშნულებით!“
(„ნუგეში“)

ჯოისი წერს: „სულის ნელი და ბნელი დაბადება უფრო იდუმალებით მოცულია, ვიდრე სხეულისა. როცა ამ ქვეყანაში ადამიანის სული იბადება, მას უამრავი ბადით იჭერენ, რომ გაფრენის სა-

შუალება არ მისცენ“ („ხელოვანის პორტრეტი ახალგაზრდობისას“). ელა გოჩიაშვილის ლექსებში ვხედავთ, როგორ იბადება პოეტის სული, მერე როგორ ეჭიდება ბადეებს, როგორ ცდილობს დასხლტომას და გაფრენას.

ყურადღებას იქცევს ელა გოჩიაშვილის ლექსთა ფორმებიც. იგი თანაბარი ოსტატობით ფლობს რითმიანი, კონვენციური თუ ურითმო (ვერლიბრისა თუ ვერბლანის) ლექსის ხელოვნებას, ამიტომაც ნაფიქრ-განცდილს ლაღად და თავისუფლად უზიარებს მკითხველს.

ელიოტი ფიქრობს, რომ ყველა პოეტი უნდა შეფასდეს არა განცალკევებულად, არამედ წარსული დროის პოეტების შემოქმედებისა და მათ მიერ შექმნილი სტანდარტების გათვალისწინებით. პოეტური ტრადიციის კონტექსტის მოხმობით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ელა გოჩიაშვილს თავისი განსაკუთრებული ხმა აქვს ქართულ პოეზიაში. იგი იზიარებს გაბრიელა მისტრალის რჩევას: „შენი პირმშო რომ შეიქმნა, ისე შექმენი შენი ნაწარმოები: საკუთარი სისხლი ჩატოვე შიგ. მშვენიერებამ ჰაშიშივით კი არ გაგაბრუოს, დიდებულ ღვინოსავით უნდა აგანთოს და აგამოქმედოს. მაშინ არც კაცი იქნები, არც ქალი, – იქნები ხელოვანი“.

სწორედ ასეთი ხელოვანია ელა გოჩიაშვილი, რომელიც გრძნობს, რომ „ხელისგულზე ვუსხედვართ უფალს“, რომ „ლექსიც ტანჯულთა რელიგიაა“ და „ამ სტრიქონებსაც ჩახედავს ვინმე“ („ჩვენ მუდამ ვჩანვართ“). ვფიქრობთ, ელა გოჩიაშვილის ლექსებს არა მხოლოდ „ჩახედავს“ პოეზიის მოყვარული, არამედ აუცილებლად შეიყვარებს კიდეც.

ᲙᲝᲠᲝᲮᲘ 1

2025